N49 (600) 8/XII-14/XII-2011 ფასი 1 ლარი

# გზა



**ჩემი რჩეული**
**ნოდარ დუმბაძე**
**ექვსტომეული**
**ტომი V**

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგი **ნოდარ დუმბაძე** ტომი VI

1168
2011

## ვისზეა შეყვარებული პრეზიდენტის პრესმრჩეველი

## უთანხმებდნენ „მაესტროს“ დამფუძნებლები მაკა ასათიანს

## ბიზნესმენის წარმატების მთავარი ფაქტორი

## „პოლიტიკური ცუნამის გადატანა მოგვიწევს“

## ქართველი ქალბატონი, რომელსაც სოხუმელი აფხაზები „სულიერ დედად“ მიიჩნევენ



„მეუფის დედობა გარკვეულ პასუხისმგებლობას მაკისრებს“



## რას ნატრობენ არტისტები

„მახიობებს სხეულზე „კარდიოგრამა“ შემოგვახვიეს...“



## ოჯახი, რომელიც ლენინის წითელმა ფანქარმა შეიწირა



## აპოლონ კუბლაშვილი „ძველ ბიჭად“ იქცა

„მე და მარიამმა ამაზე 3 საათი ვიმსჯელეთ და ვიკამათეთ...“

ISSN 1987-5029

# რატომ გამოუცხადეს ომი პრესის ჯიხურებს


BEKO
გრანდიოზული
საახალწლო აქცია
ბეკოში!
-25%
www.beko.com.ge
დამატებით აირჩიეთ
სასურველი საჩუქარი!
+

ეროვნული ბიბლიოთეკა









ეროვნული ბიბლიოთეკა




მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის პალიტრა
მზე
№49 (600)
8 – 14 დეკემბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა





### „გჯეროდეთ, რომ ოცნება აგიხდებათ!..“

„კონკურსზე „ბზიკები“ და მარიამ კახელიშვილი გვახლდნენ. მათი იქ ყოფნა სტიმულს გვაძლევდა. ბევრს ვმუშაობდით, რომ საუკეთესო შედეგისთვის მიგვეღწია. ამიტომ ჩვენთვის გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა“.

14

## სახე





### ქალი, რომელიც ირაკლი ნოზაძის „ობიექტივში“ აღმოჩნდა

„ერთ დღეს ირაკლიმ მშობლები გამაცნო და მათ ჩემი თანდასწრებით განუცხადა: — ეს გოგო ჩემი საცოლე გახდებაო. მისმა ნათქვამმა ძალიან გამაკვირვა, რადგან სულ რაღაც, 2 დღის გაცნობილი მყავდა“...

24


- **მინიატიურები** 5
  მიხეილ თქვა: „იყავნ ლაზიკა!“ ანუ გაზეთების მაგივრად რძე და ყველი
- **ქრელი მსოფლიო** 6
- **მასმედია** 8
  ომი, რომელიც პრესის ჯიხურებს გამოუცხადეს
- **პროექტი** 12
  „ჯორჯიან ჯორნალი“ წლის დიპლომატს გამოავლენს
- **წარმატება** 14
  „გჯეროდეთ, რომ ოცნება აგიხდებათ!..“
- **მხილება** 16
  სიცოცხლე მკვდარ ქალაქში (გაგრძელება)
- **პირადი ცხოვრება** 18
  ნანობს თუ არა ნიკა გრიგოლია ოჯახის დანგრევას
- **რაკურსი** 20
  ვისზეა შეყვარებული პრეზიდენტის პრესმრჩეველი
- **ეკრანს მიღმა** 23
  ვარსიმაშვილის ახალი კომედია და „გაძველბიჭებული“ აპოლონ კუბლაშვილი
- **ოჯახი** 24
  ქალი, რომელიც ირაკლი ნოზაძის „ობიექტივში“ აღმოჩნდა
- **ამპლუა** 26
  რით ანებივრებენ თაყვანისმცემლები ქართველ ჯუდ ლოუს


## ცხოვრება

### იუბილარს ულოცავენ „მოხუცი ჯამბაზები“



„ერთხელ, რამდენიმე მსახიობს სხეულზე „კარდიოგრამა“ შემოგვახვიეს, რომელიც 24 საათის განმავლობაში ჩვენს პულსაციას დააფიქსირებდა. თუ ჩვეულებრივად მყოფს პულსი ნორმის ფარგლებში მქონდა, სპექტაკლის მოახლოებისას კატასტროფული სისწრაფით იმატებდა, ბოლოს კი ლამის 180-200-ზე ამივიდა“.

28

## მზე ვნილები

### ძალადობის მსხვერპლი



„ტარიელმა პირველად მაშინ ინანა ცოლის მოყვანა, როცა შინ მისულმა პატარძალმა კართან გაფშიკა ფეხები, ვირზე შეჯდა და აიჩემა, გინდა თუ არა, ხელში აყვანილი უნდა შემიყვანო შინ, გამიგონია, მთელი ცხოვრება ბედნიერები ვიქნებითო“.

64

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ შოუბიზნესი 27
ვერიკო ტურაშვილი და „დამანგრეველი ენერგეტიკის მქონე“ კლიპი

■ კულისები 28
იუბილარს ულოცავენ „მოხუცი ჯამბაზები“

■ ჩემი ცხოვრების გზა 30
„მე საქართველო ენგურის ხიდით არასდროს გამიყვია...“

■ ნამდვილი ამბავი 34
გატაცებული გოგონა და „სიძის“ სახლში გამართული „ქორწილი“

■ თინეიჯერული პონტები 35

■ თაობა 38
უცნაურები და უჩვეულონი...

■ ტაძარი 40
ელიას ზეცად ატაცება და ელისე წინასწარმეტყველი

■ საქმე 42
სად იპოვეს ქართველმა მოგზაურებმა ირანელი დუტა სხირტლაძე?

■ ისტორიის ლაბირინთები 45
„მამაჩემი კომუნისტებმა აგენტობაზე უარის თქმის გამო გააქრეს, ჩვენ კი ციმბირში გადაგვასახლეს!“

■ ერუდიტი 48
„ყველაზე ჭკვიანი“ ბავშვის არჩევანი: „მინდა, ჟურნალისტი გამოვიდე“

■ ანტიდეპრესანტი 50

■ საკითხავი ქალებისათვის 50

■ ჯანმრთელობა 52

■ წვეთი პოეზია 54

■ რჩეული 55

■ ქართული დეტექტივი 56
რუსუდან ლებანიძე. აბრეშუმის ვალეტი (გაგრძელება)

■ რომანი 60
სვეტა კვარაცხელია. წაგებული თამაში (გაგრძელება)

■ გზავნილები 64
ძალადობის მსხვერპლი

■ ყველა ერთისათვის 68

■ მობილი-ზაცია 70

■ ასტროპორტრეტი 74
„ორგანიზებული, შეუპოვარი და დისციპლინის მოყვარული ადამიანია“

■ გასართობი 78

■ ასტროლოგია 80

■ სკანვორდი 81

■ მოზაიკა 82


## სამყარო



### სად იპოვეს ქართველმა მოგზაურებმა ირანელი დუტა სხირტლაძე?

„ნახევარი საათი ვიფრინეთ კატმანდუს თავზე. მერე როგორც ჩანს, აეროპორტში გენერატორისთვის ბენზინი მეზობლებს სთხოვეს და ასაფრენი ბილიკი გაგვინათეს“.

42

## ბიბლუსი





### ვალეტი

...და ის იყო, ირაკლიმ სიტუაციის ასახსნელად პირი გააღო, რომ იქაურობა საშინელი აფეთქების ხმამ გააყრუა, აფეთქების ტალღამ კი ჩავლეიშვილს ტელეფონის აპარატი ხელიდან გამოჰგლიჯა და ასფალტზე მოისროლა...

56

## ტაიმ-აუტი



### „ორგანიზებული, შეუპოვარი და დისციპლინის მოყვარული ადამიანია“

„ოქტომბერი სასწორის ზონაა. სასწორი აპოლიტიკური ნიშანია, „მშვიდობის მტრედია“. ამ პერიოდში პოლიტიკური განცხადების გაკეთება წამგებიანია. ჩემთვის რომ ეკითხათ, მომავალ წლამდე ხმის ამოღებას არ ვურჩევდი“.

76


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
დიზაინი: ანა უთურგაიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

# მიხეილ თქვა: „იყავნ ლაზიკა!“
## ანუ გაზეთების მაგივრად რძე და ყველი



**შესავლის ნაცვლად** ვზივარ და ვფიქრობ, რაზე „ვიპროვოკატორო“ დღეს, ისეთი „მსუყე“ კვირა იყო — „მაესტრო“ და კიწმარიშვილის მიერ „ღობის მწვერვალის დაპყრობა“; მერიის მიერ გამოგონილი ახალი აუქციონები ჯიხურებთან დაკავშირებით, რომლის წყალობითაც შეიძლება, გაზეთის მაგივრად, ერთ მშვენიერ დღეს „რძე და ყველი“ შემოგვთავაზონ, და ბოლოს (ბოლოს კი არა, ეგ არი — რაც არი) — მიხეილ პრეზიდენტის ახალი იდეა — ქალაქი ლაზიკა!!!

ხანდახან რომ დავიჩივლებ ხოლმე, არაფერი ხდება-მეთქი ისეთი, რომ წერად ღირდეს, — აჰა, ახლა თავზე საყრელია თემები.

მოკლედ, ცოტ-ცოტა ყველაფერი ვთქვათ...

არა, გადავიფიქრე — ცოტ-ცოტა ყველაფერი — არა, ცოტ-ცოტას ჯიხურებსა და „მაესტროზე“ ვიტყვი, მიშას ოცნების ქალაქზე კი — უფრო მეტს, რადგან ეს კაცი თუ კიდევ ოდესმე გამაკვირვებდა, არ მეგონა!..



...მერიაში „ჭკვიანმა ბიძიებმა“ (ასეთი ტერმინია, თორემ ისე, იქ „ბიძიები“ არ მუშაობენ, ასე რომ, „ჭკვიანმა ბიჭბუჭებმა“ უნდა მეთქვა) ბევრი იფიქრეს თუ ცოტა (რა ქნან, ზემოდან დაავალეს), პრესის ალაგმვისათვის „უებარი“ მეთოდი მოიფიქრეს: პრესა გაიყიდება მხოლოდ იმ ჯიხურებში, რომლებიც სპეციალურად გამოყოფილ 1000 ადგილზე დაიდგმება და მათი პატრონები აუქციონებში გამარჯვებული კომპანიები თუ ინდმეწარმეები იქნებიან.

და ამაში ცუდი რა არისო? — სანამ ვინმე იკითხავთ, „ჯერ შეიცადეთ“: იმ აუქციონში გამარჯვებულს უფლება ექნება, თავის ჯიხურში, პრესასთან ერთად, რაც უნდა, ის გაყიდოს. უფრო მეტიც — უფლება ექნება, საერთოდ არ გაყიდოს პრესა! თითქოს არარეალურია — თუკი ჯიხურს დადგამს, რატომ არ გაყიდის ჟურნალ-გაზეთებსო? მაგრამ პირველი აუქციონების „უცნაურ“ შედეგებს რა ვუყოთ — ისინი „კოდამ“ და „კუმისმა“ მოიგეს. დიახ — სასოფლო-სამეურნეო „პროფილის“ კომპანიებმა!

ამიტომ ვთქვი დასაწყისში: ერთ მშვენიერ დღეს, მიხვალთ შეჩვეულ ადგილას გაზეთის საყიდლად და იქ დაგხვდება სხვა ჯიხური, სადაც გაზეთის მაგივრად შემოგთავაზებენ კვერცხებს ან გაყინულ კუპატებს!

ცხადია, ამაზე პროტესტიც გამოითქვა ბეჭდური მედიის მხრიდან და იმედია, როგორც ორი წლის წინ „დაზადნა“ ხელისუფლებამ ასეთი პროტესტებისა და საელჩოების ჩარევის შემდეგ, ახლაც ასე მოიქცევა. ისე, ზოგი ჭირი მარგებელიაო: ზუსტად გამოჩნდა ის ორი-სამი ჟურნალ-გაზეთი, რომელიც ხელისუფლების მიერ იმართება — მათ „მოსწონთ“ ეს პროექტი (ახლა ვიცი, ერთ-ერთი მათგანის რედაქტორი კატეგორიულადაც მომთხოვს, დაამტკიცე, თორემ გიჩივლებო, ამიტომ „გვარს არ დავასახელებ“).

გრძლად გამომდის სათქმელი, ამიტომ „მაესტროზე“ მხოლოდ ორიოდე სიტყვას ვიტყვი, თორემ „ლაზიკასათვის“ ადგილი არ მეყოფა და ამას ვერ ავიტან.

„მაესტრო“ რა — ეროსი გადაძვრა ღობეზე და „ეგრე დარჩა“, ზის ახლაც იქ და თავის თავს ელაპარაკება... კარგი, ამაზე — სხვა დროს...

ახლა კი — „ლაზიკა“!!!!!! (არ ვიცი, რამდენ ძახილის ნიშანს დამიტოვებს კორექტორი, მე მთელი სტრიქონი შევავსე) მიხეილ, მიშა, მიშიკო, მიხო — კარგი, რააა... აი, ხომ შეიძლება, „უცნაურობასაც“ (კარგა ხანს ვიფიქრე, რომ ეს „ნორმატიული“ სიტყვა მომეფიქრებინა) ჰქონდეს საზღვარი?!

რატომ არ გეცოდება ის შენი მთავრობის წევრები მაინც? იმ დღეს, მომავალი ქალაქის „შემოგარენს“ რომ ათვალიერებდით ვერტმფრენიდან, ერთი იმათი თვალები უნდა გენახა! მაგრამ სად გეცალა იმათი თვალებისთვის — მომავალი მეგაპოლისის მერიისთვის ადგილს არჩევდი ალბათ. ან სულაც პარლამენტისთვის — ილიკო ჩიგოგიძის არ იყოს, დავუყენოთ ბარემ იმ ქუთაისის პარლამენტს ოთხი ბორბალი და გავაგოროთ ზღვისკენ...

10 წელიწადშიო! აქ ავაშენებთ ნახევარმილიონიან ქალაქსო!

10 წელიწადშიო — 2013-ში წავა, არა, ისა...

**P.S.** სოციალური ქსელები და ზოგადად, ინტერნეტი მივიარ-მოვიარე და პრეზიდენტის ახალ იდეაზე აღფრთოვანებით „ნაციონალების“ ხელფასიანი მაქებრებიც კი არაფერს ამბობენ...

არადა, მე მინიმუმ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი ვიცი, რომელიც აღფრთოვანებულია „ლაზიკის“ პერსპექტივით!

ვერ გამოიცანით, ხომ? გეტყვით: ნათესავებს ველაპარაკე ბათუმში და სიხარულით აღარ არიან — ახალი გასართობი იპოვა და ჩვენ თავს დაგვანებებსო...

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com



# ქვეყანა

## აზერბაიჯანელები ქართველებს დავითგარეჯის მითვისებაში ადანაშაულებენ

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, ალი ჰასანოვმა ალბანური კულტურის ნიმუში უწოდა და დასძინა, რომ ძეგლი საბჭოთა პერიოდში „სხვებმა“ მიითვისეს. „საბჭოთა ეპოქაში ალბანომცოდნეობის დაბალი დონისა და აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ ალბანური კულტურის ძეგლების დაუცველობის გამო, ზოგიერთმა მისი მითვისება სცადა. გარკვეულწილად ეს მოახერხეს კიდეც. ამ ეტაპზე აზერბაიჯანის სახელმწიფო ძეგლის კუთვნილების საკითხზე მუშაობს“, — განაცხადა ჰასანოვმა. მისივე თქმით, სადავო კომპლექსის საკითხზე კულტურის სამინისტროსა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიაში კომპეტენტური პირები მსჯელობენ. დავითგარეჯის მონასტერი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის 25-კილომეტრიან სადავო მონაკვეთზე მდებარეობს. აზერბაიჯანული მხარე მას კეშიკჩის მონასტერს უწოდებს. დავითგარეჯის დაარსება ერთ-ერთი ასურელი მამის — დავით გარეჯელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას უკავშირდება. სამონასტრო კომპლექსის მცირე ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული. ■



## „ქვირფასო ვლად! არაბული გაზაფხული გიახლოვდება“...

სენატორი ჯონ მაქკეინი ამბობს, რომ რუსეთის სათათბიროს არჩევნები დემოკრატიული პრინციპების დარღვევით მიმდინარეობს და აცხადებს, რომ ვლადიმირ პუტინი რეჟიმის ცვლილებას იმავე მეთოდებით უნდა ელოდოს, როგორც ეს ტუნისში, ეგვიპტესა და ლიბიაში მოხდა. „ძვირფასო ვლად! არაბული გაზაფხული გიახლოვდება“, — ასე დაწერა სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ მაქკეინმა. როგორც ცნობილია, რუსეთის სათათბიროს არჩევნებში 49.72%-ით „ედინაია როსია“ ლიდერობს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ვლადიმირ ჩუროვის ინფორმაციით, კომუნისტურმა პარტიამ ხმათა 19,15% მოიპოვა, „სპრავედლივაია როსიამ“ — 13,16%, დანარჩენი სამი პარტია პარლამენტში საერთოდ ვერ მოხვდება: „იაბლოკო“ ხმათა 3,21%-ით მესამე ადგილზეა, „პატრიოტი როსიი“ და „პრავოე დელო“ — 0,96% და 0,59%-ით მეოთხე და მეხუთე ადგილებს ინაწილებენ. სახელმწიფო სათათბიროში მოსახვედრად, პარტიამ ხმათა 7%-ზე მეტი უნდა მოაგროვოს. ის პარტიები, რომლებიც 5-დან 7%-მდე მიიღებენ, პარლამენტის ქვედა პალატაში ერთ ან ორ ადგილს მოიპოვებენ. დუმის 450 დეპუტატს 5 წლის ვადით ირჩევენ. ■

## ოთხდღიანი „ღორული ცხოვრება“

კორეელმა მსახიობმა და ფოტოხელოვანმა მირუ კიმმა უცნაურ პერფორმანსში მიიღო მონაწილეობა. მან 104 საათი (4 დღეზე მეტი) ღორებთან ერთად გომურში, სრულიად შიშველმა გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ მირუს ძალიან ეშინია ბაქტერიებისა და მიკრობების, ექსპერიმენტზე უარი მაინც არ თქვა. არტ-ინსტალაცია, რომელსაც „მე მომწონს ღორები და ღორებს მოვწონვარ მე“ ჰქვია Art Basel Miami-ში დაიდგა. სტუმრებს მსახიობის 4-დღიანი „ღორული ცხოვრებისთვის“ თვალის დევნება სპეციალური ფან-



ჯრიდან შეეძლოთ. გოგონა ღორებთან ერთად ჭამდა და მათთან ერთად ეძინა. ის თავის პერფორმანსს „მაღალ ხელოვნებად“ აფასებს და ამბობს, რომ ღორებთან თანაცხოვრების იდეა მირუს ფრანგი ფილოსოფოსის, მიშელ სერესის წიგნმა — „ხუთი გრძნობა: სხეულების შეერთების ფილოსოფია“ — შთააგონა, რომელიც კანის თავისებურებებს შეისწავლის. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიძინა ივანიშვილისგან სასიკეთო ცვლილებებს ელიან

გამოკითხულთა 52,8% მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყანაში ვითარებას უკეთესობისკენ შეცვლის. „სოციალური კვლევისა და ანალიზის" ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა გამოკითხულთა 75,7%-ს რეალურად მიაჩნია. ამ ეტაპზე ხელისუფლების არანაირი გზით ცვლილებას არ ელის რესპონდენტთა 12,2%. ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, მისი რევოლუციის გზით შეცვლას რეალურად მიიჩნევს 3,6%; ხოლო 3,2%-ის აზრით, არჩევნებამდე რევოლუციის გზით ხელისუფლების შეცვლა რეალურია. კითხვაზე, — როგორია თქვენი პოზიცია ხელისუფლების შეცვლის გზებთან დაკავშირებით? — გამოკითხულთა 5,3%-ს პასუხის გაცემა უჭირს. კითხვას, — რას ელით ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით, 52,8% პასუხობს, რომ ივანიშვილის სახით პოლიტიკაში მოვა ახალი ძალა, რომელიც ქვეყანაში ვითარებას უკეთესობისკენ შეცვლის. 16,1%-ის აზრით, პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლით, ქვეყანაში არსებული ვითარება არ შეიცვლება, 8%-ს მიაჩნია, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით ქვეყანაში არსებული ვითარება გაუარესდება, 23%-ს კი კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.




# ფერმერებმა მექრთამე მაღალჩინოსნებს გველები მიუსიეს

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში მაღალჩინოსანთა მექრთამეობით დაღლილი სოფლის მოსახლეობა საგადასახადო სამსახურის ოფისში შხამიანი რეპტილიებით სავსე ტომრებით მივიდა. ფერმერებმა ტომრებიდან 40 სხვადასხვა სახეობის გველი გამოუშვეს, მათ შორის — ოთხი კობრა. „გველები ყველგან იყვნენ, ადამიანები დამალვას ცდილობდნენ, ზოგი — მაგიდებზე, ზოგი სკამებზე ადიოდა, მაგრამ ქვეწარმავლები იქაც სწვდებოდნენ; ჩვენ არაფერი გვქონდა ხელთ, რითაც მათ დავხოცავდით", — იხსენებს შემთხვევის თვითმხილველი. გველების თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა, პოლიციელებმა ქვეწარმავლების დაჭერა სწრაფად შეძლეს. ფერმერები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გავრცელებული ინფორმაციით, სოფლის მოსახლეობამ ამ ფორმით რეგიონის საგადასახადო ორგანოში გაბატონებული მექრთამეობა გააპროტესტა.



# ღვინის საცობებისგან შექმნილი კულტურის ძეგლები

61 წლის იტალიელი პენსიონერი, ჩირო კალიფანო ღვინის საცობებისგან მშობლიური კულტურის ძეგლებს ქმნის. ამისთვის მას 5-დან 10000-მდე მუხის მერქნისგან დამზადებული ბოთლის საცობი, ორი ბასრი დანა, წებო და სახაზავი სჭირდება. კალიფანომ საკუთარი ნამუშევრები კანტინ დელ ვესკოვოს რესტორანში გამოფინა. როგორც კალიფანო ამბობს, თითოეული ღირსშესანიშნაობის შექმნას სულ მცირე, ერთი წელი სჭირდება. ოსტატი ყველა დეტალს გულდასმით ამუშავებს, მათ შორის კიბეს, ფანჯრებს და იატაკს.



ქოლესტერინის საზომი აპარატი
69 ლარი
35 ლარი
გლუკომეტრები
21 ლარიდან
შპს „კონტრასტი"
მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 234 74 03; 599 19 60 55
დიდი საახალწლო ფასდაკლება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიბლიოთეკა ღია ცის ქვეშ



გერმანიაში, ქალაქ მაგდებურგში ბიბლიოთეკა პირდაპირ ღია ცის ქვეშ, 488-მეტრიან სკვერში გააშენეს. ბიბლიოთეკა ნებისმიერი მსურველისთვის 24 საათის განმავლობაში ღიაა. თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკის სტუმრებს რეგისტრაციის გავლა არ სჭირდებათ, მათ წიგნების კითხვა სუფთა ჰაერზე შეუძლიათ. მკითხველს ასევე შეუძლია, არჩეული წიგნი შინ წაიღოს და მის ნაცვლად სხვა დააბრუნოს. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებისა და ადგილობრივი მუსიკალური ბენდების კონცერტების გამართვას აპირებენ. ■

# კოკოითი ქართველებს ემუქრება

ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ალა ჯიოევა პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. მარიონეტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი კი ქართულ სპეცსამსახურებს ემუქრება. „უკვე დაზუსტებულია, რომ „ნარინჯისფერ რევოლუციას" სამხრეთ ოსეთში ქართული სპეცსამსახურები აფინანსებენ. როგორც პრეზიდენტი, გარანტიას ვიძლევი, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას აღვასრულებ და პროვოკატორთა მუქარასა და მოქმედებებზე პასუხი გადამწყვეტი იქნება, რა თქმა უნდა, კანონიერების ფარგლებში", — განაცხადა კოკოითიმ. მისივე თქმით, „ყველა, ვინც რესპუბლიკაში უკანონო სტრუქტურებს ქმნის და მოსახლეობას სისხლის ღვრისკენ მოუწოდებს, პასუხს აგებს". კოკოითის ხელისუფლებამ „საპრეზიდენტო არჩევნების" შედეგები გააუქმა და ალა ჯიოევას ხელახალ არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა. ჯიოევამ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ — უშედეგოდ. ■

# ყველაზე მავნე შვილი

ეს ისაა, რაც მეტ-ნაკლებად ყველა მშობელს გამოუცდია. ჯული ჰეს ბროტიმ, რომელიც ნიუ-იორკის ერთ-ერთ უბანში, ნორვენგტონში ცხოვრობს, შექმნა საიტი — Shit my Kids Ruined და მასზე მისი შვილის მავნებლობის ამსახველი ფოტოები ატვირთა. მოგვიანებით, ეს ვებგვერდი ყველაზე პოპულარულ ფორუმად გადაიქცა. მალე „ყველაზე ცუდი შვილის" დედამ იმავე სახელწოდების წიგნიც გამოსცა, რომელიც ბესტსელერად იქცა.



ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც ერთ დღეს 2 წლის ბიჭის დედა სახლში დაბრუნდა და აღმოაჩინა, რომ მისი შვილი მთლიანად შავ სალებავში იყო ამოთხვრილი. „ბავშვს ფოტო გადავუღე და ჩემს ქმარს გავუგზავნე. შემდეგ ეს ფოტო facebook-ზე დავდე, რომ ჩემს მეგობრებს ენახათ. სურათმა დიდი პოპულარობა მოიპოვა, რამაც საიტის შექმნა გადამაწყვეტინა", — განაცხადა ჯულიმ. საიტზე „ყველაზე ცუდი შვილის დედა" პერიოდულად ტვირთავდა ფოტოებს. ზოგ მათგანზე მისი შვილის მიერ დაჩხაპნილი მანქანა იყო აღბეჭდილი, ზოგზე — დამტვრეული ლეპტოპი და ზოგზე — შეღებილი კატა. shitmykidsruined.com-ზე ყველა „ცუდი ბავშვის" მშობლებს შეუძლიათ, შვილების ნამოქმედარის ამსახველი ფოტოები გამოფინონ. ■

*რუბრიკა მოამზადა* ***ხათუნა ბახტურიძემ***
*გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები*

იქ, სადაც ცოტა ხნის წინ ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვა ნაბეჭდი პროდუქცია იყიდებოდა, მალე ქათამი, კვერცხი და სხვა სურსათი გაიყიდება, რადგან თბილისის მერიამ 1000 ჯიხურის აუქციონი იმ ადგილების უმეტესობაზე გამოაცხადა, სადაც ამჟამად პრესის ჯიხურები დგას ან ცოტა ხნის წინ იდგა...

*ნუნუ ლაბაძე 7 წელი ქუჩაში ყიდდა ჟურნალ-გაზეთებს, მერე დანაზოგით ბუკიას ბაღში ჯიხური ჩადგა, სადაც მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებით ვაჭრობდა. ამ ფართობით სარგებლობის უფლება კანონიერად გადაეცა. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები აქვს.*

**ნუნუ ლაბაძე:**

— ამ ჯიხურის ამბებმა ყველაფერი თავდაყირა დაგვიყენა. დღეში 10-15 ლარი მქონდა, მეუღლესაც მინიმალური ხელფასი აქვს, მაგრამ როგორღაც თავი გაგვქონდა. ხალხს უკვირს, ეს რატომ გააკეთა უგულავამ?.. იცით, ჩემისთანა რამდენია? თუ იჯარის დაწესება უნდათ, დააწესონ, გადავიხდით, უარს არ ვამბობთ, მაგრამ არც ამაზე არიან თანახმა. ჩემისთანა ადამიანები კი ვერ გაუწევენ კონკურენციას იმ ხალხს, ვისაც უნდა, ასეთ ადგილებზე კვების პროდუქტებით სავაჭრო ჯიხურები დადგას და მზად არის, იჯარის სახით წელიწადში 19.000 ლარიც გადაიხადოს. მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა ამხელა ფულს ვერ მოიტანს. ეს წლების გამოცდილებამ მასწავლა.

**დავით ნარმანია,** *ეკონომიკის ექსპერტი:*

— იმთავითვე ცნობილი იყო, რომ აუქციონის შედეგად იჯარის საწყისი ღირებულება გაიზრდებოდა, მაგრამ საწყისი 1.000 ლარის პირობებში ვაჭრობა ათეულ ათასებს გასცდა. მცირე მეწარმეს ვაჭრობაში რომც მიეღო მონაწილეობა, გამოეთიშებოდა, რადგან არც ერთ მცირე მეწარმეს არ აქვს საშუალება, ჯიხურის იჯარაში წელიწადში 10 და 20 ათასი გადაიხადოს... ქალაქის ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, რომ მედიაბიზნესი, კონკრეტულად პრესა, არ არის კლასიკური ბიზნესი და არ შეიძლება მისი გაიგივება ისეთ ბიზნესთან, რომელიც რეალურად მოგებას ტოვებს და ძირითადი მამოძრავებელი ასეთი ბიზნესისთვის სწორედ მოგებაა. პრესისთვის მთავარი მამოძრავებელი და მოტივატორი არის საზოგადოების ინფორმირება და დამატებით შემოსავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომი, რომელიც პრესის ჯიხურებს გამოუცხადეს

ლების მიღება. სწორედ ამიტომ ეს ბიზნესი, როგორც წესი, შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმით სარგებლობს.

**მერაბ ჩანჩალაშვილი,** *პრესის გავრცელების სამსახურის — „პლანეტა ფორტეს“ ხელმძღვანელი:*

— ყველაზე კარგ ადგილას მდებარე პრესის სარეალიზაციო ჯიხური დღეში დაახლოებით 200 ლარს ვაჭრობს. აქედან ჩვენი შემოსავალი საშუალოდ 20%-ია, ამას უნდა გამოვაკლოთ გამყიდველის ხელფასი და სხვა ხარჯები: გაზეთების დამხარისხებლების, მძღოლების, ტრანსპორტირების. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ პრესის ერთი ჯიხურიდან დღეში საშუალოდ, 5-7 ლარი თუ დარჩება სუფთა მოგება. ასეთ პირობებში ლაპარაკი იმაზე, რომ პრესამ თანაბარი კონკურენცია გაუწიოს ბიზნესის სხვა სახეობებს, სრულიად არარეალურია. მით უფრო, რომ ზოგი ჩვენი ჯიხურის ადგილის იჯარა ვაჭრობის შედეგად ისეთ ფასზე ავიდა, გულწრფელად მიკვირს, განა რა ბიზნესი უნდა იყოს, რომ თვეში 3-4 ათასი ლარი მხოლოდ მიწის იჯარა გადაიხადოს... მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ჩემი ჯიხურების იჯარის მოსაპოვებლად მონაწილეობა მეც დავაპირე, მაგრამ მალევე დავანებე თავი, რადგან კონკურენტებმა არარეალურად მაღალი თანხების დასახელება დაიწყეს. დოლიძის ქუჩაზე, იქ, სადაც მანამდე ჩვენი ჯიხური იდგა, კომპანია „ოდამ“ იჯარის უფლება წელიწადში 30 ათას ლარად მოიპოვა. მერიამ ათი ისეთი ჯიხური აიღო, რომელიც მთლიანად ჩემი ორგანიზაციის ბრუნვისა და მოგების 50%-ს შეადგენდა.

*ბეჭდური მედიის, პრესის გავრცელების სამსახურების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან მერიის ამ ნაბიჯს პროტესტი მოჰყვა, გამოსვლებითა და წერილობით სცადეს, ქალაქის ხელისუფლებისთვის აეხსნათ, რომ პრესა არის საზოგადოებრივი და დემოკრატიისთვის აუცილებელი პროდუქტი და მისი რეალიზაცია ვერ იქნება ისეთი რენტაბელური და მომგებიანი ბიზნესი, როგორიც, მაგალითად, კვების პროდუქტებით ვაჭრობა ან სწრაფი კვების ობიექტია. შესაბამისად, მისი ჩაყენება თანაბარ საკონკურსო პირობებში სხვა ბიზნესთან არასწორია. მაგრამ, როგორც ჩანს, მერიას არაფრის გაგება არ სურს. ნიშანდობლივია, რომ ამ პროტესტს მხოლოდ სამი გამოცემა — ჟურნალი „ტაბულა“ და გაზეთები — „პრაიმტაიმი“ და „24 საათი“ არ შეუერთდა. „ტაბულას“ რედაქტორმა კი „პალიტრა მედიას“ პრესის გავრცელების სამსახური „ელვა სერვისი“ პრესის ჯიხურების მონოპოლიზებაშიც კი დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ მას „დაბრიყვებული“ ჰყავს „ტაბულა“, რომელიც „პალიტრის“ ჯიხურების გამყიდველებს (უფროსების მითითებით) სხვა ჟურნალ-გაზეთების ქვეშ აქვთ „დამალული“. „მონოპოლისტობასთან“ დაკავშირებით დავაზუსტებთ: დაახლოებით 400 ჯიხურიდან „მედია პალიტრას“ მხოლოდ 21(!) ეკუთვნის (22 გვქონდა, მაგრამ 1 აგვალებინეს). რაც შეეხება „სავაჭრო წერტილებს“, რომლებიც, ჩერგოლეიშვილის თქმით, 800 გვაქვს, ოღონდ ეს არ არის „მედია პალიტრის“ საკუთრება — ეს გახლავთ მაღაზიებში, სადგურებში, აეროპორტში და ა.შ. განთავსებული „წერტილები“ (ოღონდ 800 კი არა — 1000-ზე მეტი), რომლებსაც მერიის პროექტი არ ეხება. ასე რომ, 20 და 21 ჯიხური მონოპოლისტად ვერაფრით გაქცევს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში სულ, 5000-ზე მეტ „წერტილში“ იყიდება პრესა...*

*დაბოლოს, მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ: შეიძლება თუ არა მედიის გათანაბრება სხვა სახეობის ბიზნესთან? ამ კითხვაზე პასუხს ჩვენზე უკეთ, ეკონომიკის ექსპერტი გასცემს.*

**გია ხუხაშვილი,** *ეკონომიკის ექსპერტი:*

— პრესის გათანაბრება სახინკლესა და საშაურმესთან უკიდურესი ცინიზმია ხელისუფლების მხრიდან. როდესაც მერიის „კომისრები“ საუბრობენ, რომ ეკონომიკურ სუბიექტებს თანაბარ პირობებში განიხილავენ, ეს იმდენად აბსურდულია, რომ ან უბრალოდ არ ესმით რას ამბობენ და სჩადიან, ან ამას აკეთებენ სავსებით შეგნებულად. ჩვენ ვსაუბრობთ ქვეყანაში „მეოთხე ხელისუფლების“ პრობლემებზე, იმ სეგმენტზე, რომელიც აბალანსებს ხელისუფლებას და სასიცოცხლო მნიშვნელობის არის ქართველი საზოგადოებისთვის, შაურმისგან განსხვავებით. მაგრამ მერიას სურს დაგვარწმუნოს, რომ გაზეთი —



**XXI საუკუნეში თავისუფალი სიტყვის ფასი ძალიან მაღალია საზოგადოებისთვის**

შაურმაა... იმ ქვეყნებშიც კი, სადაც პრესა ბევრად უფრო მომგებიანია, ის სოლიდური შეღავათებით სარგებლობს. XXI საუკუნეში თავისუფალი სიტყვის ფასი ძალიან მაღალია საზოგადოებისთვის. რაც ახლა ხდება, კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ჩვენ უფრო ავტორიტარულ რეჟიმში ვცხოვრობთ, ვიდრე დემოკრატიულ სახელმწიფოში; და ეს წნეხიც, სამწუხაროდ, ყოველდღიურად ძლიერდება. ■



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ეროსისა და მაკას საუბარს კოტე გოგელიაც ესწრებოდა“

## „ჩვენ მას ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვუთანხმებთ“

ხათუნა ბახტურიძე

*ტელეკომპანია „მაესტროს“ გარშემო სკანდალები ისევ გრძელდება. შენობაში „გამაგრებულ“ „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ ხელმძღვანელს — ეროსი კიწმარიშვილს ამჯერად მაკა ასათიანი დაუპირისპირდა და 500 ათასი დოლარის უკანონოდ მითვისებაში დაადანაშაულა. სულ ცოტა ხნის წინ ასათიანის ადვოკატმა, დიმიტრი გაბუნიამ ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელა: „ყველაფერი დაიწყო 2010 წლის აგვისტოდან, როდესაც ტელეკომპანია „მაესტროს“ მართვის კომპანიაში მაკა ასათიანმა დაიწყო თანხების ინვესტირება (ასათიანი დამფუძნებელი გახდა მხოლოდ 2011 წლის აპრილში, გიორგი გაჩეჩილაძისგან წილის შეძენის გზით). 2011 წლის აგვისტოში ასათიანმა „რუსთავის მედიის მართვის კომპანიისგან“ მისთვის გადარიცხული თანხების ანგარიში მოითხოვა და აღმოჩნდა, რომ ეროსი კიწმარიშვილს სისტემატურად, დროის გარკვეულ მონაკვეთში ინვესტირებული თანხების გაბერვის გზით, მოპარული ჰქონდა დაახლოებით 500 ათასი აშშ დოლარზე მეტი ოდენობის თანხა, რაც მან დაუყოვნებლივ აღიარა და შეჰპირდა დამფუძნებლებს და კონკრეტულად მაკა ასათიანს, რომ ამ თანხას დააბრუნებდა უახლოეს მომავალში“. მაკა ასათიანის განცხადებას კიწმარიშვილმა ასე უპასუხა: „თუ მაკა მოახერხებს თუნდაც ერთი აბზაცის წაკითხვას სწორედ იმ თემაზე, რაზეც ეს წერილია მომზადებული, ბოდიშს მოვიხდი. მან საერთოდ არ იცის, რაზეა ლაპარაკი. მაკა იყო ფასადი იმ პროცესისა, რომლის უკანაც წილობრივად იდგა კოტე გოგელია და მეორე მხრივ — ირაკლი ოქრუაშვილი. ირაკლისაც ლეგალური და დასაბუთებული პრეტენზიები ექნება გოგელიასთან მიმართებაში და ამ თემას დიდი გაგრძელება მოჰყვება“, — ამბობს მმართველი კომპანიის ხელმძღვანელი და დასძენს, რომ „მაესტროს“ დამფუძნებლებს მისი „მოტეხის“ მცდელობა ძვირად დაუჯდებათ.*

*რატომ გაახსენდა მაკა ასათიანს დაკარგული ფული სწორედ ახლა, მართლაც აპირებდნენ თუ არა, „მაესტროს“ დამფუძნებლები კიწმარიშვილის თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებას და რისთვის იბრძვის რეალურად „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ ხელმძღვანელი, — ამის გარკვევას „მაესტროს“ ერთ-ერთ დამფუძნებელთან, ეკა აკობიასა და ადვოკატ დიმიტრი გაბუნიასგან შევეცადეთ.*



ამ ეტაპზე რადიო „მაესტროს“ შენობაში ვართ

**ეკა აკობია:**

— ეროსი იმუქრება, ჩვენ ვმუშაობთ. ამ ეტაპზე რადიო „მაესტროს“ შენობაში ვართ. მართალია, სულ სამი ოთახი გვაქვს, მაგრამ ეთერში გასვლას ვახერხებთ. შესანიშნავ განწყობილებაზე ვართ, ყველა თავის საქმეს ასრულებს. არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ სხვა ტერიტორიაზე გადავინაცვლეთ.

— **იქნებ დააკონკრეტოთ, რა იყო კიწმარიშვილისა და „მაესტროს“ დამფუძნებლების დაპირისპირების მიზეზი? თავად კიწმარიშვილი ამბობს, რომ თქვენ მის მიმართ ივანიშვილის გამოჩენამდე პრეტენზია არასდროს გქონიათ.**

— კიწმარიშვილს კომპლექსი აქვს — ჰგონია, ვილაცას მისი, როგორც თავად ამბობს, „გადაგდება“ ჰქონდა ჩაფიქრებული. არაერთხელ ვუთხარით, რომ „რუსთავის მედიის მართვის კომპანიასთან“ ურთიერთობის გაწყვეტას კი არა, მისგან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ვითხოვდით. დამფუძნებლებსა და ეროსის შორის კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც მართვის კომპანიამ ვალდებულებების შესრულებაზე გაურკვეველი პასუხების გაცემა დაიწყო. ფაქტია, რომ დავალიანებები არსებობდა, რომელთა დაუფარაობა „მაესტროს“ მუშაობის შეფერხებას გამოიწვევდა. მაგალითად: ვეღარ ვიმაუწყებლებდით სატელიტზე, ვეღარ მივიღებდით „როიტერის“ მომსახურებას და ასე შემდეგ. მმართველმა კომპანიამ იმ ფართობის ჩაბარებაც გადაწყვიტა, საიდანაც ახალი სტუდიებით, ახალი ტოქშოუებით უნდა გავსულიყავით ეთერში და რომლის იჯარის ფულსაც რამდენიმე თვე მმართველი კომპანია ჰაერში ისროდა, როდესაც შეიძლებოდა მათი მიზნობრივად გამოყენება. სწორედ ეს და ბევრი ქმედება ითვლება კომპანიის არაკეთილსინდისიერ მართვად. ასე რომ, პრობლემები და დაძაბულობა უკვე ზაფხულის პერიოდიდან არსებობდა და არა როგორც კიწმარიშვილი ამბობს, — ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ განაპირობაო. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს კიწმარიშვილი სათავისოდ ანუ კონფლიქტის ნამდვილი არსის დამალვის მიზნით იყენებს.

— **ივანიშვილისთვის წილის მიყიდვას ნამდვილად არ აპირებდით?**

— გარწმუნებთ, რომ „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტი ანუ 51% პროცენტი არასდროს არავისზე გაიყიდება.

— **კიწმარიშვილი ამბობს, რომ მაკას, „ფასადის უკან მდგომი“ კოტე გოგელიას წილში 12,5% ირაკლი ოქრუაშვილს ეკუთვნის...**

— ბატონი ეროსი ნამდვილი პროფესიონალია პიარ-ტექნოლოგიების ფლობა-გამოყენებისა და ადამიანების, მომიტევეთ და, „დაბოლების“ საქმეში. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იხილოს ოფიციალური დოკუმენტი საჯარო რეესტრში, სადაც შავით თეთრზე წერია ყველა იმ ადამიანის სახელი და გვარი, ვინც ფლობს „მაესტროს“. ეს არის ძალიან ჩვეულებრივი შავი პიარი, აქცენტის გადატანა მნიშვნელოვანი პრობლემიდან და მიზეზიდან და ასევე, იმ ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა


მას ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვუთანხმებთ

მიერ ფარულად გადაღებული ვიდეომასალის შინაარსის გამართლების მცდელობა, სადაც ბატონი ეროსი სწორედ ოქრუაშვილთან საუბრობს, მაშინ, როდესაც გვერდით ოთახში მიმდინარეობს მოლაპარაკება კონფლიქტის მოგვარების თაობაზე. მერწმუნეთ, ჩვენ რომ ის გადაწყვეტილება არ მიგვეღო, რაც მივიღეთ, და ეროსი კიწმარიშვილი იმ ღამეს სახლში მარტო არ დაგვეტოვებინა, დღეს სრულიად სხვა და ბევრად უფრო დრამატული სურათი გვექნებოდა. ისტორია გრძელდება, ეს „მაესტროს" ისტორიაა, ძალიან ბევრ დაბრკოლებაგადალახული „მაესტროს" ისტორია და მას, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერც ეროსი კიწმარიშვილი დაწერს და ვერც ვინმე სხვა; ამ ისტორიას ქმნიდნენ, ქმნიან და შექმნიან ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაჟები — „მაესტროელები".

— **ეკა, შეგიძლიათ თქვათ, რომ მაკა, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი, აქტიურად მონაწილეობს „მაესტროს" მართვაში?**

— ის სხვა დანარჩენი დამფუძნებლებივით აქტიური ვერ იქნება, რადგან საქართველოში არ ცხოვრობს, მაგრამ ჩვენ მას ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვუთანხმებთ.

— **კიწმარიშვილს ლობეზე გადაძრომა რისთვის დასჭირდა?**

— ეს იყო უდიდესი შეცდომა, რომელიც მან დაუშვა და, რაც უნდა თქვას ახლა, რა მიზეზითაც უნდა ახსნას ეს გამაოგნებელი ნაბიჯი, მის სიტყვას წონა, ფასი და დამაჯერებლობა აღარ ექნება. წინადღეს ეროსის უნდოდა, რომ საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტებისთვის თათბირი ჩაეტარებინა, რაზეც ჩვენ მტკიცე უარი ვუთხარით. მეორე დღეს კი გაურკვეველ პირებთან ერთად, ლობეზე გადმოძვრა და შენობის ოკუპაცია მოახდინა.

— **ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უარი რატომ უთხარით?**

— „მაესტრომ" ხელშეკრულება გააფორმა უპარტიო ეროსი კიწმარიშვილთან, ხოლო როდესაც ეროსი „ქართული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი გახდა და პოლიტიკაში წავიდა, მისი პოზიცია ჩვენს ურთიერთობაში შეიცვალა — ანუ იყო შეთანხმება, რასაც ხელშეკრულებაც ამაგრებდა, რომ ის ტელეკომპანიის ინტერესების საზიანოდ არ იმოქმედებდა. ტელეკომპანიის საზიანოდ ჩაითვლებოდა მისი ნებისმიერი გამოჩენაც კი ტელევიზიის კოლექტივთან, არათუ მათთან თათბირების გამართვა. მან ეს იცოდა და ისიც — რომ პოლიტიკოსი ეროსი კიწმარიშვილის კონტაქტს „მაესტროს" კოლექტივთან არასაეთერო სივრცეში ჩვენ არ დავუშვებდით.

— **მამუკა ღლონტმა თქვა, რომ კიწმარიშვილი მოლაპარაკებების დროს შეუვალი იყო და მცირედ დათმობაზეც კი უარს ამბობდა. მაინც რა დათმობას ითხოვდით მისგან?**

— კიწმარიშვილმა მოლაპარაკება ერთი მიზეზის გამო სამჯერ გაწყვიტა. ჩვენ შევთავაზეთ, რომ ტელეკომპანიის შენობიდან გავსულიყავით, „მაესტროსთვის" მუშაობის გაგრძელების საშუალება მიგვეცა, სადავო საკითხები კი გარეთ გადაგვეწყვიტა. ეროსი ამბობდა, — შენობიდან მხოლოდ მაშინ გავალ, თუ გენერალურ დირექტორს მოხსნითო. ჩვენ მის უკანონო გადაწყვეტილებას ვერ დავუჭერდით მხარს. ხელშეკრულების მიხედვით, კიწმარიშვილს მესაკუთრეების თანხმობის გარეშე საკადრო ცვლილებების განხორციელების უფლება არა აქვს. ჩიხში შედიოდა მოლაპარაკება იმის გამოც, რომ ჩვენ კონფლიქტის „ზონიდან" გასვლის შემდეგ კონტრაქტის გაგრძელებას აღარ ვაპირებდით.

— **გენერალური დირექტორის მოხსნას ასე კატეგორიულად რატომ ითხოვდა?**

— სულ ცოტა დროა საჭირო, რომ სურათი თავისით, მთელი თავისი საინტერესო და მნიშვნელოვანი შტრიხებით დაიხატოს. მთავარი ჯერ კიდევ წინ გვაქვს, მანამდე კი უბრალოდ იმას ვიტყვი, რომ ეს კიწმარიშვილის „საფირმო" სვლაა — მას ყოველი წლის დეკემბერში უჩნდება გენდირექტორის მოხსნის სურვილი. შარშან ამ დროს კახა ბექაურის მოხსნაზე ითხოვდა ჩვენს თანხმობას. მაშინ მმართველ კომპანიასა და დამფუძნებლებს შორის წარმოქმნილი დავის გადაწყვეტა შევძელით, თუმცა ძალიან გაგვიჭირდა. მაშინ ეს იყო საუკეთესო — არა, მაგრამ ერთადერთი გზა იმისა, რომ „მაესტრო" არ გაჩერებულიყო. წლევანდელი „დეჟავიუს" ფონზე, ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ მმართველი კომპანიის პრეტენზია, ილია კიკაბიძის გადაყენებასთან დაკავშირებით, უსაფუძვლო, უკანონო და, რაც მთავარია, „მაესტროსთვის" დამღუპველი იქნებოდა. შარშანდელი ინციდენტისგან განსხვავებით, ჩვენს ეთერში არ დევს დაფა წარწერით — „პროფილაქტიკა"; ჩვენ ვმაუწყებლობთ, მართალია, უხარისხ-




ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდ, არასრულფასოვნად, მაგრამ — ეთერში ვართ.

*როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მაკა ასათიანის ადვოკატ* **დიმიტრი გაბუნიასაც** *ვესაუბრეთ.*

— **ბატონო დიმიტრი, ეროსი კიწმარიშვილი სასამართლოსგან „მაესტროს“ 100%-იანი წილის დაყადაღების გადაწყვეტილებას ელოდება. ასეთ შემთხვევაში „მაესტრო“ რას მოიმოქმედებს?**

— კი, ბატონო, დააყადაღოს სასამართლომ „მაესტროს“ 100%-იანი წილი. მერე რა? წილის დაყადაღება ნიშნავს წილების გასხვისების აკრძალვას. ჩვენ ისედაც არ ვაპირებთ წილის გაყიდვას.

— **„მაესტროს“ წილის მფლობელი რეალურად, მაკა ასათიანია თუ მისი მეუღლე?**

— გარწმუნებთ, რომ „მაესტროს“ წილის მფლობელი — მაკა ასათიანია. ამ საკითხზე მეტ კომენტარს ჯერჯერობით არ გავაკეთებთ. მხოლოდ ერთს გეტყვით, რომ კიწმარიშვილი ცრუობს.

— **კიწმარიშვილისგან 500 ათასი დოლარის დაბრუნებას ნამდვილად მაკა ასათიანი ითხოვდა?**

— რა თქმა უნდა! ჩემ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ეროსისა და მაკას საუბარს კოტე გოგელიაც ესწრებოდა და შესაბამისად, მოპარული თანხის დაბრუნება მანაც მოითხოვა. ამას ისიც დაერთო, რომ „მართვის კომპანიასთან“ დაახლოებით ერთი თვის წინ დავიწყეთ ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურა. როგორც იცით, მმართველი კომპანია არ იხდიდა დავალიანებებს, ხელფასს, კომუნალურ ხარჯებს; მას „მაესტროს“ პარტნიორი „ტურსათისთვისაც“ (რომელიც სატელიტზე „მაესტროს“ მაუწყებლობას უზრუნველყოფს) არ გადაუხდია დავალიანება. დავალიანება დაგვიგროვდა ტელეკომპანია „მირთანაც“, რის გამოც მოსკოვის საქალაქო სასამართლოში გვიჩივლეს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი წერილობით შევატყობინეთ. 5 დეკემბერს დადგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ჩემ მიერ მიცემული ვადა გადიოდა. დავალიანების გადახდისა და „მაესტროს“ წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ნაცვლად, კიწმარიშვილმა პროვოკაცია მოაწყო იმისთვის, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა შეეფერხებინა. მართალია, პროვოკაციას ველოდით, მაგრამ თუ ლობეზე გადაძვრებოდა „მაესტროს“ ოკუპაციის მიზნით, ვერ წარმოვიდგენდით...

*კონფლიქტი არ დასრულებულა და, ბუნებრივია, დასკვნების გაკეთება ნაადრევია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.* ■

# უპრეცედენტო პროექტი „მედიაპალიტრაში“

Georgian Journal
DIPLOMAT AWARD

*Georgian Journal და საგამომცემლო სახლი „მედიაპალიტრა“ ქართულ მედიასივრცეში უპრეცედენტო პროექტს იწყებს — „ჯორჯიან ჯურნალი“ წლის დიპლომატს გამოავლენს. ლონისძიება შემოდგომაზე ჩატარდება. დაჯილდოების დასკვნით ცერემონიამდე „მედია პალიტრის“ სპეციალური სამსახურის წარმომადგენლები კანდიდატებს საზოგადოების გამოკითხვის შედეგად შეარჩევენ. კანდიდატებს შორის იქნებიან საქართველოში აკრედიტებული ელჩები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, ექსპერტები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები. ლონისძიების მონაწილეთა შორის გამოავლენენ როგორც მთავარი ჯილდოს მფლობელს, ასევე დამატებითი ნომინაციის რამდენიმე გამარჯვებულსაც და მათ ექსკლუზიურად ლონისძიებისთვის დამზადებული პრიზებით დაასაჩუქრებენ. დაჯილდოების ცერემონიაზე მოწვეული ბარმენი სპეციალურად „ჯორჯიან ჯორნალისთვის“, კოქტეილს — „GJ Coktail“ დაამზადებს.*

*როგორც ჟურნალის რედაქტორი* **ნუგზარ რუხაძე** *ამბობს, — დასკვნითი ლონისძიების შემდეგ გამოვა გაზეთ Georgian Journal-ის სპეციალური გამოშვება სპეცტირაჟით, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი დაჯილდოების ცერემონიის, მასში მონაწილე ყველა სუბიექტის, პროექტის პარტნიორებისა და მხარდამჭერების შესახებ.*




— **ბატონო ნუგზარ, პროექტის მიზანი რა არის?**

— პროექტი მიზნად ისახავს დიპლომატიური კორპუსის კიდევ უფრო გააქტიურებას ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და საგარეო პოლიტიკის გაუმჯობესებაში. ასევე, გვინდა, „ჯორჯიან ჯორნალის“ საშუალებით მკითხველს გავაგებინოთ, თუ როგორია დიპლომატიური სამსახურის როლი ქვეყანაში.

— **თქვენ როგორ შეაფასებთ დიპლომატების მუშაობას?**

— პოლიტიკაში დიდად ჩართული არ ვარ და რასაც ვხედავ, იმაზე განსაკუთრებულს ვერაფერს ვიტყვი. შესაძლოა, რეალური სურათი სხვაგვარია და დიპლომატების მუშაობა მართლაც, დაუფასებელია.

— **წლის დიპლომატის ტიტულს ვის მიანიჭებდით?**

— ფავორიტი არ მყავს, თუმცა ჩემი სიმპათია ამერიკის ელჩისკენ უფრო იხრება.

— **რატომ?**

— თითქოს ყველაზე მეტად ის აქტიურობს. მგონია, რომ ყველაფერს აკეთებს, რისი გაკეთების საშუალებასაც თავისი ადმინისტრაცია აძლევს.

— **იმედი გაქვთ, რომ ეს პროექტი დიპლომატებს კიდევ უფრო გაააქტიურებს?**

— ეს პროექტი, ხალხს ყველა შემთხვევაში მოუტანს სიკეთეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ლონისძიების შემდეგ ჩვენს გაზეთს მეტი ყურადღება მიექცევა და ელჩები წაიკითხავენ სტატიებს, რომელშიც ქართველი ხალხის ტკივილი და პრობლემებია ასახული. ■

# აინო — ოზონოთერაპიის პირველი კლინიკა საქართველოში

ჟურნალ „გზას" ესაუბრება „აინო – კომპლემენტარული მედიცინის ცენტრის" ექიმი ლიკა ოდიკაძე.




**— ქალბატონო ლიკა, რომელი დაავადებების მკურნალობისას გამოიყენება ოზონი და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას ადამიანისთვის?**

— შეიძლება ხმამაღლა ითქვას, რომ ოზონოთერაპიას ალტერნატივა არ გააჩნია. ოზონი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ანტიოქსიდანტია. იგი ანადგურებს ნებისმიერ პათოგენურ მიკროფლორას (ვირუსებს, სოკოებს, ბაქტერიებს), აგრეთვე თავისუფალ რადიკალებს. ოზონი ათხელებს სისხლს და ამცირებს არტერიულ წნევას. ოზონი კლავს ჰერპესისა და ჰეპატიტის ვირუსებს. ართრიტის გამომწვევ მიკროორგანიზმებს (შტრეპტოკოკუს ვირიდიანს) ძალიან არ უყვართ ოზონი. ოზონი აუმჯობესებს გულის კუნთის მუშაობას. ინტრავენური ინიექციის დროს, ოზონი სწრაფად ხსნის ალერგიულ რეაქციას. ოზონის ინტრავენური ინიექციიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ, იმუნური სისტემის უჯრედების რაოდენობა 20-35%-ით იზრდება. ოზონის ინტრავენური ინიექციის ათი პროცედურის შემდეგ სისხლში ქრება აუტოიმუნური ანტისხეულები.

**— ქალბატონო ლიკა, ოზონოთერაპიული მკურნალობის ერთი კურსი რამდენ პროცედურას მოიცავს?**

— გააჩნია დაავადების სიმძიმეს, საშუალოდ 10-12 პროცედურა საკმარისია, მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს C ჰეპატიტთან და მოგეხსენებათ, რომ C ჰეპატიტის ვირუსი საკმაოდ ვერაგი და სიცოცხლისუნარიანია, ამ შემთხვევაში მკურნალობის კურსი თორმეტი კვირის განმავლობაში გრძელდება. ამის შემდეგ ვაკეთებთ საკონტროლო ანალიზებს.

**— ესე იგი ოზონი C ჰეპატიტის ვირუსს კლავს?**

— არა მხოლოდ C ჰეპატიტის ვირუსს, არამედ ძალიან ბევრ ვირუსს, სოკოს და ბაქტერიას. ოზონოთერაპია საუკეთესო საშუალებაა ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული გააძლიეროს სამკურნალო ეფექტი, თუ იგი გამოყენებული იქნება როგორც მკურნალობის შემავსებელი, ანუ კომპლემენტარული საშუალება. ოზონოთერაპიის დახმარებით მიიღწევა უკეთესი შედეგი უფრო მოკლე დროში, ყოველგვარი გვერდითი მოვლენებისა და გართულებების გარეშე. ოზონოთერაპიით მიიღწევა სტაბილური და ხანგრძლივი რემისია, ყოველგვარი რეციდივის გარეშე დიდი ხნის მანძილზე.

**— კიდევ რა დაავადებებს ებრძვის წარმატებით ოზონოთერაპია?**

— ოზონოთერაპია წარმატებით გამოიყენება კარდიოლოგიაში — გულის იშემიური დაავადების, ჰიპერტონიის, რევმატიზმისა და რევმატოიდული ართრიტების მკურნალობისას. პულმონოლოგიაში — ქრონიკული ბრონქიტების, ბრონქული ასთმის და ტუბერკულოზის წინააღმდეგ. გასტროენტეროლოგიაში ქრონიკული გასტრიტის, კუჭის წყლულის, კოლიტის, გასტროდუოდენიტის, ქოლეცისტიტის, პანკრეატიტის სამკურნალოდ. უროლოგიაში — ცისტიტების, პიელონეფრიტის, გლომერულონეფრიტის სამკურნალოდ, პოტენციის დაქვეითებისას. გინეკოლოგიაში — საშვილოსნოს ყელის ეროზიების დროს, ორსულთა ანემიისა და ნაყოფის ჰიპოქსიის სამკურნალოდ. ნევროლოგიაში — თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზის, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის, შაკიკის წინააღმდეგ. დერმატოლოგიაში — ფსორიაზის, ეგზემის, ფურუნკულოზის, მეჭეჭების სამკურნალოდ. ოზონოთერაპია აწესრიგებს სისხლში პროთრომბინის დონეს, კურნავს ანემიას და რაც ყველაზე მთავარია ოზონოთერაპიით საუკეთესო შედეგები მიიღწევა A, B და C ჰეპატიტების მკურნალობაში.

**— ქალბატონო ლიკა, რა უპირატესობები აქვს ოზონოთერაპიას?**

— ოზონოთერაპია ამართლებს — ეს მეცნიერული ფაქტია, ოზონოთერაპია აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას, ჟანგბადით ამდიდრებს ჰემოგლობინს, ანეიტრალებს მჟავებს, წმენდს ღვიძლს, კლავს პარაზიტებს, ებრძვის ქრონიკული დაღლილობის სინდრომს, ხსნის თავბრუსხვევას, წმენდს სისხლს, ხსნის კუნთების ტკივილს, ხსნის დეპრესიას, ებრძვის ორგანიზმის ზოგად სისუსტეს, აუმჯობესებს მეხსიერებას, აძლიერებს იმუნურ სისტემას, ებრძვის ბრონქების ქრონიკულ დაავადებებს, აფერხებს სიმსივნური წარმონაქმნების ზრდას, ებრძვის ვირუსებს, წვავს ცხიმებს, ეფექტიანს ხდის მკურნალობის პროცესს, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, წმენდს ლორწოვან გარსებს, აუმჯობესებს გულის ფუნქციას, ამშვიდებს ნერვებს, აჩქარებს გამოჯანმრთელებას, აუმჯობესებს თავის ტვინის ფუნქციას, აუმჯობესებს განწყობილებას, ასუფთავებს სისხლძარღვებს, ახდენს ლიმფური სისტემის დეტოქსიკაციას, ეწინააღმდეგება ადრეულ სიბერეს, ებრძვის განგრენას, ჰერპესს; კლავს ჭიებს, ამცირებს სტენოკარდიულ ტკივილს, ებრძვის ასთმას და ალერგიას, ახდენს სხეულის თითოეული უჯრედის დეტოქსიკაციას.

**„აინო — კომპლემენტარული მედიცინის ცენტრის" მისამართია: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 78**
ტელ: 250 99 44
571 25 55 33
www.facebook.com/aino.ge
www.aino.ge
R

# „გჯეროდეთ, რომ ოცნება აგიხდებათ!..“

**„საბავშვო ევროვიზიაზე“ საქართველომ მეორედ გაიმარჯვა: წელს გოგონათა ჯგუფმა — ჩანდყ გვასახელა, სიმღერით — Candy music. „ტკბილი“ სიმღერის ტექსტი თავად ბავშვებმა შეთხზეს, პროდიუსერმა — გიგა კუხიანიძემ კი მას საბოლოო სახე მისცა...**

**ჯგუფი Candy სპეციალურად „საბავშვო ევროვიზიისთვის“, კონკურსამდე 2 თვით ადრე ჩამოყალიბდა და 5 წევრისგან შედგება...**

*ეთო ყორღანაშვილი*



ანა ხაჩალიანი

**ანა ხანჩალიანი,** *15 წლის:*

— ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ კონკურსის მონაწილეები ძალიან მოგვენატრებიან! ჰოლანდიის, ბელორუსის, სომხეთისა და შვედეთის წარმომადგენლებს განსაკუთრებულად დავუმეგობრდით. ჩვენს



გვანცა სანებლიძე

საგულშემატკივროდ, სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველებიც სომხეთში ჩამოვიდნენ. ხელში საქართველოს დროშები ეჭირათ და გამარჯვებას გვილოცავდნენ!..

**გვანცა სანებლიძე,** *15 წლის:*

— კონკურსამდე სასიამოვნოდ დატვირთული რეჟიმი გვქონდა: ყოველი რეპეტიცია გვიხაროდა, რადგან ვიცოდით, ამას ჩვენი მომავალი წარმატებისთვის ვაკეთებდით. შრომა გამარჯვებით დაგვიფასდა!

**ირინა ხეჩანოვი,** *11 წლის:*

— დაბადების დღეს ყოველთვის ოჯახში ან გასართობ ცენტრში ვიხდიდი. წელს ჩემთვის ყველაზე საყვარელი დაბადების დღე მქონდა — კონკურსის ფინალს დაემთხვა. ეს არასოდეს დამავიწყდება!

**მარიამ ღვალაძე,** *14 წლის:*

— კონკურსზე „ბზიკები“ და მარიამ კახელიშვილი გვახლდნენ. მათი იქ ყოფნა სტიმულს გვაძლევდა. ბევრს ვმუშაობდით, რომ საუკეთესო შედეგისთვის მიგვეღწია. ამიტომ ჩვენთვის გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა.

**— სასცენო კოსტიუმები მოგეწონათ?**

**ირა კოვალენკო,** *14 წლის:*

— ყველას ძალიან მოგვეწონა — ბავშვური და ლამაზია. ჩვენს სასცენო კოსტიუმებზე მარიკა ქურდუბაძემ იზრუნა.

**— ტკბილეული ვის უფრო მეტად გიყვართ?**

— ყველას (*იცინიან*)!

**გვანცა:**

— ჩვენი ჯგუფის სახელწოდების გამო, ტკბილეული კიდევ უფრო მეტად შეგვიყვარდა. „საბავშვო ევროვიზიის“ კონკურსანტები „ქენდის“ გვეძახდნენ. ბავშვებს ტკბილეული ძალიან გვიყვარს. ამიტომ ჩვენთან ურთიერთობა ყველას სიამოვნებდა, რადგან იცოდნენ — რა თემაზე ვმღეროდით და როგორი სასცენო ნომერი გვქონდა.

**ირინა:**

— გამარჯვების დიდი შანსი სწორედ იმიტომ გვქონდა, რომ ტკბილეული ყველას უყვარს!

**მარიამი:**

— საქართველოში, რეპეტიციების დროს, თმის სამაგრებზე კანფეტები უნდა დაგვემაგრებინა. ამიტომ ორგანიზატორებმა გვითხრეს, — ცოტა ტკბილეული მოიტანეთო. ჩვენ 4 კილოგრამი კანფეტი წავილეთ... სხვა საქმელი აღარ გვინდოდა (*იცინის*)!..

**გვანცა:**

— სომხეთში ტკბილეულს არ გვაჭმევდნენ — სასიმღერო ხმა უნდა შეგვენარჩუნებინა. სამაგიეროდ, კანფეტები კონკურსის მერე მივირთვით...

**— ანა, საზოგადოება პროექტ „ნიჭიერიდან“ გიცნობს, როგორც სოლო შემსრულებელს. მუშაობას ჯგუფში განაგრძობ?**

— სოლო კარიერის გაგრძელებას ვაპირებ, მაგრამ ჯგუფშიც ვიქნები... მინდა, ყველა ბავშვს ვუთხრა: გჯეროდეთ, რომ ოცნება აგიხდებათ!..

■



# სიცოცხლე მკვდარ ქალაქში

# გროზნოელი გოგონას დღიური

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „გზა“, № 47-48

ფლატესთან მიგვიყვანეს. მის ძირში წებოვანი თიხა და თოვლი მოჩანდა. იუროჩკას აკანკალებდა, ჯარისკაცებს პირჯვარს სწერდა და, — აქშა-აქშა, აქედან გაფრინდით, ბუტბუტებდა.

ერთ-ერთმა სამხედრომ ავტომა-

**წარმოდგენა არ გვქონდა, საით მივეხეტებოდით, დაბომბვის დროს ვილაცების ავტოფარეხებს ვაფარებდით თავს**

ტის მოკლე ჯერი თავებზემოთ გადაგვატარა. ჯერ შემეშინდა, მერე თავბრუ დამესხა და ვიგრძენი, რომ ცოტაც და დავეცემოდი. დედამ ხელი შემაშველა. მარჯვენა ფეხში მოხეტიალე ნამსხვრევმა გაილვიძა და მთელი ძალით მეკვეთა. სტასია ბებია კი მუხლებზე დაეცა და ყვირილი მორთო:

— რას. შვრებით? ჩვენ ხომ თქვენიანები ვართ, რუსები! არ გვესროლოთ!

დედას ხმა არ ამოუღია.

ჯარისკაცებს გაეცინათ. მათგან ერთ-ერთმა, ბურთივით მრგვალმა კი ხელი აგვიქნია:

— თავისუფლები ხართ! დაბლა ჩაგორდით და სახლებში დაბრუნება აღარ გაბედოთ! ჩვენ აქ „წმენდა“ გვაქვს!

დავუჯერეთ და მართლა ძირს, თიხასა და თოვლში ჩავგორდით. ჯარისკაცმა, რომელიც რაციაში იგინებოდა, გზაში დაგვაწია: „დახვრეტა კი ხუმრობა იყო...“

წარმოდგენა არ გვქონდა, საით მივეხეტებოდით, დაბომბვის დროს ვილაცების ავტოფარეხებს ვაფარებდით თავს. ჩვენმა თანმხლებმა პირმა უკარო და უფანჯრო, მაგრამ მყარ აგურისკედლებიან სახლზე გვანიშნა: „ჯერჯერობით აქ ისხედით, ჩვენ უკან სხვა ნაწილები მოდიან, ისინი უფრო დაუნდობლები არიან...“

მალე ჩვენი მეზობლებიც წამოგვეწივნენ. სახლი, რომელშიც მოცდა გვიბრძანეს, ცარიელი იყო. მხოლოდ ოთახის შუაგულში იდგა ერთადერთი უსაბნო და ულეიბო რკინისბადიანი საწოლი. დარჩენილი დღე და მთელი ღამე ამ საწოლზე ყველა რიგრიგობით ჯდებოდა. მე კი ამ რიგში დგომას თავიდანვე იატაკზე ჯდომა ვამჯობინე.

დილით ყველამ სხვა, უფრო გამოსადეგი სახლის საძებნელად გავწიეთ, რათა რამეზე დაძინება მაინც შეგვძლებოდა. ორი დღის უჭმელები ვიყავით, მაგრამ სამაგიეროდ, სახლი ვიპოვეთ! მას კარიც ჰქონდა და ფანჯრის ჩარჩოებიც. შიგნით კი სამზარეულოს მაგიდა და დივანი იდგა! სახეები სიხარულით გაგვინათდა და ბუზღუნიც მაშინვე შევწყვიტეთ.

სასწრაფოდ პატარა ჯგუფებად დავიყავით და ფანჯრების ჩარჩოებზე ასაკრავი მუშამბის საძებნელად გავწიეთ. ასე უფრო თბილად ვიქნებოდით. „ნადირობა“ წარმატებული აღმოჩნდა. მე და დედამ ლურსმნები და ჩაქუჩიც კი აღმოვაჩინეთ. გადავწყვიტეთ, ჯგუფებად არ დავყოფილიყავით, რადგან ამ პირობებში 2-3 კაცად ცხოვრება საშიში იყო! ჯობდა, ყველანი ერთად ვყოფილიყავით!

**2000 წლის 22 იანვარი**

აზამ და ლინა დეიდამ მეზობელი სახლებიდან საბნები მოიტანეს და თბილად ეძინათ. დედაჩემს კი სხვის სახლებში სიარულისა და რალაცების ძებნის მოერიდა. ამიტომაც ვიყინებოდით. დილით ავტირდი, რადგან ორდღიან შიმშილს ველარ გავუძელი და დედას ვუთხარი: „სხვებისგან უნდა ავიღოთ მაგალითი! ადამიანები ახალ გარემოში ორიენტირებას ახერხებენ, ჩვენ კი...“

„კარგი, რა...“ — მითხრა დედამ და ხელი ჩაიქნია.

ვილაც რუს ჯარისკაცებს შევეცოდეთ, თავიანთი ულუფიდან ორი ქილა ჩაშუშული ხორცი დაგვითმეს და თან დააყოლეს: „ყველაფერი, რაც გჭირდებათ, თავად ეძებეთ. გროზნოში მგონი, ჩაკეტილი კარი აღარ დარჩა!“

ყველანი საშოვარზე წავედით, მაგრამ ფქვილის გარდა ვერაფერი აღმოვაჩინეთ. სამი საათისთვის რალაც წვნიანის მსგავსი მოვხარშეთ და ბოლოს და ბოლოს, კუჭები ამოვივსეთ. საღამოსკენ ვილაცამ ცოტა ბრინჯი და მაკარონიც აღმოაჩინა. ვაშა! ახლა უკვე მაკარონიან-ბრინჯიანი წვნიანიც გვექნება!..

ჩვენი სახლი ალბათ უკვე დაიწვა და მასთან ერთად — დედაჩემის პასპორტიც.

ვოვკამ და აზამ სამხედროებისთვის სადღაც არაყი იყიდეს. ვერაფრით

C ჰეპატიტი

თბილისის მერიის, ეროვნული სკრინინგ ცენტრის და კომპანია ჰოფმან ლა როშის ხელშეწყობით მიმდინარეობს სკრინინგის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული პაციენტების გამოვლენას სწრაფი ტესტის მეშვეობით.

გამოკვლევა უფასოა და ტარდება ეროვნულ სკრინინგ ცენტრში

მის: თბილისი, წერეთლის გამზირი 69, ტელ:2 140093/ 91/ 92

ტესტის ჩატარება შეუძლია 20–55 წლის ასაკის ყველა მსურველს. C ჰეპატიტის გადაცემა ხდება ინფიცირებულ სისხლთან ან სხვა ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტის დროს.

ვირუსით ინფიცირების შესაძლო გზებია:

- ინფიცირებული სისხლის ან მისი პროდუქტების გადასხმა;
- ცუდად გასტერილებული ინსტრუმენტების (როგორც სამედიცინო, ასევე არა სამედიცინო) გამოყენება, მათ შორის ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარებისას;
- სამედიცინო ნემსის შემთხვევითი ჩხვლეტა;
- სტომატოლოგიური მანიპულაციები;
- საგაზანო აქსესუარების საზიარო გამოყენება;
- მრავალ შემთხვევაში გადაცემის გზა უცნობია;

დროულად ჩაიტარეთ გამოკვლევა და დაიცავით ღვიძლი მძიმე ვირუსული დაზიანებისაგან!

გამოკვლევის შედეგი კონფიდენციალურია.

Roche

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივხვდი, ეს რაღა საჭირო იყო. ვოვკას ცოლი, ოლია გამუდმებით ხითხითებს და ჯარისკაცებს ეჩურჩულება; ამბობს, — ამას თქვენს საჭმელზე ზრუნვის გამო ვაკეთებო. გვეუფროსება, გვიყვირის, თავად კი საკუთარ ოთახში სხვის ბროლსა და ნაირნაირ ხალიჩას ეზიდება. ჩვენს ოთახებს სამზარეულო ყოფს... დღისით დედამ იპოვა ტომარა, რომელშიც დაახლოებით ვედრო-ნახევარი რუხი ფქვილი იყო! ტომარა ქუჩის კუთხეში, ორმოში ეგდო. დედამ მაშინვე ხელი დაავლო, მაგრამ ვიღაც ჩეჩენი მოხუცი ქალი აუყვირდა: „ჩემია! მომეცი! ეს ტომარა ჩემს სახლთან ეგდო. მოხუცი ვარ! სამი დღეა, არაფერი მიჭამია!“ დედას შერცხვა, თან მოხუცი შეეცოდა და ფქვილი დაუთმო. უნდა გენახათ, ამის გამო მთვრალმა ვოვკამ როგორ გალანძღა!



**სასწრაფოდ პატარა ჯგუფებად დავიყავით და ფანჯრების ჩარჩოებზე ასაკრავი მუშამბის საძებნელად გავწიეთ**

— „სოცუზრუნველყოფა“ კი არა ვარ! თქვენს გამოკვებას აღარ ვაპირებ! ვინც არაფერს მოიტანს, საჭმელს ვერ მიიღებს! — გაყვიროდა იგი.

ვდუმდით. ვიცოდით, რომ დამნაშავეები ვიყავით...

სანამ შეშას ვეძებდი, ლექსი შევთხზე. აი, ისიც:

თოვლზე, ნათლისღებას, 19-ში:

„სახლიდან გაეთრიეთ! კარი არ ჩაკეტოთ!

თან ნივთები არ გაიყოლოთ!

არც ფეხზე ჩაცმა გაბედოთ...

გასწით! წინ! უპასპორტოდ!

თქვენ ის აღარ გჭირდებათ! თოვლზე დაწექით!..“

ჩვენ წინ ნიღბიანი რუსი სამხედრო დგას...

**2000 წლის 24 იანვარი**

წყალს ვეზიდებით. მე ნახევარ სათლს ვერევი. ჭურვები ახლა სულ ახლოს ცვივა. ზარბაზნები მთაზე, სახანძრო ქების მახლობლად, ჩემი, №50 სკოლისკენ მიმავალ გზაზე დგას.

კარგად ჩანს, ცეცხლი სახლს როგორ ედება, როგორ იწვის და იშლება.

ხშირად ტყვიები პირდაპირ თავზე გადაგვიფრენს ხოლმე. ასე სამხედროები ერთობიან. სანამ ჩვენ წყალს ვიღებთ, ისინი თავებს ზემოთ, სულ ოდნავ მაღლა გვესვრიან.

სხვის გატეხილ სახლებში. ზოგჯერ სათლებში მოგროვილი წყალი გვხვდება ხოლმე, მაგრამ გაყინულია და სათლის იატაკიდან აგლეჯას ყოველთვის როდი ვახერხებთ.

ღუმელში ცეცხლი დავანთეთ და სულ ოდნავ დათბა. ვედროში ყინული დნება. თოვლის დადნობა ძალიან ძნელი საქმეა. ის ყოველთვის ქვარტლიანი და შავია... უწინდელივით პალტოებით გვძინავს, მაგრამ ახლა ისე ძალიან აღარ ვყინებით. დღეს გაგვიმართლა — ბალონებში ჩაწყობილი პომიდვრის მწნილი ვიპოვეთ. სახლში გამოვზიდეთ...

სულ ჭამა მინდა. ფეხები მტკივა. ეს რაკეტის ნამსხვრევების ბრალია...

ზოგიერთმა რუსმა ჯარისკაცმა გამოსახლებულები შეგვიცოდა და საკუთარი ულუფიდან 1-2 ქილა კონსერვი მოგვცა. ყველას უნდა გვყოფნოდა!

— ისედაც კუთვნილი ულუფის ნახევარს გვაძლევენ, — გაგვიმხილა ერთმა სამხედრომ, — დანარჩენს უფროსობა ყიდის... მაგრამ მაინც აიღეთ. მიმძიმს თქვენი ყურება. თქვენ ხომ მშივრები ხართ!

ყველა პროდუქტს ვოვკა, ლინა, აზა და ოლია დეიდა ახარისხებენ. კარგს — თავიანთთვის, სხვა ოთახში მალავენ. მერე ნაწილს ღამღამობით ჩუმად ჭამენ, დანარჩენს კი ინახავენ. ბებიებს, მე და დედაჩემს კი არაფერს გვაძლევენ...

როგორც იქნა, მივხვდი! ისინი მთელი დღეების განმავლობაში მაროდიორობით არიან დაკავებულნი.

დედა კი სხვის საცხოვრებელ ოთახებში შესვლის ნებას არასდროს მაძლევს, რაიმეზე ხელი რომ არ წამიცდეს. როცა სხვის სახლში შევდივართ, მაშინვე სამზარეულოსა და სარდაფისკენ ვიღებთ გეზს. ჩვენთვის მთავარი საჭმელია! საჭმლის აღება ცოდვა არ არის. ჩვენც არასდროს ვლანძღავდით იმ ადამიანებს, ვინც საჭმელს გვართმევდა...

საabაზანო ოთახშიც აუცილებლად შევდივართ. იქ აფთიაქი, წყალი და საპონი გვხვდება ხოლმე. თუმცა ახლა იშვიათად ვრეცხავთ. წყალს ვზოგავთ.

დღეს ძალიან გაგვიმართლა, ანალგინი ვიპოვეთ. მაშინვე ორი აბი დავლიე. როცა ფეხის ტკივილმა ბოლომდე გაიარა, მეზობელი ქუჩის მცხოვრებლებისკენ გავწიეთ — ჩემთვის ცალთითა ხელთათმანის სათხოვნელად, მაგრამ არავინ მოგვცა.

— თვითონ მოძებნეთ. ანდა თქვენიანებს სთხოვეთ. აგერ, — სამხედროებზე მიგვითითეს, — თქვენი „უფროსები“ როგორ შინაურულად იქცევიან.



**– რას შვრებით? ჩვენ ხომ თქვენიანები ვართ, რუსები! არ გვესროლოთ! დედას ხმა არ ამოუღია.**

— რა თქმა უნდა, მოვძებნით! — შეუღრინა დედამ.

ისე, ჩეჩნურ ენაზე უნდა გვეთხოვა და მოგვცემდნენ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

*მოამზადა რუსუდან ლებანიძემ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯადოსნური ქისა ჯადოსნური შანსი!

ამოაჩინეთ „ლურჯი მონეტები"
„კვირის პალიტრაში", „ყველა სიახლეში"
და ახლა უკვე ჟურნალ „რეიტინგში"
ამოჭერით და შეაგროვეთ

შეაგროვებ მეტს
დახარჯავ ნაკლებს!

გამოიყენეთ „ლურჯი მონეტები"
სხვადასხვა მაღაზიაში სასურველი
ნივთის შესაძენად გასაყიდ ფასზე გაცილებით იაფად!

დეკემბერში „ლურჯი მონეტები" მოქმედებს:

| სად მოქმედებს? | კურსი (რას უდრის 1 „ლურჯი მონეტა") | მაქსიმალური ფასდაკლება „ლურჯი მონეტით" | პროდუქციის ჩამონათვალი |
|---|---|---|---|
| ბიბლუსი — წიგნების მაღაზიათა ქსელი | 1 „ლურჯი მონეტა" = 1 ლარს | 50% | „დიდი მხატვრები" „ეს სამყაროა" „ქართული კროსვორდის საგანძური" „მსოფლიოს გამორჩეული ადამიანების ბიოგრაფიები" |
| Safilo — სათვალეების მაღაზიათა ქსელი | 1 „ლურჯი მონეტა" = 10% ფასდაკლებას | 30% | მზის სათვალეები და ოპტიკური ჩარჩოები |
| celio* — მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა" = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| GERRY WEBER — ქალის ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა" = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| Du Pareil au même — ბავშვების მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა" = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| OSRAM — გერმანული ნათურები და განათების სისტემები | 1 „ლურჯი მონეტა" = 5% ფასდაკლებას | 20% | ავტო ნათურები |
| mirco — აფთიაქი | 1 „ლურჯი მონეტა" = 10 ლარს | 50% | „მიკროლაიფის" ციფრული სასწორი |
| collezione — ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა" = 5% ფასდაკლებას | 25% | ახალ კოლექციაზე |
| OVS industry — ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა" = 5% ფასდაკლებას | 25% | ახალ კოლექციაზე |
| lotto — სპორტული ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა" = 5% ფასდაკლებას | 25% | ახალ კოლექციაზე |

„ბიბლუსში" მხოლოდ საახალწლო ფასდაკლებისას „ლურჯი მონეტები" ფასდაკლებულ წიგნებზეც იმოქმედებს!

www.moneta.ge

პროექტში მონაწილეობის წესებს გაეცანით „კვირის პალიტრაში", „ყველა სიახლესა" და „რეიტინგში"!



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახე

## ნანობს თუ არა ნიკა გრიგოლია ოჯახის დანგრევას

### „სიტყვა „ცოლი" უცხო პლანეტიდან მოსულ სიგიჟეს ჰგავდა"

**„კომედი შოუს" მსახიობი ნიკა გრიგოლია ბუნებით ერთგული ადამიანია: საყვარელ ნივთებს, მუსიკას, მოტოციკლეტსაც კი ერთგულობს. როცა ოჯახი ჰქონდა, მისთვის ღალატის თემა „დახურული" იყო; ცოლთან დაშორების შემდეგაც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სერიოზულ ურთიერთობებს გაურბოდა, თუმცა ახლა აღნიშნავს: „ისეთი დებილი ვარ, ვინმე ისევ შემიყვარდება, თან — ძალიან..."**

ეთო ყორღანაშვილი



— **ნიკა, ბავშვობაში გოგონებში პოპულარობით სარგებლობდი?**

— საკმაოდ. ბავშვობა ზესტაფონში გავატარე. ზუსტად არ მახსოვს, პირველი პაემანი ვისთან მქონდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ზესტაფონში, „ირინეს ბაღში" მექნებოდა — სხვაგან ვერსად წავიდოდი. მაშინ ასე ხდებოდა: უცხო გოგონა სახლში ტელეფონით დამირეკავდა, 3-დღიანი სატელეფონო ნაცნობობის მერე კი ერთმანეთს ვხვდებოდით, ვსეირნობდით... აბა, სხვა რა უნდა გვექნა? მაშინ ზესტაფონში გასართობი არაფერი იყო.

— **ტელეფონით გაცნობილ გოგონებთან პაემანზე მისულს იმედი არასოდეს გაგცრუებია?**

— არა, მსგავსი რამ არ მახსენდება.

— **გოგონებით დაახლოებით, რა ასაკში დაინტერესდი?**

— ალბათ, 13-14 წლის ასაკში. მაშინ მეგონა, რომ აუცილებლად ვიღაც უნდა მყვარებოდა. მახსოვს, კლასელი მიყვარდა, ოღონდ — ვერ ვუმხელდი, საამისოდ გამბედაობა არ მყოფნიდა. სულ ასეთი გათავხედებული და გატუტუცებული კი არ ვიყავი, როგორიც ახლა ვარ (*იცინის*)! მგონი, საკუთარი გრძნობის შესახებ მისთვის არც არასოდეს მითქვამს. ორივე ფრიადზე ვსწავლობდით და ალბათ, ამიტომაც მიყვარდა.

— **მის მიმართ სიყვარულს როგორ გამოხატავდი?**

— ყოველთვის ვცდილობდი, მისთვის რაღაც კარგი გამეკეთებინა, რამე მეჩუქებინა...

— **მოდი, ცოტა უფრო სერიოზული პაემანი გაიხსენე...**

— პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. ვაკეში, უნივერსიტეტის პარკში გოგონა გავიცანი. ძალიან მომეწონა, დავუმეგობრდი და ბინის ტელეფონები გავცვალეთ. ჩვენი პირველი პაემანი პარკში შედგა. გავისეირნეთ, ნაყინი ვჭამეთ. ძალიან კარგი გოგონა იყო, მაგრამ პაემანს სერიოზული გაგრძელება არ მოჰყოლია... შემდეგ უნივერსიტეტში სწავლისას, ერთი გოგო შემიყვარდა, რომელმაც იმავე გრძნობით არ მიპასუხა.

— **ალბათ იმიტომ, რომ შენი გრძნობის შესახებ არც მას უთხარი...**

— არა, ვუთხარი! ის ვანო ჯავახიშვილის კურსელი იყო. ერთხელ ვიღაც ტიპებმა ყვავილებით მიაკითხეს. ჰოდა, იმ ტიპებს ჩემი „შეყვარებულისთვის" გზაში „სიყვარულის ახსნები" რომ არ დაეწყოთ, იმ დღეს მე და ვანომ სახლამდე მივაცილეთ. თურმე ის ბიჭებიც უკან გამოგვყვნენ და „საქმის გარჩევა" მოგვიხდა. ახლა ამ ამბავზე ბევრს ვიცინით. იცით, რა გვითხრეს? — ჩვენ, ძმაო, მაფიოზები ვართო... მერე, ისეთი პერიოდი მქონდა, როცა არ მსურდა, ვინმეს ჩემი თავისუფლება შეეზღუდა, მაგრამ როცა ნამდვილი გრძნობა მეწვია, მერე კი „გავუტიე".

— **მახსოვს, ორიგინალური ქორწილი გქონდა და მოტოციკლს, რომლითაც პატარძალი მიგყავდა, თუნუქის ქილები გამოაბი... საინტერესოა, შეყვარებულობის პერიოდშიც ასეთი ორიგინალური იყავი?**

— მაშინ „კავეენში" ვთამაშობდი, უნივერსიტეტის ნაკრების კაპიტანი გახლდით. კულტურისა და ხელოვნების ცენტრში რეპეტიცია ხშირად გვქონდა, პროგრამებს ვწერდით. ჰოდა, ჩემს უკვე ყოფილ მეუღლეს იქ შევხვდი. გამიხარდა, რომ ძალიან ჭკვიანი, ლამაზი გოგონა გავიცანი. როცა ვისაუბრეთ, მივხვდი, ძალიან მომწონდა; მისი მეორედ ნახვისას კი ვიგრძენი, რომ მინდოდა, „ჩემი გოგო" ყოფილიყო!

— **პაემანი გაცნობიდან რამდენ ხანში გქონდათ?**

— მეორე დღესვე. მახსოვს, „ტენისი" ვითამაშეთ და ფორთოხალი წავაგე!.. გაცნობიდან რამდენიმე დღეში შეყვარებულმა შინ დამპატიჟა, ოჯახის წევრებს გაგაცნობო. გამიხარდა. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ რადიოში ვმუშაობდი. ძალიან უცნაურად (ბევრს ასე ეჩვენებოდა) მეცვა: ქამრის ნაცვლად, ჰალსტუხი მეკეთა. ტანსაცმელს სპეციალურად „სექენდ ჰენდში" ვყიდულობდი, რადგან რაც მომწონდა, სხვაგან არ იყიდებოდა. მიშას და ვანოს რომ ვუთხარი, — „ჩემი გოგო" უნდა ვნახო და მასთან სახლში მივდივარ-მეთქი, მიპასუხეს, — ასე ჩაცმული სად მიდიხარ? რომ დაგინახავენ, გცემენ და გამოგაგდებენ, სირცხვილიაო! — ჩემმა შეყვარებულმა ხომ იცის, როგორიც ვარ? რადგან შინ მეპატიჟება, ე.ი. იქ მოსაკლავად არავინ დამხვდება-მეთქი. მოკლედ, სტუმრად ჯაჭვებითა და რკინის სხვა აქსესუარებით მივედი. იმ დღეს „ჩემი გოგოს" დედა გავიცანი. ამ ადამიანზე დღესაც „ჭკუა მეკეტება"! მასზე მაგარი ქალი მხოლოდ დედაჩემი თუ მინახავს, სხვა — არავინ! ძალიან შემიყვარდა! გაცნობის პირველსავე დღეს ქურთუკი მაჩუქა. ისეთი „არანორმალური" „კურტკა" მანამდე არ მქონია. რადიოში გახარებული მივედი. ბიჭებს ხმა აღარ ამოუღიათ... იმ ღამეს შინ რომ მივდიოდი, ერთი ქურთუკი მეცვა, მეორე — ხელში მეჭირა. პოლიციის თანამშრომლებმა გამაჩერეს და 10 წუთი „მაკაჩავეს": მეორე „კურტკა" სად მოიპარეო? შარზე იყვნენ, რა...

— **მეუღლესთან როგორი ურთიერთობა გქონდა?**

— ძალიან მაგარი! ოდესმე ცოლს თუ შევირთავდი, არც მეგონა: მარტო ვცხოვრობდი, დავეხეტებოდი, თავისუფლებას ვგრძნობდი... სიტყვა „ცოლი" უცხო პლანეტიდან მოსულ სიგიჟეს ჰგავდა, მაგრამ როცა სიყვარული მეწვია, გადავწყვიტე, ოჯახი შემექმნა. დაოჯახების შემდეგ ჩემი მეუღლის სახლში ვცხოვრობდი — დიდი სახლი ჰქონდათ და ყველანი ერთად ვიყავით.

— **მეუღლის ბაბუასთან როგორი ურთიერთობა გქონდა?**

— ის სასულიერო პირია. ძალიან საყვარელი მოხუცია. დავმეგობრდით. მითხრეს, — ვიდრე სასულიერო პირი გახდებოდა, ნარდს კარგად თამაშობდაო. ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, არასდროს მეთამაშებოდა.

— **ოჯახურმა თანაცხოვრებამ რამდენ ხანს გასტანა?**

— თითქმის — 8 წელი. სამწუხაროდ, მე და ჩემი შვილის დედა დღეს ერთად არ ვართ.

— **ამის მიზეზი რა გახდა?**

— ამ ამბის მომყოლი არ ვარ. უბრალოდ, ასე მოხდა... ცხადია, მცირე ჩხუბის, გაუგებრობის გამო არ დავშორდებოდით. ისეთი ადამიანები არ ვართ, რომ ერთი „აფეთქების" გამო ოჯახი დაგვენგრია.

— **ნანობ?**

— ძალიან მაგრად ვნანობ! მეგონა, მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებოდით. მასზე მაგარი გოგო დღემდე არ შემხვედრია და აბა, როგორ არ ვინანებ?! ვიცი, მასთან ერთად აღარასდროს ვიქნები — ის ძლიერი გრძნობა გამიქრა... ბედნიერი ვარ, რომ მაგარი შვილი მყავს! მინდა, დღეს ვნახო, მაგრამ არ ვიცი, მოვასწრებ თუ ვერა.

— **ხშირად ნახულობ?**

— მთელი დღე სამსახურში ვარ. როცა ოჯახი მქონდა, სულ იმას ვამბობდი: დილით სახლიდან რომ გავდივარ, ჩემს ცოლ-შვილს სძინავს და ღამით, როცა შინ ვბრუნდები, მაშინაც სძინავს-მეთქი. გული მწყდება, რომ თავისუფალი დრო არ მაქვს, შაბათ-კვირასაც ვმუშაობ. როგორც კი თავისუფალი დრო მიჩნდება, მაშინვე შვილის სანახავად გავრბივარ. ყოველდღე იმაზე ვფიქრობ, რომ ჩემს ბიჭუნას უზრუნველი ცხოვრება ჰქონდეს. შვილი რომ არ მყავდეს, ისევ ძველებურად ვიცხოვრებდი: ძალიან ცოტას ვიმუშავებდი. არც ერთი ზედმეტი ლარის გამო თავისუფლებას არ დავთმობდი. მართალია, ჩემი სამსახური მიყვარს, მაგრამ მეგობრებზე, გართობაზე, მოტოციკლით სეირნობაზე მეტად — არა.

— **გართობისთვის დრო აღარ გრჩება?**

— როგორ არა?! საღამოობით, როცა დრო მაქვს, ჯერ შვილს ვნახულობ, „ჭინკობანას", „გადაძრომობანას" ვთამაშობთ, მერე კი მეგობრებთან ერთად, გასართობადაც მივდივარ... ჩემი ბიჭი ძალიან მოუსვენარი კაცია! მინდა, მასთან რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო.

— **ყოფილ ცოლთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— ის ჩემი ყველაზე მაგარი მეგობარი იყო. ახლა კი, როცა ერთად აღარ ვართ, ისევ მეგობრებად როგორ დავრჩებოდით?! ნორმალური ურთიერთობა გვაქვს.

— **როგორ გგონია, ადამიანს ნამდვილი სიყვარული ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ეწვევა?**

— არა მგონია, კიდევ ვინმე რომ შემიყვარდეს... მაგრამ ისეთი „დებილი" ვარ, ვიღაც აუცილებლად, ძალიან მაგრად შემიყვარდება. ოჯახის დანგრევის შემდეგ, რაღაც პერიოდი ურთიერთობა ბევრ გოგოსთან მქონდა. რატომღაც მეგონა, ბევრ ადამიანს თუ „მოვედებოდი", ყველაფერს იოლად გადავიტანდი. ეს ყველაფერი „გათიშვაში" მართლაც დამეხმარა, მაგრამ ამავდროულად, ძალიან დამღალა...

— **ამჟამად შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

— არაფერი. არის რამდენიმე კარგი გოგო, რომლებთან ურთიერთობაც მსიამოვნებს.

— **როგორი გოგონები მოგწონს?**

— მხიარული, თავისუფალი. ადამიანის ნიჭი მის ჩაცმულობაში, აზროვნებაში, ურთიერთობაში აისახება.

— **გარეგნობას რაც შეეხება?**

— არ მიყვარს მაღალი გოგონები; ალბათ იმიტომ, რომ მაღალი თავადაც არ ვარ, თუმცა ამის კომპლექსი ნამდვილად არ მაქვს. საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი გოგონები უფრო „მესექსუალურება".

— **დაბოლოს, რა რჩევას მისცემ ადამიანებს, რომლებიც პაემანზე წასვლას აპირებენ?**

— რომელი მრჩეველი მე ვარ, მაგრამ საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, მათ ვურჩევ: საყვარელი ადამიანის გამოც კი არ შეიცვალოთ. ადრე თუ გვიან, თამაშით დაიღლებით და ნამდვილ სახეს გამოავლენთ. იყავით ისეთი, როგორიც სინამდვილეში ხართ. თუ ცუდი ხართ და გსურთ, უკეთესი გახდეთ, ეს სხვა საკითხია... ■


ყოველდღე იმაზე ვფიქრობ, რომ ჩემს ბიჭუნას უზრუნველი ცხოვრება ჰქონდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისზეა შეყვარებული პრეზიდენტის პრესმრჩეველი

ნათია ქივიძე

## ალანა გაგლოევამ ბავშვობის ოცნება აიხდინა

**ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში — „ფორმაში“ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მონაწილეობენ. ისინი სამხედრო ბაზაზე ცხოვრობენ, წვრთნებს გადიან და ინსტრუქტორების მიერ მიცემულ საკმაოდ რთულ დავალებებს ასრულებენ. ამ პროექტის ერთ-ერთი მონაწილე ალანა გაგლოევა გახლავთ. მართალია, ბოლო პერიოდში ის ჟურნალისტებს გაურბის, მაგრამ როცა ვუთხარი, — მხოლოდ ამ გადაცემაზე უნდა ვილაპარაკოთ-მეთქი, შეხვედრაზე დამთანხმდა; თუმცა ინტერვიუს ჩაწერა მთელი კვირა ვერ მოხერხდა, ამასობაში კი ახალი ამბავი შევიტყვე: ალანა გათხოვდა, მაგრამ ამაზე არ ლაპარაკობს, ყველაფერს ასაიდუმლოებსო. ცხადია, ამ ამბის გაგების შემდეგ პირობა დავარღვიე, ინფორმაცია თავად ალანასთან გადავამოწმე და ექსკლუზივიც მოვიპოვე...**

**— პირველ რიგში, მაინტერესებს, როგორ მოხვდი პროექტში?**

— როცა „იმედიდან“ დამიკავშირდნენ და პროექტში მონაწილეობა შემომთავაზეს, მათ წინადადებას დაუფიქრებლად დავთანხმდი, რადგან ყოველთვის მაინტერესებდა, რა ხდებოდა ჯარში; უფრო მეტიც, ბავშვობაში ჯარისკაცობაზეც ვოცნებობდი და ახლა ამ ოცნების ახდენის შანსი მომეცა. თანაც, გადაღებები ზაფხულში მიმდინარეობდა, ეს დრო კი პოლიტიკურად აქტიური არ არის და სამსახურიდანაც უპრობლემოდ გავთავისუფლდი.

**— მთელი თვის განმავლობაში მართლა იქ იყავით გამოკეტილები თუ ზოგჯერ, თბილისში ჩამოსვლის საშუალებაც გქონდათ?**

— არა, ნამდვილად იქ ვიყავით და ჩვეულებრივი სამხედროებივით ვცხოვრობდით, არანორმალური გრაფიკით ვვარჯიშობდით, გვწვრთნიდნენ, მაგრამ ცხადია, ყველაფერს ეკრანზე არ აჩვენებენ. თავიდან გვეგონა, რომ ეს მხოლოდ შოუ იქნებოდა, სადაც ბევრი კამერაა დამონტაჟებული და ჩვენც ხელმძღვანელების მითითებებს შევასრულებდით, რათა კადრში ყველაფერი კარგად გამოჩენილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. თბილისიდან საჩხერის სამხედრო ბაზამდე ძალიან მხიარულად, სიცილ-კისკისით ვიმგზავრეთ, მაგრამ იქ ჩასულები მივხვდით, რომ რაღაცები სულ ტყუილად გვიხაროდა.



მკაცრები ნამდვილად იყვნენ, მაგრამ ზღვარს არასოდეს გადადიოდნენ, სამართლიანად გვექცეოდნენ

**— გარე სამყაროსთან არანაირი კავშირი არ გქონდათ? ტელეფონებიც ჩამოგართვეს?**

— მსგავსი ფუფუნება ნამდვილად არ გვქონდა. თავიდან ეს თითოეული ჩვენგანისთვის მართლაც, ძალიან რთული იყო, მაგრამ მერე თამაშსა და წვრთნაში ისე ჩავერთეთ, რომ უტელეფონობის დადებითი მხარეებიც აღმოვაჩინეთ. ერთი თვე სრულ სიმშვიდეში გავატარეთ, მობილური კი იმ სამყაროს ბოლომდე აღქმაში მხოლოდ ხელს თუ შეგვიშლიდა.

**— იქ ყოფნისას სამსახურზე და პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებზე არ ფიქრობდი?**

— ისეთი დატვირთული დღის რეჟიმი გვქონდა, ფიქრისთვის დრო არ მრჩებოდა. ძილის წინ ისეთი დაღლილები ვიყავით, რომ მარტო დარჩენილიც ვერ ვახერხებდი ფიქრს, დაწოლისთანავე მეძინებოდა. ისე, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში „რეზერვშიც“ წავიდე.

**— ერთ-ერთ კადრში მინიშნებას ეძებდი და ჭაობში ჩავარდი. იმწუთას ხომ არ ინანე, პროექტში მონაწილეობას რომ დათანხმდი?**

— არა. პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ ჯიბეში შენახული რუკა და დავალების შესასრულებლად სხვა საჭირო ჩანაწერები არ დამსველებოდა. ყველაფერი მაშინვე ამოვიღე და თანაგუნდელებს მივაწოდე. მოკლედ, კარგად გავიწაფეთ. ინსტრუქტორები გვეუბნებოდნენ, — ყველაფერი კარგად შეისწავლეთო.

**— ინსტრუქტორები კადრს მიღმაც ისეთი მკაცრები იყვნენ, როგორც ეს ეკრანზე ჩანდა?**

— მკაცრები ნამდვილად იყვნენ, მაგრამ ზღვარს არასოდეს გადადიოდნენ, სამართლიანად გვექცეოდნენ. ყოველი მათი შენიშვნა შეცდომების გაცნობიერებაში მეხმარებოდა. ჩვენი ინსტრუქტორები კარგი ჯარისკაცები, ამავე დროს კარგი ფსიქოლოგებიც იყვნენ და არაჩვეულებრივად იცოდნენ, ვის რა შეეძლო.

**— საკმაოდ რთული დავალებები გქონდათ...**

— ჩვენთვის კი არა, ის დავალებები გამოცდილი ჯარისკაცებისთვისაც რთული იქნებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერს ალღო ავუღეთ, უფრო სწრაფად დავიწყეთ აზროვნება და რაღაც პერიოდის შემდეგ, დავალებებსაც გაცილებით ადვილად ვასრულებდით.

**— ყველაზე მეტად რომელი დავალების შესრულება გაგიჭირდათ?**

— მგონი, არც ერთის. უბრალოდ, დროში ვერ ვეტეოდით, რადგან ბიჭები ზოგჯერ კამათობდნენ და ამ კამათში დრო გვეკარგებოდა. ისე, როცა ისინი „საქმის გარჩევას“ იწყებდნენ, მე თამაშს ვაგრძელებდი.

**— ერთი თვის განმავლობაში ექვსმა აბსოლუტურად განსხვავებულმა ადამიანმა ერთად იცხოვრეთ. კადრში შენი ჩხუბი არ მინახავს, მაგრამ იქნებ კადრს მიღმა ვინმესთან შენც გქონდა კონფლიქტი?**

— არა, არავისთან მიკამათია. რამდენიმე ჩვენგანი ამ პროექტამდე ერთმანეთს რაღაც დონეზე ვიცნობდით, იქ ყოფნისას კი ისე დავმეგობრდით, რომ სახლებში დაბრუნებულებს ერთმანეთის გარეშე ყოფნა გაგვიჭირდა; გამუდმებით ვკონტაქტობდით, ერთურთის ამბებს ვკითხულობდით. თავიდან ბიჭები ვერ ავიყოლიეთ, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახებს მონატრებულები იყვნენ და ჩვენთვის ვერ იცლიდნენ, ახლა კი ხშირად ვიკრიბებით. ფოტოც გვაქვს გადაღებული, რომელსაც „ჯარის მეგობრები“ დავარქვით.

**— გასართობად ცოტა თავისუფალი დრო მაინც არ გრჩებოდათ?**

— პირველ დღეებში ცოტა თავისუფალი დრო გვქონდა და იმ პერიოდში სამხედრო ბაზაზე არსებულ გასართობ ოთახში რამდენჯერმე ჩავედით კიდეც, მაგრამ იმდენად დაღლილები ვიყავით, ვერ გავერთეთ; არც ტელევიზორი გვაინტერესებდა და არც — ბილიარდის თამაში. ერთი სული გვქონდა, დასაძინებლად როდის დავწვებოდით... სასაცილო იცი, რა იყო? პირველ დღეს მე და სალიმ გადავწყვიტეთ, — რადგან ჯარში ვართ, მეორე სართულზე დავიძინოთთქო (ყაზარმაში ორსართულიანი საწოლებია). პირველ დღეს კარგად ავძვერით და დილითაც კარგად ჩამოვძვერით, სალამოს ასვლა ოდნავ გაგვიჭირდა, მეორე დილას კი საერთოდ ველარ ჩამოვედით იქიდან, რადგან კუნთები საშინლად გვტკიოდა. მოკლედ, იძულებულები გავხდით, ჩამოვქვეითებულიყავით და პირველ სართულზე დაგვეძინა.

**— ახლა, როცა ამ ყველაფერს ტელეეკრანიდან ადევნებ თვალს, რა შთაბეჭდილება გრჩება? ხომ არ ფიქრობ, რომ მეტის გაკეთება შეგეძლო?**

— ძალიან ვნანობ, რომ ეს პროექტი უფრო დიდხანს არ გაგრძელდა. იმასაც ვფიქრობ, რომ რაღაცები უკეთესად უნდა გამეკეთებინა, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე არ ვიხარჯებოდი. პირველი დღეები კამერებს ვუყურებდით და ვაფიქსირებდით, გვიღებდნენ თუ არა, მაგრამ მერე ამ ყველაფერში ისე ჩავერთეთ, რომ კამერების არსებობა სულ გადაგვავიწყდა. ხშირად მინიშნებისკენ ისეთი სისწრაფით გავრბოდით, რომ გადამღები ჯგუფი ვერ გვეწეოდა და ამიტომაც, კვადროციკლებით დაგვდევდნენ.

**— საზოგადოებაში ყოველთვის თავმოვლილი და ფორმაში მყოფი ჩნდები, იქ კი კამერა პირდაუბანელსა და თმადაუვარცხნელსაც გიღებდა. ეს მომენტი უხერხულობას არ გიქმნიდა?**

— სხვათა შორის, თმაგაწეწილი არასოდეს ვყოფილვარ. დილას ჰიმნი გვაღვიძებდა, მოსამზადებლად კი სულ 10 წუთი გვქონდა. ვინაიდან ასე მცირე დროში თავის მოწესრიგებას ვერ მოვასწრებდით, მე და სალი ღამით თმას ვიწნავდით და დილას, როცა კამერები შემოდიოდნენ, „თმადავარცხნილები“ ვხვდებოდით...

**— იარაღის გამოყენება ისწავლე?**

— დიახ. ათიანში ვისვრი!

**— არ გაგვიმხელ, რომელი გუნდი გახდა პროექტის გამარჯვებული?**

— ეგ ჯერ თავადაც არ ვიცით. თუ არ ვცდები, გადაცემა საახალწლოდ დასრულდება და გამარჯვებულის ვინაობაც მაშინ გაირკვევა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გარდა გამარჯვებული გუნდისა, საუკეთესო მოთამაშეც გამოვლინდება.

**— თემა შევცვალოთ და შენს სამსახურზეც ვისაუბროთ. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობ. უშუალოდ რა გევალება?**

— პრეზიდენტის პრესმრჩეველი ვარ.

**— ქვეყნის პრეზიდენტი შენს რჩევებს ითვალისწინებს?**

— რატომაც არა?! უცხოურ პრესასთან ურთიერთობა მევალება ანუ ინტერვიუებს ვათანხმებ და ა.შ.

**— პრეზიდენტი მკაცრი ადამიანია?**

— ნამდვილად მკაცრია მაშინ, როცა ეს აუცილებელია, სხვა შემთხვევაში კი აბსოლუტურად ჩვეულებრივი და კარგი ადამიანია, ყველას მიმართ დიდ ყურადღებას იჩენს. მომთხოვნიცაა — ასე რომ არ იყოს, პრეზიდენტი ვერც იქნებოდა.

**— მიხეილ სააკაშვილი რატომღაც, უცხოური პრესის წარმომადგენლებს უფრო მეტად სწყალობს, ვიდრე — ქართველებს.**

— ასე რატომ ფიქრობ?

**— ქართულ ტელეარხებს კი აძლევს ინტერვიუს, მაგრამ ჟურნალ-გაზეთებში მისი ინტერვიუ არ მინახავს.**

— არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში მისი ინტერვიუ პრესაშიც იხილოთ.

**— იმედია, როგორც პრესმრჩეველი, ურჩევ, რომ პირველი ინტერვიუ „გზას“ მისცეს... ალანა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გათხოვდი და შენი მეუღლე ნიკა გუგეშაშვილია.**

— არ გავთხოვილვარ.

**— ჯერ არ გათხოვილხარ, მაგრამ ნიკასთან რომანი გაქვს?**

— შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ ინტერვიუზე იმიტომ დაგთანხმდი, რომ მხოლოდ გადაცემაზე უნდა გვესაუბრა...



ერთმანეთი საერთო მეგობარმა გაგვაცნო. ორ თვეზე მეტია, რაც რომანი გვაქვს

**— არც მომიტყუებიხარ, მაგრამ ვიდრე ჩემთან შეხვედრას მოახერხებდი, ეს ამბავი შევიტყვეჰოდა, ამ ინფორმაციის გადამოწმება ჩემი პროფესიული მოვალეობაა.**

— მაშინ მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ნიკასთან რომანი მაქვს.

**— ნიკა „ნაციონალია“, თუმცა ვერ დავადგინე, ამჟამად სად მუშაობს...**

— მგონი, „ნაციონალი“ აღარ არის.

**— არა მგონია, შენი ხათრით მაინც, „ნაციონალებისთვის“ ეღალატა.**

— ამ შემთხვევაში, მე არაფერ შუაში ვარ.

**— როდის დაიწყო თქვენი ურთიერთობა, ერთმანეთი სად გაიცანით?**

— ერთმანეთი საერთო მეგობარმა გაგვაცნო. ორ თვეზე მეტია, რაც რომანი გვაქვს.

**— ნიკას ოჯახს თუ იცნობ? როგორც ვიცი, მას პირველი ქორწინებიდან ქალიშვილი ჰყავს.**

— მის ოჯახსაც ვიცნობ და მის ქალიშვილსაც. რა ვიცი, ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს. ნიკას ჩემი ოჯახიც იცნობს.

**— ეს რომანი ქორწინებით დაგვირგვინდება?**

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია...

**— წარმატებებს გისურვებ!**

— გმადლობ! ■

# ვარსიმაშვილის ახალი კომედია და „გაძველბიჭებული“ აპოლონ კუბლაშვილი

## „მე და მარიამს ამაზე 3-საათიანი საუბარი გვქონდა, ვიკამათეთ“

**ის ჟურნალისტებს შეხვედრაზე იშვიათად გვთანხმდება. ამბობს, რომ ინტერვიუები და ყურადღების ცენტრში ყოფნა არ უყვარს, მაგრამ იმასაც აცნობიერებს, რომ მისი პროფესიის ადამიანისთვის ეს აუცილებელია. მსახიობ აპოლონ კუბლაშვილს მას შემდეგ დავუკავშირდი, რაც ავთო ვარსიმაშვილის ახალი ფილმი — „ისპაჰან-ბათუმი“ ვნახე. ამ ფილმში აპოლონი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. სანამ ინტერვიუზე დამთანხმდებოდა, ჩემგან პირობა მიიღო, რომ მხოლოდ ფილმზე ვილაპარაკებდით და პირადი ცხოვრების შესახებ არაფერს ვკითხავდი.**



*თამუნა კვინიკაძე*

— **დიდი ხანია, შენი ინტერვიუ არსად წამიკითხავს. ჟურნალისტებთან ურთიერთობაზე უარს რატომ ამბობ?**

— გულწრფელად გეტყვი: ინტერვიუს მიცემას მირჩევნია, საკუთარი საქმე ვაკეთო. ვიცი, რომ მსახიობისთვის ესეც საჭიროა, რადგან ერთგვარი პიარია, მაგრამ რა ვქნა, ყურადღების ცენტრში ყოფნა არ მიყვარს.

— **ჩვენი დღევანდელი შეხვედრა რას მივაწერო?**

— გაგიმართლა (*იცინის*). როცა დამირეკე, კარგ ხასიათზე ვიყავი და შეხვედრაზე დაგთანხმდი, თან — შენგან პირობა მივიღე, რომ მხოლოდ ფილმზე ვილაპარაკებდით. რატომღაც ჟურნალისტებს ჰგონიათ, რომ ადამიანის მოტყუება იოლია. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი პოპულარული შოუდან დამირეკეს, — იქნებ მობრძანდეთ, გვინდა, ფილმზე (მაშინ „მიდი, ძმაო, მიდი“ ახალი გამოსული იყო) გესაუბროთო. ვუპასუხე: აქცენტს ფილმზე თუ აკეთებთ, რეჟისორი და სხვა მსახიობებიც უნდა მოიწვიოთ-მეთქი. — კი, ბატონოო, — მითხრეს და სანამ დამემშვიდობებოდნენ, მთხოვეს, მეუღლეც წამოიყვანეო. გავლიზიანდი. ძნელი მისახვედრი არ იყო, რაც აინტერესებდათ. ეგონათ, მიმიტყუებდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

— **ავთო ვარსიმაშვილის ახალ ფილმში — „ისპაჰან-ბათუმი“ ქართველი და ირანელი მსახიობები მონაწილეობთ...**

— პაპანაქება ზაფხულში ვიმუშავეთ, 30-40 გადასაღები დღე გვქონდა. სცენები ბათუმში, ისპაჰანში და თბილისშია გადაღებული. ისპაჰანში მხოლოდ რეჟისორი და ოპერატორები ჩავიდნენ, ქართველ მსახიობებს კი იქ სათამაშო სცენა არ გვქონდა.

— **ფილმშიც აპოლონი გქვია. რამდენად საინტერესო იყო ამ როლზე მუშაობა?**

— მეც აპოლონი მქვია და თამუნა ნიკოლაძის გმირსაც — თამუნა, ასე ბატონმა ავთომ გადაწყვიტა. როლზე მუშაობა საინტერესო იმით იყო, რომ გროტესკული „ძველი ბიჭი“ „გავაკეთე“. როცა ჩემს პერსონაჟზე ვმსჯელობდით, გამოვთქვი აზრი, რომ ტრაფარეტული „ძველი ბიჭი“ არ ვყოფილიყავი ანუ ნარკოტიკის მოყვარული, „შავი გაგების“ და კიდევ, ჩაცუცქულს არ მელაპარაკა. ეს ახალ ქართულ ფილმებში არაერთხელ გვაქვს ნანახი, ასეთი პერსონაჟით ვერავის გააკვირვებ. მოკლედ, გადავწყვიტეთ, გროტესკული, ცოტა „პიჟონური“, ფეთქებადი, ექსცენტრიკული პერსონაჟი შეგვექმნა. ეს ფილმი ბოლო დროს გადაღებული სხვა ფილმებისგან იმითაც განსხვავდება, რომ მასში არ არის მკვლელობა, ნარკოტიკი, სისხლი და „წამალზე“ ლაპარაკი. ეს ყველაფერი რეალურ ცხოვრებაშიც ბევრი ვნახეთ და აღარ გვინდა, რა...

— **ფილმი პრემიერამდე, ე.წ. დახურულ ჩვენებაზე ვნახე და მინდა გითხრა, რომ როლს თავი კარგად გაართვი.**

— მადლობა. მიხარია, რომ მოგეწონა.

— **ფილმში საზიზღარი ძმა ხარ — დას ძალით ათხოვებ ადამიანზე, რომელსაც არც კი იცნობს.**

— ჩემს დას რომ ჰკითხო, ცხოვრებაში უფრო საზიზღარი ძმა ვიყავი.

— **ასეთ პასუხს არ ველოდი შენი და ასე რატომ ამბობს?**

— ერთი და მყავს, რომელიც ასაკით ჩემზე უფროსია. ჩვენს ოჯახში ჩემი დისთვის არ არსებობდა ფრაზა: „მამამ თქვა და არ წახვიდე“ ან „არ გააკეთო“; უფრო აქტუალური იყო — „პოლიკა რას იტყვის?“

— **მკაცრი ხარ?**

— ცოტა აზიატი და მკაცრი ვიყავი, ალბათ ცოტა ბავშვური კომპლექსებიც მქონდა.

— **შენი და ამას არ აპროტესტებდა?**

— აპროტესტებდა რომელია, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

— **წლებმა შეგცვალა?**

— ისეთი ნამდვილად აღარ ვარ, ჯვარი მწერია.

— **ფილმს დავუბრუნდეთ. გადასაღებ მოედანზე ყოველთვის ხდება საინტერესო ამბები, რაც კადრს მიღმა რჩება. რას გაიხსენებ?**

— მხოლოდ ერთი შემთხვევა მახსენდება: უკვე ვთქვი, რომ ფილმშიც აპოლონი მქვია. ერთ-ერთ სცენაში, ჩემს სასახლეში გოგა ბარბაქაძის გმირი მოდის და დაცვა არ უშვებს. ჰოდა, უნდა იყვიროს: აპოლონ! აპოლონ! გოგამ რამდენჯერმე დაიძახა, — აპოლონო, მერე კი წამოსცდა: პოლიკა (რეალურ ცხოვრებაში ასე მეძახის)! ბატონმა ავთომ ეს კადრი არ ამოჭრა. სხვათა შორის, გოგა ბარბაქაძე არაჩვეულებრივი მსახიობი და პარტნიორია.

— **ეს ავთო ვარსიმაშვილის რეჟისორობით გადაღებული მესამე ფილმია, რომელშიც მონაწილეობ. სხვა რეჟისორებთან არ თან-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამშრომლობ თუ არ გიწვევენ?**

— მსახიობისთვის იმის თქმა, რომ სხვა რეჟისორთან არ იმუშავებს, არ შეიძლება! სხვა თეატრში ან რეჟისორთან თანამშრომლობასაც არავინ მიშლის. მოხდა ისე, რომ რამდენჯერმე როლზე უარი ვთქვი.

— **რატომ?**

— გაუგებარი როლი მომცეს და იმიტომ. არ მაქვს პრეტენზია, რომ აუცილებლად მთავარ როლს ვასრულებდე. ჩემთვის თავად როლია მნიშვნელოვანი. მას უნდა ჰქონდეს დასაწყისი, განვითარება და ფინალი. განა რამდენი უნდა გადამიხადონ, რომ გაუგებარი როლის შესრულება მილირდეს? როცა აქ (გულზე ხელს იდებს) არ გინდა, თამაში არც გამოგივა...

ავთო ვარსიმაშვილის გარდა, ნანა ჯანელიძესთანაც მიმუშავია, დათო ქვარცხავამ კი 2 ფილმში გადამიღო. რა თქმა უნდა, ძირითადად ვარსიმაშვილთან ვმუშაობ. ის, რომ ბატონი ავთო ფილმებში თავისი თეატრის მსახიობებს გვიღებს, ჩვენთვისაც და თეატრისთვისაც მომგებიანია: ეკრანი მსახიობის პოპულარობას უწყობს ხელს და მერე თეატრში მეტი მაყურებელი მოდის...

— **მსახიობებს ამა თუ იმ გადაცემის წამყვანად ხშირად ეპატიჟებიან. მსგავსი შემოთავაზება არ გქონია?**

— როგორ არა, „იმედიდან" მქონდა შემოთავაზება და მივედი კიდეც. გადაცემის რეჟისორისა და პროდიუსერისგან სიმპათია ვიგრძენი, ვილაპარაკეთ. სცენარი მომცეს და მთხოვეს, — საცდელი ვერსია იმ დღესვე გადავგვეღო. შევთავაზე: სცენარს შინ წავიღებ, წავიკითხავ და ჩასაწერად ხვალ მოვალ-მეთქი. დამთანხმდნენ. საღამოს რომ წავიკითხე, იმ საქმეში საკუთარი თავი ვერ დავინახე და მეორე დილით დავურეკე, — ეს ჩემი საქმე არ არის-მეთქი. ცოტა კი გაუკვირდათ, მაგრამ რეჟისორმა მადლობა მაინც გადამიხადა, — ასეთი რამ ჯერ არავის გაუკეთებიაო.

— **ბევრი უარს ფინანსური დაინტერესების გამო არ იტყოდა...**

— მართალია! ეს ჩემთვისაც მნიშვნელოვანია, მაგრამ რაც არ მსიამოვნებს, იმას ფულის გამოც ვერ გავაკეთებ.

— **ირანელ მსახიობებთან გქონდა ურთიერთობა?**

— მათთან საერთო სცენა არ მქონია, მაგრამ ერთმანეთი გავიცანით და ვიცი, რომ საქართველო ძალიან მოეწონათ. ფილმის 2 ვარიანტია გადაღებული და მათ პირობითად, თბილისისა და ირანის სცენები დავარქვით. ირანულში ქალებს აუცილებლად, გრძელმკლავიანი სამოსი აცვიათ. კაცი ქალს არ ეხება. ფეხი რომ გამოგიჩნდეს, იქ პორნოგრაფიად მიიჩნევა. ბუნებრივია, ჩვენი მსახიობები — თამუნა ნიკოლაძე (ფილმში აპოლონის და) და ქეთა ლორთქიფანიძეც (აპოლონის მეუღლე) ამ წესს დაემორჩილნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფილმს იქ ვერ გაუშვებდნენ. მათ კიდევ ერთი წესი აქვთ: ირანელ მსახიობ ქალს თმა არ უნდა უჩანდეს, ჩვენს გოგონებს კი ეს აკრძალვა არ ჰქონდათ.

— **ფილმში არის სცენები, სადაც მეუღლეს ხელით ეხები, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებ. ამ ეპიზოდების ირანული ვარიანტი როგორია?**

— შეხება არ შეიძლება რომანტიკული სცენის გადაღებისას, ეს კი კონფლიქტური სცენებია ანუ როცა ქეთას გმირს ხელით ვეხები და დივანზე ვაგდებ, ეს ირანულ ვარიანტშიც არის. ისე, კაცმა არ იცის, შეიძლება ამოჭრან კიდეც. მალე ირანში თეატრალური ფესტივალი დაიწყება და მასში მონაწილეობას ჩვენც მივიღებთ — „მშვენიერი ქართველი ქალი" მიგვაქვს. სწორედ ჩვენს ჩასვლას დაემთხვევა „ისპაჰან-ბათუმის" პრემიერაც.

— **შენს შემოქმედებაში სხვა რა სიახლეა?**

— ახალ სპექტაკლზე — „მექანიკური ფორთოხალი" ვმუშაობთ, რომლის პრემიერა თვის ბოლოს შედგება.



ის, რომ ბატონი ავთო ფილმებში თავისი თეატრის მსახიობებს გვიღებს, ჩვენთვისაც და თეატრისთვისაც მომგებიანია

— **მუშაობა სად უფრო საინტერესოა — თეატრში თუ გადასაღებ მოედანზე?**

— თეატრში! თეატრი ჩემი ცხოვრებაა. როცა აქ ვარ, თავი საკუთარ სახლში მგონია. ფილმში იმიტომ ვთამაშობ, რომ საქმეს სჭირდება ასე. ისე, სიამოვნებით ვიქნებოდი მხოლოდ თეატრის მსახიობი.

— **შენს პარტნიორებზე რას გვეტყვი?**

— თეატრში რომ მოვედი, ნიკო გომელაურს დავუმეგობრდი. იმ პერიოდში ბატონმა ავთომ მუშაობა „ძმებზე" დაიწყო, როლები გაანაწილა და რას მივხვდი, იცი? პარტნიორზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ნიკო ისე შემოგხედავდა, სათქმელს ისე გეტყოდა, რომ აუცილებლად, სწორი გზისკენ გიბიძგებდა. არიან პარტნიორები, რომლებიც გინდ მდგარან სცენაზე და გინდ — არა, ზოგი ხელსაც კი გიშლის, თამაშს გირთულებს. მგონი, თავად არ ვარ ცუდი პარტნიორი და ეს კოლეგებს არაერთხელ უთქვამთ კიდეც.

— **რომელ ჟანრში უფრო კარგად გრძნობ თავს, კომედიაში თუ...**

— (*მაწყვეტინებს*) ირონიულიც ვარ, ცინიკურიც, მაგრამ კომედიაში საკუთარ თავს მაინც ვერ ვხედავ. ჩემი როლებიდან მიყვარს სანდრო („ძმები"), ალი („ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"), ნიკალა („მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ").

— **„მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ" — შენთვის ალბათ, იმითაც არის გამორჩეული, რომ სწორედ ამ სპექტაკლით დაიწყო შენი და მსახიობ მარიამ ჯოლოგუას რომანი, არა?**

— ნამდვილად, ჩვენ შეყვარებულები ვითამაშეთ.

— **მარიამი როგორ არის? დიდი**



ირანელ მსახიობ ქალს თმა არ უნდა უჩანდეს, ჩვენს გოგონებს კი ეს აკრძალვა არ ჰქონდათ

**ხანია, ინტერვიუ მასთანაც არ ჩაგვიწერია.**

— კარგად არის. თეატრში თამაშის პარალელურად, ხელოვნების სტუდიაში, ქეთა ლორთქიფანიძესა და მაიკო დობორჯგინიძესთან ერთად მუშაობს.

**— ბავშვს ხომ არ ელოდებით?**

— ჯერ არა! ხომ შევთანხმდით, პირად ცხოვრებაზე არ უნდა გკითხა.

**— ფილმში, გარდა იმისა, რომ ცუდი ძმა ხარ, ცუდი მეუღლეც ბრძანდები. მარიამმა ფილმი ნახა?**

— ერთად ვნახეთ.

**— შენი ნამუშევარი როგორ შეაფასა?**

— მარიამის აზრი თუ გაინტერესებს, მას ჰკითხე. იმ დღეს, როცა ფილმი ვნახეთ, შინ დაბრუნებულებს 3-საათიანი საუბარი გვქონდა, ბევრი ვიმსჯელეთ და ვიკამათეთ.

**— რა საერთო გაქვს ამ გმირთან?**

— (*ფიქრობს*) საერთოდ არაფერი, გარდა სახელისა.

*სტატიის მომზადებისას აპოლონის მეუღლეს —* ***მარიამ ჯოლოგუაშვილს*** *დავუკავშირდით და შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ. მისი პასუხი ასეთი იყო:*

— ვიცი, რომ პოლიკასთან ინტერვიუ ჩაწერეთ. ნუ მიწყენთ, მაგრამ არც ფილმზე და არც მის როლზე ლაპარაკი არ მინდა.

*P.S. ირანელი ბიჭისა და ქართველი გოგოს სიყვარულის ამბავზე გადაღებული კომედიური ჟანრის კინოსურათის პრემიერა თბილისში გასულ კვირას შედგა, ირანელი მაყურებელი კი მას იანვარში იხილავს.* ■



ნუ მიწყენთ, მაგრამ არც ფილმზე და არც მის როლზე ლაპარაკი არ მინდა

# ქალი, რომელიც ირაკლი ნოზაძის „ობიექტივში" აღმოჩნდა

## „ჩემი წარსულის შესახებ ელენემ ყველაფერი იცის"

**ვიდრე ჯგუფის — „ქუჩის ბიჭები" — წევრები ისევ შეიკრიბებოდნენ, მის ერთ-ერთ წევრს, ირაკლი ნოზაძეს დრო უქმად არ დაუკარგავს: უკვე 5 წელია, რაც ელენე ქართველიშვილთან ერთად ოჯახი შექმნა. წყვილს პატარა ბიჭუნაც ჰყავს, რომელსაც თურმე, „დიდი გული" აქვს...**

*ეთო ყორღანაშვილი*



ელენე ჩემი მეუღლეა, ეს სილამაზე მხოლოდ მე მეკუთვნის

**— მას შემდეგ, რაც „ქუჩის ბიჭები" ისევ შეიკრიბეთ და კონცერტიც გამართეთ, ჯგუფის საქმეები როგორ მიდის?**

**ირაკლი:**

— მშვენივრად. ბევრ კარგ რამეს ვაპირებთ. სხვათა შორის, საახალწლო კონცერტთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს უკვე ვაწარმოებთ. არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო და ამიტომაც, უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

**— ელენე, ირაკლის გაცნობამდე „ქუჩის ბიჭებს" თუ გულშემატკივრობდი?**

— ჯგუფის არსებობის შესახებ ვიცოდი, მაგრამ მისი ფანი არ ვყოფილვარ.

**— როგორც ვიცი, ამერიკაში დიდხანს ცხოვრობდი...**

— 8 წლის ვიყავი, როცა დედამ საქართველოდან წამიყვანა. აქ მხოლოდ ზაფხულობით ჩამოვდიოდი. ერთ ზაფხულს, მეგობართან ერთად დასასვენებლად ბორჯომში წავედი და ირაკლიც სწორედ მაშინ, შემთხვევით გავიცანი.

**— ერთმანეთის მიმართ სიმპათია თავიდანვე გაგიჩნდათ?**

**ირაკლი:**

— ბორჯომში პატარა ბარი გვქონდა. ერთ დღეს იქ მშვენიერი ელენე შემოვიდა, რომელიც ეგრევე, ჩემს „ობიექტივში" მოხვდა (*იცინის*). ჩვენი ურთიერთობა ბუნებრივად აეწყო. 2 კვირაში მივხვდი, რომ ჩემს თავს რაღაც ხდებოდა...

**ელენე:**

— ერთ დღეს ირაკლიმ მშობლები გამაცნო და მათ ჩემი თანდასწრებით განუცხადა: — ეს გოგო ჩემი საცოლე გახდებაო. მისმა ნათქვამმა ძალიან გამაკვირვა, რადგან სულ რაღაც, 2 დღის გაცნობილი მყავდა და, — კარგი, ვნახოთ-მეთქი, — ვუპასუხე. ერთად 2 კვირა გავატარეთ, მერე კი ამერიკაში გავემგზავრე. ტელეფონით ყოველდღე ვკონტაქტობდით. 5-6 თვის მერე ვიგრძენი, რომ ძალიან მენატრებოდა. დაბადების დღეზე სიურპრიზი გავუკეთე: ირაკლის გარდა, ყველამ იცოდა, რომ საქართველოში მოვემგზავრებოდი. დილით ჩამოვფრინდი და მძინარე იუბილარს დავადექი თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ირაკლი:**

— სიხარულისგან ლამის, გული გამისკდა!..

**ელენე:**

— დავინიშნეთ და ისევ გავემგზავრე — ამერიკაში საქმეები მქონდა. საქართველოში ზაფხულში დავბრუნდი, ოქტომბერში კი ქორწილი გვქონდა.

— **ქართული ტრადიციული ქორწილი გქონდათ?**

**ირაკლი:**

— კი, და სხვათა შორის, ელენეს ქართული ცეკვის მასწავლებელიც „ავუყვანეთ“. ჩემმა მეუღლემ ცეკვა იოლად შეისწავლა.

— **ელენე, ამერიკაში რას საქმიანობდი?**

— ძალიან ბევრგან ვმუშაოდი — სუპერმარკეტიდან დაწყებული, იურიდიული ფირმით დამთავრებული. მარტო ვცხოვრობდი (დედა ბოსტონშია, მე ნიუ-იორკში ვიყავი) და საკუთარ თავს თავადვე ვირჩენდი... ახლა თბილისში, ტელემარკეტინგის ფირმასთან ვთანამშრომლობ.

— **ირაკლი, „ქუჩის ბიჭების“ დაშლის შემდეგ რას საქმიანობდი?**

— რაიმე სერიოზული ბიზნესი არ მქონია. უბრალოდ, ოჯახის წევრებთან ერთად ბორჯომის პარკში მდებარე რესტორანს ვხელმძღვანელობ. ეს სამსახური სეზონურია — მხოლოდ 2 თვე ვმუშაობთ ანუ სტაბილური სამსახური არ მაქვს. დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი მარკეტინგის სფეროში ან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

**ელენე:**

— 13 წლის ასაკიდან დედამ დამოუკიდებლობას მიმაჩვია. არდადეგებზე საქართველოში გამომგზავრებისა და მეგობრების ნახვის სურვილს გამოვთქვამდი ხოლმე. ჰოდა, დედა მეუბნებოდა: — საქართველოში წასვლა თუ გინდა, იმუშავე და გასამგზავრებლად საჭირო თანხა დააგროვეო. მოკლედ, შრომას მიჩვეული ვარ, სამსახურის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია... 17 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი.

**ირაკლი:**

— მე „გამოვზარდე“ (*იცინის*). ელენემ ჩემი წარსულის შესახებ ყველაფერი იცის. როცა გინდა, ქალი შენი მეუღლე და შვილების დედა გახდეს, მას ყველაფერი უნდა უამბო. თანაცხოვრებისას ერთმანეთს უფრო მეტად დავუახლოვდით, ჩვენი გრძნობა ძლიერდება!..

— **ერთმანეთში რა ახალი თვისება აღმოაჩინეთ?**

**ელენე:**

— საკვებთან დაკავშირებით პრეტენზიულია, სხვა — არაფერი.

**ირაკლი:**

— ჩემი გამოკვება იოლი არაა. ამ საკითხში მამაც პრეტენზიული იყო.

— **ელენე, ქართული კერძების მომზადება იცი?**

— კი. დედა მეუბნებოდა, — საჭმელი თუ გინდა, თავად მოამზადეო. მახსოვს, პირველი მცდელობისას ისეთი უგემური კერძი მოვამზადე, რომ ეგრევე, ნაგავში „გავუშვი“. დროთა განმავლობაში ყველაფერი ვისწავლე და მერე, სკოლიდან დაბრუნებულს, დედა სამსახურიდან მირეკავდა ხოლმე: — რას დამახვედრებო?

**ირაკლი:**

— ელენე განსაკუთრებულად გემრიელ კერძებს ამზადებს. სხვათა შორის, ამერიკაში ერთ-ერთი ბარის მენეჯერადაც მუშაობდა და ეტყობა, რაღაცები იქ შეისწავლა.

— **თქვენს პატარაზე რას მეტყვით?**


ლუკას ბებოსთან ყოფნა ძალიან უყვარს. იქ ბევრი ბავშვია, მათთან ერთად თამაშობს...

— 3 წლის ლუკა ძალიან საყვარელი და ჭკვიანია. ვგრძნობ, დიდი გული აქვს — ყველა უყვარს!..

— **ვინ უვლის?**

— დაახლოებით 1 თვეა, რაც დედაჩემთანაა, ბორჯომში.

**ელენე:**

— ლუკას ბებოსთან ყოფნა ძალიან უყვარს. იქ ბევრი ბავშვია, მათთან ერთად თამაშობს...

— **საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ალბათ, „ქუჩის ბიჭების“ რეპერტუარს გაეცანი. მოგწონს?**

— კი, მაგრამ ყველაზე მეტად „ქუჩის ბიჭების“ ბოლო სიმღერა მომწონს!.. ირაკლი ნოზაძის სიმღერას ბავშვობაში, რადიოთი ვუსმენდი.

— **ირაკლი, „ქუჩის ბიჭების“ კლიპში ელენეს გადაღებას ხომ არ აპირებთ?**

— არაფერია გამორიცხული, მაგრამ საერთოდ, ამის წინააღმდეგი ვარ: ელენე ჩემი მეუღლეა, ეს სილამაზე მხოლოდ მე მეკუთვნის (*იცინის*)!

**ელენე:**

— მსგავსი რაღაცები არ მიზიდავს — ყურადღების ცენტრში ყოფნა არ მიყვარს...

■


3 წლის ლუკა ძალიან საყვარელი და ჭკვიანია. ვგრძნობ, დიდი გული აქვს – ყველა უყვარს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რით ანებივრებენ თაყვანისმცემლები ქართველ ჯუდ ლოუს

## „მსმენელებს ჩემს ემოციას გადავცემ"

**მსახიობ მირიან ჯეჯელავას კინოდებიუტი ფილმში — „სპამი" შედგა, სადაც მან თავის მეგობარ სოფი მაიერთან ერთად, საკმაოდ თამამ ინტიმურ სცენაში ითამაშა. ამასთან, მიკი არაერთ რეკლამაში მონაწილეობს, გახლავთ რადიო „ფორტუნა პლუსის" ერთ-ერთი „ხმა" და უძღვება „ნუცას სკოლას".**

*ელენე ბასილიძე*

— **პროფესიად მსახიობობა რატომ აირჩიე?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მშობლებს თეატრალურ სამყაროსთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ, ბავშვობიდანვე მაინტერესებდა ის ყველაფერი, რაც თეატრს უკავშირდებოდა. სახლში წარმოდგენებსაც კი ვმართავდი და მათ სანახავად მეზობლებს ვეპატიჟებოდი. თეატრალურ უნივერსიტეტში ბატონ ალექსანდრე ქანთარიას ჯგუფში ვსწავლობდი.

— **პირველი კინოროლი ფილმში — „სპამი" შეასრულე...**

— დიახ. კასტინგზე მივედი და გამიმართლა — როლზე იმ დღესვე დამამტკიცეს. ფილმზე მუშაობა საკმაოდ კარგი გაკვეთილი იყო ჩემთვის, დიდი გამოცდილება მივიღე.

— **ვიცი, რომ სანამ შენ მიგიწვევდნენ, ამ ფილმში მუშაობა დათო ქაცარავას შესთავაზეს, მაგრამ მან ინტიმურ სცენებში თამაშზე უარი თქვა.**

— ამ სცენების შესრულება, რა თქმა უნდა, იოლი არ იყო. მე და სოფი მაიერი დიდი ხნის მეგობრები ვართ (ჯგუფელები ვიყავით), ფილმში კი შეყვარებულები გახლდით და გაშიშვლებაც მოგვიხდა. სიმართლე გითხრათ, ამ ეპიზოდის გადაღებამდე ბევრი ვინერვიულე. მახსოვს, გადაღების წინ ცოტა ალკოჰოლი მივიღეთ, რათა დაძაბულობა მოგვხსნოდა. ძალიან მიხარია, რომ ფილმში ეს ეპიზოდი „თვალში არ გხვდება", ყველაფერი ესთეტიკურად იყო გადაღებული და მაყურებელში აგრესია არ გამოუწვევია...

— **რომელიმე თეატრში თუ ხარ დაკავებული?**

— ოფიციალურად არც ერთი თეატრის დასში არ ვირიცხები, მაგრამ პერიოდულად ამა თუ იმ სპექტაკლში ვთამაშობ. ბოლოს „25-წუთიანი სპექტაკლების ფესტივალზე", დათა ფირცხალავას სპექტაკლში ვმონაწილეობდი. სცენა ძალიან მიყვარს და ყოველთვის მენატრება.




— **„ნუცას სკოლაში" როგორ მოხვდი?**

— კასტინგი გავიარე. ძალიან მიხარია, ყველაზე „კეთილ" გადაცემას, „ნუცას სკოლას" რომ ვუძღვები. წელს ამ პროექტში 10-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები მონაწილეობენ. გადაცემის პირველი ჩაწერისას ბევრი ვინერვიულე და როგორც კი მუშაობას მოვრჩი, მივხვდი, „მკვდარი" ვიყავი; იმდენი ენერგია დავხარჯე, რომ საღამოს რადიოეთერში მუშაობა ველარ შევძელი და სხვამ შემცვალა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ პირობა დავდე, — არც ერთ წამყვანს, ეთერში რაც უნდა დიდი სისულელე გააკეთოს, არ გავაკრიტიკებ-მეთქი...

— **როგორც ვიცი, თაყვანისმცემლებს კვირაში ოთხჯერ, რადიოეთერით ეკონტაქტები...**

— მელომანი ვარ. ერთ დღეს მეგობარს რადიოში გავყევი, იქ მისულმა კი ვთქვი: — ამ ადგილას მეც დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი-მეთქი. მიმიყვანეს პროდიუსერთან, ხმა ჩავწერეთ და, რამდენიმე დღეში უკვე რადიომსმენელებს მივესალმე. მას შემდეგ 4 წელი გავიდა. რადიო იმდენად მიყვარს, როგორი დაკავებულიც უნდა ვიყო, კვირაში ერთ დღეს მაინც გამოვძებნი იქ სამუშაოდ! სრული თავისუფლება მაქვს, არასოდეს ვკითხულობ დაწერილ ტექსტს და შესაბამისად, რაც ენაზე მომადგება, იმას ვამბობ. მსმენელებს ჩემს ემოციას გადავცემ. ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენს საეთერო სტუდიასთან რომელიმე მომღერალს ჩაუვლია, მე კი ვერ მომითმენია და ის პირდაპირ ეთერში გამიყვანია.

— **ვიცი, რომ ბევრი თაყვანისმცემელი გყავს...**

— მსმენელები ჩემ მიმართ დიდ სიყვარულს გამოხატავენ. არ არსებობს დღე ისე გავიდეს, არ მომწერონ, — ძალიან მიყვარხარ და მიხარია, რომ გისმენო. ეს ყველაფერი დადებითი ემოციით მავსებს. ბედნიერი ვარ, როცა მსმენელების მხრიდან სიყვარულს ვგრძნობ.

— **მსმენელები შენს სანახავად თუ მოდიან?**

— ხანდახან მოდიან და საჩუქრებს მიტოვებენ. მახსოვს, ერთ-ერთმა მსმენელმა, რომელიც უკვე ჩემი მეგობარია, თავისი ნახატი მაჩუქა. არის მეორე მხატვარი გოგონაც, რომელმაც ასევე, საკუთარი ნამუშევარი გადმომცა... ერთხელ მსმენელს ქარბწონიანი მომღერლის სიმღერა შევთავაზე და თან დავძინე, — ალბათ ეს მომღერალი გურმანია და გემრიელი საჭმელები ძალიან უყვარს; მეც ისე მომშივდა, ორმაგ ჩიზბურგერს სიამოვნებით დავაგემოვნებდი-მეთქი. რამდენიმე წუთში დაცვის წევრმა დამიძახა, — შენთან სტუმრები არიანო. ფოიეში გოგონები დამხვდნენ, რომლებმაც „მაკდონალდსის" უზარმაზარი პაკეტით ჩიზბურგერები და ათასი ნუგბარი მომიტანეს. დავჯექით სასადილოში და ერთად მივირთვით. მათმა ყურადღებამ ძალიან გამახარა. ერთ დღეს სამსახურიდან გამოსულმა ტაქსი გავაჩერე. მძღოლმა მკითხა, — რადიოში მუშაობო? — კი-მეთქი. — რომელ რადიოშიო? — აი, რომელიც ახლა გაქვს ჩართული-მეთქი. ტაქსის მძღოლი შემობრუნდა და, — მიკი, შენა ხარო?! — სიხარულით შესძახა...

— **ბევრი გარეგნულად მსახიობ ჯუდ ლოუს გამსგავსებს.**

— კი, ასეა! ზოგჯერ „ფეისბუკზეც" მწერენ, — შენს გვერდზე საკუთარ ფოტოებს რატომ არ დებო? ჩვენ შორის მსგავსებას მეც ვამჩნევ, მაგრამ ვფიქრობ, ჯუდ ლოუს ფოტოებში უფრო ვგავარ...

— **როგორც გავიგე, სულ მალე კიდევ ერთ ახალ ფილმში გადაგიღებენ...**

— ახალი ფილმის გადაღება დაახლოებით, ერთ თვეში დაიწყება. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მასში მაყურებელი ძალიან ბევრ საყვარელ მსახიობს იხილავს. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვერიკო ტურაშვილი და „დამანგრეველი ენერგეტიკის მქონე“ კლიპი

## „თოკიდან რამდენჯერმე ჩამომხსნეს“

**მომღერალმა ვერიკო ტურაშვილმა ინოლა გურგულიას სიმღერაზე — „რა კარგი ხარ“ კლიპი გადაიღო. ვიდეორგოლის რეჟისორობა ანრი ჯოხაძემ იკისრა. მართალია, კლიპში ანრისთვის დამახასიათებელ სკანდალურ სცენებს ვერ ნახავთ, მაგრამ როგორც რეჟისორი ამბობს, მასში ისეთი ექსპრესიაა, რომ მაყურებელი გულგრილი ვერ დარჩება. გადაღებები გრიბოედოვის თეატრის დიდ სცენაზე მიმდინარეობდა და მთელი გუნდი, გიგა აგლაძის დახმარებით, ისეთი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა, რომ საქმე ერთ დღე-ღამეში დაასრულეს.**

*თამთა დადეშელი*

**ანრი ჯოხაძე,** *კლიპის რეჟისორი:*

— **ანრი, როგორია კლიპის სიუჟეტი?**

— ამ კლიპს ფაქტობრივად, სიუჟეტი არ გააჩნია. გადაღებები მხოლოდ გრიბოედოვის თეატრში გვქონდა. ძირითადი აქცენტი პლასტიკაზე გავაკეთეთ, რაშიც ბალეტის მოცეკვავეები, პანტომიმის თეატრისა და სხვა მსახიობები, სუხიშვილების ანსამბლის ორი მოცეკვავე დაგვეხმარნენ.

— **ანრი ჯოხაძისთვის დამახასიათებელ სკანდალურ და არაორდინარულ სცენებს ამ კლიპშიც უნდა ველოდოთ?**

— სხვათა შორის, აბსოლუტურად არ არის სკანდალური, სამაგიეროდ, „დამანგრეველი“ ენერგეტიკის მქონე კლიპია და ვფიქრობ, მის მიმართ საქართველოში გულგრილი ვერავინ დარჩება. ვერიკო საოცრად კარგად მღერის, თავად სიმღერა კი, რა თქმა უნდა, შედევრია. ინოლა გურგულიას ამ შესანიშნავ საგანძურს ვერიკო რამდენიმე წლის წინაც მღეროდა და კონკურსზე — „აზიის ხმები“ — პირველ ადგილზე გავიდა. მას შემდეგ სულ ვეუბნებოდი: ამ სიმღერას ყურადღება მიაქციე, მასზე კლიპი გადაიღე-მეთქი. ნათქვამია, — ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო და ვფიქრობ, არაჩვეულებრივი ნამუშევარი გამოგვივიდა, რაც მთელი შემოქმედებითი გუნდის დამსახურებაა.

— **როგორია ვერიკოსთან ერთად მუშაობა?**

— ფანტასტიკური! გადაღებულ კადრებს რომ ვუყურე, გაოცებული დავრჩი — საოცარი სიზუსტით გააკეთა ის ყველაფერი, რასაც მისგან მოვითხოვდი. მას უნიკალური, ყველასგან გამორჩეული, ულამაზესი ხმის ტემბრი აქვს.

— **როგორც ვიცი, ვერიკოს ყველაფერი უსასყიდლოდ გაუკეთეთ — როგორც მეგობარს, მაგრამ კლიპში კიდევ ბევრი ადამიანი მონაწილეობს...**

— მათ დიდი შრომა გასწიეს, სანაცვლოდ კი არც ერთი თეთრი არ მოუთხოვიათ, რისთვისაც ყველას დიდ მადლობას ვუხდი; „გრიბოედოვის თეატრშიც“ თან გადაგვყვნენ. განსაკუთრებული მადლობა კი მინდა, გიგა აგლაძეს გადავუხადო. როდესაც ვუთხარი, — ვერიკოსთვის ძალიან მაგარ სიმღერაზე, კლიპის გადაღება მინდა-მეთქი, წუთითაც არ დაფიქრებულა, ისე გადაწყვიტა, დამხმარებოდა. ქედს ვიხრი მისი ადამიანობის წინაშე. ჩვენს დროში გიგასნაირ პიროვნებებს იშვიათად შეხვდებით.

— **სად და როდის შედგება კლიპის პრემიერა?**

— სავარაუდოდ, მაიკო ასათიანის გადაცემაში.

**ვერიკო ტურაშვილი,** *მომღერალი:*

— ეს სიმღერა დიდი ხნის წინ ჩავწერე, მაგრამ მასზე ვიდეორგოლი არ გადამიღია. ახლა კი, ანრის დაჟინებული მოთხოვნით, სიმღერის ახლებური ვერსიაც გავაკეთეთ და კლიპიც გადავიღეთ.

— **„რა კარგი ხარ“ — ახალი არანჟირებით რამდენად განსხვავდება ძველი ვარიანტისგან?**

— ბევრი რამით განსხვავდება, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მთლიანად „ამოტრიალებული“ და შეცვლილია. ანრიმ ეს სიმღერა უფრო აჩქარებული, რიტმული და დინამიკური გახადა. ძველი ხაზი დაკარგული არ არის, რაც ძალიან მომწონს, რადგან რიმეიკების მომხრე არა ვარ.

— **გამოყენებულია ცოცხალი ინსტრუმენტებიც — დუდუკი და დოლი...**

— ანრიმ ყველაფერი ძალიან გემოვნებიანად და ხარისხიანად გააკეთა. იმედი მაქვს, რომ მსმენელს მოეწონება. შეიძლება კრიტიკაც იყოს, რადგან ჩემგან არ არიან მიჩვეულები დუდუკიან სიმღერებს, მაგრამ ამ ყველაფრისთვის მზად ვარ.

— **როგორია კლიპში თქვენი ჩაცმულობა?**

— კლიპში სულ 2 კაბა მაცვია: ერთი — ღია ფერის, მეორე კი ძალიან ორიგინალური შავი კაბაა, რომელიც გიო გოდედის ეკუთვნის (*კანადაში მოღვაწე ქართველი დიზაინერი. — ავტ.*). არაჩვეულებრივი კოსტიუმია, გიომ მასში მთელი გული და სული ჩააქსოვა.

— **ყველაზე მეტად რომელი სცენის გადაღება გაგიჭირდათ?**

— თოკით რომ ვიყავი ჩამოკიდებული, ძალიან გამიჭირდა, თავბრუ მეხვეოდა და რამდენჯერმე „გულის პრანჭვით“ ჩამომხსნეს, მაგრამ მაინც გავუძელი.

— **უახლოეს მომავალში რაიმე ახალს კიდევ ხომ არ შემოგვთავაზებთ?**

— მაია კაჭკაჭიშვილის ახალი სიმღერა ჩავწერე, რომელიც ზოგიერთ რადიოში უკვე ტრიალებს და იმედი მაქვს, ახალი წლის დღეებს რომ „გადავაგორებ“, მასზე ვიდეორგოლის გადაღებასაც მოვახერხებ. ■


საოცარი სიზუსტით გააკეთა ის ყველაფერი, რასაც მისგან მოვითხოვდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იუბილარს ულოცავენ „მოხუცი ჯამბაზები“

## „სპექტაკლის მსვლელობისას პულსი 200-მდე ამივიდა“

**სანდრო ახმეტელის თეატრში 30 წლის საიუბილეო თარიღს აღნიშნავენ. სხვა საინტერესო ღონისძიებების გარდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი — რუსთაველის თეატრის სტუმრობა გახლდათ, გოჩა კაპანაძის სპექტაკლით — „მოხუცი ჯამბაზები“, რომელიც დასმა 51-ედ ითამაშა. მამაკაცთა ცნობილ სამეულს ქალბატონები — ზაზა ლებანიძე, ქეთევან ხარშილაძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი და მანანა გამცემლიძე უწევდნენ პარტნიორობას. ორმოქმედებიანი სევდიანი კომედია რეალობის საინტერესო ასახვას წარმოადგენს.**

თეა ხურცილავა

*„მოხუც ჯამბაზებში“ რამაზ ჩხიკვაძე, ზინაიდა კვერენჩხილაძე და მედეა ჩახავა მონაწილეობდნენ, ამიტომ რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის თხოვნით, სპექტაკლის დაწყებამდე, ამ დიდი არტისტების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ...*

*ამასობაში, კულისებიდან ფუსფუსის ხმაც შეწყდა, დიდი, მწვანე ფარდა ნელ-ნელა ზემოთ ავიდა და სცენაზე თეთრ სამოსში გამოწყობილმა კახი კავსაძემ „ჯამბაზურად“ შემოაბიჯა...*

*„მოხუცი ჯამბაზები“ ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა მთელი დარბაზი, მცირეწლოვანი ბავშვების ჩათვლით, 3 საათის განმავლობაში სულგანაბულნი ადევნებდნენ თვალყურს სასცენო მოქმედებას და თითოეულ ეპიზოდზე ადეკვატურ რეაქციასაც არ აყოვნებდნენ. თითოეული მსახიობის მონოლოგი, კახი კავსაძის მიერ ცოცხლად შესრულებული სიმღერა და ბევრი სხვა პასაჟი ძალზე შთამბეჭდავი იყო.*

*წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, საგრიმიოროსთან მივედი. მსახიობთა საუბრის მხიარული ინტონაციები კარს მიღმაც ისმოდა და აშკარა იყო, რომ „ჩაბარებული გამოცდის“ შედეგით კმაყოფილები და გახარებულები იყვნენ. მილოცვების ნაკადი არ წყდებოდა, — ჩვენო მამებო, დიდი მადლობა, რახანია, ასე არ გვისიამოვნიაო! — ასე მიმართავდნენ საკუთარი თეატრის ზეიმის დღეს „ახმეტელელი“ მსახიობები კოლეგებს.*

*ამასობაში, როგორც იქნა, ჩემი ჯერიც დადგა და „მოხუც ჯამბაზებთან“ რამდენიმე წუთის გატარებისა და სამახსოვრო ფოტოების გადაღების საშუალებაც მომეცა.*

**— პირველ რიგში, უღრმესი მადლობა, რომ ახმეტელის თეატრის ერთგულ მაყურებელს ასეთი შესანიშნავი და დაუვიწყარი საჩუქარი მოგვიძღვენით. დარბაზში მსხდომი საზოგადოება რომ აღფრთოვანებული დარჩა, უდავოა, მაგრამ როგორია თქვენი განწყობილება უცხო სცენაზე თამაშისა და ასეთ აქციაში მონაწილეობის შემდეგ?**

**კახი კავსაძე:**

— რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა იუბილეს აღნიშვნის ძალიან კარგი ფორმა მოძებნა. სწორედ მისი იდეა იყო, რომ თბილისის სხვადასხვა თეატრის დასს ახმეტელის თეატრის სცენაზე წარმოდგენები გაემართა. ამით ჩვენ პატივი ვეცით დიდი რეჟისორის — სანდრო ახმეტელის ხსოვნას, მის სახელს, ამ თეატრის შემქმნელებსა და აქ მოღვაწე მსახიობებს. მადლობელი ვარ, რომ ამ აქციაში მონაწილეობის შესაძლებლობა მომეცა. კარგი იქნება, თუ მსგავსი ღონისძიებები ტრადიციად იქცევა და როცა, მაგალითად, რუსთაველის თეატრს ექნება იუბილე, სხვა თეატრები თავიანთი სპექტაკლებით გვესტუმრონ, ჩვენც მივალთ მათთან და ასე, ყველა ერთად ვიზეიმებთ სასიხარულო და ღირსშესანიშნავ თარ-



არ არსებობს მსახიობი, რა ასაკისა და გამოცდილების მქონეც უნდა იყოს, სცენაზე გასვლის წინ ემოციების მოჭარბებასა და მღელვარების მძაფრ შემოტევას არ განიცდიდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ ჩვეულებრივად მყოფს პულსი ნორმის ფარგლებში მქონდა, სპექტაკლის მოახლოებისას კატასტროფული სისწრაფით იმატებდა, ბოლოს კი ლამის 180-200-ზე ამივიდა

ილებს. დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი და გახარებული ვარ.

**გურამ საღარაძე:**

— მისასალმებელი და კარგია, როცა თეატრებს შორის ასეთი ურთიერთობაა, რადგან ეს კიდევ უფრო გვაახლოებს, ერთმანეთს ვამცნობთ, თუ ვინ რას ვაკეთებთ. აქ ჩემი ყოფილი სტუდენტები ვნახე, რომლებიც ახლა უკვე პროფესიონალი მსახიობები არიან. მიხარია, რომ ამ ზეიმს შევუერთდი და თეატრს კიდევ ერთხელ ვულოცავ 30 წლის იუბილეს.

**ჯემალ ღაღანიძე:**

— ჩვენ ის თაობა ვართ, რომელსაც ამ თეატრის დაბადება გვახსოვს. ლერი პაქსაშვილმა ის გლდანში, ოღონდ სხვა ადგილას დააარსა, მერე კი აქ გადმოვიდნენ. იგი თავის სახელს ამართლებს და სხვა აკადემიური თეატრების გვერდით თავისუფლად, წელგამართული დგას საკუთარი რეპერტუარის წყალობით. დღევანდელი დღეც სწორედ ამის დადასტურებაა.

*პროფესიონალი მსახიობების თვალს, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია დარბაზში მსხდომი მაყურებლის ემოციები, რაც მათ მეტი მუხტითა და ენერგიით ავსებდა.*

**კახი კავსაძე:**

— ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი სწორედ მაყურებლის ფაქტორია და აქ ისეთი ადამიანები ისხდნენ, როგორიც შეიძლება, არტისტმა ინატროს: ყველაფერზე ზუსტ შეფასებასა და რეაქციას იძლეოდნენ. ამისათვის დიდი მადლობა მათ! როცა საჭირო იყო, იცინოდნენ, როცა საჭირო იყო — თვალზე ცრემლიც კი ადგებოდათ!

**ჯემალ ღაღანიძე:**

— ეს არცაა გასაკვირი, რადგან 30 წლის მანძილზე ამ თეატრმა თავისი მაყურებელი აღზარდა. მართალია, ქალაქის ცენტრისგან ცოტა მოშორებულია, მაგრამ მისი აქ არსებობა აუცილებელია, რადგან ყველას არა აქვს იმის საშუალება, ქალაქის ცენტრში მდებარე თეატრებში ან ოპერაში ხშირად იაროს.

არ არსებობს მსახიობი, რა ასაკისა და გამოცდილების მქონეც უნდა იყოს, სცენაზე გასვლის წინ ემოციების მოჭარბებასა და მღელვარების მძაფრ შემოტევას არ განიცდიდეს. ერთ-ერთ ეპიზოდში, როდესაც პანსიონატში მცხოვრები მოხუცი არტისტები კონცერტის გამართვას გეგმავენ, კახი კავსაძის გმირი — ყოფილი ჯამბაზი დაიჩივლებს, — სცენაზე გასვლის მეშინიაო... როლიდან გამოსულს, ვკითხე, მასაც ხომ არ ეუფლება ხოლმე მსგავსი გრძნობა?..

**კახი კავსაძე:**

— მღელვარება არ ჰქვია იმას, რაც სცენაზე გასვლის წინ მჭირს. ერთხელ, რამდენიმე მსახიობს სხეულზე „კარდიოგრამა“ შემოგვახვიეს, რომელიც 24 საათის განმავლობაში ჩვენს პულსაციას დააფიქსირებდა. თუ ჩვეულებრივად მყოფს პულსი ნორმის ფარგლებში მქონდა, სპექტაკლის მოახლოებისას კატასტროფული სისწრაფით იმატებდა, ბოლოს კი ლამის 180-200-ზე ამივიდა. წარმოდგენა დამთავრდა თუ არა, მაჯისცემამ იკლო და გულიც საგულეში ჩადგა.

**ზაზა ლეჟავა:**

— ჩვენთვის სცენაზე ყოველი გასვლა გამოცდის ჩაბარებაა და როგორიცაა მაყურებელი, ისეთივეა ჩვენი ემოცია: როცა მოგიწონებენ, მაშინ უბედნიერესი ხარ! ჩვენ ხომ ამით ვცოცხლობთ და ვხარობთ, არტისტს სხვა არაფერი აბადია.

რაც შეეხება 30 წლის იუბილეს — თეატრი ჯერ ხომ სრულიად ახალგაზრდაა და ყველაფერი წინა აქვს. თამაზ გოლაძე ისეთი კარგი ხელმძღვანელი და მოწესრიგებული ადამიანია, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**დიმა ხვთისიაშვილი,** *რეჟისორი, ინსცენირების ავტორი:*

— დღეს აქ ის უპირველესი თეატრია სტუმრად, რომელშიც სანდრო ახმეტელი ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და რომელსაც შეეწირა კიდეც. 30 წლის არსებობის მანძილზე, ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც რუსთაველის თეატრის მსახიობი ამ სცენაზე მდგარა, მაგრამ ის, რომ აქ სპექტაკლით მოსულიყოს სტუმრად, ჯერ არ ყოფილა. როდესაც ამ დღეს ვგეგმავდით, ზუსტად ვიცოდი, რომ წინ წარმოუდგენლად კარგი საღამო გველოდა. მსახიობების შემართება რომ ვნახე, აღფრთოვანებული დავრჩი, თუმცა ეს არც მიკვირს, რადგან საქმე უდიდეს პროფესიონალებთან გვაქვს. შერჩეულ ორ სპექტაკლს — „მოხუც



ის, რომ სცენაზე ყოფნა ნებისმიერ ასაკში შეიძლება და მსახიობი პესიმიზმმა ან სენტიმენტებმა არ უნდა შეიპყროს, „მოხუცმა ჯამბაზებმა“ კიდევ ერთხელ დაადასტურეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამბაზებსა“ და „მგზავრის წერილებს“, რომლებიც მარჯანიშვილის თეატრმა ჩვენთან ითამაშა, საერთო სათაური — ასევე „მოხუცი ჯამბაზები“ შეიძლება დავარქვათ, რადგან მასში თენგიზ არჩვაძე და გივი ბერიკაშვილი მონაწილეობენ. როდესაც ეს იდეა მმართველს შევთავაზე, ბატონმა თამაზმა ყველაფერი თავადვე მოაგვარა.

— **რის მიხედვით შეარჩიეთ სპექტაკლები?**

— პირველ სპექტაკლში, რომელიც ჩვენთან ვასო აბაშიძის სახელობის თეატრმა წარმოადგინა, ახალგაზრდები მონაწილეობენ; ამით ორი თაობის დაკავშირება და „მოხუც ჯამბაზებსა“ და „აკრძალულ თამაშებს“ შორის ხიდის გადება გვინდოდა. ის, რომ სცენაზე ყოფნა ნებისმიერ ასაკში შეიძლება და მსახიობი პესიმიზმმა ან სენტიმენტებმა არ უნდა შეიპყროს, „მოხუცმა ჯამბაზებმა“ კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

**გოჩა კაპანაძე,** *სპექტაკლის რეჟისორი:*

— თეატრმა კარგი დახვედრა მოგვიწყო და მაყურებელიც შესანიშნავი იყო — დარბაზში სიწყნარე,


ის ხიბლი, რაც თეატრს თან სდევს, დღეს აქ ნამდვილად იგრძნობოდა

სიმშვიდე სუფევდა და დიდი ყურადღებით უსმენდნენ; ტიროდნენ, იცინოდნენ — ის ხიბლი, რაც თეატრს თან სდევს, დღეს აქ ნამდვილად იგრძნობოდა.

*„მოხუცი ჯამბაზების“ სტუმრობა სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის ისტორიაში მართლაც ოქროს ასოებით ჩაიწერა, მათი სახეები კი მაყურებლის მეხსიერებაში წარუშლელ შთაბეჭდილებად დარჩა...*

■

# „მე საქართველო ენგურის ხიდით არასდროს გამიყვია...“

## „მეუფის დედობა გარკვეულ პასუხისმგებლობას მოითხოვს“

**დაპირებისამებრ, ვრცლად მოგითხრობთ სოხუმელი ქართველი ქალბატონის — 82 წლის ანგელინა მარგველაშვილის შესახებ, რომელიც „გზის“ წინა ნომერში გაგაცანით. მისი ცხოვრება, მისივე ოჯახის მსგავსად, ორ ნაწილადაა გაყოფილი — სოხუმსა და თბილისს შორის, მაგრამ ამ მანძილს სიყვარულით „ამოკლებს“. სოხუმში მყოფს, ენგურს გაღმა საქართველო ენატრება, თბილისში ჩამოსულს კი სოხუმის ქუჩები ესიზმრება...**



ლალი პაპასქირი

*„სოხუმში მე და ჩემი ერთ-ერთი ქალიშვილი ვცხოვრობთ, დანარჩენი სამი კი თბილისშია“, — მითხრა ღიმილით, როცა სათნო ქალბატონს ქალიშვილის სახლში ვესტუმრე... მას სოხუმი ყველაზე მძიმე დღეებშიც კი არ დაუტოვებია; სოხუმელი აფხაზები თავიანთ „სულიერ დედად“ მიიჩნევენ. ერთ „უცნაურ“, მრავალეროვან, მაგრამ ერთი ოჯახივით შეკრულ უბანში, ტრაპშის ქუჩაზე ცხოვრობს, რომელსაც თითქოს ომის მსახვრალი ხელი არც შეხებია: 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური ომის დროს იქ მცხოვრები არც ერთი ქართველი და აფხაზი სამრად არ წასულა... მთავარი კი ის გახლავთ, რომ ოთხი ღირსეული შვილი აღუზარდა საქართველოს, მათ შორის — ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი, მეუფე სერაფიმე, რომელსაც, როცა სასულიერო მსახურების გზას დაადგა, ქალბატონმა ანგელინამ სიმღერა — „დედის ლოცვა“ დაუწერა...*

**ანგელინა მარგველაშვილი:**

— ტრაპშის ქუჩა სოხუმის რკინიგზის სადგურთან ახლოს მდებარეობს და ვერ ვიტყვი, საფრთხე არ არსებობდა-მეთქი, მაგრამ ალბათ ღმერთის ნებით, გადავრჩით. ჩვენს ქუჩაზე სისხლი არ დაღვრილა. იქ უმეტესობა ქართველები, რუსები და სომხები ვართ, რამდენიმე აფხაზური და ბერძნული ოჯახიც ცხოვრობს, მაგრამ ომის დღეებში და შემდეგაც, ჩვენს ქუჩაზე ეთნიკური ნიშნით არავინ გაურჩევიათ. ერთმანეთის ტკივილსა და სიხარულს ვიზიარებდით და დღემდე ასე ვართ... ომის დღეებში გარშემო საშინელება ტრიალებდა. აფეთქებებსა და ცეცხლმოდებულ სახლებს ლამის შეჩვეულები ვიყავით. როცა უცნობი თუ ნაცნობი აფხაზის ან ქართველის სიკვდილის ამბავს გავიგებდით, ყველანი განვიცდიდით, — ქართველებსა და აფხაზებს გასაყოფი რა გვაქვს-თქო?!. პოლიტიკოსები ბრძოლას განაგრძობდნენ... სოხუმის დაცემამდე, ჩვენი ქუჩის ყველა მცხოვრები თავის სახლში იყო, მხოლოდ 27 სექტემბერს დატოვა რამდენიმე ქართველმა თავისი სახლ-კარი, რაც, მართალი გითხრათ, გამიკვირდა.

— **რატომ გაგიკვირდათ?**

— იმიტომ, რომ მათ არაფერს დაუშავებდნენ. საშიშროება რომ ყოფილიყო, არც მე დავრჩებოდი იქ, მაგრამ ჩემი ქალაქის დატოვებაზე არასდროს მიფიქრია... ძალზე დაძაბული ვითარება იყო, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ომი მანამდეც მქონდა ნანახი. ჩემი მეუღლე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო. მისი დასრულებიდან სულ მალე, სამსახურებრივი მივლინებით, გერმანიაში გაგვიშვეს. 7 წელი გავატარეთ იქ და მაშინ პირველად ვნახე ომის მახინჯი ხელის კვალი: გადაბუგული და მიწასთან გასწორებული ქალაქები, სადაც დაჩაჩანაკებული, ადამიანის სახედაკარგული არსებები ცხოვრობდნენ. ასე რომ, აფხაზეთის მოვლენები ვერ გამაკვირვებდა, თუმცა ეს ფაქტი, როგორც ყველა ქართველის, ასევე ჩემი ცხოვრებისთვის, უდიდესი ტრაგედიაა და ყოველთვის გულისტკივილით ვამბობ, — რაც მოხდა, ქართველებისა და აფხაზების შეცდომა იყო. ჩემი მეუღლის წინაპარი, ჯოჯუების გვარის წარმომადგენელი იქ ჯერ კიდევ 1800-იან წლებში დასახლდა. მაშინ სოხუმი სულ ორი-სამი ქუჩისგან შედგებოდა. იქ აფხაზები, რუსები და სომხები არ ცხოვრობდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი იქაურობა მალევე შეივსო... მაშ, ჩემი მიწა-წყლიდან სად უნდა წავსულიყავი?!. თან, როგორც გითხარით, ჩვენს ქუჩაზე მხოლოდ რამდენიმე აფხაზი ცხოვრობდა და ისინი ყველა ქართველს კბილებით იცავდნენ, საკუთარი ოჯახის წევრებივით უფრთხილდებოდნენ. ამიტომაც, ტრაპშის ქუჩაზე ავი განზრახვით მოსვლას ყველა ერიდებოდა: „ჩემიანია“, — ეტყოდნენ მოსულს და ამით ყველაფერი გასაგები ხდებოდა. ჩვენი ქუჩის არც ერთ მცხოვრებს ხელში იარაღი არ სჭერია და ტყვია არ გაუსვრია. მე ვიცი, რომ ომის წინა დღეებში სხვა ქუჩის მცხოვრები ქართველები და აფხაზები ერთმანეთს თავს არიდებდნენ, ჩვენ კი დაძაბულ ვითარებაზე ერთად ვწუხდით. მძიმე დღეები გამოვიარეთ, მაგრამ ის უბედურება ერთად ყოფნამ გადაგვატანინა... ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, შვილმკვდარი აფხაზი დედის სანუგეშოდ მივედი, რადგან სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო. ის ჩემს დანახვაზე გაფითრდა, მერე კი მკერდში ჩამიკრა და მადლობა მითხრა, — ჩემს ტკივილს ინაწილებო...

**— ვიცი, რომ ომის დროს მუშაობდით...**

— დიახ, სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში 40 წელი ვიმუშავე. ჩვენი სამსახური მრავალეროვნული იყო. ჩემი საქმე ომის დროსაც არ მიმიტოვებია. მედიცინის მუშაკს პაციენტის ეთნიკური ნიშნით გარჩევის უფლება არა აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მაინც ორივე მხარის წარმომადგენლებს ჩაუდენიათ... ბევრმა ქართველმა სახლკარი დატოვა და იქაურობას გაერიდა. უამრავი დაჭრილი გვყავდა, უფრო მეტად — აფხაზები, რადგან ქართველები ენგურს გაღმა გადმოიყვანეს. გვიჭირდა, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. ყველანაირი სამედიცინო ინვენტარის დეფიციტი გვქონდა, ბინტი და ბამბაც გვაკლდა, რადგან საავადმყოფოს მთავარ აფთიაქს, რომლის გამგეც მე ვიყავი, ბომბი დაეცა და აფეთქდა. ამის გამო, ომის შემდეგ ცოტა ხანს ვიმუშავე, მერე აქტიური მუშაობაც აღარ იყო, თან უკვე ასაკშიც ვიყავი და სამსახურიდან წამოვედი.



ტყუპი და-ძმა — მანანა და თამაზი

**— სოხუმში თქვენი ქალიშვილიც დარჩა, არა?**

— დიახ, ლიანა სოხუმში ჩემ გამო დარჩა. მერე კი, როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, აფთიაქში მუშაობა დაიწყო. მას ოჯახი არ აქვს.

**— დანარჩენი სამი შვილი თბილისში ცხოვრობს. მათგან მოშორებით ყოფნა არ გიჭირთ?**

— რა თქმა უნდა, შვილებთან ახლოს ცხოვრება ჯობია, მაგრამ ეს ქვეყანა ყოველთვის ისე არ არის მოწყობილი, როგორც ჩვენ გვინდა. თან, ჩემი ქალიშვილი, რომელიც სოხუმში ჩემ გამო დარჩა, ამავე ქუჩაზე, ოღონდ სხვა სახლში ცხოვრობს, რადგან მის სამსახურთან ახლოს არის. ხშირად მეკითხებიან, მარტო ყოფნა არ გიჭირთო? მე მარტო არ ვარ, ჩემი „ინტერნაციონალი“ მეზობლების გარემოცვაში ვცხოვრობ; ქართველი ისეა დაფასებული, როგორც ჩვენს ერს ეკადრება. მეც ძალიან დიდ პატივს ვცემ აფხაზებს, სომხებს, რუსებს, ბერძნებს — იმიტომ კი არა, რომ ასეა საჭირო, უბრალოდ, ისინი ჩემგან ამას იმსახურებენ. ერთი რამ მინდა გითხრათ: აფხაზები ყოველთვის ამბობენ, — რომ არა პოლიტიკური პროვოკაციები, ქართველსა და აფხაზს შორის სისხლი არასდროს დაიღვრებოდაო.

**— მოგვიყევით თქვენს შვილებზე, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ. მათ აქვთ ოჯახები?**

— უფროსი — თემურ ჯოჯუა არქიტექტორია, დაოჯახებულია; მერე ლიანა მოდის, რომელიც სოხუმში ცხოვრობს. 10-წლიანი პაუზის შემდეგ, ტყუპი ქალ-ვაჟი — მანანა და მეუფე სერაფიმე (ერისკაცობაში — თამაზი) შემეძინა. მანანასაც აქვს ოჯახი, ჰყავს შვილები...

**— არ შემიძლია არ გკითხოთ, ქალბატონო ანგელინა: რას განიცდის დედა, როცა მისი შვილი ბერმო-**



ლიანა და თემურ ჯოჯუები დედასთან ერთად




**როცა სასულიერო მსახურების გზას დაადგა, ქალბატონმა ანგელინამ სიმღერა – „დედის ლოცვა“ დაუწერა**

**ნასტრულ ცხოვრებას ირჩევს, მით უმეტეს იმ ასაკში, როცა მას ოჯახი არ აქვს?..**

— დიახ, მესმის, რასაც მეკითხებით... მეც რწმენით ვცხოვრობ, მაგრამ მაინც ძნელია დედისთვის, შვილის ასეთი გადაწყვეტილების აღქმა. მეუფემ თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა და შესანიშნავად ხატავს. მეგონა, ამ გზას გაჰყვებოდა, მაგრამ ბერულ გზას შეუდგა. მან თავი უფალს მიუძღვნა და, ბუნებრივია, მის არჩევანს თანდათან შევეგუე. ყველას თავისი ჯვარი აქვს ამქვეყნად საზიდი, შვილო, მთავარია — ვინ რამდენად ღირსეულად ატარებს მას. უფალმა ინებოს, სერაფიმემ ამ ცხოვრების ბოლომდე რწმენითა და უფლის სიყვარულით იაროს.

**— ახლა თქვენი მეუღლის შესახებაც მოგვიყევით.**

— ჩემი მეუღლე — ილია ჯოჯუა არქეოლოგი იყო. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ოჯახი რომ შევქმენი. ქმარი ჩემზე 12 წლით უფროსი გახლდათ, მაგრამ ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა არც კი იგრძნობოდა. ძალიან ნაკითხი, განათლებული და, რაც მთავარია, პატრიოტი ადამიანი იყო. უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის. მის გვერდით, როგორც ქალი და როგორც დედა, ძალზე ბედნიერი ვიყავი. ბევრს ვმოგზაურობდით, მთელი ევროპა შემოვლილი გვქონდა. როგორც გითხარით, გერმანიაში შვიდი წელი ვცხოვრობდით; უფროსი ქალ-ვაჟიც იქ შემეძინა. ბავშვების აღზრდაში გერმანელი ძიძა მეხმარებოდა. იმ წლებში, მეც და ბავშვებმაც სრულყოფილად შევისწავლეთ გერმანული, რადგან ოჯახშიც ყველანი ამ ენაზე ვსაუბრობდით. ერთი რამ, რაც სამშობლოში დაბრუნებისთანავე ვიგრძენი, — ნაომარ, დამარცხებულ და მიწასთან გასწორებულ გერმანელ საზოგადოებასა და საბჭოთა ხალხს შორის დიდი განსხვავება იყო. მე და ჩემი ოჯახი ორ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სამყაროს გავეცანით... ყველა ეპოქას, რომელიც ჩემს სამშობლოს გაუვლია, პატივს ვცემ, რადგან ყველა მოვლენას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, მაგრამ არ შემიძლია, მაშინდელი გერმანელი ხალხის მიმართ ჩემი მოკრძალება არ გამოვხატო...

**— საბჭოთა წლებში უცხოეთში ცხოვრება ალბათ ადვილი არ იყო...**

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ჩემს მეუღლეს ისეთი პროფესია ჰქონდა, გამუდმებით ვმოგზაურობდით, ერთი ქვეყნიდან მეორეში დავდიოდით... ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, 1984 წელს, ტყვარჩელის არქეოლოგიურ გათხრებზე მუშაობდა და იქიდან ჩამოსულმა მახარა, — ისეთი რამე აღმოვაჩინე, რაც ჩვენს სახელმწიფოს ააღორძინებსო: გამიმხილა, რომ ტყვარჩელში ოქროს მადანი უპოვიათ... ეს ჩვენი ბოლო საუბარი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ გათხრებზე დაბრუნდა და რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ იქიდან ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. შეიძლება, გადაიღალა და გულმა უმტყუნა... ერთი სიტყვით, მისი სიკვდილის მიზეზი დღემდე არ ვიცი.

**— ქალბატონო ანგელინა, სოხუმში მცხოვრები თქვენი ქალიშვილიც ეკლესიურად ცხოვრობს?**

— არა, ის უფრო კარიერისტია... რა თქმა უნდა, ვხუმრობ. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ ოჯახიც არ შეუქმნია. ჩემი უფროსი ვაჟი, თემური, როგორც გითხარით, არქიტექტორია და ის ჯერ კიდევ ომამდე წამოვიდა თბილისში. ისიც სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და სამუშაოდაც დარჩა. მეუღლესა და შვილებთან ერთად, აქ ცხოვრობს.

**— სოხუმელები ეკლესიურად ცხოვრებას ახერხებთ?**

— რა თქმა უნდა. როცა განსაცდელი დიდია, ადამიანს უფლის რწმენა უძლიერდება. ასეა ჩვენთანაც. ბოლო წლებში, განსაკუთრებით — ომის შემდეგ, სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს, ქრისტიანულად იცხოვროს. წირვა-ლოცვა რუსულად აღევლინება და მას ქართველი, რუსი, აფხაზი, სომეხი და ბერძენი ერთად ვესწრებით. ასაკის გამო, სხვა ეკლესია-მონასტრებში მოლოცვას ვერ ვახერხებ და არ ვიცი, იქ რა ხდება, მაგრამ ჩვენი — სოხუმის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ძალიან მოვლილია, რაც რუსი მრევლის დამსახურებაა. საერთოდ, იქ, სადაც რუსი ხალხი მეტია, ეკლესია-მონასტრებიც ბევრია.

**— ტაძარს ალბათ აფხაზი წინამძღვარი ჰყავს...**

— დიახ, სოხუმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს საოცრად კარგი, თბილი, გულისხმიერი, კაცთმოყვარე წინამძღვარი და საეკლესიო მსახურები ჰყავს. ყველა მათგანი, განურჩევლად ეროვნებისა, მრევლს ყოველთვის თავმდაბლურად ესაუბრება. ჩვენ შორის ისეთი მეგობრული და მამაშვილური დამოკიდებულებაა, როგორიც ტაძარში უნდა იყოს... რა თქმა უნდა, არასდროს ვსაუბრობთ პოლიტიკაზე, ომზე, მტრობაზე. ეს ეკლესიაში სასაუბრო თემები არ არის.


სხედან – ანგელინა და ილია ჯოჯუები

**— ახლა როგორ ცხოვრობენ დანარჩენი ქართველები, თქვენი აფხაზი, რუსი და სომეხი მეზობლები?**

— როგორც გითხარით — ერთმანეთის ტკივილითა და

სიხარულით. ზოგს მატერიალურად უჭირს, ზოგს — არა. ხალხმა სიტუაციას ალღო აუღო და სტაბილური შემოსავალიც გაუჩნდა. მე რუსეთის მოქალაქე ვარ და უმაღლეს პენსიას ვიღებ, რომელიც ეროვნული კურსით, 500 დოლარამდეა... საქმე ის არის, რომ იქ ადამიანის ფასი იციან, ქართველის, მით უმეტეს — მოხუცი ადამიანის მიმართ აგდებული დამოკიდებულება არასდროს მიგრძნია. პირიქით, მათგან ყოველთვის პატივისცემას ვგრძნობ. როცა თბილისში მოვდივარ, ენგურის ხიდთან ჯერ აფხაზები მხვდებიან, შემდეგ — რუსები და ქართველები. წინასწარ სპეციალური საშვის აღება მიწევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თბილისშიც ისევე უპრობლემოდ ჩამოვდივარ, როგორც — ადრე. მე საქართველო ენგურის ხიდით არასდროს გამიყვია — უბრალოდ, ჩემი ქვეყნის ერთი ქალაქიდან მეორეში, შვილების სანახავად მოვდივარ. სამივე მხარის მესაზღვრეებმა კარგად იციან, რომ აფხაზეთი საქართველოს ძირძველი ტერიტორიაა, მაგრამ მაინც ვეუბნები, რომ ეს ქართველებისა და აფხაზების სამშობლოა. არ მახსოვს, ერთხელ მაინც წინააღმდეგობა შემხვედროდეს. 2009 წელს ჩემი შვილი, მეუფე სერაფიმეც ჩამოვიდა სოხუმში, თავის მშობლიურ სახლში, ჩემს მოსანახულებლად. მას ისევე თბილად დახვდნენ იქაურები, როგორც — ომამდე.

**— ვიცი, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ხშირად სტუმრობთ. მასთან პირველ შეხვედრას როგორ გაიხსენებთ?**

— ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღე იყო. ასე თუ ისე, უამრავი ადამიანური ფაქტორის გამო, იქ, აფხაზეთში ცხოვრება მაინც მეძნელებოდა და როცა მის უწმინდესობას შევხვდი და ვესაუბრე, ყველა მოვლენა და დეტალი სხვაგვარად დავინახე. შეხვედრიდან გულდამშვიდებული და იმედით ავსილი გამოვედი. მახსოვს, მითხრა, — თქვენ გმირი დედა და ქალბატონი ხართ, ასეთი ადამიანები ქართველებსა და აფხაზებს შორის ხიდად უნდა იქცნენო... როგორც მეუფის დედას და როგორც ქალბატონს, მოკრძალებითა და სიყვარულით მესაუბრებოდა. მან ყოველთვის იცის, ვისთან რა უნდა თქვას და რა სიტუაციაში როგორ მოიქცეს. ამიტომაც უწოდებს ხალხი ბრძენს... მეუფის დედობა გარკვეულ პასუხისმგებლობას მოითხოვს, მაგრამ ამასთანავე, ეს ჩემი შვილის პასუხია ჩემს ამაგზე, რომელიც მის აღზრდაში ჩავდე. მიხარია, რომ სწორი გზით წავიდა, და ბედნიერი ვარ, რომ ხალხის სიყვარული დაიმსახურა.

**— ალბათ უკვე გენატრებათ იქაურობა...**

— რა თქმა უნდა. წუხელ სიზმარში სოხუმი, ჩემი ქუჩა ვნახე... ■



ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღე იყო


ჟურნალი „კარიბჭე" წარმოგიდგენთ
ყოველ ნომერთან ერთად, ორ კვირაში ერთხელ!

ზღაპრად ნაამბობი ყველაზე მთავარი წიგნი!




წიგნი 5
8-დან - 22 დეკემბრამდე

საღმრთო ისტორია
ილუსტრირებული ბიბლია ბავშვებისათვის
იაკობ გოგებაშვილისგან!

მეხუთე წიგნში:

- ესავი და იაკობი
- იაკობის მოგზაურობა
- იაკობის დაბრუნება

წიგნის ფასი: 3 ლარი
(ჟურნალთან ერთად: 4 ლარი)

წიგნების ეს სერია იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გატაცებული გოგონა და „სიძის" სახლში გამართული „ქორწილი"

თეა ხურცილავა

პროკურორი სამუშაო დღის დასრულებას მოუთმენლად ელოდა და ამიტომაც, საათს რამდენჯერმე დახედა — მეგობრის დაბადების დღეზე მიეჩქარებოდა. იმ დღეს დანაშაულიც არ მომხდარა და უხაროდა, რომ მშვიდად შეეძლო საქეიფოდ წასულიყო და მოელხინა. მეგობარმაც რამდენჯერმე დაურეკა, — ხომ იცი, თამადა უნდა იყო, უშენოდ არ დავსხდებით და არ დაიგვიანოო! ის იყო, კაბინეტიდან გასვლას აპირებდა, რომ მოადგილემ შეაღო კარი:

— გიორგევიჩ, პოლიციიდან დარეკეს, შემთხვევაა — გოგონა მოიტაცეს.

— ალბათ თავისნაირ ჩერჩეტს გაჰყვა ცოლად და ახლა მშობლებიც შეძრავენ ქვეყანას. შვილს თავის დროზე სჭირდება კონტროლი!

— ხომ იცით, გოგომ თუ მოინდომა, რამდენიც გინდა, აკონტროლე, თავისას მაინც გაიტანს. საწყალი მშობლები, გაზარდე ახლა შვილი! — შეედავა მოადგილე.

— ახლა ეს მინდოდა? რომ იცოდე, რა პურმარილი მელოდება... მეგობრის დაბადების დღეა და იქ წასასვლელად ვემზადებოდი, — დაიწუწუნა პროკურორმა.

— თუ გინდა, წადი, მაგ საქმეს კი მე და გამომძიებელი მივხედავთ. პოლიციის უფროსი მოიყვანს გოგონას მშობლებს და დავკითხავთ, — უთხრა მოადგილემ.

— არა, თუ ძმა ხარ, რამე სერიოზული რომ იყოს, უფროსობასთან თავის მართლების ნერვები არა მაქვს! მეც გავესაუბრები.

რამდენიმე წუთში პროკურორის კაბინეტში პოლიციის უფროსი და გოგონას მშობლები შევიდნენ.

— ბავშვი შინ არ მოსულა, ნამდვილად მოგვტაცეს, გვიშველეთ რამე, — მოთქვამდა თვალცრემლიანი დედა.

— უყვარს ვინმე? — იკითხა პროკურორმა.

— რა ვიცი, ისეთი ბავშვია, ყველას უყვარს. ცოტა ცელქი კი არის, მაგრამ ჭკვიანი, სხარტი და მოხერხებულია... ვერ ვხვდებით, ასე ვინ გაგვიმეტა?!

— თავიდან ყველა მშობელი თქვენსავით მოთქვამს, ქალბატონო, მერე გაიკითხავენ და რომ გაიგებენ, ბიჭი კარგი ოჯახის გაზრდილია, იტყვიან, — ბედი გვქონია, ასეთი კარგი სიძე რომ შეგვხვდაო, — პროკურორმა ქალის დამშვიდება სცადა.

— რას ამბობთ, რომელ სიძეზე მელაპარაკებით?! 7 წლის ბავშვი მომტაცეს, თქვენ გესმით?! პირველკლასელი ბავშვი სკოლიდან სახლში არ დაბრუნებულა, — ქალი ისტერიკაში ჩავარდა.

— ბოდიში, ქალბატონო, მე სრულწლოვანი მეგონა, — ელდა ეცა პროკურორს და პოლიციის უფროსსა და თავის მოადგილეზე საშინლად გაბრაზდა, ამბავი სწორად რომ ვერ გააგებინეს... პაუზის შემდეგ, მან ქალს ბოდიში კიდევ ერთხელ მოუხადა და იმის გარკვევა დაიწყო, ბავშვი გამოსასყიდის მიზნით ხომ არ იყო გატაცებული. ამჯერად, დეტალების გარკვევა ბავშვის მამასთან სცადა.

— ვინმეზე ხომ არ გაქვთ ეჭვი?

— არა, ეჭვი არავისზე მაქვს. ვერ ამიხსნია, რა მოხდა.

— სად მუშაობთ და რა შემოსავალი გაქვთ? — მიაყარა კითხვები პროკურორმა.

— ერთ-ერთ კერძო ფირმაში ვმუშაობ და ისეთი შემოსავალი არ მაქვს, ვილაცას ბავშვის მოტაცება ფულის გამო რომ გადაეწყვიტა.

— მართალია, ჩემს ქმარს არა აქვს ფული, მაგრამ მისი ძმა ნავთობკომპანიაში მუშაობს. შვილი არ ჰყავს და როგორც ჩანს, ჩემი გოგონაც იმიტომ მოიტაცეს, რომ ბიძამისს ფული წაართვან... სკოლა სახლთან ახლოს გვაქვს, ბავშვს გზაც კი არ ჰქონდა გადასასვლელი, სახლში დამოუკიდებლად მოდიოდა. რომ შეაგვიანდა, სკოლაში მივაკითხე. მასწავლებელმა მითხრა, — ბავშვებთან ერთად წავიდაო, მაგრამ ვერ გაიხსენა, კონკრეტულად, ვისთან ერთად. მის თანაკლასელებს შინ მივაკითხე, მაგრამ ვერაფერი მითხრეს... მიშველეთ, დამეხმარეთ, შვილი მაპოვნინეთ, — ტიროდა ახალგაზრდა ქალი.

— გამოსასყიდის მიზნით თუ გაიტაცეს, აუცილებლად დარეკავენ, ზარს უნდა დაველოდოთ. ბიძისა და თქვენს ტელეფონებს მოვუსმენთ. ახლა სახლში წაბრძანდით და გამტაცებლის ზარს დაელოდეთ, — ეს თქვა თუ არა პროკურორმა, ოთახში მობილური ტელეფონის ზარიც გაისმა. თვალცრემლიანი დედა ტელეფონს ეცა. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— გისმენთ, რომელი ხარ?.. რა? ბავშვი შენთან არის? — თქვა ქალმა, სკამზე მოწყვეტით დაეშვა და ძლივს ამოილუღლუღა: — ჩემი შვილის თანაკლასელის დედა იყო და მითხრა, — შენი გოგონა ჩვენთან არის და მეუღლესთან ერთად გეპატიჟებით, უნდა გახალისოთო.

გოგონას მშობლებს პოლიციის უფროსი, პროკურორი და გამომძიებელიც გაჰყვნენ...

სტუმრებს კარი ქალბატონმა სიცილით გაუღო, მაგრამ ძალოვნების დანახვაზე, ღიმილი სახეზე შეეყინა...

— სახლში რომ არ მოვიდა, პოლიციაში განვაცხადეთ, — უთხრა დედამ მასპინძელს, რომელმაც სტუმრებს დაუჯერებელი რამ უამბო: თურმე მისი 7 წლის ბიჭი შინ დაბრუნებულ დედას ტახტზე წამოწოლილი დახვედრია, მისი თანაკლასელი გოგონა კი ოთახს გვიდა. პირველკლასელმა ბიჭმა დედას ახარა, — ცოლი მოვიყვანეო. გოგონა მეგობარს შინ ნებით გაჰყოლია...

ამ ამბის მოსმენის შემდეგ გოგონას დედა საშინლად გაბრაზდა და შვილის საცემრადაც კი გაიწია, მაგრამ ყველანი გულიანად ახარხარდნენ და დედას ბავშვის ცემის უფლება არ მისცეს. ცოტა ხანში ისიც დამშვიდდა. დიასახლისმა სტუმრები გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟა. პროკურორს მეგობრის დაბადების დღეც დაავიწყდა და თამადობაც, სამაგიეროდ, „გატაცებული" გოგონას „ქორწილში" კარგად მოილხინა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თინეიჯერები გვწერენ

ლიკა ქაჯაია

## „დედაჩემი გათხოვებას აპირებს“

**თაკო,** *14 წლის:*

„მართალია, ჯერ პატარა ვარ და შესაბამისად, ოჯახის შექმნა ჩემთვის ნაადრევია, მაგრამ 2 წელიწადში მაინც ხომ შევძლებ გათხოვებას? ჰოდა, მერე მე და დედამ ჩვენი შვილები ერთად უნდა გავზარდოთ? გული მტკივა... დედაჩემი გადაირია და ახლა გათხოვებას აპირებს. მართალია, ჩემი მომავალი მამიკო მშვენიერი კაცია, მაგრამ „მიტყდება“, დედა რომ მითხოვდება და რა ვქნა? ნათესავები მეუბნებიან: ეგოისტი ხარო, მე კი ვფიქრობ, რომ ეგოისტი კი არა, ჩვეულებრივი, ჭკუადამჯდარი გოგო ვარ, რომელსაც არ უნდა, მისი შვილის დეიდა თუ ბიძა მასზე მხოლოდ 2-3 წლით უფროსი იყოს. დაგაბნიეთ, არა? ჰოდა, მეც ასეთი დაბნეული ვარ... რჩევა არ მინდა — მრჩეველი ბევრი მყავს, უბრალოდ, მსურდა, ვინმესთვის გული გადამეშალა და თქვენზე უკეთესს ვის ვიპოვიდი ამ შუაღამეს?! თან, იმის იმედიც მაქვს, რომ ამ მესიჯს დედაჩემი წაიკითხავს და გონს მოეგება. მირჩევნია, ოფიციალური საყვარელი ჰყავდეს, ვიდრე შინ ახალი მამიკო მომიყვანოს. აქამდე მე და დედა მარტო ვცხოვრობდით, ახლა კი შინ კაცს უნდა შევეგუო — ესეც მაცოფებს. გამოდის, რომ ოთახებში შიშველი ველარ ვიტანტალებ, სახლში დაქალებს ისეთი სიხშირით ველარ მივიყვან, ველარც ჩემს საყვარელ საძინებელ ოთახში დავიძინებ... მოკლედ, ამ კაცის გამოჩენამ ათასი პრობლემა შემიქმნა, დედას კი ამ ყველაფერზე ეცინება — ახალ ცხოვრებას შეეგუები. როცა ჩემი ქმარი საჩუქრებით აგავსებს, სიურპრიზებით გაგანებივრებს, მის ფასს შენც გაიგებო. არ მინდა არავის ფული, საჩუქრები, მხოლოდ ის მინდა, რომ მყუდროება არავინ დამირღვიოს და ჩემს შვილს არ შერცხვეს იმის თქმის, რომ დედამ მაშინ გააჩინა, როცა ბებიამისს 2 წლის შვილი ჰყავდა. P.S. მე კი გათხოვებას ვაპირებდი... ეჰ“.

## „საქმროს მშობლებმა ქორწინება ჩამიშალეს“

**ნინი,** *19 წლის:*

„მე და ლევანს ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარს და რა გასაკვირია, რომ სკოლა დავამთავრე თუ არა, ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ, მაგრამ მისმა მშობლებმა ქორწინება ჩამიშალეს: ჯერ



უნდა ისწავლოთ, მუშაობა დაიწყოთ და ოჯახის შექმნას მერეც მოასწრებთო. ქალბატონ კატოს არ უნდა, სწავლის ქირა გადამიხადოს და ამიტომაც ჩაგვიშალა ჯვრისწერა. თან ამბობს, — მე და ჩემმა ქმარმა ოჯახი 19 წლის ასაკში რომ შევქმენით და ვიჩქარეთ, ახლა ერთად ამიტომაც არა ვართო. თავის მხრივ, ქალბატონ კატოს მხარი მეუღლემაც აუბა (ჩემი სწავლის ქირა ხომ მისი ჯიბიდან „ამოვიდოდა“): აბა, აბა, ჩემი ყოფილი მეუღლე მართალიაო! მერე, ჩემმა მშობლებმაც „გაწელ-გაქაჩეს“: ამათი სახვეწნი რა გვაქვსო და ახლა საქმროს ახლოსაც არ მაკარებენ, უფრო სწორად, პაემანზე არ მიშვებენ, — შენი ნახვა თუ უნდა, აქეთ მობრძანდეს, ხშირ-ხშირად შეგვაწუხოს და ყველას დაანახვოს, რომ მასზე შენ კი არ გიჟდები, არამედ თავად არ განებებს თავსო. მოკლედ, სანამ ჩვენს მშობლებს ერთი გასწი-გამოსწი აქვთ, მე და ჩემი „ლოვე“ გაპარვას ვგეგმავთ და როცა თქვენ ამ წერილს დაბეჭდავთ, შესაძლოა, უკვე ერთადაც ვიყოთ. ჰოდა, სწორედ თქვენი საშუალებით მივმართავ ჩემს ძვირფას დედამთილ-მამამთილს: დე, მა, იმედია, მიმილებთ. ახლა ისევ შინ თუ მიმაბრუნებთ, იცოდეთ, ან შვილს დაგაკარგვინებთ (ჩემთან წავიყვან საცხოვრებლად), ან სამუდამოდ მტრად გადამიკიდებთ (ამას კი ნამდვილად არ გირჩევთ. ადამიანი თუ შევიძულე, მას ჯოჯოხეთში ცხოვრება ელის). მიყვარხართ და იმედია, მეც შემიყვარებთ, თან ისე, რომ ჩემი სწავლის დასაფინანსებლად ფული არ დაგენანებათ :)). გკოცნით, გკოცნით, გკოცნით, თქვენი ნინიკო. P.S. დიდი მადლობა „გზას“, რომ არსებობთ და ჩვენ, მოზარდებს გულის მოოხების საშუალებას გვაძლევთ, რჩევებით გვეხმარებით“.

## ქორწინების ოპტიმალური ასაკი

**მაკუნა,** *16 წლის:*

„მოკლედ, მე და ჩემი შეყვარებული გაპარვას ვაპირებდით, მაგრამ მეგობრებმა შეგვაშინეს: ნაადრევად შექმნილი ოჯახები აუცილებლად ინგრევა. ცოტაც მოიცადეთ, სკოლა დაამთავრეთ და დაქორწინებას მერეც მოასწრებთო. ჰოდა, ჩვენც დავამუხრუჭეთ. თქვენი აზრით, თინეიჯერობის ასაკში შექმნილი ოჯახები მართლა ინგრევა? თუ ასეა, მაშინ მიკარნახეთ, რა ასაკში უნდა დავქორწინდეთ, რომ მყარი ოჯახი შევქმნათ? რჩევისთვის წინასწარ გიხდით მადლობას“.

**— მაკუნა, ამ თემასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ფორუმზე ჩაატარეს გამოკითხვა, სადაც 15-დან 18 წლამდე ასაკის წყვილების ქორწინების მომხრე გამოკითხულთა მხოლოდ 0,4% იყო (იქიდან გამომდინარე, რომ შესაძლოა, ამ ასაკში შეცდომა დაუშვა); ქორწინების ოპტიმალურ ასაკად კი ფორუმელთა უმეტესობა 25-30 წელს მიიჩნევს. რამდენად მყარია ამ ასაკში შექმნილი ოჯახები, ვერ გეტყვი, მაგრამ ამ თემასთან დაკავშირებით შენი და უფროსი ასაკის ადამიანების მოსაზრებებს გაგაცნობ და იმედია, ეს გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარება.**

JULES WINNFIELD:

„25-30 წლის ადამიანებს საკმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და არც სიბერისკენ აქვთ ნაბიჯი გადადგმული. მოკლედ, თუ ადამიანს ოჯახის შექმნა უნდა, ეს 40 წლამდე უნდა მოასწროს!“

**მარიმარი30:**

„რა თქმა უნდა, ყველაზე ოპტიმალური 25-30 წელია. 25 წლის ასაკში ვფიქრობდი, — გათხოვება ჯერ ადრეა, სად მეჩქარება-მეთქი, მაგრამ 30 წლის ისე მალე გავხდი, რომ... კიდევ კარგი, მოვასწარი და „გავსაღდი“...

**დათვა:**

„კაცისათვის 27-30 წელი საუკეთესო ასაკია, ქალი კი ოღონდ გათხოვდეს და „გასაღდეს“, ასაკს რას ჩივის?!“

**ბონნიე:**

„პირადად მე, მომწონს, როცა 22-25 წლის ასაკში ქმნიან ოჯახს, მანამდე კი უნდა გაერთო, ისწავლო, კარიერას მიხედო და ა.შ. როცა დასერიოზულდები და ოჯახის შესაქმნელად მზად იქნები, ამაზე მერე უნდა იჩალიჩო“.

**ზარატუსტრა:**

„მე თვითონ 23 წლისამ მოვიყვანე პირველი ცოლი. ახლა ვხვდები, რომ მაშინ საამისოდ მზად არ ვიყავი...“

**ჟურნალისტკა:**

„25-30 — ქალისთვის, კაცისთვის კი 30-35 წელია ოპტიმალური. ამ ასაკში უფრო იწყებენ ოჯახის დაფასებას, უჩნდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა და ა.შ. მანამდე კი ნებისმიერს გართობა ურჩევნია“.

UG-UG-UG:

„სანამ საკუთარ ცხოვრებას არ აიწყობ, მანამდე ოჯახის შექმნაზე არც უნდა იფიქრო. უბრალოდ, „ტეხავს“, რა, ყოველდღე მამას რომ სთხოვ შენი შვილისთვის პამპერსის ფულს“.

**ადგადირლ:**

„კაცი — მაშინ, როცა ოჯახის შენახვის შესაძლებლობა ექნება; ქალი — როცა უნდა!“

UG-UG-UG:

„გაიხარე, მაგრამ დღევანდელი ახალგაზრდობა ეგრე არ ფიქრობს...“

**ზარატუსტრა:**

„ცხოვრება თავად „მოუჭერს“ და ფიქრსაც დაიწყებს (საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნებით)“.

EDO_LEMON:

„კაკ მინიმუმ“, 25 წლის ასაკში. ვიცნობ ისეთ წყვილს, რომლებსაც ერთმანეთი ბავშვობიდან უყვარდათ და ოჯახი „კაკრაზ“, 25 წლისებმა შექმნეს. ეს ყველაზე მაგარი ასაკია!“

EKA_JOHANNA:

„ასაკს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. შეიძლება ადამიანი 17 წლის ასაკშიც კი, არა მარტო ფიზიკურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც ჩამოყალიბებული იყოს ანუ მზად გახლდეთ ოჯახის შესაქმნელად, ზოგიერთი ადამიანი კი 40 წლის ასაკშიც ჩამოუყალიბებელია. მოკლედ, ეს ყველაფერი სურვილზე, შესაძლებლობაზეა დამოკიდებული და არა — ასაკზე...“

8QARTVELI8:

„ქორწინების ოპტიმალური ასაკი:
ქალი — როცა ხელს სთხოვენ;
კაცი — როცა ხელს სთხოვს.
მოკლედ, როცა ყველაფერი მარტივი და ხარისხიანია, ყველა ბედნიერია“.

LEGALLY BLONDE:

„როცა შემიყვარდება, როცა შევუყვარდები, როცა ერთად ცხოვრებას გადავწყვეტთ...“

JANE_EYRE:

„ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი გამართლებაა. 13 წლის გათხოვილან და ქმართან ბოლომდე ბედნიერი ყოფილან“.

RADROS NICKIA:

„ჩემი მოკრძალებული აზრით, 28-33 წელი იდეალური ასაკია უღელში შებმისთვის“.

LOVELY GIRL:

„გამიხარდა, ჩემნაირად მოაზროვნე ხალხიც რომ არსებობს. ვფიქრობ, გათხოვებისთვის ოპტიმალური ასაკი 22-27 წელია, მაგრამ არსებობენ ე.წ. „გამათხოვე“ გოგონები, რომლებსაც თავში მარტო გათხოვება უტრიალებთ... და საკმარისია, რომელიმე მათგანი „გასაღდეს“, რომ მაშინვე გეკითხებიან: არ უნდა გათხოვდე?“

ENSI_1988:

„ეგეთ ტიპებს ვერ ვეგუები, რა. რას ნიშნავს, — რატომ არ თხოვდები? შეყვარებულის ყოლა იმას არ ნიშნავს, რომ სასწრაფოდ ოჯახი უნდა შექმნა... სხვისი არ ვიცი, მაგრამ შინაბერაც რომ დავრჩე, საყვარელ ადამიანზე როგორც უნდა ვგიჟდებოდე, სანამ ცალკე ცხოვრების პირობები არ მექნება, არ გავთხოვდები — ამას ბევრს ვერ ვაგებინებ და ამოვიდა ყელში კითხვა: როდის თხოვდები? გამარჯობის ნაცვლად, უკვე იმას მეკითხებიან: ჰა, არაფერს აპირებ? ნაადრევ ქორწინებას არ მივესალმები... როცა ადამიანი საამისოდ მზად იქნება, მაშინ უნდა დაოჯახდეს. პირადად მე, ოჯახის შექმნას სწავლა და გართობა მერჩივნა და არც ვნანობ, თინეიჯერობის ბოლო წლებში რომ არ დავქორწინდი. თავისუფლების დაკარგვა ახლაც არ მინდა“.

**ზარნაშო:**

„ზოგი თექვსმეტი წლის ასაკში უკვე კაცია და ზოგი — სიცოცხლის ბოლომდე ბავშვად რჩება... თუ წყვილს საშუალება აქვს, მათ დაოჯახებას ადრეულ ასაკშიც კი მივესალმები. თუ ჯერ ბავშვები არიან და დამოუკიდებლად ვერ იცხოვრებენ, არა უშავს, როგორც თავიანთ ვაჟს ზრდიან, ისე გაზრდიან რძალსაც ბიჭის მშობლები. თუმცა, დღევანდელ რეალობას თუ გავითვალისწინებთ, რძალი კი არა, შვილი ველარ ჩერდება მშობელთან, გაცივდა ურთიერთობები და ხშირად, ეს არ გამოდის... სწავლა თვითმიზანი ხომ არაა — ისევ იმისთვის მინდა, რომ მომავალში ოჯახის რჩენა შევძლო. ცნობისათვის, მეუღლესთან ერთადაც შეიძლება შინაარსიანად გაერთო (იმას არ ვგულისხმობ, რაც გაიფიქრეთ)“.

SUMMER GIRL:

„გააჩნია, როგორი გოგო ხარ... თუ გარეგნობა გაქვს, მაგრამ განათლება — არა, მაშინ ადრე უნდა გათხოვდე, ვინმე მდიდარი რომ „შეაბა“...

თუ ჭკუა გაქვს და შესაბამისად, მომავალში ბევრის მიღწევის პოტენციალი, მაგრამ გარეგნობა დიდად არ გიწყობს ხელს, მაშინ ჯობს, დაიცადო და გათხოვებაზე 25 წლის ასაკში იფიქრო... მე მაინც მიმაჩნია, რომ გათხოვებისთვის ყველაზე კარგი ასაკი 22-დან 26 წლამდეა“.

**ფიო:**

„კაცმა ცოლი საერთოდ რომ არ მოიყვანოს, რა დაშავდება? — ნათესავები გაჭორავენ: „ლავრენტი უკვე 41 წლისაა და დღემდე უცოლოა, როგორ შეიძლება ასე? ნტუ, ნტუ, ნტუ...“

PURPLE_GIRL:

„შეეშვით ამ ნათესავებს და კედლის მეზობლებს, რა. ყველა ნორმალურ ადამიანს უნდა ჰყავდეს ცხოვრების თანამგზავრი, მეგობარი... ვინც ამაზე არ ფიქრობს, ბოლოს ყოველთვის ნანობს — ეს ჩემი მოსაზრება არაა, ეს ფაქტია!“

SCO:

„ასაკის, ჰოროსკოპის, პოლიტიკოსების, ერთხელ დასრულებული ურთიერთობის აღდგენის, ქართველის გამოსწორების, კიბოს წამლის გამოგონებისა და ეგეთი რაღაცების არ მჯერა, რა“.

■

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ჯერ შეყვარებული „ამახია“, ახლა კი ჩემს დას „ახვევს“...

**მაქსიმე,** *16 წლის:*

„ჩემი პრობლემა ზოგს შეიძლება, სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ მე ნამდვილად არ მეცინება. იმედია, გამიგებთ და დამეხმარებით. ჩემი დაიკო ხვდება ბიჭს, რომელსაც დაახლოებით 2 წლის წინ ცხვირ-პირი ამოვუმტვრიე და იცით, რატომ? — შეყვარებული „ამახია“. ის ცნობილია როგორც მექალთანე; ყველა გოგოს ზედ ახტება და როცა თავისას მიაღწევს, მათ თავიდან უსარგებლო ნივთივით იშორებს. ჰოდა, ცხადია, იმ გოგოსაც, რომელიც მე „ამახია“, რაღაც პერიოდის შემდეგ ძალიან ცუდად მოექცა. მერე ჩემი ყოფილი ჩემთან მოვიდა, ყველაფრისთვის პატიება მთხოვა. მართალია, ღალატი ვერ ვაპატიე, მაგრამ გულის სიღრმეში ძალიან შემეცოდა და სწორედ ამიტომ მივუჟეჟე ის „დონჟუანი“. მაშინ 14 წლის ვიყავი, მაგრამ გარეგნობა მაქვს ისეთი, რომ იტყოდით — მინიმუმ, 22-ის მაინც იქნებაო. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და, კუნთები მართლაც, ბატიბუტივით მაქვს... ახლა, 2 წლის შემდეგ ისევ გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში და ამჯერად, ჩემს დაიკოს „ახვევს“. ნიტას რომ ვუთხარი: ამ ბიჭს შენი „დაბოლების“ საშუალება არ მისცე-მეთქი, ხელი ამიკრა: შენ ვინ გეკითხება? გირჩევ, ჩემს საქმეში არ ჩაერიო, თორემ დედას შენს საიდუმლოს ვეტყვიო. ცნობისათვის, ნიტა ჩემზე 2 წლით უფროსი ანუ იმ ბიჭის ტოლია, ჩემი საიდუმლო კი ის არის, რომ სიგარეტს ვეწევი და არ მინდა, ეს ამბავი მშობლების ყურამდე მივიდეს; ვიცი, გული გაუსკდებათ. ჰოდა, ჩემი დაიკო ამით სარგებლობს და ცდილობს, შანტაჟის გზით გამაჩუმოს. ჰო, იმ ბიჭსაც შევხვდი. მითხრა, — ძმაო, ძველი წყენა დავივიწყოთ. იცოდე, შენს დაზე სერიოზულად ვფიქრობ, თან — შევიცვალე, ძველებურად ყველა გოგოს „შეხვევას“ აღარ ვცდილობო, მაგრამ მისი არ მჯერა!.. ჩვენი ლაპარაკის შესახებ ნიტამაც გაიგო და ისტერიკა მომიწყო: ხომ გაგაფრთხილე, ჩემს საქმეში არ ჩაერიოო და ისევ შანტაჟზე გადავიდა. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ნუთუ საკუთარ დას უნდა მივცე თავის დაღუპვის საშუალება? ძმაკაცი მეუბნება, — არა მგონია, იმ ბიჭმა შენი შიშით ნიტას ტკივილი მიაყენოსო, მაგრამ მე მაინც ვშიშობ, რომ შეიძლება, რაღაც პერიოდის შემდეგ ატირებული დაიკო დავინახო. აი, მერე კი ნამდვილად, მოსაკლავი გამიხდება... მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? ძალიან დაბნეული ვარ. P.S. ადრე სხვებს ვაძლევდი რჩევას, მაგრამ თან მიკვირდა, — ეს ადამიანები „გზის“ მკითხველებს რომ გვიმესიჯებენ და საკუთარ პრობლემებზე გვიყვებიან, ტვინი სადა აქვთ-მეთქი, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ როცა ძალიან გიჭირს, გინდა, შენი ტკივილი უცნობ ადამიანებს გაუზიარო. რჩევებისთვის ყველას წინასწარ გიხდით მადლობას“.

## „მის გამო ცხვირის ოპერაცია გავიკეთე, ის კი ცოლშვილიანი აღმოჩნდა“

**ლიკა,** *18 წლის:*

„ვაიმე, მიშველეთ, რა. ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ, მაგრამ ყოველთვის ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა. მოკლედ, ყველა ბიჭის გულს იოლად ვიგებდი, მხოლოდ ერთი კაცი ვერ დავიმორჩილე და მის გამო მსხვერპლი გავიღე — ცხვირის ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ თურმე, სულ ტყუილად გავისარჯე... მოკლედ, საქმე ისაა, რომ ერთ დღეს ჩემი ბიძაშვილი გვესტუმრა და თან, ძმაკაციც მოიყვანა. იმ ბიჭით იმწამსვე მოვიხიბლე, მაგრამ მას ჩემდამი განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუჩენია. მერე „ფეისბუკზე“ დავუმეგობრდი, „სკაიპშიც“ „შევუძვერი“. მელაპარაკებოდა ხოლმე, მაგრამ გაქვავებული გული ვერა და ვერ გავულღვე. ერთხელაც, რაღაც თემას განვიხილავდით. თქვა: ქართული ცხვირები არ მომწონს; გოგოს „წვეტი“ თუ აქვს, აუცილებლად, პლასტიკური ოპერაცია უნდა გაიკეთოსო. მეგონა, ჩემი ცხვირი არ მოსწონდა და „დამინამიოკა“. მართალია, პატარა და კოხტა ცხვირი მქონდა, მაგრამ მაინც ავიჩემე, — გრძელი და წვეტიანია-მეთქი და მშობლებს თავი წუწუნით ისე მოვაბეზრე, რომ ქირურგთან თავადვე მიმიყვანეს. ის კაციც დიდხანს ცდილობდა ჩემს გადარწმუნებას, მაგრამ ჩემი მაინც გავიტანე და ცხვირის ფორმა შევიცვალე. რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ჩემი ცხვირუკა „ფორმაში ჩადგა“, საყვარელი მამაკაცის სანახავად გავეშურე. მას სახლის წინ „დავუპადიეზდე“ და როცა ქუჩაში გამოვიდა, ვითომ შემთხვევით, დავეჯახე. ჯერ გაკვირვებულმა შემომხედა — თან მიცნო და თან — ვერა, მერე კი გაოცებულმა მკითხა: შენ ლიკა არა ხარო? გამეცინა, — კი-მეთქი. — მგონი, ვერა ვარ, ლამის ვერ გიცანიო, — გამიღიმა. ვუთხარი: ცხვირის ოპერაცია გავიკეთე და ეტყობა, ამიტომაც-მეთქი. ლამის გადაირია: რად გინდოდა, ხომ არ გაგიჟდი? მშვენიერი ცხვირი გქონდა, ეს რა გიქნიაო! გაბრაზებულმა მივახალე: კი, მაგრამ შენ არ მითხარი-მეთქი? გაეცინა და ისე დამემშვიდობა, სიტყვაც არ უთქვამს. გავბრაზდი, გავწითლდი და ავილეწე, მერე კი ბიძაშვილს მივადექი და ყველაფერი გულწრფელად ვუამბე, ძმაკაცი გავულანძღე. ლამის მცემა: გიჟი ხარ, აქამდე როგორ ვერ შეამჩნიე, რომ კაცს „კალიცო“ უკეთია?! მას ცოლიც ჰყავს და ორი ანგელოზივით შვილი, ამიტომაც არ გიყურებდა ზედო... ძალიან დიდხანს ვიტანჯებოდი. პირველად შემიყვარდა და მაშინაც, დიდი იმედგაცრუება ვიწვნიე, ჩემ მიერ გაღებული მსხვერპლი კი თურმე, არავის სჭირდებოდა. სხვათა შორის, ის ბიჭიც ყველაფერს მიხვდა და რომ აღარ შემეწუხებინა (ამას არც ვაპირებდი), იმ დღესვე „მიმბლოკა“. ახლა, როცა გონს მოვედი და სარკეში ვიხედები, ჩემი ცხვირი აღარ მომწონს. ძალიან მინდა, ძველი ფორმა დაუბრუნდეს, მაგრამ ვიცი, ეს მშობლებს რომ ვუთხრა, შეურაცხადად ჩამთვლიან და პლასტიკურ ქირურგთან კი არა, შესაძლოა, პირდაპირ საგიჟეთში წამიყვანონ და იქ გამომამწყვდიონ. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე და ახლა, ასეთი უცნაური ცხვირით როგორ ვიცხოვრო; ან მშობლებს როგორ ავუხსნა, რომ ეს ყველაფერი შეცდომა იყო და რომ ბუნებრივი იერის დაბრუნება მსურს?.. იმედია, არ გამთათხავთ და ღირებულ რჩევებსაც მომცემთ. წინასწარ გიხდით მადლობას და ყველას წარმატებას გისურვებთ!“ ■

*P.S. მაშ ასე, თუ მაქსიმეს და ლიკას წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამყარო

## უცნაურები და უჩვეულონი...

ისინი განსხვავებულები, ცოტა უცნაურები და ძალიან საინტერესოები არიან... გვანცა, თამარი და მარიკა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციაში, „დავითიანის“ მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე გავიცანი. 17-19 წლის ახალგაზრდების მიერ წაკითხული ლექსები, მოთხრობები, ჩანაწერები თუ იდეები იმდენად ორიგინალური, ახლებური და უცნაური იყო, რომ გადავწყვიტე, ისინი რედაქციაში მომეწვია.

*ხათუნა ბახტურიძე*

**— გვანცა, რა ტიპის ორგანიზაციაა „დავითიანი“ და რა კრიტერიუმებით არჩევს თანამშრომლებს?**

— „დავითიანი“ საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობაა, რომელიც მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, 4 წლის წინ დაფუძნდა. ორგანიზაციის თხუთმეტკაციანი შემადგენლობიდან ერთ-ერთი მე გახლავართ. ჩვენი ძირითადი მიმართულება — პრევენციული, ანტინარკოტიკული ღონისძიებების გატარებაა. „დავითიანმა“ თავიდან თბილისის შვიდ სკოლასთან დაიწყო თანამშრომლობა; ახლა უკვე 100 სკოლასა და 27 უნივერსიტეტთან გვაქვს კავშირი. ერთობლივად ვატარებთ ლიტერატურულ კონკურსებს, კონფერენციებს, სპორტულ მარათონებს, საქველმოქმედო აქცია-კონცერტებს; სტუდენტებსა და მოსწავლეებს ვუწყობთ შეხვედრებს საზოგადო მოღვაწეებთან, ცნობილ მწერლებთან, პოეტებთან და მხატვრებთან. სულ ცოტა ხნის წინ მთაწმინდის პარკში მუსიკალური ფესტივალი ჩავატარეთ, სადაც სკოლის მოსწავლეებმა თავიანთი დაწერილი სიმღერები შეასრულეს. ყოველი წლის 13 ნოემბერს ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს აღვნიშნავთ. შარშან მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ლიტერატურული კლუბი „დალკი“ დავაფუძნეთ, რათა ახალგაზრდებს წერისა და ერთმანეთის შემოქმედების გაცნობის საშუალება მისცემოდათ. კლუბის პრეზენტაცია საპატრიარქოში გაიმართა. მარიკა ომანიძე და თამარ კაპანაძე „დალკის“ აქტიური წევრები არიან. მარიკამ შარშან ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა, თამარმა — მეორე.

**— მარიკა, „დალკში“ როგორ აღმოჩნდი?**

— იმ სკოლაში ვსწავლობდი, რომელთანაც „დავითიანი“ თანამშრომლობს. ერთხელ გავიგე, რომ ლიტერატურული კონკურსი ტარდებოდა და მონაწილეობა გადავწყვიტე. საკონკურსო თემა წინასწარ არავინ ვიცოდით. გვანცამ დაფაზე დაგვიწერა — „ჩემი წილი საქართველო“. თავისუფალი თემა უნდა დაგვეწერა, მაგრამ მე ლექსი დავწერე, რომელიც ასე მთავრდება: „მე ჩემი საქართველო დამაქვს პეშვებით,/ დანარჩენი კი უფლის ძლიერ ხელებს მივანდე!/ მომეცი ხელი! მე მჭირდება შენი მარჯვენა,/ რომ ჩავეჭიდო, საქართველოს გადასარჩენად. კარგა ხანს არავინ შემეხმიანა და ვიფიქრე, რომ ჩემი ნამუშევარი არ მოეწონათ. მოგვიანებით დამირეკეს და მითხრეს, რომ ლიტერატურულ კლუბს აყალიბებდნენ და მეც მიწვევდნენ. თურმე მთავარი სიურპრიზი წინ მქონდა. კლუბის პრეზენტაციაზე გავიგე, რომ ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული გავხდი. სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი...

**გვანცა:**

— უწმინდესმა ქადაგებისას თქვა, — ყველა ქართველმა თავისი წილი საქართველო ისე უნდა დაიცვას, როგორც შეუძლიაო. „დავითიანელები“ დავინტერესდით, თუ როგორ შეიძლებოდა, ბავშვებს გაეგოთ „ჩემი წილი საქართველო“ და გადავწყვიტეთ, ამ თემაზე ლიტერატურული კონკურსი მოგვეწყო.

**— რა გაარკვიეთ — როგორ ესმით ბავშვებს „ჩემი წილი საქართველო“?**

— ზოგმა დაწერა, რომ კარგი პედაგოგი გახდება და ამით მოიხდის ვალს სამშობლოს წინაშე, ზოგს ჟურნალისტის რანგში წარმოუდგენია ქვეყნის სამსახურში ყოფნა; ერთმა ისიც კი თქვა, არქიტექტორი გავხდები და ჩემს ცოდნას საქართველოს მოვახმარო. მარიკას ლექსი მართლაც გამორჩეული იყო...

**მარიკა:**

— ერთი ცუდი თვისება მაქვს — თუ არ დამავალებენ, ისე ვერაფერს ვწერ. როდესაც თავში საინტერესო აზრი მომდის, ვცდილობ დავიმახსოვრო, ფურცელზე არ გადმომაქვს. ვფიქრობ, რომ თუ ეს აზრი მართლაც საინტერესო და ღირებულია, როცა დამჭირდება ანუ როცა რამის დაწერას დამავალებენ, მაშინ გამახსენდება...

**— ძირითადად რა თემაზე წერ?**

— ჩემს გრძნობებზე, ადამიანებზე; ვაპროტესტებ ყველაფერს, რაც არ მომწონს.

**— მაინც რა არ მოგწონს?**

— ჩვენი ცხოვრების წესი. არ მომწონს, „ნესტანი“ სამუშაოდ საზღვარგარეთ რომ მიდის, „ტარიელი“ კი ბავშვების მოსავლელად შინ რჩება; ჯვარდაწერილი „მერი“ ქმარს რომ შორდება; არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელ კაბებში შემოსილი მეძავები მომწონს, არც მეტროში მზის სათვალით მოსიარულე ადამიანები.

**თამარი:**

— ბანალური და სტანდარტული არაფერი მოგვწონს, სტერეოტიპების დამსხვრევას ვცდილობთ. ჩვენს თანატოლებს ჰგონიათ, რომ თუ სიგარეტს მოსწევენ და გინებას დაიწყებენ, მაგარი გოგონების იმიჯს შეიქმნიან. ბევრი ერთმანეთისგან ვერ არჩევს თავისუფლებას და უზრდელობას.










**— თანატოლი ბიჭები თუ მოგწონთ?**

— არა.

**მარიკა:**

— ისე, ბიჭსაც ხომ გააჩნია?! შარვლის უბე მუხლებამდე რომ აქვთ ჩამოსული, გრძელი, ჭუჭყიანი თმით დადიან და ქუჩაში იფურთხებიან, ასეთი ბიჭები არ მომწონს, მაგრამ მადლობა ღმერთს, ნორმალურად ჩაცმული და სალად მოაზროვნე ბიჭებიც გვყავს. ერთი რამ ძალიან მიკვირს: რატომაა ჩვენი თაობის ბიჭების უმრავლესობა თანატოლი გოგონების მიმართ უხეში? რატომ არ აღგვიქვამენ ქალებად?

**— რას გულისხმობ?**

— მაგალითად, ჩემი თანატოლი ბიჭები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ავტობუსში სკამს არ დამითმობენ, ოთახში შესვლისას წინ არ გამატარებენ, თავაზიანად არ დამელაპარაკებიან...

**— „დალკში“ როგორი ბიჭები გყავთ?**

**თამარი:**

— „დალკის“ ბიჭებიც ჩვენნაირები არიან. მათ შეუძლიათ წერა, უყვართ კითხვა და საინტერესო თემებზე ლაპარაკი, ყოველგვარი შაბლონისა და პათეტიკის გარეშე. არ მიყვარს შაბლონები, ფილოსოფოსებისა და ცნობილი მწერლებისა თუ პოეტების ციტირება. მირჩევნია, ჩემებურად, უბრალოდ გამოვხატო სათქმელი. არ მინდა სხვების გაკვალულ გზაზე სიარული. ჩემს ბლოგზე ხშირად ვკიცხავ დაშტამპულ, ერთნაირად მოაზროვნე ადამიანებს. ყველანაირად ვცდილობთ, რომ ახალგაზრდებს მაგალითი მივცეთ, ვუჩვენოთ, როგორები უნდა იყვნენ, როგორ უნდა იქცეოდნენ და როგორ მეტყველებდნენ... ჩვენ, „დალკელები“, ჩვენი თაობისთვის ალბათ იგივენი ვიქნებით, რანიც ერთ დროს „თერგდალეულები“ იყვნენ.

**— ზედმეტად ამბიციურები ხომ არ ხართ? რატომ ფიქრობთ, რომ სხვებისთვის ქცევისა და საუბრის მანერების კარნახი შეგიძლიათ?**

— არა, მთლად ასეც არ არის. გვინდა, თანატოლებს ვუჩვენოთ, თუ როგორები ვართ და რას ვაკეთებთ; მათი ნებაა, თუ უნდათ, ჩვენსავით იცხოვრონ ანუ წერონ, იკითხონ, მონაწილეობა მიიღონ ლიტერატურულ კონკურსებსა და სპორტულ მარათონებში... რა ვიცი, მგონი, ბირჟაზე დგომას და დროის უქმად კარგვას ეს სჯობია. იცით, ლიტერატურულ კლუბში ჩემი თანატოლებისგან რამდენი საინტერესო რამ მოვისმინე და გავიგე?!.

**— გვანცა, ლიტერატურული კლუბის წევრთა ნაწერებს ვინ აფასებს?**

— მწერალთა კავშირის წარმომადგენლები. მათი აზრით, ეს ბავშვები საინტერესოდ და ახლებურად წერენ, აზროვნებენ...

**მარიკა:**

— ვიდრე „დალკის“ წევრი გავხდებოდი, ერთგვარი კომპლექსი მქონდა — მეგონა, „უცნაური“ აზრები მხოლოდ მე მქონდა. დედაჩემიც ხშირად მეუბნებოდა, — შენც დანარჩენებივით იცხოვრე, უცნაური აზრები ნუ გაწუხებსო. „დალკში“ ჩემიანები ვიპოვე, აქ ყველას „უცნაური“, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული აზრები გვაქვს, მაგრამ ამის გამო ერთმანეთს გიჟებად არ მივიჩნევთ. რადგან „დავითიანი“ საპატრიარქოსთან არსებული მოძრაობაა, „დალკი“ კი „დავითიანელების“ დაფუძნებულია, ბევრს ჰგონია, რომ მთელ დღეებს ლოცვაში ვატარებთ და მონაზვნებივით ვცხოვრობთ. სინამდვილეში, ჩვენთან სრული თავისუფლებაა. ლიტერატურულ კლუბში როცა გინდა, მაშინ მიხვალ; დაგხვდება თბილი ოთახი, ჩაი, ყავა, ფურცელი, კალამი... მთავარია, წერა შეგეძლოს.

**გვანცა:**

— „დავითიანის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი ის გახლავთ, რომ ბავშვებს თავისუფალი დრო საინტერესოდ გავატარებინოთ. უკვე გვაქვს ლიტერატორთა და მხატვართა კლუბი. ახლა მორაგბეების კლუბის ჩამოყალიბებაზე ვმუშაობთ.

**— თავად როგორ მოხვდი „დავითიანში“?**

— უნივერსიტეტში სწავლის დროს ინტელექტუალური თამაშის

ეროვნული ბიბლიოთეკა



— „ბიზნესკეისების“ ორგანიზატორი ვიყავი. ერთხელ ჩვენს თამაშს „დავითიანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, გიორგი მიქანაძე დაესწრო. რამდენიმე დღეში თანამშრომლობა შემომთავაზა. მეც სიხარულით დავთანხმდი.

**— კონკრეტულად რას აკეთებ?**

— ღონისძიებებს ვაწყობ. გარდა ამისა, პრობაციისა და პენიტენციარულ დაწესებულებებთან ვაგვარებ გარკვეულ საკითხებს. ცოტა ხნის წინ ამ უწყებებთან ერთად, უწმინდესის ინიციატივით, ახალი პროექტი განვახორციელეთ, რომლის ფარგლებშიც პატიმრებს ინგლისურსა და კომპიუტერს უფასოდ ვასწავლით. სულ 300 პრობაციონერს აქვს ამ პროგრამით სარგებლობის საშუალება. აღსანიშნავია ისიც, რომ ნებისმიერ მსურველს ვაძლევთ საშუალებას, დაესწროს ძველი და ახალი აღთქმის, ასევე კატეხიზმოს უფასო კურსებს. გარდა ამისა, შევასწავლით გამორჩენილ ადამიანთა და წმინდანთა ბიოგრაფიებს.

**— „დავითიანის“ მიერ მოწყობილ ღონისძიებებსა და განხორციელებულ პროგრამებში მონაწილეობის საშუალება მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიანებს ეძლევათ?**

— ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა, შეზღუდვები არავისთვის გვაქვს დაწესებული.

**მარიკა:**

— „დავითიანელები“ ქრისტიანობას „ცეცხლითა და მახვილით“ არ ავრცელებენ. ვისაც როგორ უნდა, ისე იქცევა. მთავარია, ზრდილობისა და ეთიკის ნორმები არ დაარღვიონ.

**თამარი:**

— „დავითიანში“ არაფერს გვაძალებენ... აქ ისეთი მშვიდი, მყუდრო გარემოა და ყველგან იმდენი ხატია, რომ თავად გიჩნდება ეკლესიაში სიარულის სურვილი.

**გაანცა:**

— სხვათა შორის, დავით აღმაშენებლის საფლავზე თვეში ერთხელ მაინც ჩავდივართ და პარაკლისს ვიხდით.

**— ამ ყველაფერს საპატრიარქო აფინანსებს?**

— საპატრიარქო და სხვა დონორი ორგანიზაციები. ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდებისთვის ყველაფერი უფასოა. მთავარია, ჩვენ რაიმე კარგის გაკეთების სურვილი გვქონდეს. ■



# ელიას ზეცად ატაცება და ელისე წინასწარმეტყველი

**განვაგრძობთ თხრობას ელია წინასწარმეტყველის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ამჯერად ელიას მოწაფეზე, ელისე წინასწარმეტყველზეც მოგითხრობთ.**

*შორენა მერკვილაძე*

ღვთის ბრძანებისამებრ, ელია წინასწარმეტყველმა ქორების მთა დატოვა და აბელ-მექოლში წავიდა, სადაც მომავალი წინასწარმეტყველი — ელისე ცხოვრობდა. ელისე შეძლებული ოჯახის შვილი იყო. როგორც წმინდა წერილი გვაუწყებს, ქალაქში შესულმა ელია წინასწარმეტყველმა „ჰპოვა ელისე... და დააგდო ხალენი იგი მისი მის ზედა“. ეს იყო სიმბოლური ნიშანი ელისეს წინასწარმეტყველად დაწინდვისა (ელიამ ვეღარ მოახერხა ღვთისგან მიღებული კიდევ ორი დავალების შესრულება და მათი შესრულება თავის მოწაფეს, ელისეს უანდერძა). ელისე მაშინვე გაჰყვა ელიას, მხოლოდ მშობლებთან გამომშვიდობების ნება ითხოვა. მას შემდეგ ელისე ელია წინასწარმეტყველს აღარ განშორებია: „აღდგა ელისე და შეუდგა და მსახურებდა მას“. — გვაუწყებს წმინდა წერილი.

მეფე აქაბის სიკვდილის შემდეგ ისრაელის სამეფო ტახტზე მისი ძე — ოქოზია ავიდა, რომელიც მამისა და დედის მსგავსად, ბაალის კერპს ემსახურებოდა. ერთხელ ოქოზია კლდიდან გადმოვარდა და დასნეულდა. მან მსახური გაგზავნა ბაალთან, რათა გაეგო, განიკურნებოდა თუ არა. მსახურს გზად ელია წინასწარმეტყველი შეხვდა, მას კერპთან წასვლა აუკრძალა და აუწყა, რომ ოქოზია ამ სნეულებისგან დაიღუპებოდა, რადგან ჭეშმარიტი ღმერთის ნაცვლად ცრუ ღმერთს სთხოვდა დახმარებას. მსახურმა ელია წინასწარმეტყველი ვერ იცნო, მაგრამ როდესაც მეფე ოქოზიას მომხდარის შესახებ მოუთხრო, ის მაშინვე მიხვდა, რომ უცხო კაცი ელია წინასწარმეტყველი იყო და შეიარაღებული რაზმი მის დასასჯელად ორჯერ გაგზავნა. რაზმის წევრები ზეციდან ჩამოვარდნილმა ცეცხლმა შთანთქა. მეფემ მესამედაც გაგზავნა ელიას მოსაკლავად რაზმი. ისინი სიკვდილს გადაურჩნენ, რადგან წინასწარმეტყველს შეწყალება სთხოვეს. ამის შემდეგ, ღვთის ნებით თავად ელია წინასწარმეტყველი მივიდა მეფე ოქოზიასთან და აუწყა უფლის ნება, რომ იგი სარეცლიდან ველარ გადმოვიდოდა, ვინაიდან ჭეშმარიტი ღმერთის ნაცვლად ცრუ ღმერთი იწამა. ამგვარად ამხილა წინასწარმეტყველმა უსჯულოებაში მყოფი მეფე... მისი წინასწარმეტყველება სულ მალე აღესრულა.



## ელია წინასწარმეტყველის ზეცად ატაცება

ელია წინასწარმეტყველს წინასწარ განეცხადა ღვთისგან, რომ მისი ამა სოფლად ყოფნის ჟამი იწურებოდა და ცოცხლად იქნებოდა ატაცებული ზეცად. ელიას მარტო დარჩენა სურდა, მაგრამ მოწაფემ არ დატოვა და თან გაჰყვა. როდესაც მდინარე იორდანეს მიადგნენ, ელიამ თავისი ხალენი აიღო და წყალს დაჰკრა. წყალი სასწაულებრივად გაიყო ორად და მდინარის მეორე ნაპირზე მშრალად გავიდნენ. ამ სასწაულის ხილვის შემდეგ ელიამ ელისეს უთხრა: „ითხოვე ჩემგან რაი გიყო შენ, სანამ ავმაღლდებოდე“. ელისემ

ელია წინასწარმეტყველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუგო: „ღვთის მადლი, რომელიც შენზეა გადმოსული, ჩემზეც გადმოვიდეს ორწილ მეტი“. „ძნელს მთხოვ, მაგრამ თუ დაინახავ ჩემს ატაცებას, გეყოს შენ ეგრე“, — მიუგო ელიამ. ამ დროს გამოჩნდა ცეცხლოვანი ეტლი, ცეცხლოვანი ცხენებით და ელია ზეცად იქნა ატაცებული. ელისე გაოცებული შესცქეროდა ამ სასწაულს. მოულოდნელად, მის წინ ხალენი დაეცა. ელისე უკან გაბრუნდა. მდინარე იორდანეს სანაპიროსთან ხალენი ორად გაკეცა და წყალს დაჰკრა. წყალი გაიყო და მეორე ნაპირზე გავიდა. ხალენის დატოვება იყო ნიშანი იმისა, რომ მასზე გადავიდა ღვთის მადლი, მიეცა ნიჭი წინასწარმეტყველებისა. ის მისია, რაც ელია წინასწარმეტყველს ჰქონდა, ელისეს უნდა გაეგრძელებინა. გადმოცემით, ელია წინასწარმეტყველის ხალენი საქართველოში, მცხეთაშია დავანებული. საინტერესოა, რატომ გამოარჩია უფალმა წინასწარმეტყველთაგან სწორედ ელია და ცოცხლად აღიყვანა ზეცად. ქრისტიანული სწავლებით, უფალმა ელია წმინდა და მართალი ცხოვრების გამო გამოარჩია. კაცობრიობის ისტორიაში ორი ასეთი შემთხვევა მოხდა — ზეცად ცოცხლად იქნნენ ატაცებული ძველი აღთქმის პატრიარქი ენუქი და ელია წინასწარმეტყველი. უფალმა ღირსყო ისინი, არ განეცადათ ხორციელი სიკვდილი. როგორც აპოკალიფსშია ნათქვამი, მეორედ მოსვლის ჟამს ისინი ანტიქრისტეს მიერ იქნებიან მოკვდინებულნი და მესამე დღეს მკვდრეთით აღდგებიან განახლებული, უხრწნელი ხორცით. ამ დრომდე ელიასა და ენუქს ჩვეულებრივი, ხრწნადი სხეული აქვთ, მაგრამ ღვთის განგებით დაცულია — მეორედ მოსვლამდე ბუნების კანონებს არ დაემორჩილება...

## როგორ აღმოჩნდა ელია წინასწარმეტყველის ხალენი საქართველოში?

ელია წინასწარმეტყველის ხალენის საქართველოში არსებობას ქართული ისტორიული წყაროები ადასტურებს: „მოქცევაის“ მიხედვით, სიდონიას თვისი მამის, აბიათარისგან სცოდნია, რომ უფლის კვართის დაკრძალვის ადგილი ორმაგი ძალით იყო მოსილი: ქრისტეს კვართის დაფვლამდე, ოდესღაც აქ დაუმარხავთ წინასწარმეტყველის ხალენი. „მოქცევაის“ შატბერული ვარიანტის თანახმად, სიდონია ამბობს, რომ მამისგან სმენია: „არს სხუაიცა ძალითა შემოსილი, მრჩობლი იგიცა ხალენი ელიასი ამას ქალაქსა შინა“... ელია წინასწარმეტყველის ხალენის მცხეთაში არსებობა წმინდა ნინოს ქართლში მოსვლის დროს გაცხადდა. რაც შეეხება ელიას ხალენის საქართველოში მოხვედრას, ამის შესახებ არავითარი ისტორიული წყაროები არ არსებობს. სავარაუდოდ, ეს უდიდესი სიწმინდე საქართველოში ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილ ებრაელებს უნდა შემოეტანათ. ცნობილია, რომ ებრაელები საქართველოში პირველად სწორედ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აოხრების პერიოდში ჩამოვიდნენ, როდესაც ისრაელიანთა ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოიფანტა, ნაწილი კი ნაბუქოდონოსორმა ბაბილონში გადაასახლა.

## ელისე წინასწარმეტყველი

ელისე წინასწარმეტყველი ელიას მოწაფე და მემკვიდრე იყო. უფალმა სიყრმის ასაკიდანვე მოუწოდა წინასწარმეტყველად მსახურებისთვის. იგი მიწათმოქმედი საფატის ოჯახში აღიზარდა. წინასწარმეტყველების ნიჭი ელიას ზეცად ამაღლების შემდეგ მიეცა. ის 65 წლის მანძილზე მოღვაწეობდა ისრაელის სამეფოში უსჯულო მეფეების, აქაბისა და იოსიას დროს. წინასწარმეტყველი უშიშრად ამხელდა მეფესაც და ისრაელიანებსაც უსჯულოებაში და მოუწოდებდა, მობრუნებულიყვნენ ჭეშმარიტი ღვთისკენ. მისი მოღვაწეობის პერიოდში ისრაელის სამეფოში გამრავლდა სარწმუნოებრივი საგანმანათლებლო სკოლები, სადაც ღვთივგაბრძმობილი წინასწარმეტყველისა და ღვთისგან რჩეული ადამიანების მიერ განისწავლებოდნენ ახალგაზრდები, რომლებიც წმინდა წერილში „ძენი წინასწარმეტყველთანის“ სახელით იხსენიებიან.

ელისე წინასწარმეტყველი აურაცხელ სასწაულს აღასრულებდა. ერთხელ მან კეთრისგან განკურნა ასურეთის მხედართმთავარი ნემანი, რომელმაც მადლიერების ნიშნად დიდძალი საბოძვარი მოართვა, მაგრამ წინასწარმეტყველმა არ მიიღო და მხედართმთავარი შინ ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა. ელისე წინასწარმეტყველის მიერ



ელისე წინასწარმეტყველი

აღსრულებულ სასწაულთაგან განსაკუთრებით აღნიშნავენ გარდაცვლილი ყრმის გაცოცხლებას. ერთხანობას ელისე ისაქანის ტომის ქალაქ სომანში, კეთილმორწმუნე დედაკაცის ოჯახში სტუმრობდა. ოჯახს შვილი არ ჰყავდა, რაც ისრაელიანთა შორის ღვთისგან მოვლინებულ უმძიმეს სასჯელად მიიჩნეოდა. წინასწარმეტყველის სიტყვით ცოლ-ქმარს ვაჟი შეეძინა. ერთხელ ყრმამ თავის ტკივილი იგრძნო და დედის კალთაში გარდაიცვალა. ყრმის დედა წინასწარმეტყველთან წავიდა, რომელიც იმ დროს უკვე კარმილის მთაზე იყო განმარტოებული. როდესაც ელისემ მასთან მისული ქალი დაინახა, უთხრა: „მშვიდობა არს შენდა და მშვიდობა არს ქმრისა შენისა, გინა მშვიდობით არს ყრმა იგი?“ ელისეს ეს სიტყვები იმაზე მიანიშნებდა, რომ წინასწარმეტყველნი ყველაფერს არ ჭვრეტდნენ. მხოლოდ იმას, რასაც სულიწმიდა განუცხადებდა. ელისე დედაკაცს შინ გაჰყვა, მხურვალედ ილოცა ყრმის ცხედართან და ყრმას სიცოცხლე დაუბრუნა. უფალმა ელისეს ხელით არაერთი სასწაული აღასრულა, რათა ისრაელიანები მობრუნებულიყვნენ ჭეშმარიტი ღვთისკენ და განმტკიცებულიყვნენ რწმენაში, თუმცა ისრაელიანთა უმეტესობამ არც მისი ისმინა. ელისე წინასწარმეტყველი ამა სოფლიდან ღრმად მოხუცებული წავიდა. იგი სამარიის მახლობლად, გამოქვაბულში დაკრძალეს. ელისეს სახელი უფლის ნებით გარდაცვალების შემდეგაც განდიდდა სასწაულებით. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სად იპოვეს ქართველმა მოგზაურებმა ირანელი დუტა სხირტლაძე?

ელენე ბასილიძე

ერთ დღეს ჩემს უცხოელ მეგობრებთან ერთად ჰოსტელ „თბილისში“ აღმოვჩნდი. ალბათ თქვენც, ჩემი არ იყოს, არაფერი გაგიგიათ ამ საერთო საცხოვრებლის შესახებ, რომელსაც ძირითადად უცხოელი ტურისტები სტუმრობენ, სასტუმროს კედლები კი მთელი მსოფლიოდან ჩამოსული მოგზაურების მიერ მიწერილ გზავნილებს ეთმობა, რომლებსაც ისინი თბილისის ძველი უბნიდან მთელ მსოფლიოს უზიარებენ. ჯერ კიდევ ამ ადგილის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილებების ქვეშ ვიყავი, როცა მისი მეპატრონე დათა ლაფაური და დათას მეგობარი, ბექა ტალახაძე გავიცანი. მათ ერთმანეთთან ბიზნესიც აკავშირებთ — ეთნიკური ბარი აქვთ გახსნილი, რომელსაც კლიენტები მთელი მსოფლიოდან სტუმრობენ. ამასთან ერთად ბიჭები ბევრს მოგზაურობენ. მათთან საუბრისას ბევრი საინტერესო რამ შევიტყვე და ვიფიქრე, მათი ამბები თქვენც დაგაინტერესებდათ...

**ბექა:**

— მეც და დათაც 23 წლის ვართ. ერთმანეთი ფორტეპიანოს გაკვეთილებზე სიარულისას გავიცანით. 15 წელია, ვმეგობრობთ...

**დათა:**

— ბავშვობაში ანსამბლში — „ბიჭები“ — ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს ვმღეროდით. იმ დროიდან ვძმაკაცობთ. სულ რაღაც ერთი კვირაა, ერთობლივი ბიზნესიც წამოვიწყეთ — ბარი გავხსენით.

**— როგორც ვიცი, ეს ბარი თქვენი პირველი ბიზნესი არაა, ხომ?**

— ჩემი პირველი ბიზნესი „ლიზუმების“ კეთება იყო. ალბათ ყველას ახსოვს ბუშტები, რომელშიც ფქვილი ეყარა, თვალები და ცხვირპირი ჰქონდა მიხატული და ათასნაირ ფორმას იღებდა. ერთ დღეს მივხვდი, რომ მისი გაკეთება მეც შემეძლო. მე და ჩემმა დამ ბუშტები ვიყიდეთ და ლიზუმების „სერიული წარმოება“ დავიწყეთ. მერე ბიზნესკარიერაში თორმეტწლიანი „ჩავარდნა“ მქონდა — სკოლაში, უნივერსიტეტში ვსწავლობდი, არაერთი სამსახური გამოვიცვალე... ერთ დღეს, როცა მივხვდი, ჩემი სამსახურიდან დიდი ვერაფერი ხეირი იყო, სამოგზაუროდ წავედი. იქიდან ჩამოსულმა კი წელიწად-ნახევრის წინ თბილისში პირველი ჰოსტელი — „თბილისი“ გავხსენი.

**ბექა:**

— ბიზნესსაქმიანობა დათასავით ღრმა ბავშვობაში არ დამიწყია, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე, შემდეგ საბუღალტრო კურსებზეც ვიარე. ბუღალტრად მუშაობა რომ მომწყინდა, შავი ზღვის სანაპიროზე ბარში სამუშაოდ წავედი, იქიდან ჩამოსულმა კი 2 მეგობართან ერთად „ანდერგრაუნდის“ სტილის ბარი — „ბუდე“ გავხსენი. ვღებავდით, ვჭრიდით, დიზაინს ვაკეთებდით, ვჭედავდით და პარტნიორებსაც თავადვე ვპოულობდით, დიდი გაჭირვებით. არავინ გვყავდა ისეთი, ვინც რჩევას მაინც მოგვცემდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენმა ბიზნესმა გაამართლა. შემდეგ ის ბარი გავყიდე და ჰოსტელი „ნესთ“ (ბუდე) გავხსენი თბილისსა და მესტიაში.



**— ანუ მეგობრები ერთმანეთის კონკურენტები ხართ?**

— არა, დათას კონკურენტი რომ არ ვყოფილიყავი, მე „წყნარი“ ჰოსტელი გავაკეთე, სადაც ხალხი მხოლოდ დასაძინებლად მოდის. გართობა და ღამის გათენება თუ სურთ, დათასთან ვგზავნი. ზამთრის სეზონი ტურისტების სიმრავლით არ გამოირჩევა. გაზაფხულსა და ზაფხულში კი სტუმრებს ვერ ავუდივართ.

**დათა:**

— სპეციალურად შევარჩიე ისეთი ადგილი, სადაც ხალხმრავლობა არ იქნებოდა და ავლაბარში, პატარა ლამაზ ქართულ უბანში გავხსენი სასტუმრო. ტურისტებს ეს ადგილი ისე მოსწონთ, 3 დღით ჩამოსულები 3 თვეც დარჩენილან.

**— დათა, ბიზნესიდეა საიდან მოგივიდა — ბინა გქონდა თავისუფალი?**

— არა, ბინა დღესაც არ მაქვს. ჰოსტელის ფართობს ვქირაობ. სამოგზაუროდ რომ ვიყავი, ყველაზე იაფი ღამის გასათევი ადგილი ჰოსტელი იყო. საქართველოში ჩამოსულმა შევნიშნე, რომ თბილისში ამ ტიპის სასტუმრო არ გვქონდა. მახსოვს, როცა სასტუმროს გახსნა გადავწყვიტე, მეგობრები მეხმარებოდნენ, ფული კი არ გვქონდა. ბინის პატრონს მოველაპარაკეთ, რომ ქირას თვის ბოლოს გადავუხდიდით და 8 ცალი ლეიბი და ღვინის ჭი-



**როცა მივხვდი, ჩემი სამსახურიდან დიდი ვერაფერი ხეირი იყო, სამოგზაუროდ წავედი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქები ვიყიდეთ. დროთა განმავლობაში კი ყველაფერი შევიძინეთ. რაც შეეხება სასტუმროს დიზაინს (*სასტუმროს კედლებზე ნახატები და წარწერები აღარ ეტევა. — ავტ.*), ეს ყველაფერი იმ სტუმრებმა გვისახსოვრეს, რომლებსაც ჩვენთან ცხოვრება მოეწონათ და გადაწყვიტეს, სამახსოვროდ წარწერა ან ნახატი დაეტოვებინათ. უკვე წელიწად-ნახევარია, ჩვენი სასტუმრო არსებობს.

**— ალბათ არაერთი საინტერესო მოგზაურისთვის გიმასპინძლიათ...**

— ყოველდღე ვხვდებით ისეთ ადამიანს, რომელზეც წიგნი დაიწერება. მოგზაური, რომელიც ზურგჩანთას იღებს და ფეხით ან ველოსიპედით მოგზაურობს, თავისთავად საინტერესოა.

**ბექა:**

— გვახსოვს ანტუანი საფრანგეთიდან, რომელიც ბრმა იყო, მაგრამ 8 თვის განმავლობაში მოგზაურობდა. ჰყავდა ძაღლი, რომელთან ერთადაც დადიოდა. ფოტოკამერის მაგივრად კი დიქტოფონი დაჰქონდა და ხმებს იწერდა.

**დათა:**

— ბევრ სტუმართან დავმეგობრდით და დღემდე ვაგრძელებთ მათთან მიმოწერას. ევროპის ყველა ქვეყანაში გვყავს მეგობრები. ჩვენმა ნიუ-იორკელმა მეგობარმა, რომელიც შარშან საქართველოში მარტო მოგზაურობდა, წელს მეგობრები ჩამოიყვანა, რომ საქართველო, ჩემი ჰოსტელი ეჩვენებინა და ჭაჭა გაესინჯებინა.

**— ქართველ და უცხოელ მოგზაურებს შორის დიდი განსხვავებაა?**

**ბექა:**

— როგორც წესი, ჩვენებს მოგზაურობა ასე წარმოუდგენიათ: ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო უნდა დაჯავშნონ, წინასწარ დაგეგმონ მარშრუტი, მერე მთელი „გუგლი" გადაიკითხონ და ზეპირად ისწავლონ, თუ რა უნდა ნახონ. ფიქრობენ, რომ მოგზაურობისთვის ბევრი ფული სჭირდებათ. არადა, გაცილებით ნაკლები ფული გეხარჯება, ვიდრე ყოველდღიურად — თბილისში.

**— დავუბრუნდეთ თქვენს ბიზნესს. ახლახან ეთნიკური ბარი „კანუდოსი" გახსენით...**

**ბექა:**

— გვინდოდა, რაღაც გაგვეკეთებინა და ვინაიდან მე გამოცდილება მქონდა, ბარი გავხსენით. მოგზაურობისას ბევრნაირი ბარი გვინახავს, მერე შევაჯამეთ, შევაერთეთ და „კანუდოსი" გამოვიდა.

**დათა:**

— ჩვენს ბარში მთელი მსოფლიოს კულტურა მოიყრის თავს. მაგალითად, წინა კვირას „ინდური ჩაის დღე" გვქონდა და ბევრი ადამიანი, რომელთაც არასოდეს გაესინჯათ ინდური ჩაი, ძალიან გავახარეთ. გვინდა, ბარის ყველა სტუმარს ჩვენი მოგზაურობის გამოცდილება გავუზიაროთ. ბარი იქნება თავისუფალი კულტურული სივრცე, სადაც არაერთი კულტურა „შეხვდება" ერთმანეთს და ადამიანები ბევრ სიახლეს შეიტყობენ.

**— „კანუდოსი" რატომ დაარქვით?**

— კანუდოსი ბრაზილიის ისტორიული ქალაქი იყო, სიმბოლურად იგი კეთილი ხალხის ქალაქი და ზოგადად, კარგი ინიციატივების სიმბოლოა. გვინდა, ჩვენს ბარსაც ასეთი დატვირთვა ჰქონდეს.



7 დღის განმავლობაში ჰიმალაების ბილიკებს მივუყვებოდით

**— დათა, ვიცი, რომ მოგზაურობა ძალიან გიყვარს. რამდენი ქვეყანა მოიარე, გახსოვს?**

— ზუსტად არ დამითვლია, ოცამდე ქვეყანა მაქვს ნანახი. აზიაში 6 თვე ვმოგზაურობდი, ვიყავი ნეპალში, მალაიზიაში, ინდოეთსა და ტაილანდში. დაუგეგმავი და მოულოდნელი მოგზაურობა ძალიან საინტერესოა, გაფართოებული და აღფრთოვანებული თვალებით შესცქერი ყველაფერს. მახსოვს, სტამბოლიდან დუბაიმდე და შემდეგ დუბაიდან — ნეპალამდე 14 საათი ვიფრინეთ. ნეპალს მივუახლოვდით, უკვე უნდა დავშვებულიყავით, კატმანდუს თავზე მივფრინავდით, რომ ილუმინატორიდან გადავიხედეთ, მაგრამ შუქი არსად ჩანდა. ყველაფერი ჩაბნელებული იყო. პილოტმა გამოაცხადა: — პატივცემულო მგზავრებო, არ ინერვიულოთ, უკვე კატმანდუს თავზე ვართ, მაგრამ აეროპორტს ელექტროენერგია არ მიეწოდება და დაცდა მოგვიწევსო. ნახევარი საათი ვიფრინეთ კატმანდუს თავზე. მერე როგორც ჩანს, აეროპორტში გენერატორისთვის ბენზინი მეზობელს სთხოვეს და ასაფრენი ბილიკი გაგვინათეს. ჩავედით სრულიად ბნელ ქალაქში. ქუჩაში ცეცხლი ენთო, უკუნ სიბნელეში მოტოციკლები დაზუზუნებდნენ, ძროხები დაბოტებდნენ...

— ეს სად ვარ?! — ხვალ გავიხედ-გამოვიხედავ და თუ ისევ ასე მომეჩვენა ყველაფერი, სასწრაფოდ სხვა ქვეყანაში წავალ-მეთქი, — ვიფიქრე. თან ისეთ სასტუმროში მიგვიყვანეს, მხოლოდ საშინელებათა ფილმებში რომ გვინახავს, მაგრამ დილით რომ გავიღვიძეთ, იქაურობა უკვე ძალიან გვიყვარდა. ნეპალში მთა ანაპურნის საბაზო ბანაკში ვიყავით, რომელიც ზღვის დონიდან 4300 მეტრზე მდებარეობს. გზა ულამაზესია, 7 დღის განმავლობაში ჰიმალაების ბილიკებს მივუყვებოდით, არაერთი ადამიანი ვნახეთ, რომლებსაც მთელი ცხოვრება მთაში ჰქონდათ გატარებული და ზურგზე სამოცკილოიანი ტვირთით ქურციკებივით დახტოდნენ. საბაზო ბანაკში ადგილი ვერ ვიშოვეთ და კარავში გავათენეთ ღამე, რომლის ელვაშესაკრავი არ იკვრებოდა და ლამის გავიყინეთ. დილით ისევ გავაგრძელეთ გზა წვიმაში. 9-საათიანი სიარულის შემდეგ ყოველი ნაბიჯი ტკივილს გვაყენებდა. როგორც იქნა, ერთ პატარა ჰიმალაიურ სოფელს მივაღწიეთ, სადაც მანქანას არასოდეს გაუვლია და ერთადერთი სატრანსპორტო საშუალება ვირია. გავიხედეთ და პატარა სასტუმროს რეკლამა დავინახეთ, რომლის აბრაზეც წერია: „საუკეთესო შოკოლადის ნამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვარი ჰიმალაებში“. სასტუმროში შუაცეცხლი ენთო, „სასტიკად“ გემრიელი სუნი ტრიალებდა და მოხუცი ბებო შოკოლადის ნამცხვარს



გვეხუტებოდნენ, გვკოცნიდნენ, ფოტოებს იღებდნენ ჩვენთან

გვიცხობდა. თბილ შუშაბანდში ვისხედით, ჰიმალაების მთაგრეხილს ვუცქერდით და ძალიან ბედნიერები ვიყავით... ასეთ ადგილებში ძალიან ცოტა გყოფნის ბედნიერებისთვის და აფასებ იმას, რასაც თბილისში ყურადღებასაც კი არ მიაქცევდი.

— **როგორც ვიცი, ერთად იმოგზაურეთ ერევანსა და ირანში...**

**ბექა:**

— დათამ ირანში წასვლა შემომთავაზა. სასწრაფოდ მოვაგვარე ყველა საქმე, თითო-თითო თხელი პლედი ჩავაგდეთ ჩანთაში, მარნეულამდე „მარშრუტკით“ ჩავედით, იქიდან კი ავტოსტოპით განვაგრძეთ გზა ერევნამდე. ერევანში 2 დღე დავრჩით. ირანში მთვრალი თუ დაგიჭირეს, სახალხოდ ჩაგხდიან და 30 ჯოხს დაგარტყამენ. აბა, გვინდოდა ჩვენ ეგ? ამიტომ, ერევანში გამოვთვერით. სომხეთისა და ირანის საზღვარზე ისე დაგვიბნელდა, გზას ვეღარ ვაგნებდით და თავი ტრაილერების გასაჩერებელ ადგილს შევაფარეთ, სადაც გვიპატრონეს, ჩაი დაგვალევინეს... მანამდე ერთ მთვრალ სომეხ მძღოლთან ვისხედით მანქანაში, რომელიც ყოველ მოსახვევში „ასოთხმოცით“ შედიოდა. ირანში ერთი კაცი გავიცანით. თუკი მანამდე, ქუჩაში გავლისას ყველა ჩვენ გვიყურებდა და ჩვენთან ფოტოებს იღებდა, იმ კაცთან ერთად რომ დავდიოდით, ყველა მას ეხვეოდა. თურმე იქაური „დუტა სხირტლაძე“ არ ყოფილა?! ირანში რა ელექტრომოწყობილობაც უნდა ჩაგერთოთ, ის კაცი ჩანდა (*იცინიან*).

**დათა:**

— ის კაცი მოლას ტანსაცმლის შოვნაში გვეხმარებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, არ მოგვყიდეს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი წვერი მქონდა, მიხვდნენ, რომ მოლა არ ვიყავი. სამაგიეროდ, პაკისტანური ტურბანი ვიყიდე და იმით ჩამოვედი თბილისში. ირანში ყველაზე ძლიერი ემოცია ფერეიდანში მოგზაურობამ გამოიწვია. ყველამ იცის, რომ იქ პატრიოტი ქართველები ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ ყველაფერი.

**ბექა:**

— როცა ფერეიდანის მონახულება გადავწყვიტეთ, ავტობუსში ავედით თუ არა, წარმომავლობა გვკითხეს. „გურჯისტანი“ რომ ვუთხარით, ავტობუსის ბოლოდან ვიღაცამ ქართულად დაგვიძახა, — ქართველები ხართო?! მოვიდა, ჩაგვეხუტა, ცრემლები მოადგა კაცს... ნამაია საქართველოო (ლამაზია, კარგია)? — გვეკითხებოდა. იმ კაცმა თავისი მეგობრის ქორწილში დაგვპატიჟა და ჩასვლისთანავე პირდაპირ ქორწილში აღმოვჩნდით, სადაც ყველამ იცოდა, რომ საქართველოდან 2 ბიჭი ესტუმრათ. გვეხუტებოდნენ, გვკოცნიდნენ, ფოტოებს იღებდნენ ჩვენთან. თავი სიზმარში გვეგონა — შოკი მივიღეთ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ოდესმე ქართული ცეკვით თუ გავხდებოდი ცნობილი. ქორწილში ისე მოვილხინეთ, რომ მეორე დღეს ქუჩაში შემხვედრი ადამიანები მობილურებში ვიდეოებს გვაჩვენებდნენ, მე და დათა როგორ ვცეკვავდით.

**დათა:**

— ფერეიდნელები ცეკვას შვიშპრობას ეძახიან და მინდა აღვნიშნო, რომ ეს საქმე ძალიან ცუდად გამომდის. ბექა ბავშვობაში მაინც დადიოდა ცეკვაზე, მე კი ტელევიზორში და კონცერტზე ნანახ მოძრაობებს ვიხსენებდი. ფერეიდნელები საქართველოს დედამიწას ეძახიან, ფერეიდანს კი — პატარა საქართველოს. ირანში ჩასახლებულებმა ახალ სოფლებს თავ-თავიანთი ქართული სოფლების სახელები დაარქვეს. 2 დღის განმავლობაში 4 ქორწილში დაგვპატიჟეს, ყველას უნდოდა, ქართველი საპატიო სტუმრებისთვის პატივი ეცა. მათთან საუბარი გულის ამაჩუყებელია, ყველა იმ ოცნებით ცხოვრობს, რომ ოდესმე საქართველოში დაბრუნდება.

**ბექა:**

— ყველამ იცის ქართული. ქართველების ირანელმა მეზობლებმაც კი იციან ჩვენი ენა.

**დათა:**

— რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ფერეიდნელებს ქართველებისთვის დამახასიათებელი თვისებები არ დაუკარგავთ, ერთ დღეს თავიანთი მეგობარი — მუჰამედი გაგვაცნეს, — ჩვენი მეზობელიაო. ამ დროს მეორე ქართველმა კახური აქცენტით დააყოლა, — სპარსია, ამის დედა კი ვატირეო. ყველა სახლში გვეპატიჟებოდა; ჩაის გვასმევდნენ... ბოლოს ვეუბნებოდით, — წამოვალთ თქვენთან, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ჩაის ნუღარ დაგვალევინებთ-თქო (ხარხარებენ). ირანში აქლემის ხორციც გავსინჯეთ.

— **ახლო მომავალში კიდევ აპირებთ მოგზაურობას?**

**ბექა:**

— ჩემი მეგობრისგან საშობაო საჩუქარი მივიღე და ერთი კვირით ეგვიპტეში წავალ.

**დათა:**

— გაზაფხულზე აზიის რამდენიმე ქვეყნის მონახულება გვინდა, მაგრამ წინასწარ ლაპარაკი კარგად არ გვაქვს დაცდილი. რაც მთავარია, მყავს მეგობარი ბექას სახით, რომელთან ერთადაც მოგზაურობა დიდი სიამოვნებაა.

**ბექა:**

— თუ მოგზაურობისას გვერდით ისეთი ადამიანი გყავს, რომელსაც უგებ, ყველაზე მაგარია! არ მეგულება მეგობრები, რომლებიც უდაბნოში ისე გართულიყვნენ, როგორც ჩვენ. ჩვენთვის ცხოვრებაში ადგილი, რომელსაც მოვძებნით და გავჩერდებით — არ არსებობს! ცხოვრება გზაა, რომელსაც მივყვებით და ვვითარდებით. გვინდა, დიდი გამოცდილება შევიძინოთ და სხვებსაც გავუზიაროთ. ერთი სათხოვარი მაქვს, შეიძლება, თქვენი ჟურნალის საშუალებით მოკითხვა ჩვენს ბებიებს გადავცეთ? ვიცი, ამ სტატიას წაიკითხავენ და ძალიან გაუხარდებათ.

— **შეგიძლიათ...**

**დათა:**

— ეთერ ბებოს და მედეა ბებოს მოვიკითხავ.

**ბექა:**

— მე კი ფატი ბებოს და ლენა ბებოს!

■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მამაჩემი კომუნისტებმა აგენტობაზე უარის თქმის გამო გააქრეს, ჩვენ კი ციმბირში გადაგვასახლეს!"

**ყოველთვის, როდესაც 70-წლიანი საბჭოთა რეჟიმის ნოსტალგიური ქება-დიდება მესმის, სახელმწიფო საზღვრით შუაზე გაყოფილი სოფელი სარფი და იქაურთა ტრაგიკული ამბები მახსენდება ხოლმე: 1921 წელს სარფი საბჭოთა საქართველოსა და ქემალისტურ თურქეთს შორის ზუსტად ისე გაიყო, როგორც მოსკოვში ისურვეს: ვლადიმირ ილიჩ ლენინმა რუკაზე სახელმწიფო საზღვარი ალალბედად, წითელი ფანქრით გაავლო, იქვე, კიდეზე ხელიც მოაწერა და ეს „დოკუმენტი" საქართველოში გამოგზავნა. წითელი პროლეტარიატის ბელადს წარმოდგენა არ ჰქონდა სარფზე და შესაბამისად, არც ის იცოდა, რომ საზღვარი პირდაპირ შუა სოფელზე გაატარა.**



ნურიე ნარაკიძე: „ისეთი დღეები გამოვიარე, გახსენებაც კი მიჭირს!"

*მიხეილ ლაბაძე*

1922 წელს, როდესაც საქართველოს გასაბჭოება დე ფაქტო მთელმა მსოფლიომ აღიარა და თურქეთმაც ართვინის, რიზესა და არტაანის ვილაიეთები შემოიმტკიცა, ახალი სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისას, კომუნისტებმა მკაცრად დაიცვეს „ლენინური მითითებები" — სოფელ სარფის აღმოსავლეთი ნაწილი საქართველოს დარჩა, დასავლეთი კი თურქეთს მიეკუთვნა. მთავარ სასაზღვრო ორიენტირად კი პატარა ღელე — ტიბაში დადგინდა. ამის შედეგად, ღელის გაღმა-გამოღმა მცხოვრებ დედმამიშვილთა სახლები სხვადასხვა ქვეყანაში აღმოჩნდა. ზოგი ოჯახი ე.წ. „ნეიტრალურ ზონაში" მოექცა და ცხადია, დემარკაციას შეეწირა.

ძველთაგანვე, ტიბაშის გაღმა-გამოღმა — „ბინაში ოფუტეს" სახელით ცნობილ უბანში, ნარაკიძეთა გვარი სახლობდა. კომუნისტებმა მათი ნაწილი იქიდან აყარეს და სხვა ადგილებში გაასახლეს. „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" მხოლოდ ერთეულები შეეწინააღმდეგნენ. მათ შორის იყო მეთევზეთა არტელის რეიზი (ხელმძღვანელი) ომერ ნარაკიძე, რომელმაც საზღვრისპირა ზონიდან გადასახლებაზე კატეგორიული უარი თქვა; არადა, მისი ეზო მთლიანად „ნეიტრალურ ზონაში" იყო მოქცეული და საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ სახლი იყო დარჩენილი. მესაზღვრეებს ამ სახლის დანგრევა სურდათ, მაგრამ ომერი მტკიცედ იდგა თავის ნათქვამზე. რა თქმა უნდა, კომუნისტებს მისთვის ლოლიავი არ დაუწყიათ: 1939 წელს, როცა თურქეთთან ურთიერთობა გართულდა და საზღვრის ჩაკეტვისა და მკაცრად დაცვის საკითხი დღის წესრიგში დადგა, ომერ ნარაკიძე საბჭოთა უშიშროებამ დააკავა და მერე უკვალოდ გააქრო. გადმოცემით, ის სასამართლოს შემდეგ ციხეში არც გადაუყვანიათ — ჭოროხის ხიდქვეშ დახვრიტეს და გვამი ზღვაში გადააგდეს.

ომერ ნარაკიძის ქალიშვილი ნურიე დღესაც სარფში ცხოვრობს. კომუნისტებმა არც ის და დედამისი მოასვენეს: ომერის უკვალოდ გაქრობიდან 10 წლის შემდეგ ნურიე და ხატიჯე (იგივე კაკიჯე) ნარაკიძეები გადასახლებულ ლაზთა შორის აღმოჩნდნენ. მათ სტალინის სიკვდილის მერე ციმბირიდან თვითნებურად გაქცევა და სარფში დაბრუნება შეძლეს; ცხადია, სახლი მიწასთან გასწორებული დახვდათ — იმ ადგილას ამჟამადაც მესაზღვრეთა სათვალთვალო კოშკი (ე.წ. „ვიშკა") დგას, ხოლო მის ძირში სახლის საძირკვლის ნანგრევებია დარჩენილი.

## მაშინ ბოსტანში ჩასვლასაც კი სპეციალური საბუთი უნდოდა, გაღმა გახედვა კი აკრძალული გვქონდა...

გადასახლების პერიოდში განცდილ-ნანახისა და საბჭოთა რეჟიმის სხვა სიავეთა შესახებ სასაუბროდ ქალბატონ ნურიეს შინ ვეწვიე.

**ნურიე ნარაკიძე:**

— ორმაგად რეპრესირებული ვარ — 1939 წელს მამაჩემი, ომერ ნარაკიძე (ოსმალური გვარით — ჩაქიროღლი) კომუნისტებმა დაიჭირეს და უკვალოდ გააქრეს, ათი წლის შემდეგ კი დედაჩემთან ერთად მეც ციმბირში გადამასახლეს. ზედ ახლანდელ საზღვარზე გვედგა სახლი. მამა მეთევზე იყო, პოლიტიკასთან კავშირი საერთოდ არ ჰქონდა, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლები მაინც ძალიან ავიწროებდნენ — სთხოვდნენ, გაღმა სარფში გადასულიყო და ზოგიერთი იქაურის შესახებ ინფორმაცია მოეპოვებინა. მამაჩემი მუდამ უარზე იყო და რადგან აგენტად ვერ აქციეს, დაიჭირეს.

**— რამდენი წლის იყავით, როცა გადაგასახლეს?**

— 13-ის. ძალიან კარგად მახსოვს ის ღამეც — გვიანი იყო, მაგრამ დედაჩემს არ ეძინა. ლოგინზე იჯდა და წინდას ქსოვდა. მამაჩემის დაჭერისა და ჩემი უმცროსი ძმის სიკვდილის (ის ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა გარდაიცვალა) შემდეგ, დედას (ხატიჯე ერქვა) უძილობა დასჩემდა და ღამეებს თეთრად ათენებდა ხოლმე. უცებ კარზე დააკაკუნეს; დედაჩემი წამოდგა და გაალო თუ არა კარი, სამხედროები შემოცვივდნენ: აბა ჩქარა, ორ საათში რასაც მოაგროვებთ, წამოიღეთ და მოგვყევით, გასახლებთ აქედანო, — გვიბრძანეს. დედაჩემის მოთქმამ გამომაფხიზლა. სასწრაფოდ შევკარით ბარგიბარხანა და გამოგვყარეს გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაჩემი ხმამაღლა მოთქვამდა და აჩუმებდნენ — არ უნდოდათ, მეზობლებს გაეგოთ, რომ გვასახლებდნენ. შუაღამე იყო და ყველას ეძინა. ბიძაჩემის სახლს ჩავუარეთ და იქიდანაც ჩამიჩუმი არ ისმოდა. ასე ჩამოვედით ქვემოთ, სარფის ცენტრში; იქ საბარგო მანქანა გვიცდიდა. იმ დღეს სარფიდან ჩვენ გარდა, კიდევ ორ ოჯახს — ხორავებსა და კახიძეებსაც ასახლებდნენ. ყველანი ერთად ჩაგვყარეს საბარგო მანქანაში და რკინიგზის სადგურისკენ წაგვიყვანეს...

— **იქ კი სატვირთო ვაგონები გელოდათ, არა?**

— დიახ... კარგად მახსოვს, ივლისი იდგა, საშინლად ცხელოდა, ჩვენ კი უბოდიშოდ შეგვყარეს უფანჯრო, სატვირთო ვაგონებში. გადასახლებულები იმდენი ვიყავით, სივიწროვისგან ვერც ვინძრეოდით. კარიც მოგვიკეტეს და ის პატარა სარკმლებიც, საიდანაც ჰაერი შემოდიოდა. ვაგონში მყოფებს სული შეგვეხუთა, ზოგს გულიც წაუვიდა.



სპეცგადასახლებულები ხეტყის დამამზადებელ მეურნეობაში, ვასიუგანთან ახლოს, 1949 წელი. ფოტო ამოღებულია ცნობილი ესტონელი მწერლის, ხსენებული მეურნეობის ყოფილი მუშის – ენო რაუდის მოგონებათა წიგნიდან.

დავიწყეთ ყვირილი, ძახილი, მაგრამ ყურს ვინ გვიგდებდა?! ბოლოს, ერთმა ბათუმელმა აისორმა იმარჯვა და პატარა სარკმელი გაალო. მოკლედ, ორმოცი დღე ასე, ვაგონში ჩაკეტილებმა ვიარეთ. არც ვიცოდით, სად მივყავდით და არც არაფერს გვეუბნებოდნენ. პირველად კრასნოდარის მხარეში გაგვაჩერეს — სადგურ ტიხორეცკში, სადაც მატარებელს ერთი ვაგონი მოხსნეს — ბერძნები ჰყავდათ იქ — და ყაზახეთისკენ გაუშვეს. ჩვენ კი ციმბირისკენ გავაგრძელეთ გზა.

— **ციმბირამდე აღარ შეჩერებულხართ?**

— როგორ არა, ვჩერდებოდით... ერთხელაც გავჩერდით და ერთი ქალი — რა ვიცი, რას აპირებდა, მატარებლის ქვეშ იყო შემძვრალი. დაძვრისას, გამოსვლა ველარ მოასწრო და ვაგონებმა ზედ გადაუარა. მერე მისი შვილი ცემით კინაღამ მოკლეს, — ასე რატომ მოხდაო! არადა, რა მისი ბრალი იყო?! ტომსკში რომ ჩაგვიყვანეს, ყველანი დიდ მოედანზე დაგვამწკრივეს. მეგონა, აქ გვტოვებენ-მეთქი, მაგრამ თურმე ვცდებოდი — გაგვიყვანეს მდინარე ობის სანაპიროზე, სადაც დიდი გემი გველოდა. ამ გემის ტრიუმში ჩაგვყარეს და ისევ გავაგრძელეთ გზა. გავედით მდინარე ვასიუგანზე... იქ უკვე ბარჟაში გადაგვსხეს და ნელ-ნელა, გადასახლების ადგილებზე გადაგვანაწილეს — ბარჟა ყოველ სოფელში ჩერდებოდა და ორ-ორი, სამ-სამი ოჯახი ჩაჰყავდათ. ჩვენ ყველაზე ბოლოს გამოგვიძახეს და სადღაც შუაგულ ტაიგაში — ხეტყის დამზადების მეურნეობაში დაგვტოვეს.

— **იქ გამუშავებდნენ?**

— აუტანელ პირობებში გვამუშავებდნენ, ვერც დედამ და ვერც სხვებმა ვერ შეძლეს იმ ტაიგაში მუშაობა და ბოლოს, უფრო მოშორებით — კოლმეურნეობაში გადაგვიყვანეს. იქ კომბოსტოს, კარტოფილს, ხორბალს თესდნენ, მაგრამ ისეთი მკაცრი ჰავა იყო, შემოსვლას ვერც ასწრებდა და სათბურებში გადაჰქონდათ ყველაფერი; მოკლედ, ძალიან წვალობდნენ, მაგრამ ხეტყის დამზადების მეურნეობას იქაურობა მაინც, ასე თუ ისე, სჯობდა...

— **თქვენი გადასახლების მთავარი საბაბი რა იყო, არ გითხრეს?**

— სხვათა შორის, გვითხრეს, რომ ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით საზღვართან და მოშორებით უნდა გადავეყვანეთ. მართლაც შორს გადაგვიყვანეს! ციმბირში გადასახლებულებს კომენდანტი გვადევნებდა თვალყურს — ყოველდღე მასთან უნდა გამოვცხადებულიყავით და ხელი მოგვეწერა რაღაც საბუთებზე. ერთხელ, ამ კაცმა დედაჩემს ჰკითხა: „კატია (ასე ეძახდა), რამდენი ადამიანი გყავს მოკლული?“ როცა გაიგო, რომ გადასახლებაში სისხლის სამართლის დანაშაულისთვის კი არა, საზღვარზე ცხოვრების გამო ვიყავით, ჯერ გაეცინა — რა შორს გადმოუყვანიხართო, მერე კი ისევ დედაჩემს მიუბრუნდა: „კი, მაგრამ ჭკუა არ გეყო, რომ თავად წასულიყავი იქიდან?“

— **გადასახლებაში თქვენთან ერთად სხვა ლაზებიც იყვნენ?**

— იყვნენ, როგორ არა! ოჩამჩირელი ლაზის ოჯახი იყო — კაცს თურქეთის მოქალაქეობა ჰქონდა, ცოლი კი აფხაზი ჰყავდა... ახლა იმათ გვარს ველარ ვიხსენებ, ძალიან კარგი ხალხი იყო, პოეტი და მხატვარი ხასან ჰელიმიშიც თავიდან ჩვენთან ერთად ცხოვრობდა; სულით არ დაცემულა და როგორც შეეძლო, ისე გვამხნევებდა — ლაზურ სიმღერებს გვიმღეროდა, ლექსებსაც გვიკითხავდა...

— **ასე უსამართლოდ გადასახლების გამო, ხელისუფლებისთვის საჩივრით არ მიგიმართავთ?**

— დიახ, დავწერეთ საჩივარი, თანაც — არაერთხელ... ხან ფოსტით გავგზავნეთ, ხან ახალგათავისუფლებულ „სპეცპერესელენცებს“ (ასე გვეძახდნენ მაშინ ყველას, ვინც გადასახლებულნი ვიყავით) გავატანეთ მოსკოვში, მაგრამ ამაოდ — ჩვენი ბედი არავის ანაღვლებდა. იმასაც გეტყვი, რომ იქ თითქმის ყველანაირი ინფექციური ავადმყოფობა მოვიხადე... ბოლოს ისე მძიმედ ვიყავი, კარანტინში გამიშვეს. საერთოდ, გადასახლების ადგილებზე, საშინელი პირობების გამო, ხშირი იყო ეპიდემია — ბევრი გადასახლებული იმსხვერპლა წითელამ და დიფტერიამ... დედაჩემი ძალიან ნერვიულობდა: კარანტინში მარტო ვიყავი და გადავრჩებოდი თუ არა, არავინ იცოდა...

— **წითელაც ხომ არ გადაგიტანიათ? საბჭოთა კავშირის გასაიდუმლოებული არქივების გახსნის შემდეგ გამოირკვა, რომ გადასახლებულებს კომენდატურებში სპეციალურად ურიგებდნენ საბნებს და სხვა ამგვარ ნივთებს, რომლებიც წითელას მიკრობებით იყო დაბინძურებული... ამის შესახებ რამე გსმენიათ?**

— დაწვრილებით ამაზე არაფერი მსმენია, მაგრამ წითელას ეპიდემიამ მართლაც ბევრი შეიწირა მაშინ ციმბირში... მეც დავსნებოვნდი. საერთოდ, იქ სასმელი წყალიც კი არ იყო — ჭაობის წყალს ვსვამდით. ისეთი დღეები გამოვიარე, გახსენებაც კი მზარავს!

**— ინტერვიუს დასაწყისში აღნიშნეთ, რომ მამათქვენი 1939 წელს დაიჭირეს და უკვალოდ გააქრეს... თქვენი აზრით, რატომ მოექცნენ ასე?**

— მანამდეც დიდი ხნის განმავლობაში ავიწროებდნენ — სთხოვდნენ, თურქეთში გადასულიყო და ვილაც-ვილაცებზე ამბები გაეგო. მამას არ უნდოდა ამის გაკეთება — ხვდებოდა, რომ პროვოკაციას უმზადებდნენ, დაჭერა სურდათ მისი, მაგრამ ბოლომდე წინააღმდეგობა ვერ გაუწია: ერთხელ ერთი აგენტი — ვინმე თ. მოვიდა და მამაჩემი დაიყოლია, გაღმა სარფში გადასულიყო. საზღვარზე თვითონვე გადააცილა, მერე დადგა ჩვენ მხარეს და დრო დაინიშნა. მამაჩემი დროზე ადრე დაბრუნდა და იმ კაცს უთხრა: ვისთანაც გამგზავნე, სახლში არ იყოო. მერე, იმან შარი მოსდო — მომატყუე, არ მისულხარ იმ კაცთანო და სწორედ ამ ყველაფრის მერე დაიჭირეს. საინტერესო ისაა, რომ სასამართლოზე ბრალიც ვერ დაუმტკიცეს — ვისთანაც გაგზავნეს, ის კაციც დაჭერილი იყო მაშინ და მან დაადასტურა, რომ იმ დღეს სახლში მართლაც არ ყოფილა... სასამართლოს მერე კი ვილაცამ ამბავი მოგვიტანა — ომერი ციხეში გადაჰყავთ, მაგრამ ისე ცუდადაა, ველარ გადარჩებაო. მამა უკვალოდ გაქრა, მასზე ველარაფერი შევიტყვეთ... დღესაც არ ვიცი, რა მოუვიდა, თუმცა იმედი კი მაქვს, რომ ოდესმე რამეს გავიგებ.

**— გადასახლებიდან როგორ დაბრუნდით?**

— გამოვიქეცით!.. 1953 წელს, როცა სტალინის გარდაცვალების შემდეგ გადასახლებულ პირთა რეაბილიტაცია დაიწყო, ჩვენ ისევ ციმბირში ვიყავით — გათავისუფლებას ველოდით, მაგრამ ამაოდ. მე მაშინ უკვე გათხოვილი ვიყავი, ერთი შვილი მყავდა და ალბათ ფიქრობდნენ, — ველარსად წავლენო. დედაჩემმა გამოპარვა გადაწყვიტა. დავსხედით გემზე, მაგრამ კომენდანტი უკან დაგვედევნა, რაიონულ ცენტრში მოგვძებნა და სადაც პირველად ვიყავით, იმ მეურნეობაში გაგვიშვა. იქ ჩვენი ნათესავი — ოჩამჩირელი ნური ნარაკიძე მუშაობდა და მეორედ მან გამოგვეპარა: მალულად ჩაგვსვა გემში. ასე ჩავედით ნოვოსიბირსკში, ხოლო იქიდან პირდაპირ ბათუმისკენ გამოვეშურეთ.



გადასახლებულთა გადასაყვანად მომზადებული სატვირთო მანქანები ბათუმის გარეუბანში; 1949 წლის ფოტო.

**— სარფში ძველი სახლი უკვე დანგრეული დაგხვდათ?**

— ჰო... მისი საძირკველი დღესაც შემორჩენილია, სასაზღვრო კოშკის ძირში. მაშინ ასეთი წესი იყო — სადაც ჩაწერილი იყავი, იქ უნდა გეცხოვრა, საზღვრისპირა ზონაში ჩაწერა კი ძალიან ძნელი იყო. მაინც ჩამოვედით სარფში, მაგრამ აქ აღარ მოგვიშვეს. არადა, ადრე დიდი სახლი გვქონდა, კარგად ვცხოვრობდით; აღარაფერი დაგვხვდა და კარგა ხანს ქირით ვიცხოვრეთ. მერე ჩემმა ქმარმა ფერმაში დაიწყო მუშაობა და პატარა ხის კოტეჯი ავაშენეთ. 35 წელი იქ გავატარეთ და ასე მოვედით აქამდე. ეს სახლი, სადაც ახლა ვცხოვრობ, გვიანაა აშენებული; მანამდე უფრო ქვევით ვცხოვრობდით, საზღვართან. იქ ბოსტანი ახლაც გვაქვს... ახლა ყველაფერი რიგზეა, მაშინ ბოსტანში ჩასვლასაც კი სპეციალური საბუთი უნდოდა, გაღმა გახედვა კი აკრძალული გვქონდა...

*P.S. თბილისში დაბრუნების შემდეგ, შევეცადე შემეტყო, როგორ და რის გამო გააქრეს ომერ ნარაკიძე, მაგრამ ვერაფერი გავარკვიე. სავარაუდოდ, იგი ჭოროხის ხიდქვეშ უნდა დაეხვრიტათ: იმხანად ბათუმში უაღრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში, ე.წ. „ლაზეთის კომიტეტის წევრთა საქმე" იხილებოდა და სასამართლოს შემდეგ ყველა ბრალდებულს სწორედ იმ ადგილზე ხვრეტდნენ, გვამებს კი ყელზე ქვებს აბამდნენ და ზღვაში ყრიდნენ. „ლაზეთის კომიტეტის წევრთა საქმეზე" დაწვრილებით ჩვენი ჟურნალის მომავალ ნომერში შეიტყობთ.*

■



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ყველაზე ჭკვიანი“ ბავშვის არჩევანი: „მინდა, ჟურნალისტი გამოვიდე“

ის 12 წლისაა და უკვე „ყველაზე ჭკვიანი“ ბავშვის ტიტულს ატარებს. ჭკვიანთან ერთად ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარეა. ამბობს, რომ წიგნების კითხვა დიდ სიამოვნებას ანიჭებს. მისი საყვარელი ავტორები ალექსანდრე დიუმა და ვიქტორ ჰიუგო არიან. მიაჩნია, რომ ქართველებს უფრო კარგი პოეტები გვყავს, ვიდრე პროზაიკოსები. განსაკუთრებით ისტორიული ჟანრის ლიტერატურა იზიდავს. ჩემი რესპონდენტი პროექტ „ყველაზე ჭკვიანის“ გამარჯვებული — ცოტნე გვასალია გახლავთ.

*თამუნა კვინიკაძე*

## პრეამბულის მაგიერ

— **ცოტნე, კითხვა რა ასაკში ისწავლე?**

— სანამ სკოლაში მივიდოდი, მანამდე ვკითხულობდი, თავიდან ზღაპრებით დავიწყე, მერე „ტომ სოიერის თავგადასავალი“ წავიკითხე და ძალიან მომეწონა.

— **ახლა რას კითხულობ?**

— ვიქტორ ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი წელი“.

— **„ყველაზე ჭკვიანში“ როგორ მოხვდი?**

— ამ გადაცემას ყოველთვის ვუყურებდი და მინდოდა, რომ მონაწილეობა მეც მიმეღო. ტელევიზიაში მივედი და ანკეტა შევავსე. მერე დაგვიბარეს, 60-კითხვიანი ტესტი შეგვავსებინეს და თამაშისთვის 12 საუკეთესო ბავშვი შეგვარჩიეს. ინტელექტუალური თამაშები ძალიან მიყვარს.

— **პროექტში მონაწილე ბავშვებთან მეგობრობ?**

— რა თქმა უნდა, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ძლიერი კონკურენტები მყავდნენ.

— **ამ პროექტმა პოპულარობაც მოგიტანა. ქუჩაში გცნობენ?**

— ქუჩასა და სკოლაშიც მცნობენ, წარმატებას მილოცავენ. ეს ძალიან სასიამოვნოა. მინდა, გაზაფხულზე დიდ ბრიტანეთში წავიდე და ინგლისური ენის შემსწავლელი ერთთვიანი კურსი გავიარო. ინგლისურ და რუსულ ენებში ახლაც ვემზადები. ისეთ სკოლაში მინდა ვისწავლო, სადაც უცხო ენებს გაძლიერებულად ასწავლიან, მეცადინეობა არ მეზარება, მაგრამ ასეთ სკოლებში დიდი გადასახადია და ჩემს მშობლებს არ შეუძლიათ, რომ მატარონ.

— **პროფესია არჩეული ხომ არ გაქვს?**

— ჟურნალისტი მინდა გამოვიდე. მიმაჩნია, რომ ყველაზე საინტერესო პროფესიაა.

— **არ შემიძლია, არ დაგეთანხმო, მაგრამ მაინც გკითხავ: შენთვის რით არის საინტერესო ეს პროფესია?**

— აშუქებ ყველაფერს, რაც კი ქვეყანაზე საინტერესო ხდება, მუდმივად მოვლენების ცენტრში ხარ. სპორტული ჟურნალისტიკა უფრო მიტაცებს.

— **წარმატებას გისურვებ! დროა, კითხვარზე გადავიდეთ.**

— გმადლობთ. მზად ვარ, დავიწყოთ.



— **რა ეწოდება მდინარე ფაზისს ამჟამად?**

— რიონი.

— **რომელი მწერლის სახლ-მუზეუმის დათვალიერება შესაძლებელი კახეთშიც, ქართლშიც და დედაქალაქშიც?**

— ილია ჭავჭავაძის.

— **ამ ქვეყანაში ექიმებს ძალიან კარგ გასამრჯელოს უხდიდნენ, მაგრამ თუ იმპერატორი ცუდად გახდებოდა, მკურნალს მის გამოჯანმრთელებამდე ფული არ ეძლეოდა. რომელ ქვეყანაში ხდებოდა ასე?**

— (*პასუხის გაცემას ჩქარობს*) წაკითხული მაქვს, მაგრამ...

— **ნუ ნერვიულობ, დაფიქრდი და გაიხსენებ.**

— რომელ წიგნში წავიკითხე (*პაუზის შემდეგ*)? მგონი ჩინეთში ხდებოდა.

— **ყოჩაღ! რადგან სპორტული ჟურნალისტიკა ასე ძალიან მოგწონს, ახლა რამდენიმე კითხვას სპორტიდანაც დაგისვამ.**

— ვეცდები, გამოვიცნო.

— **ხელბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, წყალბურთი — სპორტის რომელ სახეობაში არ არსებობს საჯარიმო დარტყმა?**

— ჩოგბურთში.

— **რომელ გუნდს ეკუთვნის მადრიდში სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონი?**

— მადრიდის „რეალს“.

— **რამდენი მანქანა მონაწილეობს თითოეული გუნდიდან „ფორმულა 1-ის“ შეჯიბრებაში?**

— 2.

— **1968 წელს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე, ინგლისისა და არგენტინის ნაკრები გუნდების შეხვედრისას...**

— (*მაწყვეტინებს*) თამაში ინგლისელების გამარჯვებით დამთავრდა.

— **ეს რომ იცი, კარგია, მაგრამ მე სხვა რამეს გეკითხები. ამ თამაშის დროს ინციდენტი მოხდა. გერმანელმა მსაჯმა ერთ-ერთ ფეხბურთელს მოედნის დატოვება მოსთხოვა, მოთამაშემ გერმანული ენა არ იცოდა და მოედანზე თამაში გააგრძელა. ამის შემდეგ ფეხბურთში ახალი წესები შემოიღეს. რა სიახლეზეა ლაპარაკი?**

— ამის შემდეგ დაიწყეს წითელი და ყვითელი ბარათების გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **რომელმა მეფემ მოახერხა მონღოლთა თითქმის ასწლიანი ბატონობის შემდეგ, მათი საქართველოდან განდევნა?**

— გიორგი ბრწყინვალემ.

— **ის რიგით მერამდენე გიორგი იყო?**

— გიორგი V.

— **რომელი ქართველი მეფე გამეფდა 67 წლის ასაკში?**

— არ მახსოვს.

— **მიგანიშნებ, იგი დაკრძალულია სპარსეთის ქალაქ ყუმში, შაჰ-აბასის გვერდით.**

— ვერ გიპასუხებთ.

— **როსტომ მეფეზეა ლაპარაკი. რომელი ქართველი მეფის მამას და შვილს ერქვა ბაგრატი?**

— გიორგი II-ის.

— **რა იყო გეორგიევსკი, სადაც 1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ცნობილ ტრაქტატს ხელი მოეწერა?**

— ციხესიმაგრე.

— **მითოლოგიაში კარგად ერკვევი?**

— ბევრი რამ წამიკითხავს.

— **რომაული მითოლოგიის მიხედვით, რა ერქვა ქორწინებისა და დედობის ქალღმერთს?**

— (*ფიქრობს*) იუნონა. კარგად მახსოვს?

— **შენ ყველაფერი კარგად გახსოვს. ქარვის სიუხვის გამო რომელ ზღვას ერქვა ძველად ქარვის ზღვა?**

— ბალტიის ზღვას.

— **რა ნიშანი მიუთითებს მუსიკაში ბგერის სიმაღლის ნახევარი ტონით დადაბლებას?**

— ბემოლი.

— **ახლა შენი ცოდნა მათემატიკაშიც შევამოწმოთ.**

— აუ!

— **ისეთი სახე გაქვს, მგონი, ეს საგანი არ გიყვარს?**

— მიყვარს, მაგრამ ძალიან — არა.

— **ოჯახში დედის, მამისა და შვილის წლოვანებათა ჯამი 60 წელს შეადგენს. მამის წლოვანება დედისა და შვილის წლოვანებათა ჯამის ტოლია, ხოლო დედა 5-ჯერ უფროსია შვილზე. რამდენი წლის არიან — მამა, დედა და შვილი?**

— (*ანგარიშობს*) მამა 30 წლის გამოდის, დედა — 25-ის და შვილი — 5 წლის.

— **ყოჩაღ! ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემს რესპონდენტებს ხშირად უჭირთ. ახლა მიპასუხე, არსებობს თუ არა ისეთი რიცხვი, რომლის დასახელება იმდენ ასოს შეიცავს, რამდენსაც ეს რიცხვი გამოხატავს?**

— არსებობს, ეს არის 4.

— **ისტორიულად რომელ ქვეყანაში არ განუცდიათ ებრაელებს ეროვნული და სარწმუნოებრივი დევნა?**

— საქართველოში.

— **სად გამოვიდა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი?**

— (*მანყვეტინებს*) „იტალიურ-ქართული" ლექსიკონი იტალიაში გამოვიდა.

— **ეს რომელ წელს მოხდა?**

— ზუსტ თარიღს ვერ დავასახელებ.

— **1629 წელს. ევროპის ჯუჯა სახელმწიფოთაგან რომელი მდებარეობს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე?**

— ანდორა.

— **რომელი მხატვრის შემოქმედებაში უჭირავს განსაკუთრებული ადგილი ბალერინებს?**

— ედგარ დეგას.

— **რომელ ნაწარმოებს უწოდებენ ბეთჰოვენის მუსიკალურ ანდერძს, რომელიც მან დაყრუების შემდეგ შექმნა?**

— მე-9 სიმფონიას.

— **„ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული. იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული; თქვენ — ჩემი, მე — სხვისი, სხვამ — სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე"... დაასახელე ამ სიტყვების ავტორი.**

— ნოდარ დუმბაძე.

— **მწერების რომელი ოჯახია დაყოფილი ფენებად — დედალი, მუშა...**

— (*მანყვეტინებს*) ფუტკრების.

— **ნუ ჩქარობ, კითხვა დამასრულებინე. –დედალი, მუშა, ჯარისკაცი და მონა?**

— ჭიანჭველების.

— **ვინ არის ის, ვის სახელსაც ატარებს სრუტე, რომელიც მან გაიარა, კუნძული, რომელზეც ის გარდაიცვალა და ზღვა — წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში?**

— სრუტე, ზღვა და კუნძულიც? ვერ გიპასუხებთ.

— **ზღვაოსანი ბერინგი. რა ერქვათ მექადან მედინაში გაქცეულ მუჰამედის თანამებრძოლებს?**

— მუჰაჯირები.

— **რომელ ნაწარმოებშია გადმოცემული ჩარლზ დიკენსის ავტობიოგრაფია?**

— „დავით კოპერფილდში".

— **რომელ სრუტეს არ გაივლის ბათუმიდან მარსელში გემით მიმავალი მოგზაური: ბოსფორის, დარდანელის თუ გიბრალტარის?**

— გიბრალტარის.

— **რომელ ქალაქში ემალებოდა გერმანელებს ანა ფრანკი?**

— (*პაუზის შემდეგ*) ამსტერდამში.

— **ფრინველთა ოჯახის რომელი წევრია მგალობელი — დედალი თუ მამალი?**

— მხოლოდ მამალი გალობს.

— **ისლანდია, გერმანია, ირლანდია, ესპანეთი — ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, რომელი მდებარეობს ნახევარკუნძულზე?**

— ესპანეთი.

— **რომელ ფილმში განასახიერა იპოლიტე ხვიჩიამ თავისი მოსახელე გმირი?**

— შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ.

— **„მხიარულ რომანში". რომელ წიგნზე სრულდება საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონია?**

— საქართველოს კონსტიტუციაზე.

— **ამერიკის რომელი პრეზიდენტი მუშაობდა ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ, მიწის მზომელად, ტყისმჭრელად და ფოსტის მოხელედ?**

— ასეთი ფაქტები ლინკოლნის ბიოგრაფიიდან მახსენდება.

— **დაბოლოს, დაასრულე ვოლტერის ცნობილი გამონათქვამი: „ვისაც არ უყვარს თავისუფლება და ჭეშმარიტება, შეიძლება იყოს ძლევამოსილი, მაგრამ ვერასოდეს იქნება"...**

— ვერ დავასრულებ.

— **„...ვერასოდეს იქნება დიდი ადამიანი".**

■

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. ასტრაფობია უამინდობის შიშია.
2. კომპანია „ფიატი“ 1913 წელს შეიქმნა.
3. პლანეტა სატურნს 62 თანამგზავრი ჰყავს.
4. წინმატიანი სოფელია საგარეჯოს რაიონში.
5. კარაოკეს ვოკალურ მასტურბაციას ეძახიან.
6. ჯარისკაცები ნაპოლეონს შენობით მიმართავდნენ.
7. XX საუკუნეში ყვავილისგან (ინფექციური დაავადება) 300 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა.
8. სტამბოლი ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, რომელიც ორ კონტინენტზეა განლაგებული.
9. ავსტრიელი კომპოზიტორი ფრანც შუბერტი 31 წლის ასაკში, მუცლის ტიფით გარდაიცვალა.



10. რუსები ყურსასმენებს „დებილნიკებს“ ეძახიან. გამოთქმაც კი გაჩნდა: „სნიმი დებილნიკი, იზ უიზნი ვიპადაეშ!“.
11. ბიზონების ყველაზე დიდი პოპულაცია (3500 ცხოველი) დღეს შეერთებული შტატების ნაციონალური პარკის — იელოუ სტოუნის ტერიტორიაზე ბინადრობს.
12. მხატვრულ ფილმში — „იყო შაშვი მგალობელი“ — რუსულ რომანსს თამარ იშხნელი ასრულებს. ოთხი დიდან იმ დროისთვის მხოლოდ ისღა იყო ცოცხალი.
13. ვატიკანის დაცვაში მომსახურე შვეიცარიელებს მშობლიური, ალპური მელოდიების წაღიღინებაც კი ეკრძალებოდათ, რათა ნოსტალგიას არ დაეთრგუნა.
14. ავი სულებისაგან დასაცავად ლაოსში მცხოვრებ აკხას ტომის წევრებს სახლის კარზე ხისგან გამოთლილი კალაშნიკოვის ავტომატი და ხელყუმბარები აქვთ მიჭედებული.
15. „23 ნოემბრისთვის პატიმრები შეწყალებით გამოუშვეს. ერთი

# სიყვარულის იმპულსები

ალბათ ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩენილა ერთი შეხედვით გამოუვალ სიტუაციაში. იმაზე კი იშვიათად თუ დავფიქრებულვართ, რომ ხშირად თავადვე ვიმწყვდევთ საკუთარ თავს ჩიხში და შემდეგ უზარმაზარ ენერგიას ვხარჯავთ საიმისოდ, რომ ვიპოვოთ ვინმე (ან რამე), ვისაც გადავაბრალებთ ჩვენს წარუმატებლობას, ჩვენი შფოთისა თუ წუხილის მიზეზებს — მაშინ, როცა თვითონვე ვართ საკუთარი განცდების პირველწყარო. თუ ადამიანი საკუთარ თავს ჩაუნერგავს აზრს, რომ მას ყველა ემტერება, — მაშინ ის ქვეცნობიერად ყველასა და ყველაფრის მიმართ ნეგატიურად განეწყობა, სამყაროს მხოლოდ მუქ ფერებში დაინახავს... მაგრამ საბედნიეროდ, ცხოვრება მრავალფეროვანია და ის ცალსახად არ უნდა აღვიქვათ. ყველას აქვს არჩევანის გაკეთების უფლება; უფრო მეტიც: შეგვიძლია, თავად „ავირჩიოთ“ აზრები და ვმართოთ გრძნობები. ამიტომაც თუკი ვირწმუნებთ, რომ სიყვარულია ყველგან და ყველაფერში, — ჩვენი ქვეცნობიერი ბუნება ისე აეწყობა, რომ გარშემო მყოფებში უპირატესად დადებითს დავინახავთ; ხოლო მათ, ვისაც ვუყვარვართ, კიდევ უფრო შევუყვარდებით. ჯერ კიდევ ბავშვობაში გვიყალიბდება შეხედულებები, ხოლო შემდეგ თვითონ ვქმნით ისეთ ცხოვრებისეულ სიტუაციებს, რომლებიც ჩვენს შეხედულებებს მოერგება. აბა, უკან მოვიხედოთ და თვალი გადავავლოთ განვლილი ცხოვრების გზას. დავრწმუნდებით, რომ წამდაუწუმ ვეჯახებით ერთიმეორის მსგავს პრობლემებს. შესაძლოა, ეს სიტუაციები და პრობლემები გარეგნულად განსხვავებული ჩანდეს, მაგრამ ძირეულად ხშირად იდენტურია. ასე რომ, ყველაფერი, რაც ჩვენს ცხოვრებაში მომხდარა, მნიშვნელოვანწილად, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, თავად ავირჩიეთ და დავგეგმეთ. მაგრამ მთავარი აწმყოა და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი ვაზროვნებთ მოცემულ მომენტში. აზრების შეცვლა კი ადვილი შესაძლებელია. მაგალითად, თუ გავიფიქრეთ — „მე ცუდად ვარ“, იგი თავისთავად, ჩვენში შესაბამის უარყოფით ემოციას გამოიწვევს...

## ფსიქოლოგების აზრით...

რაც უფრო ხშირად აფასებენ ადამიანები საკუთარ თავს უარყოფითად, მით უფრო ნაკლებ წარმატებას აღწევენ ცხოვრებაში. ყველას შეგვიძლია, შევიცვალოთ დამოკიდებულება წარსულისადმი. ამით, ბუნებრივია, წარსულს ვერ შევცვლით, მაგრამ უსიამოვნო ემოციებისგან ნამდვილად გავთავისუფლდებით. აზრი არა აქვს გამუდმებულ თვითგვემას იმის გამო, რომ ოდესღაც ვიღაცას რაღაც ვაწყენინეთ (ან მან გვაწყენინა); რაღაც ისე არ გამოგვივიდა, როგორც გვინდოდა და ა.შ. ცუდი მოგონებებისგან რომ გავთავისუფლდეთ, საჭიროა ვისწავლოთ მიტევება. უკვე ის ფაქტი, რომ მიტევების სურვილი გაგვიჩნდა, ხელს უწყობს სულიერი კომფორტის დამყარების პროცესს. მიტევებით ჩვენ მასაც გავათავისუფლებთ, ვისაც ვპატიებთ და თავადაც გავთავისუფლდებით უარყოფითი ემოციებისგან.



ოღონდ პირველ რიგში, საჭიროა მივუტევოთ საკუთარ თავს. შინაგანი დისკომფორტის წყარო უმეტესწილად, შინაგანი დათრგუნვილობიდან მოდის. ფსიქოლოგები ბევრს წერენ საკუთარი თავის პატივისცემისა და სიყვარულის შესახებ. ადამიანები თავადვე რომ ვიქმნით ცხოვრებისეულ სიძნელეებსა და პრობლემებს, იქიდანაც ჩანს, რომ პრობლემა იმ სახით, როგორითაც ჩვენ წარმოგვიდგენია, ძალზე იშვიათად შეესაბამება რეალობას.

## დანერგეთ ცხოვრებაში ერთი წესი

აიღეთ სარკე, ჩაიხედეთ, წარმოთქვით საკუთარი სახელი და რამდენჯერმე გაიმეორეთ: „მიყვარხარ და გიღებ ისეთს, როგორიც ხარ“. შეეცადეთ, გაუგზავნოთ საკუთარ თავს სიყვარულის იმპულსები. როცა იგრძნობთ, რომ თავი გიყვართ და პატივს სცემთ, თვითრწმენაც აგიმაღლდებათ და ბევრი პრობლემაც თავისთავად გაქრება. აბა, სცადეთ და თამამად შეხედეთ ცხოვრებას თვალებში! ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ იმტვრევა ფრჩხილები

**ფრჩხილების მტვრევა უამრავი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული: ჰიპოვიტამინოზი (ერთ ან რამდენიმე ვიტამინის ნაკლებობა), ნივთიერებათა ცვლის მოშლა, მავნე ქიმიურ და ფიზიკურ ფაქტორთა ზემოქმედება...**

დერმატოლოგები ფრჩხილებს ჯანმრთელობის სარკედ მიიჩნევენ — მათი უჩვეულო ფორმა, ფერი, სისქე და სხვა მახასიათებლები ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებზე მიუთითებს.

ფრჩხილების ქსოვილი მეტისმეტად მგრძნობიარეა ფიზიკურ და ქიმიურ ფაქტორთა მიმართ. ძალიან ცხელ წყალში რეცხვა უარყოფითად მოქმედებს ზედაპირული შრის უჯრედებზე — ისინი ზიანდება და იფიტება. ფრჩხილების დაზიანებას ხშირად სარეცხი საშუალებებისა და უხარისხო ლაქის გამოყენებაც იწვევს.

თუკი ფრჩხილებთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ, ლაქის ხშირად წასმას არ გირჩევთ. ფრჩხილებს სუნთქვის საშუალება უნდა მისცეთ და გამაღიზიანებელ ფაქტორებთან კონტაქტს მოერიდოთ. ამ მიზნით კოსმეტოლოგები სპეციალური დამცავი ლაქის გამოყენებას გირჩევენ.

**გაითვალისწინეთ:**

ხელი გლიცერინის შემცველი საპნით დაიბანეთ. მიიღეთ ვიტამინების და მიკროელემენტების შემცველი კომპლექსი.

დღეში ორჯერ (დილა-საღამოს) მარილიანი აბაზანები გაიკეთეთ: აიღეთ 1 ჩ/კ თბილი წყალი, დაუმატეთ 3-4 წვეთი იოდის ხსნარი და ამ ნარევში 15-20 წუთი გააჩერეთ თითები (ფრჩხილის შემცველი ფალანგები ბოლომდე უნდა იფარებოდეს წყლით). ასეთი აბაზანა ამაგრებს ფრჩხილებს.

ძილის წინ, თითები 10 წუთით ქაცვის ნაყენის აბაზანაში გააჩერეთ. აბაზანის შემდეგ, თითებზე შერჩენილი ზეთი ინტენსიური მასაჟით, კანში შეიზილეთ და ისე დაიძინეთ. ■



# რჩევები დიასახლისებს

◆ ბოსტნეულის წვნიანი უმჯობესია, ზუსტად სუფრის გაშლის მომენტისთვის მოამზადოთ. მაშინ მასში C ვიტამინი დიდი რაოდენობით შენარჩუნდება. წვნიანის მომზადებიდან 3-4 საათის გასვლის შემდეგ ვიტამინების შემცველობა ბევრად ნაკლები იქნება.

◆ მჟავე ვაშლი ჰაერლუმელში დიდხანს არ გააჩეროთ — ნამდვილ პიურეს მიიღებთ. ხოლო ტკბილი ჯიშის ვაშლი, პირიქით, ჰაერლუმელში შეწვისას ფორმას შესანიშნავად ინარჩუნებს.



◆ ნიგოზი ალერგიას რომ იწვევს, ცნობილია. მაგრამ თურმე სულ იოლად შეიძლება ამ უსიამოვნო შედეგის თავიდან აცილება: ნიგოზი (თხილი, ნუში, მისი თხილი) ცოტა ხნით ჰაერლუმელში მოათავსეთ ან ტაფაზე ოდნავ მოხალეთ.

◆ ბრინჯი უკეთ შეინახება, თუკი შუშის ქილაში ჩაყრით და ერთ ცალ ცხარე წიწაკასაც ჩააყოლებთ.

◆ თურმე კვერცხი ადვილად იღებს უცხო სუნს. ამიტომაც მისი შენახვა თევზის, გუდის ყველისა და სხვა სპეციფიკური, მკვეთრი სუნის მქონე პროდუქტების გვერდით არ შეიძლება.

◆ კატლეტი განსაკუთრებით გემრიელი გამოგივათ, თუ ფარშს თანაბარი რაოდენობით უმ და შემწვარ ხახვს და გახეხილ, უმ კარტოფილს დაუმატებთ. კარტოფილი კატლეტს უფრო ფუმფულას და გემრიელს გახდის. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

*შემდგენელი თემურ ივანიძე*

პლეხანოველი იყო, სახლში დაბრუნებულმა სახლი ველარ იცნო, სხვის სახლში შევიდა, დაიჭირეს და ციხეში დააბრუნეს. როგორ გგონიათ, ახლა ეს კაცი საააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას მისცემს ხმას?“, — მხრებს იჩეჩდა „ღამის შოუში“ ოთარ ტატიშვილი.

16. სტალინის შვილი — ვასილი ყველაზე ახალგაზრდა გენერალი იყო საბჭოთა არმიაში. მამის გარდაცვალების შემდეგ ლოთობის გამო გააგდეს ჯარიდან და საბოლოოდ, ციხეში გარდაიცვალა.

17. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ერთ დღეს დაღუპული 100 ათასი მოწამე ჰყავს. ჯალალ ად-დინის მეომრებმა უფლისა და ღვთისმშობლის ხატები გამოიტანეს ეკლესიიდან და თბილისის მოსახლეობას მისი შეურაცხყოფა უბრძანეს. ვინც ხატს ფეხი არ დააბიჯა, თავები მოჰკვეთეს და მტკვარში ჩაყარეს. იმ დღეს 100 ათასი ქართველი აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია 13 ნოემბერს აღნიშნავს მათი ხსენების დღეს.

18. უცხოელმა ისტორიკოსებმა სტალინს „წითელი ღმერთი“ შეარქვეს, — ლამის ყველა სოფელში იდგა მისი ძეგლიო. P.S. „თუკი გადაწყვიტეთ საკუთარ თავს ძეგლი დაუდგათ, გაითვალისწინეთ, რომ მარადიულად ვერ იცოცხლებთ და ვერ შეძლებთ მის დაცვას. ქანდაკება თქვენს მტრებში მისი ჩამოგდების ისეთივე ძლიერ სურვილს აღძრავს, როგორი ძლიერიც იყო სურვილი მისი აღმართვისა“, — ამბობენ კინოდოკუმენტალისტები.

19. სალვადორ დალიმ ერთი თავისი ნამუშევრის შესახებ განაცხადა: „იმედი მაქვს, ამ ნახატში ყველაფერი ზედმიწევნით ნათელია და თუ რაიმე გაუგებარია, დამირეკეთ და ვეცდები, ყველაფერი კიდევ უფრო ბუნდოვანი გავხადო“.



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ფსორიაზი და დიეტა

დასაწყისი იხ. „გზა“ №48

**გთავაზობთ ფსორიაზის სამკურნალო მცენარეულ საშუალებებსა და მათი დამზადების წესებს**

**ფსორიაზის დროს ეფექტიანია მცენარეული პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმის თავდაცვით უნარს ზრდის:**

არალიის ნაყენი — 20-30 წვეთი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე, ერთი თვის განმავლობაში;

ელეუტეროკოკის სპირტიანი ნაყენი — 20-30 წვეთი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე, 1 თვის განმავლობაში;

ჩინური ლიმონურას ნაყოფის წვენი



— 20-30 წვეთი დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე;

ვარდისფერი როდიოლას ექსტრაქტი — 10-30 წვეთი დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 15-30 წუთით ადრე.

**სედაციური საშუალებებიდან რეკომენდებულია:**

შავბალახას ნაყენი (15 გ შავბალახა, დაყენებული 200 მლ მდუღარე წყალზე) — 1 ს/კ დღეში 3-ჯერ;

კატაბალახას ძირების ნაყენი (20 გ კატაბალახა დაყენებული 200 მლ მდუღარე წყალზე) — 1 ს/კ 3-4-ჯერ დღეში;

თავშავას ნაყენი (2 ჩ/კ მცენარე 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალზე) — მიიღება თბილი, 1/2 ჩ/ჭ, დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე;

2 წილი პიტნის, 2 წილი წყლის სამყურას, 1 წილი კატაბალახას ფესვის, 1 წილი სვიის გირჩის ნარევი. 2 ს/კ-ს დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი და დააყენეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ დღეში 2-ჯერ (დიდებისთვის).

**ფსორიაზის რთული ფორმებისა და გართულებების დროს რეკომენდებულია კორტიკოსტეროიდული მოქმედების მცენარეული პრეპარატები:**

ძირტკბილას ნაყენი — 1 ს/კ დღეში 4-5-ჯერ;

გლერძის ნაყენი (20 გ მცენარე 200 მლ მდუღარე წყალზე) — 1 ს/კ დღეში 3-6-ჯერ.

ფსორიაზით დაავადებულთა ლიპიდური ცვლის რღვევა ხშირად ჭარბ წონას უკავშირდება, ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ საკვებად კომბოსტოს, საზამთროს, ნიორს, შავ ცირცელს, ჟოლოს, წითელი მოცვის ნაყოფსა და ფოთლებს, კუნელს, მრავალძარღვას ფოთოლს, ჭინჭრის, ვირისტერფას, ბაბუაწვერას ფესვს გამოიყენებთ — ისინი ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოტანას უწყობს ხელს. რეკომენდებულია ასეთი ნაკრებიც: 20 გ უკვდავას ყვავილი, 10 გ თავშავა, 5 გ პიტნა, 15 გ ტყის მარწყვი, 15 გ ბაბუაწვერას ფესვი, 20 გ მრავალძარღვას ფოთოლი, 15 გ სალბის ფოთოლი. 2 ს/კ ნარევს დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი, 15 წუთი წყლის აბაზანაზე ადუღეთ, გააცივეთ და მიიღეთ 2-3 ულუფად დღის განმავლობაში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

**კანის (დერმატონური) საშუალებები:**

ნედლი ჟოლოს წვენი ან ნახარში (10 გ ნაყოფი 200 გ მდუღარე წყალზე) — სვით ყლუპობით, დღის განმავლობაში;

ჟოლოს ფოთლებისა და ყვავილების ნახარში (2 ჩ/კ მცენარე 1 ჭიქა მდუღარე წყალზე) — 1/2 ჩ/ჭ დღეში 4-ჯერ;

ქაცვის ნაყოფის წვენი, ნაყოფისა და ფოთლების ნაყენი (20 გ მცენარე 200 მლ მდუღარე წყალზე) — 1/2 ჩ/ჭ დღეში 3-ჯერ. კარგია ქაცვის ზეთიც — 1-2 ს/კ დღეში, ბოსტნეულთან (სტაფილოსთან, სალათასთან, კომბოსტოსთან, ოხრახუშთან) ერთად;

ევკალიპტის ნაყენი (10 გ 200 მლ მდუღარე წყალზე) — 1 ს/კ 3-ჯერ დღეში;

ფსორიაზს არცთუ ისე იშვიათად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები ერთვის. ეს ურთიერთკავშირი უარყოფით გავლენას ახდენს დაავადების მიმდინარეობაზე, რემისიის ხანგრძლივობასა და მკურნალობის ეფექტიანობაზე. ამის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია სამკურნალო მცენარეთა ნაკრების ნაყენი.

შეკრულობით გამოწვეული გამონაყარის დროს — 20 გ ხეჭრელის ქერქი, 15 გ არყის ხის ფოთოლი, 15 გ იასამფერას ყვავილი, 15 გ დიდგულას ყვავილი, 15 გ დიდი კამის (ცერეცოს) ნაყოფი, 20 გ ძირტკბილას ფესვი. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ ნახარში, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე;

ან — 25 გ ხეჭრელის ქერქი, 25 გ ჭინჭარი, 25 გ არყის ხის ფოთოლი, 25 გ სელის თესლი. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ ნახარში დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ;

**ქრონიკული ინფექციური კერების არსებობისას ფსორიაზის კომპლექსურ მკურნალობაში უნდა ჩაერთოს საშუალებები, რომლებსაც გარკვეულწილად ანტივირუსული მოქმედებაც აქვს:**

ბირკასა და ბირკავას ნაყენი (20 გ 200 მლ მდუღარე წყალზე) — 1/4 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში;

ბამბის ბუჩქის ფესვების ნახარში (10 გ დაქუცმაცებულ, გამხმარ ფესვს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და წამოადუღეთ) — 1 ს/კ დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ;

20-20 გ სალბის, დიდგულას ყვავილის, იასამფერას, გულყვითელას ყვავილსა და გვირილას (1 ს/კ) ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 30 წუთით გააჩერეთ და გაფილტრეთ. მიიღეთ შემთბარი, 2-3-ჯერ, დღის განმავლობაში, ჭამის შემდეგ. მკურნალობის კურსი 1-2 თვეა;

4 წილი ორკბილა, 3 წილი დიდგულას ყვავილი, 2 წილი სამფერა ია, 2 წილი გულყვითელა, 2 წილი გვირილა — 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, 1 საათით დააყენეთ და გაფილტრეთ. მიიღეთ 2-3 ჯერზე, დღის განმავლობაში, ჭამის შემდეგ. მკურნალობის კურსი ერთთვიანია;

50 გ ტყის მარწყვის ფოთოლი, 30 გ ბეგქონდარა, 20 გ კატაბალახას ფესვი, 25 გ მრავალძარღვა, 25 გ ბირკა და ბირკავა, 15 გ ისლის ფესვი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ დღეში 3-ჯერ;

## გარეგანი საშუალებები:

წაისვით დაზიანებულ კანზე ქრისტესისხლას წვენი.

სალამოობით მიიღეთ ფარსმანდუკის აბაზანები.

საპონას ფესვები წვრილად დაკეპეთ, 5-6 საათით წყალში დაალბეთ, რათა კანის გამაღიზიანებელი ნივთიერებები გამოიდევნოს, რამდენჯერმე მოაცილეთ ქაფი, შემდეგ გამოაშრეთ. 6 გ გამომშრალ ფესვს დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი, 5-7 წუთი ხარშეთ, მერე კი 20 წუთით დადგით. წაისვით დაზიანებულ კანზე.

საპონა გარეცხეთ, დაასხით ცივი წყალი, 1 საათი გააჩერეთ, შემდეგ 10 წუთი ადუღეთ და გაფილტრეთ. ამ ნახარშის 36-37-გრადუსიანი აბაზანები ძილის წინ მიიღეთ. მკურნალობის კურსი 12-14 პროცედურას მოიცავს.

წაისვით დაზიანებულ კანზე თბილი ქოქოსის ზეთი.

2-3 კბილ დაქუცმაცებულ ნიორს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 40-60 წუთით დააყენეთ. გამოიყენეთ საფენებისთვის.

## ფსორიაზს ასეც მკურნალობენ:

მკურნალობის პირველ ეტაპზე დაზიანებულ კანზე დღეში ორჯერ თხელ ფენად წაისვით მალამო, რომელიც შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: 5-6% ახალი კვერცხის ცილა, 3-4% თაფლი (ყვავილების მტვრის), 0,8-1% ბავშვის კრემი, დანარჩენი — არყის კრემი.

არყის კრემი ასე მზადდება: შემოდგომაზე მოგროვებული არყის ხის ფოთლები ცივ წყალში გარეცხეთ და ჩრდილში გამოაშრეთ. მინის ან თიხის ქურქლის მომინანქრებული ძირი 1 სმ-ზე დაფარეთ სამედიცინო სოლიდოლით, ზემოდან დაკუწული არყის ხის ფოთლის ამავე სისქის ფენა დაადეთ, შემდეგ — ისევ სოლიდოლი, კვლავ ფოთოლი და ა.შ. ჭურჭელს ხუფი ძალიან მჭიდროდ დაახურეთ (შეგიძლიათ, ცომიც მოუსვათ), რათა ჰაერი არსაიდან შევიდეს, შედგით ჰაერღუმელში ძალიან დაბალ ცეცხლზე და მთელი დღის განმავლობაში ასეთ რეჟიმში დაამუშავეთ: 2 საათი თბება, 1 საათი აცივებთ. ბოლოს გაფილტრეთ და ნარჩენი ბალახი კარგად გამოწურეთ.

არყის კრემი საგულდაგულოდ აურიეთ მალამოს სხვა კომპონენტებში, სანამ ერთგვაროვან მასას არ მიიღებთ. მალამო კარგად შეიზილეთ დაზიანებულ კანში.

მკურნალობის დაწყებიდან 10 დღის შემდეგ 30-40 დღის განმავლობაში მიიღეთ არალიის ნაყენი — 30-40 წვეთი გაცივებულ ანადუღარ წყალთან ერთად, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

**ნაყენი ასე მზადდება:** არალიის 20 გ დაქუცმაცებულ ფესვს დაასხით 100 მლ 70%-იანი სპირტი და 2 კვირით ბნელ ადგილზე დააყენეთ. შემდეგ გაფილტრეთ და ბნელ, ცივ ადგილას შეინახეთ. ნაყენი მცირედ ტოქსიკურია.

თუ დაზიანებული კანი გექავებათ და ქერქოვანი კერები გიჩნდებათ, მალამოს შეზელამდე 5-10 წუთით ადრე კანი თბილი, ანადუღარი წყლით ჩამოიბანეთ და ფაქიზად გაიმშრალეთ. ეს პროცედურა დღეში 2-3-ჯერ ჩაიტარეთ. ქერქოვანი კერები თანდათანობით გაქრება და ქავილი გაივლის.

**დაზიანებული კანი მუქ მოლურჯო ელფერს რომ მიიღებს, მეორე მალამოს წასმა დაიწყეთ:** 2-2,5% ახალი კვერცხის ცილა, 1-1,3% თაფლი, 5-6% დაქუცმაცებული ქრისტესისხლა, დანარჩენი — არყის კრემი.

ეს მალამოც ერთგვაროვანი უნდა იყოს. მას პირველის ანალოგიური წესით მკურნალობის დასასრულამდე ვიყენებთ, არალიის ნაყენის მიღებას კი ვწყვეტთ.

**ორკვირიანი შესვენების შემდეგ იწყება ელეუტეროკოკის ნაყენის მიღება:** 150-200 გ ელეუტეროკოკის დაქუცმაცებული ძირები ორი კვირის განმავლობაში დააყენეთ 1 ლ 40%-იან სპირტზე, თან ხშირად შეანჯღრიეთ. შეინახეთ სიბნელეში. მიიღეთ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე, პირველი 10 დღის განმავლობაში 1/2 ჩ/კ, მერე კი — 1 ჩ/კ; სულ — 2 კვირა.

**ბავშვებს ელეუტეროკოკის წყალხსნარს აძლევენ:** 1 ს/კ დაქუცმაცებულ ნედლეულს დაასხით 1 ჩ/ჭ ცივი, ანადუღარი წყალი, 1 დღე გააჩერეთ, შემდეგ 10 წუთი ადუღეთ წყლის აბაზანაზე და გაფილტრეთ. მიიღეთ 1 ს/კ იმავე სქემით, როგორითაც ელეუტეროკოკის ნაყენი. დაავადების გამწვავების პერიოდში მკურნალობის დაწყება არ შეიძლება. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.


თემატური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან" ერთად
წიგნი №11
1 დეკემბრიდან




სერიის მომდევნო თემები:
№12 ყველაფერი სისხლდენის შესახებ
№13 ყველაფერი სახსრების დაავადებების შესახებ

უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!



# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია



### სათვალე

ბები, როგორ
დავიჯერო,
რომ სათვალე ჯარგია,
იმ დღეს ვცადე,
გავიკეთე,
არაფრად არ მარგია.
ვეღარც ფისო დავინახე,
ვეღარც ჩვენი თემური,
სათვალეა, ხელს რომ გიშლის,
შენ კი თვალებს ემდური.
გახსოვს, გუშინ, საყვარელო,
მთელი დღე რომ მაწვალე?
თურმე ცხვირზე გეკეთა და
მაძებნინე სათვალე...

*ნოდარ დუმბაძე*

## სახსოვარი

### ქართული ანდაზები

∗ ერთი კაკლისთვის ქვას არ ისვრიანო.
∗ ვინც მალე სჭრის, ის დიდხანს ნანობს.
∗ ზოგჯერ გაქცევაც კაი ბიჭობააო.
∗ თოფი მეთოფეს და მეთოფე — სოფელსო.
∗ კაცი სანამ არ მოკვდება, მისი საქმე არ გამოჩნდებაო.
∗ ლუკმა მაშინაა ტკბილი, როცა კაი კაცობითაა ნაშოვნიო.
∗ მაღალი არ მოდრკა, დაბალი ვერ შესწვდაო.
∗ მოთმინება — სამოთხის გასაღებიაო.

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### — მ —

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-48, 2011

**მოქოხილი** — სახელდახელოდ, უხეიროდ აშენებული უბრალო ნაგებობა.

**მოღაფლდება** (ძვ.) — ხალისი დაეკარგება, დაღონდება.

**მოშანდაკებული** — მოსწორებული (მიწის ზედაპირი).

**მოჩალჩე** — ჩალჩის (ლახტის) მოთამაშე.

**მოჩეთი** (კუთხ.) — ვარია.

**მოცადი** — 1. არასამუშაო საქონელი, მოზარდი ან ზრდადასრულებული (ცხვარი, ძროხა); 2. (კუთხ.) მეცადინე, მუყაითი, ბეჯითი.

**მოცროროზი** — 1. საადრეო (სიმინდი, ლომი...); 2. გადატ. (საუბ.) პატარა ტანისა, დალეული.

**მოცქნაფული** (საუბ.) — ძალიან პატარა, ერთი ციცქნა.

**მოწალავს** — ცოტათი მოხარშავს, გათუთქავს.

**მოწანახედე** — წანახედის გამომწვევი — ნათესის გამფუჭებელი, ზარალის მიმყენებელი ადამიანი ან პირუტყვი.

**მოწესე** (ძვ.) — ბერი, მღვდელმსახური.

**მოწილადე** — წილში მყოფი, წილის მქონე.

**მოწყვლა** (ძვ.) — დაკოდვა (გულის).

**მოწყლული** — დაკოდილი, განგმირული.

**მოჭანგული** — ოდნავ დაძმარებული (ღვინო); დაჭანგებული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ გააცოცხლა ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები ეკრანზე

ირმა ხარშილაძე

**გაგრძელება.**
**დასაწყისი იხ. „გზა“ №48**

## „გზა მშვიდობისა, ჯაყო“

რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა ეს ფილმი ნოდარ დუმბაძის რომანის — „ნუ გეშინია, დედა“ მიხედვით გადაიღო და მის სცენარზეც ბატონ ნოდართან ერთად მუშაობდა. რეჟისორმა მთავარი გმირის — ჯაყოს როლზე იმხანად სკოლის მოსწავლე და კინომსახიობთა სასწავლო სტუდიის თავისუფალი მსმენელი, 15 წლის გია იაშვილი აიყვანა.

**გია იაშვილი**, *მხატვარი-კერამიკოსი:*

— მსახიობობაზე არასდროს მიფიქრია, რეჟისორობა კი მინდოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ოჯახურ ტრადიციას გავყევი და სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტი დავამთავრე. „გზა მშვიდობისა, ჯაყოს“ მთავარ როლზე კი სწორედ რეჟისორობისთვის ძალების მოსინჯვის საწყის ეტაპზე ყოფნისას დამამტკიცეს. გადაღების დაწყებამდე ბატონმა მერაბმა ნოდარ დუმბაძესთან მიმიყვანა. ნოდარი ჩემი ოჯახის ახლობელი იყო, კარგად მიცნობდა და ჯაყოს როლისთვისაც მოვეწონე... გადაღებული მასალიდან მოსკოვში ერთი მესამედი — არაჩვეულებრივი კადრები ამოგვიჭრეს. ვიღებდით თბილისში, ბათუმსა და აჭარის მთებში. სცენარში ასეთი ეპიზოდი იყო — ღამით საზღვარზე ელექტროჩართვა ხდება, მესაზღვრეებს კი ჰგონიათ, რომ ვიღაც ჯაშუშმა საზღვარი გადმოკვეთა და მის დასაკავებლად გარბიან. ირკვევა, რომ საზღვრის დამრღვევი ჯაშუში არის... დათვი თავის ბელთან ერთად. ამ გაუგებრობაში დედა დათვი იღუპება. ფილმში საბოლოოდ მხოლოდ ბელი დატოვეს. სხვათა შორის, ის „სათნო“ ბელი ისე იკბინებოდა, დაგლეჯილი მქონდა ფეხები. დათვის დაკავებისა და დაღუპვის ამბავი კი მოსკოვში ჩვენების დამსწრე მესაზღვრე გენერლების კატეგორიული მოთხოვნით ამოჭრეს — არ შეიძლებოდა თურმე, „მსოფლიოში საუკეთესო“, საბჭოთა მესაზღვრე შემცდარიყო და ჯაშუში დათვში არეოდა (*იცინის*). არადა, რა ენერგია დაიხარჯა ამ ეპიზოდის გადასაღებად! სოჭიდან ჩამოიყვანეს უკვე გამოცდილი „მსახიობი“ მურა დათვი, რომელსაც რაჯ კაპურთანაც კი უთამაშია. მას ერქვა „დევოჩკა“ და საოცრად დიდი, ლამაზი, ფუშფუშა და ცირკის დათვზე უკეთ გაწვრთნილი იყო. ქალბატონი „დევოჩკა“ გალიით ჩამოიყვანეს და თავისი „ბინიანად“ ავიყვანეთ აჭარის მთებში — სასაზღვრო ზოლში, სადაც ერთი-ორი მოსახლე თუ შემოგხვდებოდა, სამაგიეროდ, ტყეში ბლომად იყო ცხოველი და მათ შორის დათვიც. ჩვენი, „ქართველი“ დათვები ტანად პატარები კი არიან, მაგრამ საკმაოდ ენერგიულები და შემტევები აღმოჩნდნენ. პირველივე ღამეს ღნავილზე გარეთ გავცვივდით და რას ვხედავთ: ოთხი „ქართველი“ დათვი, რასაკვირველია, „ბიჭები“, გალიის ზემოდან და გვერდიდან ღნაოდნენ და ცდილობდნენ შიგნით შეღწევას. ჩვენი „დევოჩკა“ კი ისე გაიტაცა ამ ამბავმა, კარგა ხნით ჩაგვეშალა გადაღება — რამდენიმე დღე დაგვჭირდა „ქალბატონის“ დასამშვიდებლად, რადგან აშკარად აერია ფსიქიკა და აღარავის უჯერებდა. საბოლოოდ, ძალიან კარგი კადრები გადავიღეთ, მაგრამ ხომ გითხარით, რა ბედიც ეწია...

## „იყო ქარი და იყო მთვარე, მზეც იყო და სიყვარულიც“

ყოფილა ჩვეულებრივი ბავშვი, რომელსაც ჰყავდა საოცრად ყურადღებიანი, სიმპათიური და საყვარელი მშობლები, გადასარევი ბებიები და მაინც, მასში მომხდარა რაღაც რევოლუციური მას შემდეგ, რაც 14 წლის ასაკში რეჟისორ თენგიზ აბულაძეს და მისი წყალობით, „ახალ“ ბებიას — ოლღას, ილიკოს, ილარიონსა და მერის შეხვდა. რაც მთავარია, სწორედ ახალშეძენილი ბებიის დანაბარები შესრულა და „დოხტური“ გამოვიდა, ცოლად თავისი გმირის — ზურიკელას მერი შეირთო, ცხოვრების გზაზე კი ოლღა



ბებიას ლოცვა გაჰყვა: „ღმერთო მაღალო, ღმერთო ძლიერო, დედაო ღვთისა, წმინდა მარიამ, არ მოაკლო შენი წყალობა ჩემს სისხლსა და ხორცს ზურიკელას და მის ნაგრამს. შენ გაუმართე ხელი გასაჭირში, შენ გაუნათე უკუნი და მიეც დღე გრძელი...“

**სერგო ორჯონიკიძე**, *ექიმი-კარდიოლოგი:*

— 1961 წლის მარტის დასაწყისი იყო (მერვე კლასში ვსწავლობდი), უნივერსიტეტის წინ ვიდექი, უცნობმა მამაკაცებმა (რეჟისორ თენგიზ აბულაძის ასისტენტები აღმოჩნდნენ) კინოში გადაღება რომ შემომთავაზეს. იმავე საღამოს წარმადგინეს ბატონ თენგიზთან, სასინჯი ფოტოებიც გადამიღეს, შინ კი ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გამატანეს წასაკითხად. მერე სასინჯი კადრებიც გადამიღეს და როლზე დამამტკიცეს კიდეც. მერი კი — 13 წლის „სუხიშვილების“ მოცეკვავე მანანა აბაზაძე ზღვისპირეთიდან ჩამომიყვანეს... ვიღებდით ლეჩხუმის ულამაზეს სოფელ ლაილაშში, მერე — თბილისში, ბაკურიანში და ლენინგრადშიც კი, რადგან „სასიყვარულო“ ეპიზოდებისთვის თენგიზს განსაკუთრებული თოვლი სჭირდებოდა. იქ სასტუმრო „ასტორიის“ ლუქსში ვცხოვრობდით და ისე გავერთე, სულ დამავიწყდა, რისთვის ჩამიყვანეს. ერთხელ ჩვენით უკმაყოფილო თენგიზმა მე და მანანა ნომერში ჩაგვკეტა და კატეგორიულად მოგვთხოვა: ჩემს მოსვლამდე ყველა ეპიზოდი მოამზადეთ, ოღონდ გახსოვდეთ, რომ ერ-

დასასრული იხ. გვ. 67

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com



# პატრულის ვალეტი

დასაწყისი იხ. „გზა" №39-48

რუსუდან ბერიძე

მალე გზაზე მანქანა გამოჩნდა და ერთმანეთს ჩაკრული ირაკლი და ანა ერთმანეთს სწრაფად გასცილდნენ. ჩავლეიშვილი გუმბერიძის ბუზღუნის მოსასმენად მოემზადა, მაგრამ მისდა გასაოცრად, კრიმინალისტების შეფი ზედმიწევნით მშვიდი და მობილიზებული ჩანდა.

ირაკლიმ ანას პროტესტს ყურადღება არ მიაქცია და გუმბერიძის მანქანაში თითქმის ძალით ჩასვა:

— ცოტა გათბი. და საერთოდაც, სანამ არ დაგიძახებთ, მანქანიდან ფეხის გადმოდგმა არ გაბედო!

— წინა სავარძელზე თერმოსით ყავაა. — მიაძახა ქალს გუმბერიძემ. — ოღონდ ცოტა ჩვენც დაგვიტოვე.

— ყველანაირად ვეცდები, წვეთიც არ დაგრჩეთ. — მანქანის კარი სწრაფად მიხურა უკმაყოფილო ანამ.

— ახლა კი საქმეს მივხედოთ. — მიუბრუნდა გუმბერიძე ჩავლეიშვილს. — რაო, მანქანას რა სჭირსო?

— მეგონა, ამ კითხვაზე პასუხს შენგან მივიღებდი. ერთადერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ დაახლოებით ნახევარ საათს მანქანა მართალია, ჩაკეტილი, მაგრამ უმეთვალყურეოდ მქონდა დატოვებული.

— სიგნალიზაცია ხომ გიყენია?

— სიგნალიზაცია არა, კიდევ ის... — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ჩავლეიშვილმა. — ერთი სული მაქვს, ეს ჯართი სადმე მოვისროლო.

— სანამ მოისვრი, კარგად უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა იმ ნახევარი საათის განმავლობაში.

— წარმოდგენაც კი არ მაქვს, რა შეიძლებოდა, მომხდარიყო. როცა მანქანაში დავბრუნდი და დავქოქე, თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო.

— მეტად აღარსად გაჩერებულხარ?

— ავტოგასამართ სადგურთან გავჩერდი და ავზი ბოლომდე ავავსებინე.

— ესე იგი, ბოლომდე, ხომ?

— ჰო, რა იყო?... — შეცბა გამომძიებელი.

— აი, ამაზე კი უკვე ჯერჯერობით მე არ მაქვს წარმოდგენა. მაგრამ რადგანაც ეჭვი გაქვს, რომ მანქანა შეიძლება, ყოველ წუთს აფეთქდეს, ალბათ, ჯობს, მეც არ მივეკარო. — დაასკვნა გუმბერიძემ.

— არც კი ვიცი, რა გითხრა... — თავი დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით ჩაქინდრა ჩავლეიშვილმა. — როგორც ჩანს, ცხოვრებას ძალიან ჩამოვრჩი: მეგონა, დანაღმული მანქანები საკეტში გასაღების გადატრიალებისთანავე ფეთქდებოდა.

— დღეს აფეთქებას როგორც გინდა, ისე მართავ. თან, შეიძლება, ნებისმიერი რამ — საათის მექანიზმი, ქიმიური რეაქცია, დისტანციური მართვა და ასე შემდეგ გამოიყენო...

— მაშინ იქნებ მართლა არ ღირდეს რამის ხელის ხლება?

— არ ღირს, მაგრამ მე მაინც ვსინჯავ.

— კი, მაგრამ...

— შენ ჩემთვის არაფერი გიბრძანებია. — ხელის აწევით შეაჩერა გუმბერიძემ ირაკლი. — ამას ნებაყოფლობით ვაკეთებ.

ამის შემდეგ გუმბერიძე მანქანასთან მივიდა, მძღოლის მხარეს, გამოღებულ კართან დადგა და ანთებული ფარანი მოიმარჯვა. თუმცაღა სალონში შეხედვისთანავე უკან გამობრუნდა.

— ავზი ბოლომდე აავსებინე, ხომ? — კიდევ ერთხელ დააზუსტა მან ირაკლისთან.

— კი, ასე იყო.

— ამის შემდეგ დაახლოებით რა მანძილი გაიარეთ?

— ალბათ, ასე, ოცდაათ კილომეტრამდე.

გუმბერიძე მოიღუშა.

— რა მოხდა? — დაინტერესდა ირაკლი.

— მანქანის მრიცხველი გამართულად მუშაობს?

— კი. პრობლემა არასდროს შექმნია.

— ავზი რამდენ ლიტრს იტევს?

— სამოცს.

— მაშინ ამიხსენი, მრიცხველი მხოლოდ თხუთმეტ ლიტრს რატომ აჩვენებს?

— ვითომ ვიღაცამ ბენზინი ამოიღო?

— ვითომ კი არა, ნამდვილად. მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, მის ნაცვლად რა ჩაგიდო?

ჩავლეიშვილი უცბად ვერ მიხვდა, რა ჰქონდა მხედველობაში გუმბერიძეს, მაგრამ როგორც კი მიხვდა, ტანში გასცრა:

— იმის თქმა გინდა, რომ...

— სწორედაც რომ... ამიტომ, პირველ რიგში, აქაურობას რაც შეიძლება, შორს უნდა გავეცალოთ! — დაფაცურდა გუმბერიძე. — ჩემს მანქანასაც სასწრაფოდ გადავაყენებ...

გუმბერიძემ მანქანა გადააყენა და უკან ანასთან ერთად დაბრუნდა.

— ახლა კი ყურადღებით მისმინეთ! — დაიწყო მან. — ავზში სულ თავისუფლად შეეძლოთ ქიმიურდეტონატორიანი ასაფეთქებელი მოწყობილობის ჩადება. ბენზინი იზოლაციას ნელ-ნელა შეჭამს, რის შემდეგაც აფეთქებაც მოხდება. ისე, ასეთ სიტუაციაში გზის გადაკეტვაც არ გვაწყენდა.

— მართალი ხარ, მაგრამ მიროტაძეს ვერ დავითანხმებთ. იტყვის, განგაში რისთვის ატეხო, როცა ისიც კი არ იცით ზუსტად, ავზში რამე ჩადეს თუ არაო.

— მაშინ მობრძანდეს და ეგ თვითონ, უშუალოდ გადაამოწმოს! — აბუზღუნდა გუმბერიძე. — ნებისმიერ შემთხვევაში პატრული მაინც უნდა გამოვიძახოთ.

— მანქანაში ხელჩანთა დამრჩა. — გაახსენდა უცბად ანას. — შეიძლება, ავიღო?

— არა! — ხელის აწევით შეაჩერა ის გუმბერიძემ. — მანქანასთან მიახლოება აღარ შეიძლება!

კიდევ ერთხელ საქციელწამხდარი ანა ისევ გუმბერიძის მანქანაში ჩაჯდა, ჩავლეიშვილმა კი საპატრულო პოლიციაში დარეკა და სანამ ზარი გავიდოდა, ვარსკვლავებით თითქოს საგანგებოდ მოჭედილ ცას ახედა: „მაინც რა კარგია ეს ოხერი სიცოცხლე!" — გაიფიქრა მან და ტელეფონის ზარსაც მაშინვე უპასუხეს. და ის იყო, ირაკლიმ სიტუაციის ასახსნელად პირი გააღო, რომ იქაურობა საშინელი აფეთქების ხმამ გააყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუა, აფეთქების ტალღამ კი ჩავლეიშვილს ტელეფონის აპარატი ხელიდან გამოჰგლიჯა და ასფალტზე მოისროლა...

ყველაფერი წამში თუ სულაც წამის მეასედში მოხდა, მაგრამ ადამიანის მახსოვრობას დროის გაწელვის უცნაური უნარი აქვს და ირაკლისაც ალბათ, ამიტომ მოეჩვენა, რომ ეს აფეთქება მოვლენების მთელი ჯაჭვის, გონების მიერ დაფიქსირებული არაერთი სურათისგან შედგებოდა.

ალბათ, პარადოქსი იყო, მაგრამ გამომძიებელი ყველაზე მეტად მაინც მისგან რამდენიმე მეტრში, ასფალტზე აღმოჩენილმა საკუთარმა მობილურმა ტელეფონმა გააოგნა. რატომღაც, სწორედ ეს მოეჩვენა განსაკუთრებულად წარმოუდგენლად და არა ცეცხლში გახვეული მანქანა, რომელიც ცოტაც და სიმხურვალისგან სავრთოდაც დადნებოდა.

აფეთქების შემდეგ პირველი გუმბერიძე მოეგო გონს. მან ჩავლეიშვილს ხელები შემოხვია და მიწაზე დააგდო, რადგან შიშობდა, პირველ აფეთქებას მეორე არ მოჰყოლოდა. ანა კი გუმბერიძის მანქანიდან გადმოხტა და გზის მეორე მხარეს ყვირილით გადაირბინა.

მაგრამ მთელი ამ აურზაურის შემდეგ რამდენიმე წამით იმდენად სრული სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს მანამდე თავხედურად მქროლმა ციემაქარმაც კი შიშით ხმა გაკმინდაო. მოგვიანებით ირაკლიმ ეს წამები „აბსოლუტური სიჩუმისა და ჭეშმარიტების დადგომის მომენტად“ მონათლა, რადგან სწორედ ამის შემდეგ გაუნათდა გონება და სრულიად ლოგიკურად, თითქოს წინასწარ გამზადებული ფორმულებით დაიწყო აზროვნება. ჩავლეიშვილი როგორც იქნა, მიხვდა, რომ ადვოკატების ორმაგი მკვლელობის, სოფიო ბიბილაშვილსა და პირადად მასზე თავდასხმებიდან დასკვნების საკმაოდ რეალური სქემა იკვეთებოდა, რომელთაგან ერთი განსაკუთრებით აშფოთებდა. როგორც ჩანს, ვიღაც ფიქრობდა, მეტიც, დარწმუნებული იყო, რომ მან ადვოკატების საქმესთან დაკავშირებით იმაზე ბევრად მეტი იცოდა, ვიდრე ამას სხვების გასაგონად აცხადებდა. ამდენად, ეჭვს აღარ იწვევდა, რომ ბენზინის ავზში ასაფეთქებელი სწორედ მის და არა მისსავე მანქანაში შემთხვევით აღმოჩენილი ანა მორჩილაძის მოსაკლავად ჩადეს. „გამოდის, რომ ახლა მათი მთავარი სამიზნე მე ვარ. — დაასკვნა ჩავლეიშვილმა, რომელსაც როგორც გამომძიებელსაც დიდად ვერაფრით აჰარებდა ეს აღმოჩენა. — თანაც, ეს კიდევ ერთხელ იმასაც ადასტურებს, რომ აფეთქების ავტორებს ადამიანის სიცოცხლე ჩირადაც არ უღირთ“.

ჩავლეიშვილისთვის არანაკლებ შემაშფოთებელი იყო ისიც, რომ ადამიანები, რომლებიც მას ყალბნომრებიანი მანქანებით დასდევდნენ, სასტიკად ცდებოდნენ. და სინამდვილეში მან თითქმის არაფერი იცოდა, თუ ვინ იდგა ორი ადვოკატის მკვლელობის, სოფიო ბიბილაშვილის ბაღში ჩადებული ნაღმის და, აგრეთვე, ლექსო ბორაშვილის თვითმკვლელობის თუ სულაც მკვლელობის უკან.

სანამ მანქანა იწვოდა, შოთა გუმბერიძე და ანა მორჩილაძე კი გზაზე გამოჩენილ ცნობისმოყვარე მძღოლებს იგერიებდნენ, ჩავლეიშვილი გაუნძრევლად იდგა და ერთ-ერთი მთავარი დასკვნის ჩამოყალიბებას ცდილობდა: „ჩემს მდევრებს, უფრო ზუსტად კი მოკვლის მსურველებს ის აზრი, რომ მე რაღაც მნიშვნელოვანი ვიცი, ჩემთან ზღვაზე გურამ ალადაშვილის ჩამოსვლამ გაუჩინა. როგორც ჩანს, ისინი მას ფეხდაფეხ მოსდევდნენ და ყოველ მის ნაბიჯს აფიქსირებდნენ. თუმცაღა ჩვენი საუბრის მოსმენა მაინც ვერ მოახერხეს, თორემ ხომ გაიგებდნენ, რომ უფროსი ალადაშვილის უცნაური დაღუპვის შესახებ არათუ მე, მისმა შვილმაც კი პრაქტიკულად არაფერი იცოდა. ან იქნებ მკვლელებმა საუბარი მოისმინეს კიდეც, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს, ზედმეტად არ გაერისკათ. ალბათ, ამიტომაც იწვის ახლა ჩემი ძველისძველი მანქანა, მაგრამ, საბედნიეროდ, — ჩემ გარეშე“.

მომხდარის მთელი სიურრეალისტურობის მიუხედავად, ჩავლეიშვილი კარგად ხვდებოდა, რომ გამოძიებაში გარდატეხა მაინც მოხდა და საყრდენი წერტილი, ამოსავალი პუნქტი ნაპოვნი იყო. „ქრონოლოგიას ვერსად გავექცევი. — განაგრძობდა ფიქრს იგი. — ყველაფერი ამირან ალადაშვილის დაღუპვით დაიწყო. ყველა შემდგომი მოვლენის, გურამ ალადაშვილის მკვლელობის ჩათვლით, ამოსავალ წერტილად, სწორედ ის საღამო იქცა, როცა თეიმურაზ ქსოვრელის სასახლიდან გვიან ღამით წამოსული ამირან ალადაშვილი შინ ბრუნდებოდა. ახლა ეს უკვე ზუსტად ვიცი ანუ მაქვს კურსი, რომელსაც უნდა მივყვე“.

ამის შემდეგ ირაკლი დინჯად დაიხარა და ასფალტზე მოსროლილი ტელეფონი აიღო. აპარატი დავარდნისას არ დაზიანებულიყო, რამაც გამომძიებელი ძალიან გააკვირვა. ამასობაში მეხანძრეები მოვიდნენ და ხანძრის ჩაქრობა დაიწყეს. შოთა გუმბერიძე მათთან ცოტა ხანს რაღაცის გასარკვევად გაჩერდა და შემდეგ ირაკლისთან გადაინაცვლა.

— იცი, რომ მათ ეს თითქმის შეეძლეს?.. — დაიწყო მან.

— ჰო, — გააწყვეტინა ჩავლეიშვილმა, — მაგრამ მაინც მხოლოდ თითქმის.

გუმბერიძემ გამომძიებელს გაოგნებულმა შეხედა.

— გგონია, გავგიჟდი, ხომ? — მწარედ გაეღიმა ირაკლის.

— ისე, არც მთლად უმაგისობა უნდა იყოს... — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია გუმბერიძემ.

ამასობაში პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსიც გამოჩნდა. ჩავლეიშვილს ის საიდანღაც ეცნო, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, საიდან.

— შენი მანქანა იწვის, ხომ? — ჰკითხა მან ჩავლეიშვილს.

— კი, ჩემი. — მოკლედ მოუჭრა ირაკლიმ, რომელსაც ზედმეტი ხმაურის ატეხა ახლა არაფრით აძლევდა ხელს. — ჩემს თანამშრომელთან ერთად საქმიდან შინ ვბრუნდებოდი და...

— ეს უკვე ვიცი... ანა მორჩილა-



ძესთან გასაუბრებაც ვცადე, მაგრამ სასწრაფოდ შენთან გადმომამისამართა.

„სწორადაც მოიქცა... ახლა რაც უფრო ნაკლები ადამიანი დააფიქსირებს საკუთარ შთაბეჭდილებებს, მით უფრო ადვილი იქნება შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანი ვერსიით გამოსვლა. ანა მართლა ძალიან სწრაფად სწავლობს ყველაფერს“. — გაიფიქრა ირაკლიმ და შემდეგ ისევ ხმამაღლა განაგრძო:

— მომეჩვენა, რომ მოტორს რაღაც სჭირდა. ამიტომ მანქანა გავაჩერე და ჩვენი თანამშრომელი შოთა გუმბერიძე გამოვიძახე, მაგრამ ვერაფრის გარკვევა ვერ მოასწრო, რადგან მისი გამოჩენა და მანქანის ჰაერში აფრენა ერთი იყო.

პოლიციის უფროსი ირაკლის სკეპტიკური გამომეტყველებით უსმენდა.

— ეს, როგორც მივხვდი, მომხდარის ოფიციალური ვერსიაა, ხომ? — იკითხა მან შემდეგ.

— მანქანას, რაღა თქმა უნდა, ექსპერტიზაზე გავგზავნით. — თითქოს კითხვა საერთოდ არ გაუგონიაო, ისე განაგრძო ჩავლეიშვილმა. — მთავარია, არავინ დაშავებულა.

— ეს ყველაფერი ხომ უკვე ისედაც ვიცი. — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია პოლიციის უფროსმა.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, რომ იცი. დანარჩენზე კი უკვე ჩემს უშუალო შეფთან მოგიწევს დალაპარაკება.

ირაკლიმ საათს დახედა: ხუთი ხდებოდა.

— ახლა კი სახლში წასვლისა და დაძინების დროა. — მშვიდად წარმოთქვა მან შემდეგ...

სამივე გუმბერიძის მანქანაში ჩაჯდა. გზაში ხმა არავის ამოუღია. ჯერ ანა მიიყვანეს, შემდეგ ჩავლეიშვილის ჯერიც დადგა.

— რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავარკვიოთ ყველაფერი. — უთხრა მან გუმბერიძეს მანქანიდან გადასვლამდე. — დროის გაწელვის უფლება აღარ გვაქვს.

— შვიდზე სამსახურში ვიქნები.

— არა, ცოტა კიდევ დაიძინე და ცხრაზე მოდი...

ბინაში შესულმა ჩავლეიშვილმა შხაპი მიიღო და დაწვა, მაგრამ ექვსი საათი ისე გახდა, რომ თვალი ვერაფრით მოხუჭა. შვიდს რომ ხუთი აკლდა, უკვე ფეხზე იყო და იცვამდა. წინ გრძელი და მძიმე დღე ელოდა, რომელსაც ბოლომდე ალბათ, გაჭირვებით თუ გაუძლებდა...

დილა სენსაციით დაიწყო: ანდრო მიროტაძე სამსახურში გაუპარსავი გამოცხადდა. ადრე მსგავსი რამ არასდროს მომხდარა. შეფის დაძმარებული სახის შემხედვარე ჩავლეიშვილი მიხვდა, რომ ახლა მასთან ცალკე დალაპარაკება არ ღირდა.

მიროტაძემ მაგიდაზე ხელები მძიმედ დააწყო და შეკრებილთ თვალი მკაცრად მოავლო.

— იქნებ ვინმემ მეც ამიხსნას, რა ხდება? — იკითხა მან შემდეგ. — დილის ექვსის ნახევარზე პოლიციის ერთ-ერთი რაიონული განყოფილებიდან მირეკავენ და მატყობინებენ, — თქვენს თანამშრომლებს რაღაც შეემთხვათ, უფრო სწორად გამომძიებელ ირაკლი ჩავლეიშვილს მანქანა აუფეთქდა და სიტუაციაში სწრაფად გასარკვევად ჩვენი კრიმინალისტებიც ხომ არ დაგახმაროთო. მე კი იდიოტივით ვდგავარ, და ისიც კი არ ვიცი, რა ვუპასუხო. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ წარმოდგენაც კი არ მაქვს, რა მოხდა. არც ის ვიცი, ჩავლეიშვილი დაჭრილია თუ საერთოდაც, დაიღუპა. გესმით, რა ხდება? მე, თითოეული თქვენგანის უშუალო უფროსს, წარმოდგენა არ მაქვს, რით იყო დაკავებული ზოგიერთი ჩემი ხელქვეითი მთელი გუშინდელი დღისა და, რაც მთავარია, ღამის განმავლობაში!

— ახლავე ყველაფერს აგიხსნი... — დაიწყო ჩავლეიშვილმა.

— ძალიან დამავალებ, თუ ახლა მაინც გამხდი ამის ღირსად.

— ორმაგი მკვლელობის საქმეს ვიძიებთ. ამას დაემატა ადვოკატების პირადი მდივნის სოფიო ბიბილაშვილის ბაღში ნაღმის აღმოჩენაც...

— რას მელაპარაკები?.. — გააწყვეტინა ირაკლის მიროტაძემ. — და ეს ყველაფერი მაინცდამაინც გუშინ ღამით, უფრო სწორად კი გამთენიისას გაგახსენდა, ხომ?

— რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ალბათ, დამეთანხმები, რომ გამოძიება უკვე ჩიხში იყო შესული. ჰოდა, სწორედ ამ დროს წავაწყდით ადამიანის გვარს, რომელსაც საქმეში მცირედი სიცხადის შეტანა მაინც შეეძლო. თავის მხრივ, გვარი ერთ-ერთ სასტუმროსთან, უფრო სწორად, უკვე ყოფილ სასტუმროსთან იყო დაკავშირებული. მე და ანა მორჩილაძე გუშინ ღამით ამ სასტუმროს მეპატრონის სანახავად ვიყავით.

— დილამდე ვერაფრით მოიცდიდით?

— რა თქმა უნდა, მოცდა შეიძლებოდა, — მშვიდად უპასუხა ოდნავ მომლბალ შეფს ჩავლეიშვილმა, — მაგრამ დროის მოგება გადავწყვიტეთ. ასე იყო თუ ისე, მე და ანა მორჩილაძე სასტუმროს მეპატრონეს ვესტუმრეთ და მასთან დაახლოებით ნახევარი საათი დავყავით. უკანა გზაზე ანამ შენიშნა, რომ ვიღაც კვალში გვედგა. გავჩერდით და მდევრის მანქანის ნომერი ჩავიწერეთ, ღვინიაშვილმა კი ყველაფერი სწრაფად გადაამოწმა. კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი: სანამ ჩვენ სასტუმროს მეპატრონის სახლში ვისხედით და მას და მის ცოლს ვესაუბრებოდით, ვიღაცამ ჩემი მანქანის ბენზინის ავზში ასაფეთქებელი ჩადო. სრულიად შემთხვევით რაღაც ვიეჭვე, გუმბერიძეს დავურეკე და დახმარება ვთხოვე. მერე მანქანა უცბად აფეთქდა. ოღონდ, საბედნიეროდ, არავინ დაზარალებულა. ეს იყო და ეს.

ჩავლეიშვილი გაჩუმდა. ხმა არც სხვებს ამოუღიათ. ამიტომ ირაკლიმ გადაწყვიტა, მათთვის თავისი მოსაზრებებიც გაეზიარებინა და მალე ისიც შენიშნა, რომ შეკრებილები განსაკუთრებული ინტერესით უსმენდნენ. სხვა რეაქციას არც თვითონ ელოდა, რადგან თითქმის ყველა მისი კოლეგა გამოცდილი მუშაკი იყო და ძალიან პრეტენზიული, მაგრამ სრულიად ფუჭი თეორიებისა და ერთი შეხედვით ფანტასტიკური, მაგრამ სავსებით შესაძლო ვარაუდების ერთმანეთისგან გარჩევა არ უჭირდათ. კოლეგების დაინტერესებამ ირაკლიც წაახალისა.

— მაშ ასე, — განაგრძო მან, — მე პირადად სამ ამოსავალ წერტილს ვხედავ. ჯერ ერთი, მეტი ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამირან ალადაშვილსა და მის კლიენტებზე; კიდევ უფრო უნდა ჩავუღრმავდეთ და თან რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავიგოთ ყველაფერი, რაც კი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ანუ მას შემდეგ ხდებოდა, რაც უფროსი ალადაშვილი მთლიანად ეკონომიკურ კონსულტაციებზე გადაერთო. ისე, დროის კიდევ მეტად დაზოგვის მიზნით, ხუთის ნაცვლად შეიძლება, ბოლო სამი წელი ანუ მხოლოდ ის პერიოდი ავიღოთ, როცა, სოფიო ბიბილაშვილის თქმით, მოხუცი ადვოკატი ძალიან შეიცვალა. იქნებ ვინმემ ალადაშვილების საადვოკატო ფირმის დამლაგებელი ქალიც დაკითხოს. ადვილი შესაძლებელია, მას შემთხვევით რამე დაენახა ან გაეგონა.

— დამლაგებელს მე დაველაპარაკები. — ინიციატივით გამოვიდა ანა.

— კარგს იზამ. — კმაყოფილი სახით გადახედა მას ჩავლეიშვილმა. — მისი მისამართი სოფიო ბიბილაშვილს აქვს.

ირაკლიმ ყავა მოსვა და განაგრძო:

— მეორე და არანაკლებ მნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვანია ლექსო ბორაშვილის საკითხი. ვფიქრობ, ეს ის შემთხვევაა, როცა გამოძიებისთვის გარდაცვლილ ადამიანს ცოცხალზე მეტი სამსახურის გაწევაც კი შეუძლია.

— და ამაში ალბათ, ჩვენი ბათუმელი კოლეგებიც უნდა ჩავრთოთ. — შენიშნა ანდრო მიროტაძემ.

— მე კი მგონია, რომ თუ ამას მხოლოდ ჩვენი ძალებით მივხედავთ, საქმე წინ უფრო სწრაფად წავა.

— ისე, მართალი ხარ... — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მაინც დაეთანხმა ირაკლის ანდრო.

— და მესამე, — განაგრძო ჩავლეიშვილმა, — უნდა გავარკვიოთ, ვინ გვითვალთვალებს. ისიც საინტერესოა, ეს პირველი შემთხვევაა თუ რომელიმე თქვენგანს ადრეც შეუმჩნევია მსგავსი რამ?

ღვინიაშვილმა და ხარაიშვილმა უარის ნიშნად თავები თითქმის ერთად გაიქნიეს.

— მაშინ საკითხს კიდევ უფრო სერიოზულად უნდა მივუდგეთ. შეიძლება, ვცდები, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მათ მარტო ჩემი არსებობა როდი აწუხებთ.

— სოფიო ბიბილაშვილის სახლს უკვე ჩვენც მუდმივად ვუთვალთვალებთ. — დაიწყო ღვინიაშვილმა. — ვფიქრობ, დღეიდან ეს შენც არ გაწყენდა.

— არა. — იუარა ჩავლეიშვილმა. — ამის გაკეთება საჭირო არ არის.

— რას ჰქვია, საჭირო არ არის? — ჩაერია საუბარში მიროტაძე. — ამას უკვე მე აღარ დავუშვებ. მეტიც, იარაღიც სულ თან უნდა ატარო!

— არავითარ შემთხვევაში.

— ისე იქნება, როგორც მე ვიტყვი! — ხმას აუწია მიროტაძემ.

ჩავლეიშვილი შეფს აღარ შეჰკამათებია. შეკრებილებმა საქმე გაინაწილეს. გადაწყდა, რომ ღვინიაშვილი და ანა ალადაშვილების საადვოკატო ბიუროში წავიდოდნენ და ყველა იმ საქმეს გაეცნობოდნენ, რომლებიც ამირან ალადაშვილს მიჰყავდა, ხარაიშვილი საეჭვო მანქანებს შეამოწმებდა, ჩავლეიშვილმა კი ლექსო ბორაშვილთან დაკავშირებული ყველა საკითხის გარკვევა აიღო საკუთარ თავზე.

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ მეჩვენება, რომ ძალიან უნდა ვიჩქაროთ. — უთხრა მან დანარჩენებს. — ამიტომ მოდი, უქმად წამსაც კი ნუღარ დავკარგავთ.

ამით თათბირი დასრულდა და ყველა თავისი სამუშაო ადგილისკენ გაემართა. სანამ წამოიშლებოდნენ, ირაკლიმ დრო იხელთა, ანას გვერდულად გახედა და კმაყოფილმა დაასკვნა, რომ მძიმე უძილო ღამეს ქალზე თითქმის არ ემოქმედა.

ჩავლეიშვილმა ყავა დაისხა და თავისი კაბინეტისკენ გასწია. მას ახლა უკვე ცალკე უნდა გაერკვია, როგორ ემოქმედა. ცოტა ხანში გუმბერიძეც გამოჩნდა.

— უკვე მოხვედი? — გაუხარდა მისი დანახვა ჩავლეიშვილს.

— მოვედი, მაგრამ ჯერ რაღაც უნდა გავარკვიო და მერე ვილაპარაკოთ. — კარიდანვე დააპირა გაბრუნება კრიმინალისტების შეფმა.

— შემთხვევით ის ხომ არ უნდა გაარკვიო, მე და ბიბილაშვილს ერთი და იმავე ასაფეთქებლით გვიპირებდნენ თუ არა ჰაერში აწევას? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ირაკლიმ.

— გამოცანა გეკუთვნის. — ჩაიბურტყუნა გუმბერიძემ და კარი სწრაფად გაიხურა.

ამის შემდეგ ირაკლის ეკა ხადურმა დაურეკა.

— უკვე მართლა ძალიან იგრძნობა, რომ სამსახურში დაბრუნდი. — დაიწყო მან.

— რას გულისხმობ?

— ვითომ თვითონ ვერ ხვდებოდე!.. ჩვენს განყოფილებაში მგონი, უკვე დამლაგებლებსაც იმის შიში აქვთ, ცოცხებში ასაფეთქებელი არავინ ჩაგვიდოსო.

— იუმორის გრძნობა არასდროს გღალატობდა. — გაეღიმა ჩავლეიშვილს. — მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ არავინ დაშავებულა.

— რა თქმა უნდა. — მაშინვე დაეთანხმა მას ქალი. გავიგე, რომ მეძებდი. რას შეუწუხებიხარ?

— ძალიან გთხოვ, მანქანა მიშოვე.

— რა მანქანა?.. აჰ, ბოდიში... დამავიწყდა, საკუთარი რომ აღარ გყავს. საით გაგიწევია?

— ბათუმში უნდა წავიდე. კიდევ, იქნებ ქსოვრელის რომელიმე მდივანს დაურეკო და სთხოვო, ამ კაცის ბიზნესსაქმიანობის მიმოხილვა გამომიგზავნოს. ერთი ასეთი საქაღალდე ადრე უკვე მომცეს, მაგრამ მანქანაში მქონდა და დაიწვა.

— თუმცაღა ამ „უმნიშვნელო“ დეტალს მათ, რაღა თქმა უნდა, არ გავაგებინებ. — ჩაეცინა ეკას.

— შეიძლება, მართლა არ ღირდეს. — დაეთანხმა მას ჩავლეიშვილი.

— მაგრამ ახალი საქაღალდე სასწრაფოდ მჭირდება.

— გავიგე. საქაღალდეც სასწრაფოდ გექნება და მანქანაც.

— ამიტომაც ხარ შეუცვლელი.



— ერთადერთი და განუმეორებელიც. — დასძინა ეკამ და გამომძიებელს მაშინვე დაემშვიდობა.

ეკა ხადურთან სიტუაციის გარკვევის შემდეგ ირაკლიმ ლევან ხარაიშვილისკენ გასწია, რომელიც უკვე საეჭვო მანქანებთან დაკავშირებულ მასალებს სწავლობდა.

— მერაბ კაკაურიძე თუ გახსოვს? — ოთახში შესვლისთანავე ჰკითხა მას ჩავლეიშვილმა.

ხარაიშვილი ჩაფიქრდა:

— თუ არ ვცდები, ყოფილი პოლიციელი უნდა იყოს...

— არ ცდები.

— მერე?

— ოფიციალურად კაკაურიძე პოლიციიდან პირადი განცხადებით წავიდა. თუმცაღა დადიოდა ხმები, რომ რაღაც სკანდალში გაეხვია და წასვლა აიძულეს. იქნებ გაარკვიო, სინამდვილეში რა მოხდა. ოღონდ, ეცადე, ეს რაც შეიძლება შეუმჩნევლად გააკეთო.

ხარაიშვილმა ჯერ გვარი ჩაინიშნა და შემდეგღა დაინტერესდა:

— შემთხვევით, ესეც ადვოკატების საქმესთან ხომ არ არის დაკავშირებული?

— შეიძლება, ასეც იყოს. — უპასუხა მას ჩავლეიშვილმა. — მერაბ კაკაურიძე თეიმურაზ ქსოვრელის დაცვაში მუშაობს. ამირან ალადაშვილი კი სწორედ ქსოვრელისგან მოდიოდა, როცა დაიღუპა.

— მაშინ ყველაფერს ძალზე დეტალურად გავარკვევ...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა" №47-48

# წაგებული თამაში

— მაპატიე, მაპატიე, მაპატიე! — ადგილზე ცმუკვა დაიწყო ნანათემ, როგორც კი ცისიამ კარი გაუღო, — ვიცი, რომ დავაგვიანე, მაგრამ არ მისაყვედურო. არ მინდოდა, ოღონდ მართლა! საშინელი დღე მქონდა!

— შენ ყოველდღე საშინელი დღე გაქვს ბოლო ხანებში, მაშინაც, როცა მუშაობ და მაშინაც, როცა არ მუშაობ! რა გემართება? ცოტა აზრზე უნდა მოხვიდე! გგონია, ამქვეყნად ყველაზე ცუდად შენ ხარ?

— ვიცი, ვიცი, ვიციიიი! გემუდარები, მეტი არაფერი მითხრა. ვცდილობ, გამოვსწორდე და აი, ამ წუთიდან ვიწყებ ამას, — ეშმაკური ღიმილით წარმოთქვა, წელში ოდნავ მოიხარა, ხელები ზურგზე დაიწყო და ჩურჩულით გააგრძელა, — ის მოვიდა? აქ არის? როგორია?

— მგონი, ცოტა „მუდოა"... უფრო სწორად, თავის თავში ჩაკეტილი, — გამოასწორა ცისიამ, — მაგრამ ახლოს რომ გაიცნობ, აუცილებლად მოგეწონება. ისეთი მომნუსხველი ღიმილი აქვს, გაგიჟდები! სხვათა შორის, ძალიან სიმპათიურია!

— ვნახოთ, ვნახოთ, ვნახოთ, — წარბები შეათამაშა ნანათემ და დაქალს ჰოლში შეჰყვა.

უყვარდა აქ მოსვლა. სიამოვნებდა მაღალჭერიანი უზარმაზარი ოთახების დათვალიერება, თანამედროვე ევროპული ავეჯით რომ იყო გაწყობილი, თანაც სადა, არაფრით გადატვირთული. არც ფერები ღლიდა მზერას და არც ზედმეტი ნივთები, რის გამოც უკიდეგანო სივრცის შეგრძნება გეუფლებოდა.

— ნანათეც მოვიდა! — ფიქრებში წასულს მეგობრის ხმა ჩაესმა, თუმცა ამწუთას მისი ყურადღება იმ ადამიანისკენ იყო მიპყრობილი, ბუხრის წინ მისკენ ზურგით რომ იდგა კახასთან ერთად.

სტუმარი შემობრუნდა და... ნანათემ შეამჩნია, როგორ ჩამოუვარდა მამაკაცს ყბა...

მის წინ საკუთარი ბოსი, ილია გოკიელი იდგა.

არა! ეს შეუძლებელია! ეჩვენება, თუ რა მოსდის? ქალმა თვალები რამდენჯერმე დახუჭა და გაახილა, მაგრამ „მოჩვენება" სულაც არ გამქრალა, კვლავ მის წინ იდგა და პირმოკუმული გამომცდელად მისჩერებოდა.

— როგორც იქნა, ვეღირსეთ შენს გამოჩენას! — ხელებგაშლილი კახა ნანათეს მიუახლოვდა და გადაეხვია.

— ასე უნდა, ლამაზო? რატომ დაგვივიწყე? ოფიციალური მოწვევის გარეშე არ უნდა დაგვაფასო? — თან მსუბუქად უსაყვედურა.

ნანათეც ჩაეხუტა სიძეს, თან თვალები ბუხართან მდგომი სტუმრისკენ კიდევ ერთხელ გააპარა, იმ იმედით, რომ ამჯერად უცნობ მამაკაცს დაინახავდა, რომელიც ძალიან ჰგავდა მის უფროსს.

არა, არც შემცდარა! ნამდვილად არ ატყუებდა მხედველობა. იქ ილია იდგა, ისევე გაოგნებული და გაქვავებული, როგორც თავად ნანათე.

იქნებ ახლავე წავიდეს აქედან? უგუნებობა მოიმიზეზოს და სასწრაფოდ გაეცალოს მეგობრებს?! არა, არ ივარგებს. თანაც, ნანათე არ ეკუთვნის ქალთა იმ კატეგორიას, მსგავს შემთხვევებში გული რომ მისდით. ისლა დარჩენია, თავდაჯერებულად მოიქცეს და არავის არაფერი აგრძნობინოს.

აი, რა იცის მეგობრების დავიწყებამ. თავის დროზე რომ მოსულიყო ცისიასთან და მისთვის ეთქვა, სად მუშაობდა, ვისთან, ვინ უმწარებდა ბოლო სამი კვირის განმავლობაში სიცოცხლეს, ეს არ შეემთხვეოდა. არავინ შეიწუხებდა თავს მათი გაცნობით და ყველაფერი თავის ადგილზე დარჩებოდა!

— საღამო მშვიდობისა, — ნანათემ კეკლუცი ღიმილი აიკრა ტუჩებზე და ილიას ხელი გაუწოდა.

უფროსმა დროებით მენეჯერს ცივად დაუკრა თავი და, რატომღაც, მის გამოწვდილ ხელს დააშტერდა...

— ნან, ეს კახას მეგობარია, ილია გოკიელი, გაიცანი. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მას შენზე, — ცისიამ დაქალს მხარზე ჩამოადო მარცხენა ხელი.

შესანიშნავია! ახლა კი ჭეშმარიტად შეიგრძნობდა პატივცემული ბოსი, როგორი არასაამურია თურმე ცხოვრება! ჰა-ჰა-ჰა!

ილია იძულებული გახდა, ხელი ჩამოერთმია მისთვის.

— ნანათე ნინიძე, — წარმოთქვა ქალმა და შეეცადა, არ შეემჩნია, მამაკაცის თითები როგორ ძლიერად შემოეჭდო მის ხელისგულს...

რა თბილი თითები ჰქონია! ო-ჰო! — წარბები შეუმჩნევლად აზიდა ქალმა და ცნობისმოყვარე მზერა ჩაუდგა თვალებში.

ცოტა არ იყოს, უხერხულობა იგრძნო, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო მეგობართან იმყოფებოდა. რა თქმა უნდა, მისი უხერხულობის მიზეზი ილიას სრულიად მოულოდნელი გამოჩენა იყო ამ სახლში. ყველა-

ფერს ელოდა, ყველანაირ საოცრებას, მაგრამ აქ მოსულს ილიას თუ დაახვედრებდნენ — არა!

იმისთვის, რომ არ დაძაბულიყო, მამაკაცებს მოშორდა, მაგიდისკენ გაემართა და მინერალური წყლის ბოთლს დასწვდა.

— რა ქნა მეკომ, წავიდა შეხვედრაზე? — მრავალმნიშვნელოვანი სახით შეხედა ცისიამ, სანამ ნანათე წყალს ჭიქაში ასხამდა.

— კი, წავიდა... ჩემზე ადრე გავიდა სახლიდან.

— მეკო ვინ არის? — დაინტერესდა ილია.

— ისიც ჩემი მეგობარია, ერთად ცხოვრობენ. მერე იმასაც გაგაცნობ, დღეს, უბრალოდ, არ სცალია, — უპასუხა ცისიამ და დაქალს თვალი ჩაუკრა.

ნანათემ კვლავ გააპარა მზერა უფროსისკენ. მას ახალი მენეჯერი ასეთ ფორმაში ჯერ არ უნახავს. ნეტავ, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა? როგორც ჩანს, ვერანაირი. მამაკაცი ზედაც არ უყურებდა ქალს, აშკარა იყო, გულგრილი რჩებოდა მისი „ბრწყინვალებების“ მიმართ. არც ქალის გიტარასავით გამოყვანილი წელისთვის მიუქცევია ყურადღება და არც მისი ნახევრად შიშველი მკერდისკენ გაჰქცევია თვალი. ჰო, აბა სხვას რას მოელოდა? რომელი „ახალი ხილი“ ნანათე იყო მისთვის? არადა, სულაც არ არის „ხელწამოსაკრავი“ ქალი. ძალიანაც „მადის აღმძვრელია“! ნეტავ, გულში რას ფიქრობს? ეს რა კარგი ვინმე ყოფილაო, წამითაც არ გაიფიქრა? ბოლოს და ბოლოს, მამაკაცია, შეუძლებელია, რეაქცია არ ჰქონოდა. უბრალოდ, არ შეიმჩნია და ეგ არის, — დაიმშვიდა თავი ნანათემ და ჭიქა ნაზად მიიტანა ტუჩებთან.

გაზიანი „ნაბელღლავის“ შიშინი კახას ხმამ გადაფარა.

— ნან, რა ხდება ახალი შენს ცხოვრებაში? დაამარცხე დეპრესია?

— ყველაფერი რიგზეა, კახა, კარგად ვარ, — ნაძალადევად გაუღიმა ქალმა და ჭიქა მკერდის ღართან მიიდო... ესიამოვნა ცივის შეხება.

ნეტავ, მეკოც წამოსულიყო, იქნებ ის მაინც მოსწონებოდა ამ დეგენერატს! მერედა, რომ მოსწონებოდა? აი, დარდი! ისედაც არ მოსდიოდა თვალში თავისი უფროსი და ასეთ შემთხვევაში, მით უმეტეს, ნერვიც არ აუტოკდებოდა. თუმცა, რომც მოსწონდეს, მას სანერვიულო სულაც არ ექნებოდა. მეკო ხელოვნურ თოჯინას ჰგავს, პატარა ფაიფურის ქანდაკებას, ცისფერი თვალებითა და ხუჭუჭა ქერა თმით. თან, რა სასაცილოა, თმაზე ხავერდის შავ ლენტს რომ გადაიბანტავს ხოლმე, მთლად ბაღის აღსაზრდელს ემსგავსება. გარდა ამისა, ისეთი შტერია და ისე დაუფიქრებლად იცის ხოლმე სისულელეების წამოყრანტალება, ასეთ ზრდასრულ მამაკაცზე შთაბეჭდილებას ნამდვილად ვერ მოახდენს. ამაში არავინ შეედავოს!

თვითონაც არანაკლები შტერი ყოფილა! რას გამოიპრანჭა? ხომ ფაქტია, რომ მამაკაცი ინფორმირებული იყო — ვიღაც უნდა გაეცნოთ მისთვის. გამოდის, იმასაც მიხვდა, რატომაც ეცვა ნანათეს ასე გამომწვევად. ოხხხ! უკვე მერამდენე რაუნდი წააგო მასთან!

მოიცა, მოიცა! როგორო, რა უთხრა ცისიამ ტელეფონში? ცოლი გარდაცვლილი ჰყავსო? აბა, ის ქალი და ბავშვი ვინ იყო ფოტოსურათზე, კაბინეტის საწერ მაგიდაზე რომ უდევს ჩარჩოთი? ნუთუ ის ლამაზი ქალი ცოცხალი აღარ არის? რა საშინელებაა!

სასწრაფოდ დადგა ჭიქა მაგიდაზე და უსიამოვნო შეგრძნებით შეპყრობილი სამზარეულოში გაპაკუნდა, რათა ჩანთიდან თმის სამაგრი ამოეღო და თმა შეეკრა. ყოველგვარი სურვილი გაუქრა, ბოსს გაჰპრანჭოდა.

— ამას წინათ ველაპარაკე და ისეთი შეწუხებული იყო, ვერ წარმოიდგენ. ვერა და ვერ იშოვა ნორმალური სამსახური. იქნებ შენ დაეხმარო, ილია? — მის სმენას ცისიას ხმა მისწვდა.

სასწრაფოდ გამოვიდა სამზარეულოდან, თან ცალი ხელით სამაგრს ისწორებდა, კულულები რომ არ ჩამოშლოდა. უნდოდა, თვალით ენიშნებინა მეგობრისთვის, არაფერი თქვაო, მაგრამ დააგვიანდა.

— მართლა? — ირონიულად ჩაიცინა ილიამ. — ასეთ კაბაში გამოწყობილ ქალს ძნელია, რამეზე უარი უთხრა, — „მსუყედ“ ჩააქსოვა გესლი მამაკაცმა ნათქვამში.



ნანათემ კვლავ შეუმჩნევლად აზიდა წარბები. მისთვის უფროსის ირონია სრულიად გასაგები იყო. მან ქალის ჩაცმულობას გაუსვა ხაზი და არა მის სილამაზეს.

— იცი, როგორი კარგი მენეჯერია? — ენას არ აჩერებდა ცისია, — თანაც, შეხედე, როგორ ბრწყინავს! ქალი კი არა, ნამდვილი ფერიაა! ყველაფერს მივცემდი, მე რომ ასე გამოვიყურებოდე! — ახლა კი გადაამლაშა მეგობარმა.

ვერ მიხვდა ნანათე, ცისია ყოველივე ამას გულწრფელად ამბობდა, თუ ილიას „თვალთა დასაბრმავებლად“, თუმცა გულში თვითონ პირველ ვარიანტს უჭერდა მხარს.

როგორც იქნა, იკადრა ქვრივმა ბოსმა და ცალი თვალით გადახედა თავის კაბასავით წითელ ნანათეს.

— მართლა არაჩვეულებრივი მენეჯერია, ილია, — აგრძელებდა ცისია, — შეუძლია, რჩევები მოგცეს შენს საქმიანობაზე, თანაც, ღირებული.

— ნუთუ? — ველარ მოითმინა ნანათემ და ირიბი მზერა ესროლა დაქალს. — არ მეგონა, კარგი მენეჯერის მოძებნა დღეს ასე თუ ჭირდა თბილისში. ახლა ვინც გყავთ, ვერ. ართმევს თავს სამუშაოს, ბატონო ილია? — გესლიანად შეეკითხა ნანათე და გამჭოლი მზერა ესროლა უფროსს.

— მას დროის შეგრძნება საერთოდ არ გააჩნია, — არც ილიამ დაინდო დროებითი მენეჯერი და თავისი ნათქვამის გასამყარებლად კედლის საათს ახედა, აქაც კი აგვიანებო, მიანიშნა, — მასზე დაყრდნობა შეუძლებელია, წამითაც ვერ ვენდობი.

„ჩემზე დაყრდნობაა შეუძლებელი?! ერთი ამას უყურე!“ — მოიღუშა ნანათე და ღიმილის გამოსახატავად ტუჩები მობრიცა.

— მოდი, დავსხდეთ, თორემ ყველაფერი გაცივდა, — მოისაზრა ცისიამ და ყველანი სუფრასთან მიიწვია, — თითო მაინც დავლიოთ. კახამ ისეთი შავი ღვინო მოიტანა, გადაირევით!

ნანათე უხალისოდ მიუჯდა სუფრას. ილია დაელოდა, სად დაჯდებოდა მისი თანამშრომელი და თვითონ მხოლოდ ამის შემდეგ მოძებნა ადგილი — იგი კახას მიუჯდა გვერდით და, შესაბამისად, ნანათეს პირისპირ აღმოჩნდა.

— აუ, ნან, კახას ვერ გაუცვლი ადგილს? ჩემი ქმრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდით მინდა ვიყო, — გამოაცხადა მოულოდნელად ცისიამ.

ნანათეს ფერი ეცვალა. ნირი წაუხდა ილიასაც. ისევ კახამ განმუხტა სიტუაცია.

— დარჩი, სადაც ზიხარ. გვაცალე კაცებს ერთი საღამო, არაფერი მოხდება!

დატუქსულმა ცისიამ ტუჩები გაბუსხა და გაჩუმდა.

ოჯახის უფროსმა ღვინო ჩამოასხა და დაილოცა. ნანათემ ყველას მიუჭახუნა თავისი ბოკალი და უთქმელად გადაკრა. ისე გაგულისდა, გადაწყვიტა, დამთვრალიყო.

— ნან, შენც გვიამბე შენი უფროსის შესახებ. ამას ისეთი საშინელი დირექტორი ჰყავს, მიკვირს, როგორ უჩერდებიან თანამშრომლები.

ნანათეს ალმურმა გადაჰკრა ლაწვებზე. ნეტავ, გააჩერებდეს ენას ეს გოგო! რა ატლიკინებს?

— ეგ აქ რა მოსატანია, — თავისთვის ჩაიბურტყუნა და თავი დახარა.

— რატომაც არა? ჩვენ ხომ საქმიანი შეხვედრა გვაქვს, ფაქტობრივად, — დამცინავად გაისმა ილიას ხმა.

„აჰ, ასე, არა? კარგი! მაშინ, მეც მომეცა შესაძლებლობა, შენზე ვთქვა ის, რასაც სინამდვილეში ვფიქრობ. ჰოდა, კარგად მომისმინე, შე ბებერო ქვრივო!“

— როგორ გითხრათ, — შეწუხებული სახე მიიღო, — ძალიან უხეში და უზრდელი კაცია, ადამიანებთან ურთიერთობა საერთოდ არ ესმის. მისთვის ეს ჩინურია. თანამშრომლებს ისე უყურებს, როგორც მოსამსახურეებს. არც ესალმება და არც ემშვიდობება... არასდროს. „თუ შეიძლება“ და „მადლობა“ ხომ საერთოდ... მგონი, არასდროს გამოუყენებია ეს სიტყვები.

— იქნებ ძალიან დაკავებულია და იმიტომ? — კახამ კვლავ ჩამოასხა ღვინო.

— რაც უნდა დაკავებული იყოს ადამიანი, თავაზიანობა არ უნდა დაივიწყოს. ეს არ არის გასამართლებელი არგუმენტი, — მწყრალად შენიშნა ნანათემ.

— ტელეფონზე ლაპარაკსაც კი კრძალავს თურმე, — გააგრძელა ცისიამ მეგობრის დაწყებული, — მეკო გაგიჟებულია, როცა უნდა დავურეკო, სულ ეშინია, — დროზე მორჩი ლაპარაკს, უფროსი არ შემოვიდეს, თორემ შენიშვნას მომცემსო. მეც სულ ორი წუთით ველაპარაკე დღეს. შენთან როგორაა ამ მხრივ საქმე, ილია?

— ასეთი რამეები არც მე მომწონს, — თავი გააქნია ილიამ.

— რა არ მოგწონთ, რომ უკრძალავენ ის, თუ რომ ლაპარაკობენ, ის? — აენთო ნანათე.

— სამუშაო საათებში ტელეფონზე რომ ჩამოეკიდებიან ის, — ხაზგასმით აღნიშნა მამაკაცმა, — გასართობად ყველა ადამიანს რჩება დრო — საღამოს საათები ან გამოსასვლელი დღეები. მე ყველაფერი დავბლოკე ჩემს ფირმაში — სოციალური ქსელები, გასართობი საიტები, საფოსტო გზავნილები და ა.შ.

— უი, უი, უი! შენც ძალიან მკაცრი ვინმე ყოფილხარ! — აკისკისდა ცისია და მხარი გაჰკრა ნანათეს. — ამას კი არ ველოდიიი!

— მოდი, დავლიოთ, მაგ წვრილმანებზე მერე ვილაპარაკოთ! — კახამ ჩანგალი შემოჰკრა ბოკალს და სიჩუმე მოითხოვა...

სამიოდე ჭიქის მერე ნანათეს, რომ იტყვიან, შუბლი გაუხურდა. სითამამე შეემატა და „ერთ მშვენიერ წუთსაც“, უტიფრად მიაჩერდა თავის უფროსს.

— თქვენი მენეჯერი ვერ მუშაობს სათანადოდ? ასე ვთქვათ, ვერ ქა-ჩავს? — მახვილი დაასვა ბოლო სიტყვას.

— რაღაც-რაღაცებში ვერა, — მშვიდი ტონით მიუგო გოკიელმა.

— იქნებ სცადო ილიასთან მუშაობა? გული მიგრძნობს, ადვილად გამონახავთ საერთო ენას, — გამოვიდა წინადადებით ცისია.

— ო! მშვენიერი იდეაა! — შესძახა ნანათემ. — რას იტყვით, გამომიძებნით თქვენთან რამეს? — და ცალყბა ღიმილით მიაჩერდა უფროსს.

— სრულიად შესაძლებელია, ამ დღეებში მართლა გამოთავისუფლდეს ჩემთან უმცროსი მენეჯერის ადგილი, — ცივად წარმოთქვა ილიამ, — თუმცა, არა მგონია, თქვენ ამან დაგაინტერესოთ. თქვენ ხომ მაღალი რანგის მენეჯერი ხართ! ცისიამ მითხრა, ისეთი მაგარია, პრაქტიკულად, ეგ მართავს ფირმასო. სამწუხაროდ, თქვენს შესაფერის სამსახურს ვერ შემოგთავაზებთ, უმცროსი მენეჯერის ადგილს კი, უბრალოდ, ვერ გაკადრებთ.

მისმა სარკაზმმა ნანათე გააცოფა.

— მე უკვე ვფიქრობ იმაზე, რომ რადიკალურად შევიცვალო კვალიფიკაცია, — თავშეკავებულად წარმოთქვა და ნიშნის მოგებით გადახედა ილიას.

— კვალიფიკაცია შეიცვალოთ? რას ნიშნავს ეს?

ნანათემ დანა-ჩანგალი თეფშზე დადო, თითები ერთმანეთში გადახლართა და ირონიანარევი ტონით ახსნა თავისი ნათქვამი.

— ეს იმას ნიშნავს, რომ დავიღალე იმ ურთიერთობით, როგორიც ახალ სამსახურში მაქვს. იქ ისე მექცევიან, როგორც არარაობას. ამიტომაც მზად ვარ, უფრო დაბალ თანამდებობაზეც ვიმუშაო, ოღონდ კი ადამიანად ვიგრძნო თავი.

— მაგალითად?

— მაგალითად, მდივნადაც კი სიამოვნებით წავიდოდი, მსურველი თუ გამოჩნდება.

— მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, კვალიფიკაციის ამაღლებაზე გეზრუნათ და არა „დადაბლებაზე“, — ღიმილი ვერ შეიკავა ილიამ.

— არც ეგ არის ცუდი აზრი, — კვლავ გაწითლდა ნანათე, შერცხვა თავისი სისულელის გამო, — ასე იქნება თუ ისე, ნებისმიერ შემთხვევაში, მინდა რაღაც ახალი დავიწყო. რაღაც-რაღაცის ნიჭი მეც მაქვს და უნდა მოვსინჯო ჩემი ძალები.

— და რისი ნიჭი გაქვთ?

მართლაცდა, რისი აქვს?.. რისი და... წარმოსახვის! მას ხომ მდიდარი ფანტაზია აქვს! განა ეს ცოტაა?! მაგრამ ამას ხომ არ იტყვის? მიდი, ცისი, შენ მაინც მიეხმარე დაქალს! როცა არ არის საჭირო, კარგად ქაქანებ?!

— რისი ნიჭი აქვს და, ისეთ კერძებს ამზადებს, თითებს ჩააყოლებ თან! — თითქოს მიუხვდაო, შესძახა ცისიამ.

აჰა! ესეც შენ, ნანათე! „გაგიჩალიჩა“ მეგობარმა! ამით რა მიანიშნა? ის, რომ ნანათე კარგი კანდიდატურაა ქვრივი მამაკაცისთვის. სულ ეს არის!

— მშვენიერი ნიჭია, ვაფასებ ქალს, რომელსაც გემრიელი ხელი აქვს, — თბილად წარმოთქვა ილიამ.

ნანათემ უეცრად იგრძნო, როგორ შეეცოდა თავისი უფროსი. მას ხომ ცოლი არ ჰყავს, შესაბამისად, არც სადილებს უმზადებს ვინმე. ალბათ ამიტომაც არის ასეთი უხეში. ვინ იცის, როგორ უყვარდა ცოლი! შეიძლება ქალიშვილიც აბრაზებს. ამ ასაკის გოგონები ისეთი ჯიუტები არიან!..

— და კიდევ... არაჩვეულებრივი ხასიათი აქვს, კონტაქტში შესვლა არ უჭირს, — აგრძელებდა ცისია, — ბავშვები სიგიჟემდე უყვარს. ის კი არა, ცხოველები და ფრინველებიც უყვარს, განსაკუთრებით ძაღლები.

— ცის... გეყოფა! — გააწყვეტინა კახამ. — უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ. ეს ადამიანი პირველადაა ჩემს სახლში. მომეცი უფლება, ვასიამოვნო!

— აბა მე რას ვაკეთებ? მეც ზუსტად იმავეს ვცდილობ, — თავი იმართლა ცისიამ, — იმ ძაღლის ამბავი გამახსენდა, უბრალოდ.

— რომელი ძაღლის? — დაინტერესდა ილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, რა, რა დროს ძაღლებია! — დაიღრინა კახამ.

— მოიცა, მაინტერესებს, — შეაწყვეტინა ილიამ, — მომიყევი, ცისია.

— ერთხელ ქუჩაში მოვდიოდით და ის ვილაცები რომ არიან, მანქანით რომ დადიან და მაწანწალა ძაღლებს იჭერენ, ეგენი დავინახეთ. გამეტებით ურტყამდნენ ერთ გაძვალტყავებულ ძაღლს. საწყალი, სულ დასისხლიანებული იყო. უნდა გენახა, როგორ მივარდა ნანათე, კინაღამ თვალები ამოსთხარა ერთს, სულ მხეცი და ნადირი უძახა. მერე ძაღლი ხელში აიყვანა და ვეტკლინიკაში გავარდა. გახსოვს, რამდენი ფული დახარჯე იმ დღეს?

— ჰო, რა დამავიწყებს... ლამის ნახევარი ხელფასი იქ დავტოვე, — გაიღიმა ქალმა.

— და მერე რა მოუვიდა იმ ძაღლს? — ილიამ ქალებს გადახედა.

— რა და, მაშინ სადაც ცხოვრობდა, იმ კორპუსთან მოიყვანა, კიბის ქვეშ ქეჩა დაუგო, თბილად რომ ყოფილიყო და ყოველდღე საჭმელს უზიდავდა. იმასაც ძალიან უყვარდა ნანათე, რომ დაინახავდა, ამისკენ გამორბოდა ენაგადმოგდებული, მაგრამ ერთხელაც მანქანამ გაიტანა და ეს კინაღამ მიაკვდა ამ ამბავს. მთელი კვირა ცხვირჩამოშვებული დადიოდა.

— სამწუხაროა, — თავი გადააქნია ილიამ, — მაგრამ კარგია, რომ ცხოველები გიყვართ. ჩემს გოგოსაც ძალიან უყვარს ცხოველები. ჩვენც გვყავს სახლში ძაღლი.

— მართლა? და ვინ უვლის? თქვენი ქალიშვილი?

— ჰო, ლიკატო უვლის. ყოველ დილა-საღამოს დაასეირნებს, თუ არ სცალია, რა თქმა უნდა, მე შემომტენის ხოლმე. მე კიდევ სად მაქვს მაგის გასასეირნებელი დრო და ამის გამო გამუდმებით ვკინკლაობთ, — ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა ილიამ.

— ხომ არ სცემთ ხოლმე? — ცალი თვალი მოჭუტა ნანათემ.

— ა-არა, რას ამბობთ, მთლად ეგეთიც არ ვარ, — მრავალმნიშვნელოვნად მიუგო ილიამ.

— ნანათე ძალიან თბილი და მოსიყვარულე გოგოა, მაგრამ ეგეთი რამე თუ შეგამჩნია, უნდა მოერიდო, თორემ არ დაგინდობს! ისეთი აფთარი ხდება მაგ დროს, მტრისას! — გაიცინა ცისიამ.

— გავითვალისწინებ და დავიმახსოვრებ, — სრული სერიოზულობით განაცხადა მამაკაცმა.

— ეჰ... ეს ისეთი გოგოა, ერთი სახლი უნდა ჰქონდეს სადმე ქალაქგარეთ და ჰყავდეს ბევრი ფრინველი და ცხოველი. ისე მოუვლის, ისე, ისე, ცივ ნიავს არ მიაკარებს.

— რა სისულელეა! — წამოიძახა ნანათემ.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ამას ნატრობდა, ამწუთას პროტესტის გრძნობა გაუჩნდა. დაქალი ყველანაირად ცდილობდა იმის ხაზგასმას, რომ ნანათეს ქმარი სჭირდებოდა. დამცირებულად იგრძნო თავი. სულაც არ უნდოდა ილიას ეფიქრა, რომ ნანათეს სასწრაფოდ უნდოდა გათხოვება. არა, გათხოვება როგორ არ უნდა, მაგრამ არც ისე ძალიან, რომ ილიასნაირზე გააკეთოს გათვლები.

— რა, არ გიზიდავთ სოფლის ცხოვრება? — გამოხედა ილიამ.

— როგორც ასეთი, უარს არ ვიტყოდი... თუმცა, გააჩნია, რა შემთხვევაში, — ახლა უკვე მშვიდად წარმოთქვა.

— შენი ქალიშვილი რას შვრება, მუშაობს სადმე თუ სწავლობს? — მიხვდა, რომ გადაამლაშა და სასწრაფოდ სხვა თემაზე გადაიტანა ცისიამ საუბარი.

ამასობაში ნანათემ დრო იხელთა და კიდევ ერთი ჭიქა დალია. როგორ უნდოდა დამთვრალიყო. ასე ძალიან არასდროს გასჩენია დათრობის სურვილი.

— სწავლობს, მეორე კურსზეა, ჟურნალისტიკაზე.

— მეორეზე? მოიცა, რამდენი წლისაა?

— 19-ის.

— 19-ის? უი! მე მეტის მეგონა!

— არა, მეტის არაა, თუმცა, უკვე შეყვარებულია და მაინცდამაინც არ მომწონს ეს.

— რატომ, ილია, ახალგაზრდა გოგოა, კი უნდა ჰყავდეს შეყვარებული. უშლი შეხვედრას? — არ ცხრებოდა ცისია.

კახა უკმაყოფილო სახით შეჰყურებდა ცოლს. შენიშვნის მიცემა არ უნდოდა, მეგობრის თვალში რომ არ დაემცირებინა, არადა, ვერ გააჩერა.

— არ ვუშლი, მაგრამ არც ვუწონებ. ჯერ ბავშვია. ვიცი ეგ ასაკი. ცოტა ხანი გაივლის და მერე უცებ გათხოვება მოუნდება. მეც ეგრე დამემართა, ადრე დავქორწინდი.

— მერე რა არის ამაში ცუდი? ნაადრევი ყველაფერი კარგია, სიკვდილის გარდა.

— გეთანხმები... სწორედ რომ სიკვდილის გარდა, — ისე სევდიანად წარმოთქვა ილიამ, ნანათეს გული მოუკვდა.

ცისია მიხვდა, რომ ცუდად გამოუვიდა და მისმა ნათქვამმა ქმრის მეგობარს გარდაცვლილი მეუღლე მოაგონა, ამიტომ კახას მიუბრუნდა, სადღეგრძელო შეგვაწიე, ყელი გაგვიშრაო...

ამის შემდეგ საუბარი ვერა და ვერ აეწყო. ილია თითქოს კვლავ თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა. ქალებისკენ აღარც



გაუხედავს. კახას სადღეგრძელოს გაიმეორებდა, ბოკალს მიუჭახუნებდა და სვამდა.

ნანათემ და ცისიამ მალე ზედმეტად იგრძნეს თავი მამაკაცების კამპანიაში, ამიტომ სამზარეულოში გავიდნენ, ყავა მოიდუღეს და თავ-თავიანთთვის მოკალათდნენ.

— იმიტომ ჩქარობს ცოლის მოყვანას, რომ შვილი უკვე დიდი გოგოა, გათხოვდება და თვითონ სულ მარტო დარჩება. ვინღა მოუვლის? ძალიან მეცოდება, პატარა ხომ აღარ არის. კარგი ვარიანტია, ნან, არც დაფიქრდე, იცოდე!

— გამაგიჟებ მე შენ! ისე მეუბნები, თითქოს ამაღამვე თავის სახლში მივყავდე!

ამ დროს ილიამ დააკაკუნა და კარი შემოაღო.

— ცისი, მივდივარ, დასამშვიდობებლად მოვედი.

— უი, უკვე? სად მიგეჩქარება?

— გვიანაა უკვე, ხვალ სამსახური მელის.

— იქნებ ნანათეც გაიყოლო? ბარემ... — აღარ დაამთავრა სათქმელი.

— არა, რა საჭიროა, მე ტაქსის გამოვიძახებ! — შორს დაიჭირა ნანათემ.

— სიამოვნებით, ჩემთვის შენი დაქალის წაყვანა პრობლემას არ წარმოადგენს, — თქვა ილიამ და შეუმჩნევლად ჩაიღიმა.

„ალბათ სულაც არ დარჩა აღტაცებული, მაგრამ უარის სათქმელად საზრიანი ვერაფერი მოიფიქრა“, — სინანულით გაიფიქრა ნანათემ...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# ძალადობის მსხვერპლი

_მარი ჯაფარიძე_

**გამარჯობა. რაც მართალია, მართალია, ცოტა მძიმე თემა მოგეცით წინა ხუთშაბათს, მაგრამ როგორც ჩანს, აქტუალურია, რადგან საკმაოდ ბევრი მესიჯი მივიღე. ყველა ამბავი ძალზე საინტერესო გახლდათ. არჩევანის გაკეთებაც კი გამიჭირდა, რომელი გამეშვა და რომელი — მომდევნი კვირისთვის გადამედო. წელს მძიმე თემებს ამით „დავხურავ“, რადგან წინასაახალწლოდ და დღესასწაულების შემდეგაც მხოლოდ პოზიტიურ ამბებს გავიხსენებთ. ახლა კი ძალადობის მსხვერპლი რეზერვისტის ამბავს გაეცანით.**

## „ბა-ბა-ბა!“

„გამარჯობა. ძალადობის მსხვერპლს როცა გაიგონებს, ადამიანთა უმეტესობას გაუპატიურების სცენა წარმოუდგება თვალწინ, მაგრამ სინამდვილეში უამრავი სახის ძალა-



დობა არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი „მსხვერპლი“ მეც ვარ. რაში მდგომარეობს ჩემი მსხვერპლობა? — რეზერვისტად წამიყვანეს. სულაც არ მქონდა სურვილი, ზაფხულის სიცხეში ჯარისკაცის ფორმა ჩამეცვა, იმის ნაცვლად, რომ პლაჟზე წამოვგორებულიყავი და შიშველი ასულების ცქერით დავმტკბარიყავი, მაგრამ თუ არ წავიდოდი, დეზერტირობისთვის პასუხს მომთხოვდნენ და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. ერთი სიტყვით, დედასა და მეგობრებს თვალცრემლიანი დავემშვიდობე და გავყავი თავი „ყულფში“. საოცარი ამბები ვიხილე იქ ყოფნის დროს. ერთ კურიოზს ახლა თქვენც მოგიყვებით. ე.წ. „უჩენიების“ დროს საბრძოლო მოქმედებებს გვასწავლიდნენ ხოლმე. 2 ბანაკად გაგვყოფდნენ ერთ ნაწილში მყოფ რეზერვისტებს და მიდიოდა „ომი“. როგორც წესი, ასეთ დროს ფუჭი ანუ ე.წ „ხალასტოი“ ტყვიები უნდა გამოგვეყენებინა, რომელსაც მხოლოდ ხმა აქვს და არავის ზიანს არ აყენებს. ჩვენს ქებულ ქართულ არმიას კი თურმე ეს ფუჭი ტყვიებიც არ ჰქონია (ნამდვილის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს) და ნაწილის მეთაურებს გამოსავალი მოუძებნიათ. ხელში ავტომატებს დაგვაჭერინებდნენ და „იერიშზე“ გადასვლის დროს სროლის იმიტაციას თავადვე ვახდენდით. — და-და-და-და-და-დააა... ბა-ბა-ბა-ბა-ბააა... ჩვენს ჯარში ამას თავისი ტერმინიც კი აქვს და ასეთ ბრძოლას „ქართული ტყვიებით“ ბრძოლა ჰქვია. როდესაც „ნაჩალსტვო“ გვეტყოდა, რომ „ქართული“ ტყვიებით უნდა გვებრძოლა, ეს იმას ნიშნავდა, რომ — „ბა-ბა-ბა“ და „და-და-და“ არ აგვცდებოდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ნაწილში ამერიკელი ექსპერტები, დამკვირვებლები (ზუსტად არ ვიცი, რა სტატუსის მქონე სტუმრები იყვნენ) გვესტუმრნენ. ამის აღსანიშნავად საჩვენებელი ბრძოლა უნდა მოგვეწყო. მთლად „ნაჩალნიკს“ (გვარსა და „ზვანიას“ არ დავასახელებ) ჩვენი „ნაჩალნიკისთვის“ უთქვამს, „ქართული“ ტყვიებით ბრძოლა არ გამოვა, სირცხვილიაო. ამას კიდევ, არ ვიცი, დაავიწყდა თუ განგებ გააკეთა, მაგრამ გამოგვიცხადა, „ქართული“ ტყვიებით უნდა ვიბრძოლოთო. ჰოდა, გადავედით იერიშზე ორი მრავალრიცხოვანი „გვარდია“ და ავტეხეთ „ბა-ბა-ბა“... სასწრაფოდ დაგვაშოშმინეს და გაგვაჩერეს. მეთაური თავში იშენდა ხელებს თურმე, — ეს რა დაგვე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

მართაო?! ჩვენმა „ნაჩალნიკმა“ კი მოგვიანებით კარგად გვაცინა, — ამერიკელები გადაირივნენ, ასეთი არაფერი გვინახავს, ეს რა საოცრება ვნახეთო!.. ა, ასე იყო ეს ამბავი, ვასახელეთ სამშობლო ბიჭებმა. ახლა ალბათ ამერიკაში ლეგენდად ჰყვებიან, როგორ „იბრძვიან“ რეზერვისტები, 5-6 წლის ბავშვებით. უფრო სწორად, კი არ იბრძვიან, „ომობანას“ თამაშობენ. თქვენი ბა-ბა-ბა“.

## გათხოვილები გასათხოვრის წინააღმდეგ

„გასულ ზაფხულს ისე მოხდა, რომ ერთმანეთის მიყოლებით გავთხოვდით უახლოესი დაქალები. ზოგიერთი ჩვენგანი (კერძოდ — მე) დაოჯახებას არ აპირებდა, ზოგი კი უარზე იდგა, ჯერ ადრეაო, მაგრამ როგორც კი მაგალითი მივეცი, ყველამ მომბაძა და ერთ-ერთი ჩემი ქორწილის წინადღეს გაჰყვა საქმროს. მას მალე კიდევ ორი მეგობარი მიჰყვა და მოკლედ, მთელი შემოდგომა ქორწილიდან ქორწილში სიარულში გავატარეთ, მაგრამ რის მეგობრები ვართ, დანარჩენებზეც თუ არ ვიზრუნებთ?! გათხოვების აქტიური პროპაგანდა დავიწყეთ სადაქალოში. ერთი (ვინც ჩემი თაიგული დაიჭირა) დარწმუნებულია, რომ მალე „ჩემი წყალი გადაესხმება“ და ამის წინააღმდეგი სულაც არაა. აი, ჩემი დაიკო კი ვერაფრით გავტეხეთ. არც ერთ ქორწილში თაიგულის მსურველთა რიგშიც კი არ დადგა, — მართლა არ დავიჭირო და არ ამიხდესო. ამიტომ ჩვენი ძალადობის მსხვერპლიც სწორედ ის აღმოჩნდა. როგორც კი მეუღლეების ნათესავები გავიცანით, გოგონებმა მაშინვე შეურჩიეს კანდიდატები, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქმრებიც ავიყოლიეთ და სიძეები როგორ უქებენ საკუთარ ძმაკაცებს, უნდა ნახოთ. ჩემი და სასტიკ უარზეა: — რა მამაკაცი, რის მამაკაცი, ოი, სინსილა განწყდა მაგათიო, — ჩვენ მაინც განვაგრძობთ ზეწოლას და დაიკო დაგვცინის, სადილი არ მიგეწვათ, ქმრებს მიხედეთო. ამას წინათ კი ისე გაბრაზდა, რას მატყობთ შინაბერობისასო (20 წელს ახლა გადასცილდა), რომ გამოგვიცხადა, — ველარ ეღირსებით ჩემს ნახვას, თუ მაჭანკლობას არ მოიშლითო. ჩემს მეუღლეს ისე უყვარს ცოლისდა, პირობა დადო, ოღონდ შენ არ გაბრაზდე, მე ჩუმად ვიქნებიო, მაგრამ დანარჩენ სიძეებს და მე ვერაფერს გვიხერხებს. ჩვენ ისევ „ვძალადობთ“ და შეპარვით ვუქებთ კანდიდატებს. რა ვქნათ, მისთვისაც გვინდა ჩვენნაირი ტკბილი ოჯახი და მოუთმენლად ველით, როდის გახდება ჩვენი კეთილი ძალადობის მსხვერპლი. პარიჟანკა“.

## მკვლელი

„ეს ამბავი ერთი შეხედვით დაუჯერებელი ჩანს, მაგრამ სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში ასეთებიც ხდება... ჩემს მეზობლად ერთი ოჯახი ცხოვრობს. ეკა ეპილეფსიით იყო დაავადებული. ამის მიუხედავად, გათხოვდა და რადგან ქმრის ოჯახში ყურადღებას არავინ აქცევდა, ქმართან ერთად, მარტოხელა დედასთან გადავიდა საცხოვრებლად. მისთვის შვილის გაჩენა არ შეიძლებოდა, მაგრამ ქალ-ვაჟი მაინც გააჩინა. გოგოს დედას დაავადება აღმოაჩნდა, რამდენიმე წელში გარდაიცვალა და მისი ცხოვრებაც იმ დღის შემდეგ აირია. ლუკმაპურის საშოვნელად აქეთ-იქით დადიოდა და შვილებს ასე არჩენდა. ჩვენთანაც ხშირად მოდიოდა. 2 წლის წინ კი უეცრად მისი დაღუპვის შესახებ გავიგეთ. ყველა შეგვძრა ამ ამბავმა. რამდენიმე მეზობელი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ეკა ქმრის მოკლული იყო, მაგრამ გიაზე ამას ვერავინ იფიქრებდა და, როგორც იქნა, ის ქალები გააჩუმეს. 1 წლის შემდეგ კი მათ ოჯახზე ისეთი ამბავი გავიგეთ, ყოველგვარ მოლო-



დინს გადააჭარბა... თურმე გია შვილზე ძალას ხმარობდა — 3 წლის მანძილზე აუპატიურებდა. ერთ დღეს კი ძმას შეუსწრია და ასე გამჟღავნდა ყველაფერი. მეზობლები გაოცებას ვერ მალავდნენ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გია ამის ჩამდენი იყო. პატარა მარიმ აღიარა, რომ მამამისი აშინებდა და ამიტომ არავის ეუბნებოდა სიმართლეს. ამის შემდეგ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ცოლი გიამ მოკლა. მიზეზიც ნათელი იყო. ალბათ ეკამ ქმარს შვილთან შეუსწრო, გიას შეეშინდა, პოლიციაში არ ეჩივლა და სიცოცხლეს გამოასალმა. სადაც იმდენი გაბედა, რომ შვილი შეეცდინა და მისთვის ცხოვრება დაემახინჯებინა, ცოლის მოკვლაც არ გაუჭირდებოდა. გიას 15 წელი მიუსაჯეს, ბავშვები კი უპატრონო ბავშვთა სახლში გადაიყვანეს საცხოვრებლად. როცა მათ სახლს ჩავუვლი, ყოველთვის ერთი რამ მიტრიალებს თავში: ნუთუ შეიძლება, ასეთი ამბავი მომხდარიყო და ადამიანს ამდენი საზიზღრობა ჩაედინა? გაცოცხლებული თოჯინა“.

## „თურქულ-ქართული“ ძალადობა

„საჩემო თემაა. სულ ველოდი, როდის გამოჩნდებოდა „გზავნილებში“, რომ მომეწერა და ჩემი ამბავი მომეყოლა. თუმცა დარწმუნებული ვარ, ახალს ვერაფერს გეტყვით. როგორც ქართველების უმეტესობას, ჩემს ოჯახსაც გაუ-



ჭირდა თავის გატანა და მე და ჩემმა მეუღლემ მოვილაპარაკეთ, რომ თურქეთში წავიდოდი სამუშაოდ. ერთ-ერთ გაზეთში განცხადება ვნახე, სადაც მსურველებს კარგ პირობებს სთავაზობდნენ და მითითებულ მისამართზე მივედი. ახალგაზრდა, სანდომიანი ქალბატონი დამხვდა, კარგად მიმიღო, ოქროს კოშკები არ აუშენებია, მაგრამ ისეთი სურათი დამიხატა, ვიფიქრე, ცოტას ამოვისუნთქავ-მეთქი. მოკლედ, რამდენიმე დღეში გავემგზავრე. ნეტავ ფეხი მომტეხოდა და არ წავსულიყავი. როგორც ბევრი ქალი, ისე მეც ძალადობის მსხვერპლი აღმოვჩნდი. ქართველმა „მამაშამ", რომელიც აქედან წამოგვყვა, გაგვყიდა. სულ ექვსნი ვიყავით. როგორც გავიგე, თითოეულში 300 დოლარი აუღია. ერთ კერძო სახლში მიგვიყვანეს, რომელსაც გარშემო მაღალი ღობე ჰქონდა და რკინის ჭიშკარი (ალბათ რამდენ ქართველ ქალს ეცნობა). საშინელ სიტუაციაში აღმოვჩნდით. სათითაოდ გაგვანაწილეს ოთახებში და კარი გარედან ჩაგვიკეტეს. პირველი კლიენტი რომ შემოუშვეს ჩემთან და მტკიცე უარი ვუთხარი, ისე მცემა, 2 კვირა ფეხზე ვერ ვდგებოდი. გამიარა სილურჯემ და კიდევ ერთი კლიენტი შემოუშვეს. არც ხვეწნამ გაჭრა, არც მუდარამ... გაუპატიურება დამიპირა და წინააღმდეგობას რომ გადააწყდა, იმანაც მცემა. ახლა უფრო მეტი დრო დამჭირდა გამოსაჯანმრთელებლად. მომდევნო თურქმა ერთი დარტყმით გამთიშა და ისე გამაუპატიურა. 3 თვის განმავლობაში მუდმივად ნაცემი ვიყავი და რადგან კლიენტებს ვერ ვემსახურებოდი, მეპატრონემ გადაწყვიტა, თავიდან მოვეშორებინე. ადგა და სხვა ბორდელის შეფზე გამყიდა. გზაში გავექეცი. ისეთი შიში ვჭამე, სიტყვებით ვერ აღგიწერთ, მაგრამ სიკვდილი მერჩივნა ასეთ ყოფას. ჰოდა, გავრისკე და გამიმართლა. მოვახერხე და საქართველოში დავბრუნდი. ქმრისთვის არ დამიმალავს, რაც მოხდა, იმან კი მაშინვე მიმატოვა და ბავშვებიც თან წაიყვანა. პოლიციაში მივედი და გულახდილად მოვყევი ყველაფერს. აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ რად გინდა? ვერსად მიაგნეს ჩემს გამაუბედურებლებს. აი, ეს მინდოდა მომეყოლა. კარგად".

## არ მინდა ცოლი!

„ჯერ ისეთი დილა არ გათენებულა ტარიელისთვის, ბებია რომ არ დადგომოდა თავზე და ერთსაათიანი მონოლოგი არ წაეკითხოს, ცოლის მოყვანის შესახებ. მერე კი ბებიაზე გაგულისებული ტარიელი დილაუთენია გარბის სახლიდან და შინ მხოლოდ საღამო ხანს ბრუნდება, რა



თქმა უნდა — არაფხიზელ მდგომარეობაში... ერთ დღეს ტარიელი „გათხლეშილი" მთვრალი მიიყვანეს მეგობრებმა შინ. ბებიამ ქოქოლა დააყარა — ახლა რომ ცოლი გყავდეს, ასე ხომ აღარ იქნებოდი, შე მიწადასაყრელოო?! ამის თქმა იყო და ორმეტრიანმა ტარიელმა სიბერისგან დაჩიავებულ და დაპატარავებულ ბებიას მხრებში დაავლო ხელი და აივნისაკენ გააქანა, — ცოლი აღარ მიხსენო, თორემ აქედან გადაგაგდებო! მართალია, ტარიელი ხუმრობდა, მაგრამ უეცრად ბებია თავისი „ანტიკვარი" პალტოს მკლავებში გაძვრა და ფრენა-ფრენით დაეშვა აივნიდან. ტარიელს კი მხოლოდ ბებიას ზედა სამოსელი შერჩა ხელში. შეიქნა ერთი აყალმაყალი და მეორე დღეს საწოლში გაფშეკილ, ფეხმოტეხილ ბებიას ტარიელი დაადგა თავზე და შერცხვენილმა უთხრა, — რაც გინდა, მთხოვე, ყველაფერს შეგისრულებ, ოღონდ კარგად იყავიო. ალბად მიხვდით, ბებია რასაც სთხოვდა, და ამ ყველაფრის შემდეგ გადაწყვიტა ტარიელმა ცოლის მოყვანა... მასზე შეყვარებული გოგონების სიმცირეს არ უჩიოდა და ერთ-ერთს, რომელიც მის გულთან ყველაზე ახლოს იყო, ცოლობა სთხოვა. რა თქმა უნდა, პასუხად თანხმობა მიიღო. ტარიელმა პირველად მაშინ ინანა ცოლის მოყვანა, როცა შინ მისულმა პატარძალმა კართან გაფშიკა ფეხები, ვირზე შეჯდა და აიჩემა, გინდა თუ არა, ხელში აყვანილი უნდა შემიყვანო შინ და გამიგონია, მთელი ცხოვრება ბედნიერები ვიქნებითო. — არიქა, არ დამღუპო, შვილო, ხომ ხედავ, ნასვამია და არ დაგამტვრიოსო, — მწარე გამოცდილება ალაპარაკებდა ბებიას. ამ სიტყვების თქმა იყო და ტარიელმა წონასწორობა დაკარგა. სიძე-პატარძალი იატაკზე აღმოჩნდა. — ოჰ, მე შენი! რა ენა გაქვს, რატომ მეორე ფეხიც არ მოგტეხეო?! — სიმწრით გამოცრა კბილებში ტარიელმა. იმ დღის შემდეგ ტარიელის თავისუფალ ცხოვრებას ბოლო მოეღო. შინ მისვლა ცოტაც რომ დაჰგვიანებოდა, ბებია და ცოლი ისეთ ამბავს აწევდნენ, გაჩენის დღეს იწყევლიდა საწყალი. არ არის ახლა ტარიელი ბებიას ძალადობის მსხვერპლი? ასე რომ არ ყოფილიყო, ტარიელი კარგა ხანს ცოლის მომყვანი და ძმაკაცებთან ქეიფზე უარის მთქმელი იყო? ლუნა".

**ყურადღება!** თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში" დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ყურმოკრული ამბები". ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაფერისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია:

## იდეა! კიდევ 3 კვერცხი და 1 შლოპანცი

გზავნილები

# ვინ გააცოცხლა ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები ეკრანზე

დასაწყისი იხ. გვ. 55

თი მათგანი კოცნით უნდა დასრულდესო. მივადებდით ლოყას ლოყაზე და ეს იყო ჩვენი კოცნა... გულახდილად გეტყვით, გადაღებებისას ჩემსა და მანანას შორის სიყვარულის მსგავსი არაფერი ყოფილა. ყველაფერი გადაღებების შემდეგ დაიწყო, თენგიზ აბულაძემ მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე რომ წაგვიყვანა. 1963 წელი იყო, ხელი კი 1968 წელს მოვაწერეთ. ბატონმა თენგიზმა ჩემი და მანანას, საერთოდ, ჩვენი ოჯახის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა. მამასავით გვყავდა, ყველგან დავყავდით, მისი წყალობით უამრავი საინტერესო ფილმი ვნახეთ. რატომღაც ყოველთვის მეუბნებოდა, შენ მანანას შეირთავ ცოლადო, — ორივენი ძალიან ვუყვარდით და ალბათ სხვაგვარად ვერც წარმოედგინა. საერთოდ, ყველაფერი, რაც დღეს შეიძლება აღმოცენდეს ჩემში დადებითი, თავის დროზე თენგიზ აბულაძისა და მისი ჯგუფის წევრების ჩადებულია. ნოდარ დუმბაძეც კი ჩამოვიდა გადაღებებზე თენგიზის თხოვნით. სესილიას კი... გადაღებების შემდეგაც ხშირად ვხვდებოდი. პირდაპირი და უკომპრომისო ქალი იყო, ბოლო ხანს ავადმყოფობდა, დიაბეტი ჰქონდა და ინფარქტიც გადაიტანა. შინ ხშირად მირეკავდა, — ჩემი „დურაქი" შვილიშვილი სად არისო? — და, პროფესიიდან გამომდინარე, რჩევებსაც მეკითხებოდა. აბა, მის მკურნალობას მე ვინ მანდობდა?! მეორედ ცუდად რომ გახდა, „ლეჩკომბინატში" მოიყვანეს, მე იქ პირველ სართულზე, კარდიოლოგიის განყოფილებაში შეთავსებით ვმუშაობდი. სესილიას კუჭიდან სისხლდენა დასწყებოდა და სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროებოდა. ქირურგიული განყოფილება მესამე სართულზე იყო, ამ დროს ლიფტი გაითიშა. სესილია ხელში ავიტაცე და საოპერაციოში ავარბენინე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გადავარჩინეთ. იქ ველარ გავძელი და წამოვედი... გამოსათხოვარ წერილში თენგიზს დაუწერია: ჩემო დიდო ქალბატონო, შენმა შვილიშვილმაც ვერ გიშველაო... ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „არაფერია სამარცხვინო იმაში, რომ სომეხი ხარ“

**„გზის“ №47-ში დაიბეჭდა ქრისტინეს მესიჯი. იგი გვწერდა: „ეროვნებით სომეხი ვარ. ძალიან მიყვარს ქართველები და ყველაფერი ქართული, საქართველოც საკუთარ სამშობლოდ მიმაჩნია და ეს ბუნებრივიცაა, რადგან აქ დავიბადე, გავიზარდე. მოკლედ, როგორც ამბობენ, — საქართველომ მაწოვა ძუძუ... შეყვარებულიც ქართველი მყავდა და ამით ვამაყობდი. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი მისი მშობლებიც არ იყვნენ. დედამისს სარძლოდ მოვწონდი და ყოველთვის მეუბნებოდა: მერე რა, რომ სომეხი ხარ? ბევრი სომეხი სჯობია ბევრ ქართველსო... მაგრამ ახლახან „ლოვემ“ მიმატოვა. ის საკუთარმა დაქალმა „ამახია“. ნელკა მედაქალებოდა, სინამდვილეში კი ერთი გულღრძო ადამიანი აღმოჩნდა. ალბათ, ირაკლისაც არ ვუყვარდი სათანადოდ, თორემ ჩემ გვერდით იქნებოდა“.**

## „ყველაფერს სჯობს, მოღალატეებს ჩამოშორდე“

*როგორც ქრისტინე ამბობს, როგორც კი ირაკლიმ მიატოვა, მისმა ძმაკაცმა დაუწყო ჩალიჩი. „არადა, ადრე სწორედ ის უსვამდა ხაზს ჩემს ეროვნებას და მეგობარს ხშირად ახსენებდა, რომ მე მართლმადიდებელი, მაგრამ მაინც სომეხი ვიყავი. ახლა ვხვდები, რომ ამას სპეციალურად აკეთებდა. თურმე თავად სურდა ჩემი „დათრევა“, მაგრამ ირაკლისგან განსხვავებით, მე საყვარელი ადამიანის მეგობარს სხვა თვალით ვერასდროს შევხედავ!“*

**შორენა:**

„სიმართლეს თვალებში ჩახედე! საინტერესოა, ირაკლის ან მის მშობლებს გულწრფელად რატომ არ ელაპარაკები? მათ ხომ მოსწონდი? იქნებ ეროვნება არაფერ შუაშია და ისე, პიროვნულად მოხიბლა ნელკამ ირაკლი? ქრისტი, შენ ძალიან ბევრი რამ გაქვს გასარკვევი. ჯობია, გამბედაობა მოიკრიბო და ეს გააკეთო, ვიდრე ისეთ სისულელეზე იფიქრო, რაც შურისძიებაა“.

**კიკინა:**

„შენი ეროვნების გამო არ უნდა შეგრცხვეს. მეც მყავს სომეხი მეგობარი, რომელიც ბევრ ქართველს მირჩევნია... ის, რაც დაქალმა გაგიკეთა, მართლა საშინელებაა. ყველანაირად უნდა ეცადო და შენს „ლოვეს“ თვალები აუხილო. შენს ადგილას იმ ვითომ მეგობარს თმით ვითრევდი, გაჩენის დღეს ვაწყევლინებდი“.

**მარი:**

„შენი პრობლემა ისაა, რომ საკუთარი ეროვნების თავადვე გრცხვენია, ამის კომპლექსი გაქვს. თუ ირაკლი ღირსეული კაცია და მეგობრების წრეში რაიმე ეთქმის, მისი თანდასწრებით აუგად ვერავინ მოგიხსენიებდა; რადგანაც პირიქით მოხდა, არ ყოფილა შენი ღირსი და მასზე დარდს სჯობია, საკუთარ თავზე იფიქრო“.

**უცნობი:**

„ქრისტინე, ორ კითხვას დაგისვამ: ნელკა შენი დაქალია? ირაკლი თუ ცდილობს, მოგისმინოს? ისე, ცნობისათვის, შენი ყოფილი შეყვარე-



ბულია ყველაფრის თავიდათავი და არა — ნელკა“.

**აბდაუბდა:**

„ადექი და იმ ბიჭთან გააბი ურთიერთობა. ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ, — თვალი თვალის წილო! ჰოდა, ირაკლიც შეიგრძნობს ღალატის გემოს“.

**ISIDA-KHATIA-ELION:**

„იმის გამო, რომ სომეხი ხარ, თავი არ დაიტანჯო, არ დაკომპლექსდე. ირაკლის ნამდვილად რომ ჰყვარებოდი, არ მიგატოვებდა, შენს ყველა ნაკლს შეეგუებოდა და უფრო მეტიც — შენთან ერთად ქვეყნის დასალიერშიც გაემგზავრებოდა“.

**ბარტყი:**

„ძალიან კარგი ადამიანი ხარ და მართლაც რომ ბევრ ქართველ გოგონას სჯობიხარ (ისე, რომ იცოდე, კარგი და ცუდი ყველგანაა). რაც შეეხება შენს პრობლემას, გირჩევ, ირაკლის როგორმე დაელაპარაკო. აუცილებლად უნდა მიახვედრო, როგორ ადამიანებთანაც ურთიერთობს ანუ თვალი უნდა აუხილო, მაგრამ ამის შემდეგ მასთან ურთიერთობას არ გირჩევ. რადგან ვერ დაგაფასა, ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადოდ არ უყვარდი და თუ ერთხელ დაგთმო, ამის გაკეთება სხვა დროსაც არ გაუჭირდება. მოკლედ, ყველაფერი შენი გადასაწყვეტია. წარმატებები!“

**ლუნა:**

„როგორ მალიზიანებს ეს მოღალატე ბიჭები, რომლებსაც დღეს ერთი უყვართ, ხვალ — მეორე და ა.შ. აბა, რა გითხრა, ჩემო კარგო. ეტყობა, გულწრფელად არ უყვარდი, მაგრამ მაინც გირჩევ, ორივეს დაელაპარაკო — დაქალსაც და ყოფილ შეყვარებულსაც. რაც შეეხება ირაკლის ძმაკაცს, მას შენი გასულელების უფლება არ მისცე! ყველაფერს სჯობს, სამივეს ჩამოშორდე... ცოტა მოითმინე და დარწმუნებული ვარ, მალე შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელიც გაგაბედნიერებს. P.S. რად გინდა გვერდით ისეთი ადამიანი, რომელიც ყოველ მეორე შემხვედრ ქალში გაგცვლის? აბა, შენ იცი. გკოცნი“.

**ატარექსია:**

„ირაკლიმ რომ მიგატოვა, ეს შენი ეროვნების ბრალი არ არის. ჩემო კარგი, თვალი გაახილე და მიხვდები, რომ მას უბრალოდ, არ უყვარდი. რაც შეეხება შენს დაქალს, ნამდვილი ძუკნაა, ის ბიჭი კი, რომელიც ახლა გეჩალიჩება, ან ირაკლის ნამდვილი ძმაკაცი არ არის, ან უბრალოდ, საჯიჯგნად უნდიხარ და ამაზე ირაკლის „დაბროც“ აქვს. დასკვნა: ასეთი ადამიანების გამო ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა არ ღირს“.

**ელის:**

„ამას დიდად ნუ განიცდი. რამდენიმე ხნის წინ მეც ზუსტად ასე მომექცნენ. დამიჯერე, ირაკლი შენი დაქალით ცოტა ხანს გაერთობა, მერე კი მიატოვებს და თუ უყვარხარ, შენთან დაბრუნებას აუცილებლად შეეცდება. დრო მიეცი, რათა გონს მოეგოს. ცხოვრების გზაზე შეცდომას ყველა უშვებს, ადამიანები არაფრისგან ვართ დაზ-

ღვეულები. P.S. ირაკლის ძმაკაცს პირში მიახალე, რომ ნამდვილი დეგენერატია. თავს მიხედე. წარმატებები!“

**ალეკო:**

„გამარჯობა. წავიკითხე შენი მესიჯი, მერე შენს ადგილასაც წარმოვიდგინე თავი და... ვიცი, რას ნიშნავს საქართველოში ეროვნულ უმცირესობაში ყოფნა. თუკი შემეხმიანები, მგონი, შენი ტკივილის გაქარწყლებას შევძლებ. შენს ზარს ველოდები“.

**მარიკო:**

„ერთს გეტყვი: შენ ეგ ადამიანი არ გიყვარს, უბრალოდ, შურისძიება გწყურია და გსურს, შენს ბანძ დაქალს ჭკუა ასწავლო, ირაკლი „აახიო“. იცოდე, იმ ბიჭს რომ ჰყვარებოდი, არავისში გაგცვლიდა და საერთოდაც, არ მესმის, რა შუაშია ეროვნება?.. ირგვლივ მიმოიხედე, ხშირად გაიღიმე და მიხვდები, რომ ეს სამყარო შენიცაა. წარმატებები!“

**THE LITTLE:**

„გოგო კი არა, ალქაჯი ყოფილა ეგ შენი თეკლა. რაღა შენს „ლოვეს“ მიახტა, სხვა ვერავინ იპოვა? ირაკლი და მისი ძმაკაციც არიან, რა. იცოდე, არაფერია სამარცხვინო იმაში, რომ სომეხი ხარ. მთელი გულით გგულშემატკივრობ. წარმატებები!“ ■

# „ბედნიერი წყვილების ყურებამ არ უნდა გაგაღიზიანოს“

# „ყველა ადამიანს თავისებური შარმი აქვს“

**„გზის“ №47-ში დაიბეჭდა სპირიტის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „თავს მარტოსულად მივიჩნევ: არც და მყავს, არც ძმა და არც — „ლოვე“. მარტო ვარ და ამას ყველაზე მეტად, მთელი სიმძაფრით მაშინ განვიცდი, როცა ქუჩაში გავდივარ და შეყვარებულ წყვილებს ვხედავ. მორჩა, მეტი აღარ შემიძლია! ყველას ჰყავს „ლოვე“ ან მეგობარი, მე კი ამ ბედნიერებას მოკლებული ვარ და ახლა რჩევას ამიტომაც გთხოვთ: მითხარით, რით დავძლიო ეს სიმარტოვე?“**

**THE LITTLE:**

„რა გააკეთო? ორიგინალური არაფერი. შენი „ლოვე“ ვერ ვიქნები, მაგრამ შემიძლია, დაგიმეგობრდე. თუ სურვილი გექნება, ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი. P.S. შენი წერილის აქ ნახვა ძალიან მესიამოვნა“.

**უცნობი:**

„ნუ დარდობ, ძმა, ყველაფერს თავისი დრო აქვს და მერწმუნე, შენი დროც მოვა. P.S. ისე, შენი გამკვირვებია, რა. გასაგებია, რომ და, ძმა და „ლოვე“ არ გყავს, მაგრამ მეგობარი?.. თუ რამე, აგერ ვარ და ვიმეგობროთ. ჩემს ნომერს „გზაში“ მოგცემენ. წარმატებები!“

**VIP:**

„არც მე მყავს და, ძმა და „ლოვე“, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. სამაგიეროდ, მყავს არაჩვეულებრივი დედა და მეგობრები, რომლებიც ჩემთვის დებიც არიან და ძმებიც. რაც შეეხება „ლოვეს“ არყოლას, ჩემო კარგო, ყველას აქვს ისეთი პერიოდი, როცა თავს მარტო გრძნობს, მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვლება და შენც შეგიყვარდება. ამ ყველაფერის გამო ნერვიულობა არ ღირს“.

**მარიკო:**

„იცი, რა, მაგრად გამაცინე! და-ძმა არც მე მყავს, მაგრამ მარტო სულაც არ ვგრძნობ თავს. რაც შეეხება „ლოვეს“ და ა.შ., ქუჩაში სხვების ყურება არ გიშველის. მგონი, კომპლექსიანი ხარ და ამიტომაც გეტყვი: ხალხში თუ არ გაერიე და არ იმოქმედე, კისერზე არავინ ჩამოგეკიდება. წარმატებები, სიხარული!“

**ბამბუჩა:**

„ჩემო კარგო, შენი მარტოობა უსიყვარულობითაა გამოწვეული. ამბობ, — მარტოობა მაწუხებსო, არადა, აშკარაა, რომ შენზე „ლოვეს“ არყოლა მოქმედებს ასე დამთრგუნველად. ასეთი დეპრესიით და თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცის ლოდინით სამწუხაროდ, არაფერი შეიცვლება. ნურაფერს ელოდები, უბრალოდ გაიღიმე და თავიდან თუნდაც ნაძალადევად, ადამიანებთან კონტაქტი დაამყარე. ერთი რამ ყოველთვის გახსოვდეს: ამ ცხოვრებაში ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება. ამიტომაც, შეეშვი მაგ უსარგებლო ლოდინს და მომავალი შეყვარებულის კარდაკარ ძებნას. ნურც სხვების სიყვარულით ღიზიანდები, პირიქით, დატკბი ბედნიერი წყვილების ხილვით. ამოიგდე გულიდან ბოღმა და შური, ხშირად გაიღიმე. მარკესის სიტყვებს გაგახსენებ: „ვიღაცას შეიძლება, შენი ღიმილი შეუყვარდეს“. თუ საკუთარი თავის გამოსწორებას დაისახავ მიზნად და არა შეყვარებულის პოვნას, შენს ცვლილებას ყველაფერი კარგი თავისთავად მოჰყვება და შენც ჩაეწერები „გამაღიზიანებელ“ წყვილთა გრძელ სიაში. გულწრფელად, წარმატებებს გისურვებ!“

**ატარექსია:**

„რატომღაც მგონია, რომ გოგო ხარ, თან — მეც მსგავს სიტუაციაში ვარ და ამიტომაც გადავწყვიტე, შენთვის მესიჯი მომეწერა. ჯერ ერთი, დედისერთობა ტრაგედია არ არის; მეორეც — „ლოვეს“ (ვერ ვიტან ამ სიტყვას) ყოლა აუცილებლობას არ წარმოადგენს და მესამეც: ჩვენ ყველანი მარტოსულები ვართ, უბრალოდ, ზოგს ამაზე ფიქრის დრო არ რჩება. ასე რომ, რაღაცებს ნუ აზვიადებ. ეცადე, მიზანი დაისახო, მის მისაღწევად იბრძოლო და შენი ცხოვრებაც ნელ-ნელა შეიცვლება, უფრო საინტერესო გახდება. ჰოდა, ამის შემდეგ აღარც შენ დაგრჩება დრო საიმისოდ, რომ საკუთარ მარტოსულობაზე იფიქრო“.

**კალია:**

„არ ვიცი, რა გითხრა. არ მეგონა, ამქვეყნად თუ არსებობდა ადამიანი, ვისაც არც მეგობარი ჰყავს და არც — „ლოვე“. შენი ნომერი რომ მოგეწერა, კარგი იქნებოდა, ბევრ მეგობარს შეიძენდი“.

**ლუნა:**

„მესმის შენი. ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის პერიოდი, როცა თავს მარტოსულად გრძნობს. შენი საქმე არც ისე რთულადაა, როგორც გგონია. მთავარი მონდომებაა, თორემ შეყვარებულის გაჩენას რა უნდა? ცოტა მიდექ-მოდექი, ბიჭებს გაეპრანჭე, სულ მოწესრიგებული იყავი და ეგაა!.. მაგრამ მთავარი ნუ დაგავიწყდება: ბიჭებთან ყოველთვის დისტანცია უნდა დაიცვა და მათთან ბოლომდე არასდროს გაიხსნა. გკოცნი“.

**შორენა:**

„მაოცებ. როგორ შეიძლება იყო მარტო, როცა არსებობს ინტერნეტი, უამრავი გაცნობის საიტი, ფორუმი, ჩათი?..

**ბარტყი:**

„ვფიქრობ, ყველა ადამიანს თავისებური შარმი აქვს. გირჩევ, იყო ის, ვინც ხარ... ნუ ითამაშებ და დამიჯერე, აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, რომელიც დაგაფასებს. აბა, შენ იცი!“ ■



# მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში" მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.
**მესიჯის ფასი 50 თეთრი**

## ქალები



1. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ მამაკაცს, 40 წლამდე.

2. გთხოვთ, 48-ე ნომრის, მე-16 მესიჯის ავტორს მისცეთ ჩემი ნომერი. თაკო.

3. ვარ 24 წლის, 170 სმ სიმაღლის, 54 კგ, ლამაზი, განათლებული მანდილოსანი. ვეძებ სერიოზულ, განათლებულ მამაკაცს, ნორმალური ფინანსური მდგომარეობით, თბილისელს, დაოჯახების მიზნით.

4. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ კაცს, 40 წლამდე, ვისაც მართლა უნდა კარგი ოჯახი.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის" გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |



## მამაკაცები

5. გავიცნობ თბილისელ, მარტო მცხოვრებ მანდილოსანს, 25-30 წლამდე. გიორგი.

6. ვარ 28 წლის ბიჭი. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, ბათუმელ, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს. მომწერეთ მხოლოდ ბათუმლებმა, გელოდებით.

7. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ასაკის ქალბატონს, თუნდაც იყოს შვილიანი. ვარ დასაქმებული, 37 წლის.

8. გავიცნობ მომხიბვლელ ქალს. სასურველია, 25-30 წლამდე.

9. 55 წლის ვარ, მაგრამ ფული და ქონება არ გამაჩნია. სერიოზულ ქალბატონს, რომელსაც ეს არ აწუხებს, კარგ ქმრობას გავუწევ და სხვა პარამეტრებში არ გავაწბილებ!

10. გავიცნობ ერთგულ და მოსიყვარულე გოგონას, 25-32 წლამდე, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 36 წლის, სიმპათიური და განათლებული მამაკაცი.

11. ვარ 20 წლის ბიჭი. გავიცნობ 17-დან 21 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის გოგოს.

12. მინდა გამაცნოთ 35 წლამდე ასაკის, იმერელი ქალი. ვარ მატერიალურად უზრუნველყოფილი. გთხოვთ. გიო.

13. გთხოვთ, მომცეთ 45-ე ნომრის პირველი მესიჯის ავტორის, მაკას ნომერი. თუ არა და მიეცით ჩემი ნომერი. თოკა.

14. მთელი ძალით გთხოვთ, მომწეროთ 45-ე ნომერში დაბეჭდილი, მე-4 მესიჯის ავტორის ნომერი.

15. გავიცნობ 30-35 წლამდე ასაკის, კარგ მეოჯახე გოგონას, გაუთხოვარს. ვარ 42 წლის, თბილისელი. დანარჩენი — პირადად. დარეკეთ ან მომწერეთ.

16. ვარ 33 წლის, 100 კგ, 175 სმ სიმაღლის, სამსახურით. გავიცნობ პატიოსან, ერთგულ, ეკლესიურ და მეოჯახე, ლამაზ, პუტკუნა გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. გასართობად ნუ მომწერთ.

17. მიეცით ჩემი ნომერი 47-ე ნომერში გამოქვეყნებული განცხადების ავტორს, 34 წლის მანანას.

18. ვარ 41/172/75, სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზი სულისა და სახის ქალბატონს, 38 წლამდე. დანარჩენი — პირადად.

19. თქვენი დაწერილი ტექსტი ვნახე და როგორიც გიწერიათ, ზუსტად ისეთი ვარ. დათო მქვია, ვარ 21 წლის, 185/80.

20. გავიცნობ სიმპათიურ მანდილოსანს, 25-30 წლამდე. მყავს მანქანა და ვარ დასაქმებული.

21. ვარ 18 წლის, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ 20 წლამდე გოგოს, თბილი ურთიერთობისთვის. მყავს მანქანა და საკუთარი ბინაც მაქვს.

22. ვარ 23 წლის, მომხიბვლელი მამაკაცი. გავიცნობ გოგონას 25 წლამდე, თბილი, სასიყვარულო ურთიერთობისთვის. მაქვს ბიზნესი, მანქანა და სახლი. გიორგი.



## ვეძებ

23. ვეძებ მანანა ნიჟარაძეს და დოდო აკობიას. გთხოვთ, შემეხმიანეთ ან თუ ვინმემ იცით მათი კოორდინატები, მე მომაწოდეთ. სოფიკო ახალკაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ვქებ მარიკა მურთაზის ასულ სოლოღაშვილს. ადრე ცხოვრობდა მარჯანიშვილის მეტროს წინ. წარმოშობით მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვიდანაა. მარიკა, შემეხმიანე ჟურნალ „გზის" საშუალებით. თუ ვინმემ რამე იცით მარიკას შესახებ, გთხოვთ, შემეხმიანეთ. მზია.



## სხვადასხვა

• პატარავ, დედას სიხარულო... ბევრს არაფერს მოგწერ... სულ რამდენიმე წუთის წინ განხე... ჩემი სიცოცხლე ხარ, დე... ღმერთი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• სიხარულო, როგორ ხარ? ამ წერილს რომ წაიკითხავ, ახალი ნანახი მეყოლები. არ მყოფნის ის 45 წუთი შენს მოსასიყვარულებლად, მაგრამ მაინც მიხარია ხოლმე, რომ უნდა განხო. მოუთმენლად ველოდი ამ დღეს. საბასაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ არ გვაცდის შენთან ლაპარაკს. მიყვარხარ და გკოცნი. დროებით. ნინო.

• რისტო, დღეს ჭუნო იყო მოსული, ქობულეთში ახალი ობიექტის აშენება დავიწყეთ, კვირაში ორ-სამჯერ მიწევს წასვლაო. თაზო არ არის კარგად. თუ შეძლებ, დაურეკე.

• ჩემო სიცოცხლევ, ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები. ჩვენ ყველანი კარგად ვართ. უშენოდ ძალიან ცუდად ვარ. ვასკა, ჩემო ძამიკო, შენზე დარდი მკლავს. უზომოდ მიყვარხარ. ნათია.

• რისტო, დღეს განცხადება ჩავაბარე, არ ვიცი ეს წერილი მოასწრებს თუ არა დაბეჭდვას, 8-ში განხავთ მე და ეკა. თუ მანამდე დარეკვა მოგიწევს, თაზოს დაურეკე ჯერ.

• 2.72 გია, მამა, მოგიკითხეს ბიჭებმა, შაკომ, ზურამ, გიამ და ზაზამ. ერთად ქეიფობდნენ და შენს სადღეგრძელოზე დაგვირეკეს. ძალიან უყვარხარ ყველას. გვენატრებით.

• ჯოტი, ნათლიამ მიიღო შენი წერილი. ჩვენც იქ ვიყავით იმ დღეს და გახარებული იყო ნათლია. თანაც, შენ დაგირეკია. ყველაფერი ეს ერთმანეთს დაემთხვა. მალე განხავთ. გკოცნი.

• რისტო, ამდენ უბედურებას როგორ ვუძლებ, მეც არ ვიცი, ამ წერილს რომ წაიკითხავ, უკვე გეცოდინება, რა უბედურებაზე ვლაპარაკობ. მართლა აღარ ვიცი, რა უნდა ვქნა.

• საბა, როგორ ხარ? ანდრიას დაბადების დღე იყო, ძალიან კარგად გაერთო. ბევრი ლექსი თქვა, ძალიან ენატრები. ძალიან ენერვიულობთ შენზე. ჯანმრთელობას გაუფრთხილდი. დრო გაქვს იმისთვის, რომ დაფიქრდე, თუ რა უნდა შეცვალო. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები.

• 3.198 ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები, ბუუს, ძალიან რთულია უშენობა, ძალიან მიჭირს უშენოდ. გელოდები და გელოდები და უსაშველოდ იწელება ეს მოლოდინი. ვცხოვრობ ძველი დღეების მოგონებით. არადა, მართლა ბევრია მოსაგონარი. ვზივარ და ვიხსენებ იმ პერიოდს და წარმოვიდგენ იმ გიას, უსაზღვროდ რომ შემაყვარა თავი. როგორ მაკლიხააარ. ჩემო ტკბილო და უსაყვარლესო ადამიანო. მაკლიხარ, მაკლია შენი ყურადღება, შენთან ერთად მსჯელობა, გადაწყვეტილების მიღება და საერთოდ, მაკლია ადამიანი, ვინც კედლად მედგა. მინდა, მალე გიხილო ჩემ გვერდით, მინდა, ეს საზარელი რეალობა მალე მოგონებად იქცეს. მიყვარხარ უზომოდ და უშენოდ ყოველი წუთი ძალიან მტკივნეულია ჩემთვის. შენი თე.

• 3.198 გი, ბორჯომში ვერ დავრეკე, ის ნომერი ვერსად ვიპოვე. მოვიძიებ როგორმე და გაგაგებინებ. აქ ძალიან ცივა გი, თოვლია და ყინავს. მენატრები და ძალიან ვჯავრობ შენ გამო. როგორ მინდოდა, ეს ყველაფერი არ მომხდარიყო. ნეტავ ეს ყველაფერი სიზმარი იყოს. თავს გაუფრთხილდი ბუუს, ჩვენ აქ არა გვიშავს, მაგრად იყავი. გკოცნი ბევრს. შენი თეე.

• ხახა, ზუუ, ჩემო ცხოვრებავ, 21-ში შალვას დედას პაემანი აქვს და წინა დღეს დამირეკავს და რაღაცებს დავაბარებ შენთან. :( მიყვარხარ ცხოვრებაზე მეტად. გვანცი.

• რისტო, უკვე ნანახი მეყოლები, ამას რომ წაიკითხავ, მაგრამ იქ ვერ გეტყოდი, როგორ დავიტანჯე ნერვიულობით. ალბათ ცოცხალი დაგხვდები, ოღონდ ადამიანად აღარ ვივარგებ. პაჩიმ პასუხს ველოდებიო, ჩვენც ველოდებით, აქ მეტს აღარაფერს მოგწერ, განხავ და ისე გეტყვი. მენატრები ტკივილამდე.

• 3.198 გი, ნეტავ როგორ ხარ? აქ ცივა, ძალიან მოთოვა, კიდევ კარგი, მოვახერხე შენი ნახვა, თორემ მერე გზები ჩაიკეტა. ახლა აღარ თოვს, მაგრამ ცივა. დღეს ბუხარი დავანთე. როდის გავა ეს ზამთარი. საშინელებაა, უფრო მეტად გიმძიმებს სულს. თან პრობლემები და პრობლემები. ნინოსთან თბისს გამო ფინანსურიდან წერილი მისულა გასაფრთხილებელი. ნინოს ველაპარაკე და ძალიან იყო განერვიულებული, რა უნდა ვქნაო. ავუხსენი, რომ მას ვერ დაავალდებულებენ, მაგრამ ძალიან რთულია, გი. ძალიან რთულია ამდენი პრობლემით ცხოვრება. თუ მოხერხდა, იქნებ დარეკო ნინოსთან და თავად აუხსნა რა და როგორ, თუ ეგ მოხერხდება. ძალიან ბევრი პრობლემა დარჩა გარეთ. იმედია, მოგვარდება. თავს მიხედე. გკოცნი. თე.

• ჯოტი, რა არის, უსუსურად რომ მომეჩვენე? მე რას გევედრები? ხომ იცი ჩემი ხასიათი. ჩვენზე არ იდარდო. კარგად ვართ. მე შენზე ვფიქრობ. უფალი გფარავდეს. მიყვარხარ. შენი ხათრით ვუძლებ ამ ყველაფერს. ახლა კი ვტირი, ისე სუსტად რომ განხე. მეტის ატანა არ შემიძლია. მე შენი დარდი მკლავს. შენ იყავი ჩემი ყველაფერი.

• ამ მონატრებამ გამაგიჟა თოკა, ნეტავ სად ხარ... ჩემთან მინდა იყო და გითხრა, რომ ისევ ისე მიყვარხარ. ეს თოვლი სულ შენს შავ თვალებს მახსენებს, გაღმერთებ.

• ფოთის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფროსს, ინგა ღვინჯილიას მადლობას ვუხდით გულთბილი მიღებისთვის და ყურადღების გამო. ირაკლი კომახიანი და მანანა ბერაია. ფოთი.

• მინდა, მთელმა სამყარომ გაიგოს, რომ გაგიჟებით მიყვარხარ, სალომე გვაზავა! მე უშენოდ ვკვდები პატარავ, უშენოდ სიცოცხლე მეც არ ვიცი რა იყო! გიორგი მარკელია.

• სიყვარული „რომეო და ჯულიეტას" დასასრულით სულაც არ განისაზღვრება. ადამიანი რადგან კვდები, არ უნდა გინდოდეს საყვარელი ადამიანის საფლავში ჩამოყოლა. უფრო მეტიც, უნდა გიხაროდეს მისი სიცოცხლე და უკეთესი სიყვარული უსურვო. კარგ ადამიანს ამ ქვეყანაზე ბედი არა ჰქონია და არც ექნება! ის სატანჯველად არის გაჩენილი. მან ცხოვრებაში მილიონი კი არა, მილიარდი რომ იშოვოს, საკუთარ თავს ნეტარების უფლებას არ მისცემს, მაგრამ დილიხორის გულისთვის შეიძლება ერთ დღეში დახარჯოს, რაც საკაცშვილმა მთელი თავისი ცხოვრება უნდა აგროვოს. ჩემი თქმული თუ არ გჯერათ, გეტყვით მე რასა! და თუ მოჰყევით წუთიერ, მშფოთვარე გულის ძგერასა?! რასაც დასთეს, მას მოიმკი, დაგიხვდება მარად წინა. ბრმად მიყოლა გრძნობებისა, ბევრს სიგიჟე ჩაადინა! დასაბამიდან ქალი ამქვეყნად, ყოველთვის იყო ეშმაკეული, რამდენი კაცი გრძნობას ამყოლი, მისგან ყოფილა გადარეული. სატანებს უნდათ სააქაოს შევთხოვოთ შველა, მაშინ როდესაც საიქიო მოგველის ყველას! ისეთსა საქმეს ნუ იზამ, რომ ვერ უშველი ვერაფერს, შენ გაკეთებულ საქმემა, შვილთა-შვილთ თავი მოსჭრასა. ყველა ლაინერს ბოლო აქვს, მაინც მიწაზე პასადკა, რაც უნდა მაღლა აფრინდე, მოგელის ბოლოს ლაფატკა. და სანამ მიწას გაყრიდნენ, დატოვე კვალი ნათელი, რომ ქვეყანაზე მზესავით, გაბრწყინდეს შენი სახელი. P.S. სულით ობოლი, ვნებით შმაგი, გულით უძილო, შავ ფიქრთა კონად შეუკვრივარ მგონი განგებას. მე სამარემდის ისე ვივლი სპეტაკი სულით, რომ ჩემს ცხოვრებას ვერ ეღირსოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალის ზმანება. კუნკულა.

• მენატრები... თურმე როგორ მყვარებიხარ, ახლა მივხვდი, რაც დავკარგე შენი სახით. თოკო, მიყვარხარ. გუროსთან ბედნიერებას გულით გისურვებ, მე კი გიოსთან ვიქნები.

• მაარ, რა კარგი გოგო ხაარ... გამიხარდა ჩემი მესიჯის ნახვა. ანი სულ მოგწერთ ხოლმე... ყველანი ძალიან მიყვარხააართ... უბრალოდ, ლელა.

• ვინმეს გყავთ სახლში ისეთი ძვირფასი საგანძური, როგორიც მეე? იმდენად საყვარელია, რომ ზოგჯერ მისი მიბერტყვის სურვილი მიჩნდება. თან ისე საყვარლად მომაჩერდება ხოლმე თავისი გასკდომამდე მისული, გაფართოებული თვალებით, რომ იმ წამში მავიწყდება მცნება — „არა კაც ჰკლა“... ეეჰ, რა ვიცი, რა ვიცი, ასე ყოფილა ჩემი ბედი. ოდესმე მასზე გიამბობთ, თუ რა თქმა უნდა, დაინტერესდებით... უბრალოდ, ლელა. P.S. კიდევ ვინ ვერ იტანს „არამკითხე ცხვირებს“?

• ერთადერთი, ვისიც მეშინია ამ ქვეყანაზე, ჩემი შვილია, რომელიც ჯერ არა მყავს. კუნკულა.

• შენ ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მიყვარხარ, ლევან გერმანოზაშვილს, ბუსიასგან. მიყვარხარ უზომოდ.

• სალომე გვაზავა, ამ ქვეყნად ყველაფერი მხოლოდ შენთვის მინდა. ეს ცხოვრება უშენოდ მეც არ ვიცი, რა იყო, გაგიჟებამდე მიყვარხარ, ჩემო პრინცესავ! გიო მარკელია.

• სალომე გვაზავა, მთელი ცხოვრება შენ გვერდით ვიქნები, უბედნიერეს ადამიანად გაქცევ ისევე, როგორც შენ გამაბედნიერე. მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ! გიო მარკელია.

• ყველას წარმატებას გისურვებთ, მგზავნელებსაც და მკითხველებსაც! ციხეში მოვიკითხავ ყველა ღირსეულ ადამიანს და სვაბოდას ვუსურვებ. მე მივდივარ გზავნილეთიდან. კუნკულა.

• რა ცუდია, როცა გინდა, შენთან იყოს და არ არის. ძნელია, როცა გიყვარს და იცი, შენი არ იქნება. SKORPION.

• ულამაზესი ქალბატონი მამკობდა მცხეთაში და ამაყი ვიყავი, რომ კაცებს ჩემი შურდათ. ალი.

• ქალი იმდენად არის ლამაზი, რამდენადაც გიყვარს. მაი, შენ ულამაზესი ხარ, ძვირფასო.

• ეგ მანქანა თუ არ გაჩუქო?! გეფიცები, ძალიან გიხდება საჭე.

• რა ლამაზი ოცნება ამიხდა, როცა ღმერთმა შენი თავი მაჩუქა, მაი.

• მარი ჯიგარია, ჩემნაირის ბოდვას რომ იტანს. მარი, გაფასებ. დიდი მადლობა. ალი.

• სად წავიდეთ ძირფასო მეუღლევ? სად ინებებს თქვენი ბრწყინვალება ამ შაბათს გასეირნებას? მიმსახურეთ თქვენი მონა მორჩილი. ალი.

• მარი, გამარჯობა. რატომ არ გაინტერესებს მაიკოსა და ალის ამბავი? სულ ვადევნებ თვალს ალის მესიჯებს და მეღიმება. მიხარია, რომ ასე უყვარს მაია. იქნებ დაურეკო და ინტერვიუ ჩაწერო ალისთან? როგორ გაიცნეს ერთმანეთი, როგორ ვითარდებოდა ურთიერთობა. თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, პირდაპირ ალის მივმართავ: ალი, გთხოვ, მოგვიყევი სიყვარულის ლამაზი ამბავი და ჩვენც ჩაგვისახე გულში იმედი. პატივისცემით, ნანაკო.

• ვაიმე, თქვენ არ იცით, რა დღეში ვარ. პაემანზე მივდიოდი და ჩემი შეყვარებული რომ დავინახე, ისე ავღელდი, ფეხი ამიცურდა თოვლზე, ჰაერში ავფრინდი და ძირს ისეთი ძალით დავენარცხე, რომ ასფალტი ჩავღუნე. ჩემი რაინდი ლოვე სანამ მოვიდა, ერთი მოხუცი მეცა და დამეჯაჯგურა, ადგომაში რომ დამხმარებოდა, მაგრამ ისიც წავაქციე და ჩემს ლოვეს ორივეს სახლამდე მიყვანა დასჭირდა. JUGGJER-GIRL.

• მე ჩემს თავს სასიამოვნო ძალადობის მსხვერპლს დავარქმევდი. ჩემს შეყვარებულთან (ახლა უკვე ქმართან) გაბუტული ვიყავი. ჰოდა, ერთხელ, როცა უნივერსიტეტში მივდიოდი, სადარბაზოსთან მისი ბიძაშვილი დამხვდა და მანქანაში ძალით შემაგდო. ჩემი წინააღმდეგობა ამაო აღმოჩნდა. თავი მცხეთაში ამოვყავი, სადაც ჩემი შეყვარებული გველოდა. ახლა უკვე 2 პატარა გვყავს — 2 წლის ანო და 9 თვის ნინი და ძალიან ბედნიერი ვარ. ელენე.

• გამარჯობა, მარორიტა. ახლა იცი, სად ვარ? იაშვილის კლინიკაში. უკვე ერთი კვირაა, ჩემი პატარა დავაწვინე, ნაწლავის ინფექციით. საშინელი დღეები გადავიტანე. საკმაოდ მძიმედ მყავდა პატარა. დღეს არა გვიშავს, უფლის წყალობით. გუშინ მომიტანა მეუღლემ „გზა“ და მადლობა მესიჯის დაბეჭდვისთვის. ახმეტელი ბარტყი.

• გოგა განგაშვილო, მესამედ გწერ. გავიგე მეძებდი და მესამედ გეხმიანები. მახსოვხარ და ყველაფერიც კარგად მახსოვს, მაგრამ 2 წელია, გაქრი. ახმეტელი ბარტყი.

• რაც დრო გადის, უფრო რატომ მიყვარდები? წესით უნდა მძულდე, შენ ხომ ცხოვრება დამინგრიე, მიღალატე... ტანჯვისთვის გამიმეტე. რა ბედნიერი ვიყავი შენთან, სიცოცხლით სავსე... ახლა როგორ ვარ? თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალი ჩამიქრა... ამას 16 წლის გოგო ვამბობ! ალბათ ბევრს გაგიკვირდებათ და კითხვა გაგიჩნდებათ, რა მოხდა ასეთი? მაშინ, როცა შენ გამო მშობლებს ვეწინააღმდეგებოდი და ცოლად მოგყვებოდი, უცებ გავიგე, რომ ცოლი მოიყვანე... ამ ამბავმა გამანადგურა, ცრემლი მადენინა... რა დაგიშავე? თუ არ გიყვარდი, რატომ მატყუებდი? რატომ შემაყვარე თავი სიცოცხლეზე მეტად? არ მჯერა იმ ზღაპრების, რაც შენმა დამ მითხრა. რომ არ გყვარებოდა, არ მოიყვანდი... მეგონა, ძლიერი ვიყავი, მაგრამ უსუსური აღმოვჩნდი... ვერ ვერევი იმ ტკივილს, რაც მომაყენე... გახსოვს, ერთხელ მითხარი: იცი, ბოთე, ნარკოტიკივით ხარ ჩემთვის, არ შემიძლია უშენოდო? ახლა როგორ ძლებ? ნუთუ არ გახსენდები? ნუთუ დამივიწყე? მინდა, ყველას გასაგონად გითხრა: თოოკ, მთელი ცხოვრება მეყვარები და გელოდები. ბარტყი.

• რატომ მენატრები დღეს ასე ძალიან? რატომ შემიყვარდი ასე ძლიერ? მენატრები, სიცოცხლევ. ლიზი123.

• მიყვარხარ, ნოდ... ლიზი123.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. საბერძნეთში რომ მოვდიოდი, მეგონა, ქალებმა ვისაც ფული არ ჰქონდა და იშოვა, გააკეთილშობილებდა მათ და უფრო კარგები გახდებოდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ფულმა ისინი უფრო გააბოროტა. ახლა თემას რაც შეეხება: ძალადობის მსხვერპლი არა, მაგრამ ფულის მსხვერპლი კი შეიქმნება ერთი 70 წელს მიტანებული ქალი, რომელმაც 700 ევრო ისესხა მეზობელი ქართველისგან და სანაცვლოდ დიდი ჩემოდანი დაუტოვა, ერთ კვირაში მოვალ, ფულს მოგიტან და ჩემოდანს წავიღებო. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. ამ ქალმა ბევრჯერ დაურეკა, მაგრამ ტელეფონს არ პასუხობს. ამ ქალმა ახლა გახსნა ჩემოდანი, რომელშიც ნახა დღიური და ბლოკნოტი, მისამართებითა და ტელეფონის ნომრებით. პირველ რიგში სიძეს დაურეკა ქუთაისში, მაგრამ სიძემაც გაუთიშა. ერთი სიტყვით, ამ ქალის კვალს ვერ მიაგნო. ბლოკნოტში სურათებიც ნახა, რომლის ომონიაზე გამკვრას აპირებს. იქნებ იპოვოს და თუ ვერ იპოვის, მაშინ სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული: იმ დღიურს გაუგზავნის მის სიძეს, სადაც მის ბატონზე (ვისთანაც მუშაობს) შეყვარებული ასეთ სიტყვებს წერს: ისე შემიყვარდა, მგონი დავნებდე კიდეცო. ამას წერს ქალი — ჯულიეტა, რომელსაც არც ერთი კბილი თავისი არ აქვს. ამ ეროტიკულ დღიურს მისი ქალიშვილი და სიძე რომ წაიკითხავს და საქართველოში ველარ ჩავა ბოჭორიშვილების ქალი, მაშინ ნახოს როგორია, 700 ევროთი გაქრობა. ნამდვილად გახდება ფულის მსხვერპლი. გერასიმე. მარი, ვეცდები, სახალისო დღიურის ეგზემპლარი გამოვართვა და გამოგიგზავნო, თუ შევძელი. მპუა.

• ნაომს თავი დაანებეთ, რა! ნაომ, კარგი ადამიანი ხარ, მაგრამ ჩემსავით ენამწარე. ელი-კიკი.

• როგორ ხართ? მომენატრეთ... სხვათა შორის, ნიკიც შევიცვალე. ელი-კიკი.

• მარ, მივიღოთ ჩვენს ოჯახში ლელა და მარიკუნა, ხომ? თან აცივდა მაგრად და რაც მეტნი ვიქნებით, მით უფრო დათბება, არა? ჩემები მენატრებიან ძალიან! CRAZY GIRL.

ეროვნული ბიბლიოთეკა

• შევუპყრივარ ტრფობის ცეცხლს, გულს მაწვება ნისლები, დამშვიდებულ სიცოცხლეს აწ ველარ ველირსები. ჩემი ბედნიერება უმისოდ მკვდარია, მთელი ქვეყნიერება ნაღველივით მწარეა. ჩემი აზრი-გონება შეირყა და დაიბნა, ჩემი სულის ქონება ნაწილებად გაიბნა. შევუპყრივარ ტრფობის ცეცხლს, გულს მაწვება ნისლები, დამშვიდებულ სიცოცხლეს აწ ველარ ველირსები. მხოლოდ მისკენ ვიხრები მომზირალი, სარკმლიდან, მხოლოდ მის კვალს მივყვები, გამოსული სახლიდან. რა კარგია, ამაყი, მისი ტანის მიმოხვრა და ღიმილი ლამაზი, თვალთა ცეცხლის მიმოყრა. მისი სიტყვა საამო ნაკადივით მჩქეფარე და მხურვალე სალამი და ამბორი მგზნებარე! შევუპყრივარ ტრფობის ცეცხლს, გულს მაწვება ნისლები, დამშვიდებულ სიცოცხლეს აწ ველარ ველირსები. გული მისკენ მიიწევს, მუდამ მისთვის ვლონდები, ნეტავ სატრფო აქ იყვეს, მძლავრად ჩავეკონები და დავკოცნი სურვილით, გულს ვიჯერებ ტრფობითა და ძლიერი წყურვილით საფლავს ჩავალ კოცნითა. P.S. ეჰ, მარ, გოეთემ გამიტაცა ბოლო დროს და მერხევა მგონი. :) 9.7.1.7.

• პარიჟანკას მინდა ვუთხრა: როცა მის მესიჯს ვკითხულობდი, მეტროში ვიყავი და ვტიროდი. რომ გიცნობდე პარიჟანკა, სულიერი მეგობრები ვიქნებოდით. როცა წერ, თითქოს ჩემს სულში ზიხარ. ძალიან კარგი ადამიანი ხარ. დიდი მადლობა იმისთვის, რომ წერ და მახარებ. მიყვარხარ. გერასიმე.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. ზაფხულში ლიკავიტოზე ვიყავით, ძალიან რთული გზა უნდა გაიარო ამ მთის წვერზე რომ ახვიდე. გზაში სულ კაქტუსებია, რომელიც წითელ ნაყოფს ისხამს. ამბობენ, რომ მისგან მურაბაც მზადდება. ცდუნება დიდი იყო. მომინდა გამესინჯა ერთი ცალი. მოვწყვიტე, კანი მოვაცილე და შევჭამე. მჟავე, სასიამოვნო გემო ჰქონდა, მაგრამ ბუსუსებიანი იყო და ტუჩები დამისუსხა, მაგრამ არ შევიმჩნიე და გოგონებს ვუთხარი, ძალიან გემრიელია-მეთქი. ყველა მათგანი ვაცდუნე და ძალიან გახარებული დავრჩი, ისინიც რომ დასუსხა კაქტუსმა. ამ კვირას კიდევ ვიყავით ლიკავიტოზე და მძინარა ქეთისა და მადონას მოვუყევი ეს ამბავი და ვაცინე. აბა, მარტო მე უნდა დავესუსხე კაქტუსს? გერასიმე.

• გამარჯობა ლაშა, გილოცავ ყველა დღესასწაულებს ერთად. ღმერთი გფარავდეს ყველგან და ყოველთვის! წმინდა გიორგის მადლი გფარავდეს და გაგაძლიეროს! ...ასე არ უნდა ყოფილიყო შენთან ეს და თუ დრო, თავისი ლოგიკით თუ ლოგიკის გარეშე შეჩვევაზე ფიქრს გაჩვევს ან გსწავლობს თითქოს; ეს არაა შენთვის განკუთვნილი გაკვეთილი და ამ გაკვეთილებს შენ არასდროს დაესწრო! ყველამ მოგიკითხა. ერთად ვართ, ერთ გზაზე, ფინალსაც ყველანი ერთად ვნახავთ. რაც აუცილებლად გვირაბის ბოლოა და გზაზეც ასე გავალთ!

• აუ, ისე, მაგარია სტუდენტობა. თბილისში რომ არ ჩამებარებინა, გადავირეოდი. მარი ჯაფარიძე, მიყვარხარ იმიტომ, რომ კარგი ადამიანი ხარ. კალია.

• ისე, ნაომი მაინც მიყვარს. გველი ენა კი აქვს, მაგრამ მიყვარს. :) აბა, შენ იცი ახლა, მომწამლე შენი ენით. :) კალია.

• ეჰ, ლუნა, ლუნა... :) აბდაუბდა.

• ლუნა, როგორც გავიგე, სურამელი ხარ, ხომ? ახლოს ვყოფილვართ.

• აუ, ისე რა კარგი იქნებოდა, მგზავნელების ტელეფონის ნომრები რომ იბეჭდებოდეს ჟურნალში. კალია.

• გამარჯობა ლაშა, ცხოვრებაში ეს რთული პერიოდი უნდა დაძლიო! გაუძლო უნდა! ვიცი, რთულია. და ეს შენ სხვისგან არ გესწავლება, თუმცა მინდა გითხრა: არა ხარ მარტო. ყველანი ერთად ვართ შენ გვერდით, ვიბრძვით სიმართლისთვის და ეს სიმართლე შენ ხარ! დამერწმუნები ალბათ, როცა დასასრული გვგონია ყველაფრის, სწორედ რომ მაშინ აქვს დასაწყისს აზრი. ის არ მოსულა ჩემამდე ჯერ. მეც მიკვირს, სად გაქრა. ალბათ პრობლემები ჰქონდა. მჯერა, მაინც მოვა ჩემამდე, შეძლებს. მოგიკითხა ყველამ.

• მარორიტა, მართლა კარგი ადამიანი ხარ. ბევრ სიკეთეს აკეთებ. ცუდია, უმადური ადამიანი რომ არ ილევა ამ ქვეყანაზე. უფალმა დაგლოცოს ამ კარგი საქმისთვის. ახმეტელი ბარტყი.

• მარი, ძვირფასო, ვილაცამ კანიბალკა და ფინტიკოზა ახსენა, ქნ. ნანიმ — ბერბიჭა, ვილაც განძის მაძიებელს ეძებს, მე ნონ სტოპი მენატრება! დაბრუნდით, რაა. CRAZY GIRL.

• კუტრინ, ჩუპი, დუჩი, სუპერსთარ, მაესტრო, როკო, სიკვდილა, მეგრელი მგელო, ლეო91, კაჭკაჭი, ლი ჰარვი ოსვალდ, კამელია, გრუზინკა, SCARLET... ენატრებით CRAZY GIRLS!

• მინდა, მადლობა გადავუხადო საბერძნეთში მცხოვრებ ერთ ქალბატონს, მერი ჩიტაშვილს. საუკეთესო ქართველი, რომელიც ყველა ემიგრანტის იმედი და დასაყრდენია. კარგი დედაა, საუკეთესო ბებია. ყველას გასაჭირი გულთან მიაქვს. ჩემი შვილი ავარიაში მოჰყვა და ძალზე რთულ მდგომარეობაში იყო. სოლიდური თანხა სჭირდებოდა მის განკურნებას. ქალბატონი მერი გვერდით დამიდგა და ფული მასესხა. ჩათვალეთ, რომ მაჩუქა, რადგან ძალზე გამიჭირდა საჭირო თანხის შოვნა. აქ მყოფ ემიგრანტებს ფულს თუ სთხოვ, გეუბნებიან, მე ჩემი პროგრამა მაქვს, ჩემი გეგმა და ვერ გასესხებო... ქალბატონმა მერიმ ჩემი შვილის სახით ერთი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე გადაარჩინა. დიდი მადლობა, ქალბატონო მერი, რომ არსებობთ. პატივისცემით, სოფიკო ახალკაცი.



## გილოცავ!

• ნიკა ბერაიას დაბადების დღეს ულოცავს მეგობარი, ნიკა კუჭუხიძე. გისურვებ ულევ სიხარულს და ჯანმრთელობას.

• ნიკა ბერაიას, ჩემს გადამრჩენელს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ულევ სიყვარულსა და ჯანმრთელობას. დიდი პატივისცემით, ირაკლი კომახიანი, ფოთიდან.

• ნათლი, გილოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა მრავალს დაგასწროს. თეორია.

• მინდა, ზურა პუცოვიჩს ოპერაციის წარმატებულად ჩატარება მივულოცო. უფალი გფარავდეს.

• ჩემს მონატრებულ დისშვილს, ინდირა აბულაძეს ვულოცავ პატარა საბას დაბადებას. ჯანმრთელი და სასახელო გაზრდილიყოს. წმინდა გიორგი გფარავდეს მუდამ, ოჯახთან ერთად. გკოცნი და გეფერები, დეიდა.

• მონატრებულ დედას, ციალა ფერაძე-ხარაბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 17 დეკემბერს და ბარბარობას. შენ არ დაბერდი, მე გავიზარდე და დღეს დებივით დავდივართ ერთად. მადლობელი ვარ, რომ დამიცადე და შენი თავი მარგუნე დედად. მენატრები და მიყვარხარ. ათენიდან, მზია ხარაბაძე.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტაიმ-აუტი

## „ორგანიზებული, შეუპოვარი და დისციპლინის მოყვარული ადამიანია“

**1956 წლის 18 თებერვალი — ეს ბიძინა ივანიშვილის დაბადების თარიღია. როგორია მისი ასტროლოგიური პორტრეტი? როგორი იქნება მისთვის მომავალი — 2012 წელი? ამ თემაზე სასაუბროდ, ასტროლოგ მიხეილ ცაგარელს ვესტუმრე. მის კაბინეტში სამუშაო მაგიდაზე პოლიტიკოსის პირადი ჰოროსკოპი დაგვხვდა.**

*თამუნა კვინიკაძე*

**— პირადი ჰოროსკოპის შედგენისას, მნიშვნელოვანია, დღის რა მონაკვეთშია ადამიანი დაბადებული. თქვენ ეს მონაცემები გაქვთ?**

— რა თქმა უნდა. ინფორმაცია მისი ერთი ნათესავისგან მაქვს. ბატონი ბიძინა მაიმუნის წელში დაბადებული მერწყულია. მისი დაბადების დროს, მზე მერწყულის ნიშნის ბოლო გრადუსში იმყოფებოდა.



ასეთ ადამიანებს „მესაზღვრეებს“ ვუწოდებ. შეიძლება, ხან ერთი ნიშნისთვის დამახასიათებელი თვისებები გამოავლინონ, ხან — მეორის

**— ეს რას ნიშნავს?**

— მერწყულის ზოდიაქო მთავრდებოდა და თევზების იწყებოდა. ბოლო გრადუსი ყოველთვის სუსტია. შესაძლოა, მასზე შემომავალი თევზები უფრო დიდ გავლენას ახდენდეს, ვიდრე — მერწყული. ასეთ ადამიანებს „მესაზღვრეებს“ ვუწოდებ. შეიძლება, ხან ერთი ნიშნისთვის დამახასიათებელი თვისებები გამოავლინონ, ხან — მეორის. მისი ფსიქოტიპი ძალიან საინტერესოა. აქვს ძალიან კარგი მონაცემები ბიზნესისთვის; რაც შეეხება პოლიტიკურ სარბიელს, მიმაჩნია, რომ მოუმზადებელია. პოლიტიკაში დიდხანს ყოფნას არ ვურჩევ.

**— ამბობს, რომ ამას არც აპირებს.**

— დიახ, ცოტა ხნით დასაშვებია. ამ ნიშნით დაბადებული ადამიანებისთვის პოლიტიკა დამანგრეველია. ეტყობა, ამას შინაგანად გრძნობდა და თავს ამიტომაც არიდებდა. კარგად ჩანს, რომ პოლიტიკურ სარბიელზე გამოსულ ივანიშვილთან ასტროლოგი არ მუშაობს — ის შეცდომებს უშვებს.

**— ბიზნესში საქმიანობის დროს მუშაობდა მასთან ასტროლოგი?**

— ამ სფეროში მას მრჩეველი არც სჭირდება. ბიზნესში დიდი წარმატების შანსს კოსმოსი აძლევს; მაგრამ პოლიტიკურ ასპარეზზე იმდენი ფარული მტერი ჰყავს, ბიზნესისგან განსხვავებით, შეიძლება, გაუჭირდეს.

**— მის შეცდომებში რას გულისხმობთ?**

— პოლიტიკურ არენაზე მოუმზადებელი გამოვიდა.

**— რა უნდა გაეკეთებინა?**

— ჯერ უნდა გაეკეთებინა საკუთარი ტელევიზია, რადიო, ჰქონოდა გაზეთი. მით უმეტეს, მმართველ პარტიასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და რომ მოენდომებინა, არავინ დაუშლიდა.

**— მან პირველი განცხადება პოლიტიკაში მოსვლის შესახებ ოქტომბრის დასაწყისში გააკეთა.**

— სწორედ ამის თქმას ვაპირებდი — ოქტომბერი სასწორის ზონაა. სასწორი აპოლიტიკური ნიშანია, „მშვიდობის მტრედია“. ამ პერიოდში პოლიტიკური განცხადების გაკეთება წამგებიანია. ჩემთვის რომ ეკითხათ, მომავალ წლამდე ხმის ამოღებას არ ვურჩევდი. ჯერ მოსამზადებელი პერიოდი უნდა გაევლო, კომფორტული გარემო შეექმნა, მით უმეტეს, „ნაციონალური მოძრაობის“ ფსიქოტიპს იცნობს და უნდა გაეთვალა, რა ძალასთან მოუწევდა დაჯახება. პოლიტიკური განცხადებების გაკეთება 23 იანვრიდან უნდა დაეწყო, როცა მზე მერწყულის (ანუ მის) ზოდიაქოში გადავიდოდა. მოგეხსენებათ, დრაკონის წელი იწყება, თავად ბატონი ბიძინა მაიმუნის წელშია დაბადებული. მაიმუნი და დრაკონი მეგობრობენ. მისთვის დრაკონის წელი წარმატებულია. თან დრაკონი საქართველოს ერთ-ერთი მმართველია.

**— მისი ასტროპორტრეტი როგორია?**

— ძლიერი ლოგიკური აზროვნება და იმდენად მახვილი გონება აქვს, ხშირად გონების მოქმედება მის სიტყვებს წინ უსწრებს. რასაც ეს პიროვნება დღეს ჩაიფიქრებს, ჩვენ რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღენიმე წლის შემდეგ მივხვდებით. მსოფლიო სტატისტიკით, ნობელის პრემიის ლაურეატთა 60% ამ ნიშნით არის დაბადებული. მას საუკეთესო გამომგონებელთა, კონსტრუქტორთა, მეცნიერთა გონება აქვს. ამ პიროვნებას სწორედ ამიტომ აინტერესებს ფსიქოანალიზის და ფილოსოფიური საკითხები.

**— ოპტიმისტია?**

— დიდი ოპტიმისტია. ეს მისი წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, მისთვის სასოწარკვეთა და უიმედობა უცხო რამ არის. თევზების ზოდიაქო კი მას ემოციურობას, გულმოწყალებას, სენტიმენტალურობას სძენს. თევზები ქველმოქმედების ნიშანია. ვერ იტანს ადამიანებში ორმაგ თამაშს. მერწყული დემოკრატიის ნიშანია. ის ხშირად გვირჩევს, მაგრამ რაიმის გაკეთებას არ გვაიძულებს. არჩევანს გვიტოვებს. მისი დაბადების დროს მთვარე კუროს ზოდიაქოში იმყოფებოდა. კურო მიწის ნიშანია. ბუნებასთან კონტაქტი მისთვის აუცილებელია, მერწყული უბრწყინვალესი მებაღე იქნება, რასაც დარგავს, ყველაფერი აყვავდება. მაგრამ ვურჩევ, მოერიდოს მიწისქვეშა კომუნიკაციებს. სილამაზის აღქმის უნარი მასში გაათმაგებულია. ჟურნალისტებს გირჩევთ, როცა ინტერვიუზე მიხვალთ, გაითვალისწინოთ, რომ ეთიკურობა, ელეგანტურობა, სურნელი მისთვის მნიშვნელოვანია. გადასარევი ბიზნესყნოსვა აქვს. ორგანიზებული, შეუპოვარი, დისციპლინის მოყვარული ადამიანია, შრომისუნარიანი და ფულის ყაირათიანად მხარჯველი. განსაკუთრებით აფასებს ერთგულებას. სტაბილურობის მეხოტბეა, ვერ იტანს ქაოსს. დიდი პატრიოტია და პატრიოტიზმი მისთვის წარმატების მომტანია. დიდი შანსი აქვს, წარმატებას მიაღწიოს სამშობლოში, მნიშვნელოვანი ხელმძღვანელი პირი გახდეს. მის მფარველ ანგელოზთან გამარჯვების პლანეტა მეგობრობს. ეს კოსმოსიდან მიღებული დიდი ჯილდოა. ოჯახის სიმტკიცე და შვილებთან დამყარებული განსაკუთრებული ურთიერთობა მისი წარმატების შანსს აორმაგებს. საზოგადოება ბერას უფრო იცნობს; ის თავმდაბალი ადამიანია — მის ადგილას ბევრი ამბიციებით სად „გადახტებოდა", თვალს ვერ მოჭრავდი. ეს მის კარგ აღზრდაზე მეტყველებს, რაც ოჯახის დამსახურებაა. თევზებსა და მერწყულს რამდენიმე უარყოფითი თვისება აქვთ. პირველი არის ზღვარგადასული ფანტაზია. ფანტაზია კარგია პოეზიაში, ხელოვნებაში და — არა რეალურ ცხოვრებაში. ვურჩევ, გახდეს რეალისტი. მისი მაკონტროლებელი ფრაზა უნდა იყოს — „რამდენად რეალურია ის, რასაც ვხედავ ამ ადამიანში?" მეორე ნეგატიური თვისება — ზღვარგადასული თანაგრძნობაა. თანაგრძნობაც კარგი თვისებაა, მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭირო. უნდა გაარკვიოს, ვის რამდენი და რა ფორმით სჭირდება მისი თანაგრძნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც შეძლებენ, მისი თანაგრძნობა მისსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენონ. სულსწრაფობაც ახასიათებთ. სასურველია იმოქმედონ პრინციპით, — შვიდჯერ დაფიქრდი და ერთხელ გაჭერი. ეს ის პიროვნებაა, რომელსაც აქვს დიდი ინტერესი პოეზიის, მხატვრობის, ზოგადად ხელოვნების მიმართ. ბევრი ცნობილი ხელოვანია ამ ნიშნით დაბადებული. ბატონი ბიძინა პოლიტიკაში ბევრ საიდუმლო დინებას შეეჯახება, სიძნელეების დაძლევაში ბიზნესში საქმიანობის დროს მიღებული გამოცდილება დაეხმარება, მაგრამ პოლიტიკური დინებების „გაცნობაც" მოუწევს.

**— დიპლომატია?**

— მისთვის ურთიერთობა უცხოეთთან აუცილებელია. ფაქტია, რომ იქ ბიზნესი წარმატებულადააწყო. რუსეთს მართავს მერწყულის ზოდიაქო, ამიტომ ის რუსეთთან ურთიერთობის დალაგებასაც მოახერხებს, განსხვავებით მიხეილ სააკაშვილისგან, რომელსაც ომის პლანეტა (მარსი) აქვს მერწყულის ზოდიაქოში (ანუ — რუსეთში). მას გაცილებით მეტად ურთულდება ამ ქვეყანასთან ურთიერთობა. ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, კარგი ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სხვა ქვეყნებთან, მაგრამ მისთვის საცხოვრებელი ადგილი აუცილებლად სამშობლო უნდა იყოს. მერწყული ჩაწერილია დიდ დიპლომატთა რიცხვში. დიპლომატიის ნიჭი და უნარი აქვს, არ ეშლება — ვის როგორ ელაპარაკოს. დააკვირდით მის გამოსვლებს და ამას დაინახავთ. ამასთან ერთად, ძალიან კარგი ინტუიცია აქვს. მისი გონება რამდენიმე წლით უსწრებს კაცობრიობის განვითარებას, ამას დამატებული კარგი ინტუიცია იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ადამიანში დიდი პოტენციალია, ბევრი რამ შეუძლია.

**— 11 დეკემბერს „ქართული ოცნების" პრეზენტაციაა დაგეგმილი. ამ შემთხვევაში თარიღი სწორად არის შერჩეული?**

— ალბათ გახსოვთ, თავიდან პრეზენტაცია 25 ნოემბერს იყო დაგეგმილი. არ ვიცი, ვინმემ უთხრა თუ არა, მე პრესითაც მივმართე და ჩემს გადაცემაშიც ვილაპარაკე, რომ ამ დღეს მზის დაბნელება იყო. 25 ნოემბერს რაიმე ღონისძიების ჩატარება უდიდესი შეცდომა იქნებოდა,


ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი რამდენჯერმე გავაფრთხილე

პრობლემებს და სირთულეებს გააორმაგებდა.

**— როგორც ვიცი, თარიღი საკონცერტო დარბაზის ხელმძღვანელობისგან ნებართვის მიუღებლობის გამო გადაიდო.**

— გამიხარდა, რომ ასე მოხდა. ე.ი. ბიძინა ივანიშვილს მფარველი ანგელოზი იფარავს უსიამოვნებისგან. 11 დეკემბერი უკეთესია, ვიდრე 10. 10-ში მთვარის დაბნელება ხდება, მძიმე დღეა. მიხეილ სააკაშვილის და პუტინის ორივე შეხვედრა მთვარის დაბნელების დღეს დაემთხვა. ამის შესახებ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი რამდენჯერმე გავაფრთხილე, მაგრამ არ გაითვალისწინა და რით დამთავრდა ეს შეხვედრები, ყველამ კარგად ვიცით. მისასალმებელია, რომ ამ საზოგადოებრივი მოძრაობის პრეზენტაცია დაბნელების დღეს არ ტარდება, მაგრამ ჩემთვის რომ ეკითხათ, არც 11 რიცხვს ვურჩევდი. 11 არის 1+1=2 და ასტროლოგიურად ეს (ასევეა 2, 4 და 8) ციფრი ძალიან მძიმეა. ვურჩევდი, რომ 12-ში დაენიშნა.

**— მომავალ წელს არჩევნებია...**

— თარიღი ჯერჯერობით არ ვიცით. ხან ამბობენ, გაზაფხულზე ჩატარდებაო, ხან — შემოდგომაზე. ზოგადად, მაიმუნის წელში დაბადებულთათვის, დრაკონის წელი კარგია. ამიტომ ვამბობ, ბატონ ბიძინას პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადება იანვარში რომ გაეკეთებინა, მისი გამოსვლა ბომბის აფეთქების ტოლფასი იქნებოდა.

**— ოქტომბერშიც ასეთი ეფექტი ჰქონდა, არ მეთანხმებით?**

— მერწმუნეთ, იანვარში მეტად ძლიერი იქნებოდა. ახლა მას მეტი ბარიერის გადალახვა მოუწევს. ჯერ არ ვიცით, როდის იქნება არჩევნები. ჩემი რჩევაა, ეს თარიღი არ დაინიშნოს აპრილის პირველ ნახევარსა და ნოემბერში, რადგან ეს თვეები საქართველოსთვის ყოველთვის მძიმეა. ეს არის 2 აგრესიული ნიშნის — ვერძისა და მორიელის პერიოდები, რომლებიც იწვევს რევოლუციურ გამოსვლებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინ 2 უმძიმესი წელია. 2012-2013 წლები არნახულად რთული იქნება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის — ყველაზე ძლიერი ეკონომიკური კრიზისის პერიოდი იწყება. საფინანსო კრიზისი ზეგავლენას მოახდენს საქართველოზე, მით უმეტეს — მთავრობაზე.

**— როგორი იქნება მომავალი წელი მიხეილ სააკაშვილისთვის?**

— რთული. მთავრობას თანხა შემოელია. ბიძინა ივანიშვილი აღარ აძლევს, კრედიტები აღარ შემოდის, უფრო მეტიც — ზოგიერთი კრედიტი უკვე გადასახდელია. სააკაშვილს წინ რთული წელი ელის. სატურნი მორიელის ზოდიაქოში შედის; ეს იშვიათობაა — 29-30 წელიწადში ერთხელ ხდება. მორიელს სიკვდილისა და სიცოცხლის ზოდიაქოს ვუწოდებთ. XX საუკუნეში ეს პირველად, 1924-26 წლებში მოხდა, შემდეგ — 1954-56 წლებში, შემდეგ — 1984-85 წლებში და 2012 წელს დგება ეს პერიოდი.

**— რას უნდა ველოდოთ?**

— რადიკალური ცვლილებები მოხდება როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. სამთავრობო უმაღლეს ეშელონებში შიდა ბრძოლები დაიწყება; ამას ემატება პლანეტების აღლუმი 2012 წლის 21 დეკემბერს, რაც უმეტეს შემთხვევაში, კატაკლიზმებთან არის დაკავშირებული. შემძლო, ცოტა სხვაგვარად მელაპარაკა, მეთქვა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ახლაც გეუბნებით, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ჯერ პოლიტიკური ცუნამი უნდა გადავიტანოთ. ეს გარდამტეხი პერიოდია — ადამიანის ცნობიერება, იდეოლოგია, მსოფლიო პოლიტიკური ლიდერები და ეკონომიკა იცვლება. 2014 წლიდან მშვიდი ცხოვრება იწყება. ყველა მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ. ხელი ხელს ჩავჭიდოთ და ეს პერიოდი მშვიდად გავიაროთ. მთავარია, პოლიტიკოსებმა უხეში შეცდომები არ დაუშვან და შემდეგ ამ შეცდომების შედეგი ხალხმა საკუთარ თავზე არ იწვნიოს. ■



# მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტები

• პირველ ადგილზე ბრიტანეთის კემბრიჯის უნივერსიტეტია. მისი კოლეჯი 1284 წელს გაიხსნა. 1869 წელს კოლეჯში ქალებმაც დაიწყეს სწავლა. დღეს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 31 კოლეჯი (28 საერთო და სამი ქალთა), 100 ფაკულტეტი და სკოლაა გახსნილი. დაახლოებით 18 ათასი სტუ-



დენტი სწავლობს. კემბრიჯის კურსდამთავრებულებიდან 88 ნობელის პრემიის ლაურეატია. სწავლის საფასური 18-20 ათასი დოლარია.

• ჰარვარდი ამერიკის უძველესი უნივერსიტეტია. იგი 1636 წლის 8 სექტემბერს გაიხსნა. დღეს აქ 7 ათას სტუდენტსა და 15 ათას ასპირანტს ორი ათასი პედაგოგი ასწავლის. ჰარვარდი ამერიკის რვა პრეზიდენტმა და ნობელის 75 ლაურეატმა დაამთავრა. უნივერსიტეტს სახელი მფარველის, ჯონ ჰარვარდის პატივსაცემად ეწოდა, რომელმაც გარდაცვალების შემდეგ ქონება და ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს მემკვიდრეობით დაუტოვა. ჰარვარდის ტერიტორიაზეა რამდენიმე მუზეუმი (არქეოლოგიური, ზოოლოგიური), ბოტანიკური ბაღი და ტყე, რომელსაც ბიოლოგები იკვლევენ და უნიკალური ბიბლიოთეკა. უნივერსიტეტის ეზოში ჯონ ჰარვარდის ძეგლი დგას, წარწერით: „ჯონ ჰარვარდი, დამაარსებელი, 1638". სტუდენტები ქანდაკებას „სამმაგ ტყუილს" ეძახიან, რადგან ქანდაკების მოდელი — სტუდენტი გერმან შორია. თავად ჰარვარდი დამაარსებელი არ ყოფილა და წელიც შეცდომითაა მიწერილი. მაგრამ სტუდენტებს სწამთ, რომ თუ ქანდაკების ფეხსაცმელს გააპრიალებენ, გამოცდებს უპრობლემოდ ჩააბარებენ. ამიტომაც, ჰარვარდის ძეგლის ფეხსაცმელი მუდამ ბზინავს. სწავლა 30-48 ათასი დოლარია.

• მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ტექნიკური სასწავლებელი — მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი 1861 წელს გაიხსნა. 1870 წელს აქ პირველი სტუდენტი გოგონა, ელენ რიჩარდსი ჩაირიცხა. დღეს უნივერსიტეტის სტუდენტთა ნახევარი ქალია. 2004 წელს უნივერსიტეტის პრეზიდენტი პირველად გახდა ქალი — ნეირობიოლოგი სიუზან ჰოკფილდი. უნივერსიტეტის 73 წევრი ნობელის პრემიის ლაურეატია. სწავლის საფასური 38-40 ათასი დოლარია.

• ამერიკის ერთ-ერთი პრესტიჟული კერძო — იელის უნივერსიტეტი 1701 წელს დაფუძნდა. აქ 110 ქვეყნის 11 ათასი სტუდენტი 10 ფაკულტეტსა და 38 კურსზე სწავლობს. იელი ამერიკის ხუთ პრეზიდენტს აქვს დამთავრებული. 1930 წელს ოქსფორდისა და კემბრიჯის მაგალითზე იელის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 12 კოლეჯი-საერთო საცხოვრებელი გაიხსნა. თითოეულში 450 სტუდენტი სწავლობს და ცხოვრობს. თითოეულში არის სასადილო, ბიბლიოთეკა, მოსასვენებელი და საკონფერენციო დარბაზი. სწავლის საფასური 38-40 ათასი დოლარია.

• ოქსფორდის უნივერსიტეტი 1117 წელს გაიხსნა. 44 ფაკულტეტიდან 6 დახურულ, რელიგიურ ორდენს ეკუთვნის. ოქსფორდს წელიწადში საშუალოდ, 20 ათასი სტუდენტი ამთავრებს. საშუალო გადასახადი 20 ათასი დოლარია.



სხვათა შორის, განაცხადის ერთდროულად შეტანა ოქსფორდისა

დასასრული იხ. გვ. 82


12-დან 19 დეკემბრამდე
ფიოდორ დოსტოევსკი
ძმები კარამაზოვები
მხოლოდ კვირის პალიტრის მკითხველისთვის სპეციალური ფასი 7 ლარი
წიგნი 25
ტომი II
50 წიგნი
რომელიც უნდა
წაიკითხო
სანამ ცოცხალი ხარ!
უკვე გამოსული ტომეჭი შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. დაასახელეთ დოლარის კუპიურებზე გამოსახულ ადამიანთაგან ერთადერთი, რომელიც არ იყო შეერთებული შტატების პრეზიდენტი.
2. ვინ დაადგინა გადანაჭერზე რგოლების დათვლით ხის ასაკის განსაზღვრის წესი?
3. ვის ეკუთვნის სიტყვები: „საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია“?
4. დაასახელეთ ის ექვსი ძალა, რომელიც რუსეთმა აგვისტოს ომში საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა.
5. დაასახელეთ ფრანგი მხატვარი, რომელსაც ახალგაზრდობაში საკუთარი მამა მოძღვრავდა, — ადამიანები გენიით ვკვდებით, მაგრამ ფულით ვცხოვრობთო.
6. „იგი პრეზერვატივივითაა — უმჯობესია გქონდეს და არ დაგჭირდეს, ვიდრე დაგჭირდეს და არ გქონდეს“, — რის შესახებ ამბობენ ამას რუსები?
7. „რა უნდა იყოს მათთვის ანბანის სწავლებაზე უარესი? ეს იგივეა, გველს შხამი დაუმატო“, — ვისზე ამბობდნენ ამას ძველი ბერძნები?
8. კანის ბრძოლის წინ რომაელთა ლაშქრის სიდიდით შემკრთალმა ჰანიბალის თანამებრძოლმა, სახელად ჰისკონმა შიშნარევი გაკვირვებით წამოიძახა: ნახეთ, რამდენი არიანო! ჰანიბალმა ყური მოჰკრა მის სიტყვებს და გაამხნევა: „მართლაც ბევრნი არიან, მაგრამ მაგ უზარმაზარ არმიაში არ მოიძებნება ჯარისკაცი...“ — დაასრულეთ ჰანიბალის სიტყვები.
9. ჩაამატეთ უკრაინელ მომღერალ ვერკა სერდიუჩკას ფსევდონიმში ერთი ასო და თქვით, რას ეძახიან მას რუსები დაცინვით.
10. რა ხელობას მისდევდნენ ადამის შვილები?
11. დაასახელეთ ადამიანის ყველაზე დიდი ორგანო.

# ანეკდოტები



***

მიხომ და მიტომ ვეტერინარული დაამთავრეს. სინჯავენ ძროხას. ერთი ხახაში ჩაჰყურებს, მეორე — უკანალში.

— მიხო, შენა მე მხედავ?

— ვერა, მიტო, ვერა გხედამ.

— ჰოდა, ჩასწერე: „ნაწლავების გადახლართვა“.

***

— ცოლისთვის დაბადების დღეზე რისი ჩუქება ჯობია: ერთი დიდი საჩუქრის თუ რამდენიმე პატარის?

— მგონი, ბევრი პატარის.

— კარგი, მაშინ მზესუმზირას ვაჩუქებ!..

***

— ძვირფასო, ძალიან დავიღალე, უკვე 2 საათია, გზაში ვართ!

— ცოტა მოითმინე, მალე მივალთ!

— აღარ შემიძლია! ზურგჩანთამ მხრები დამაწყვიტა, ფეხსაცმელმა — ფეხები მატკინა, მზე კი უსაშველოდ აჭერს!

— ცოტაც გაუძელი, ცოტაც!

— იქნებ ზურგჩანთიდან მაინც ამოსულიყავი!

***

ცოლმა ქმარი საპატიმროში მოინახულა:

— როგორ გრძნობ თავს?

— როგორც სახლში — არც გარეთ მიშვებენ და არც საჭმელი ვარგა!

***

კახელი სარდაფში ჩავიდა. შესვლისთანავე დირეს ასცხო თავი, მერე ფეხი დაუცდა და წყლით სავსე როფში ჩავარდა. გაჭირვებით ამოძვრა, მაგრამ ფოცხს დააბიჯა ფეხი და შუბლზე დიდი კოპი დააჯდა. ძლივს აფორთხდა კიბეზე, მაგრამ საფეხური ჩაუტყდა და დაცემისას ნეკნი გაიტეხა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოვიდა სარდაფიდან და სიმწრით გადააფურთხა:

— სარდაფია თუ „ფორტ ბოიარდი“, ამის დედა ვატირე!..

***

— მსოფლიოში ყველაზე კარგი დედა ვარ, — ტრაბახობს თალიკო.

— ეს საიდან დაასკვენი?! — ამრეზით ეკითხება მული.

— ოთხი ქალიშვილი გავზარდე, ოთხივე დავაქორწინე და ოთხივე ჩემი ინიციატივით განვაქორწინე, მეტი რაღა ვქნა ამ ერთმა ქალმა?!

***

პატარა დასახლებაში ღამით მეხანძრეები გამოიძახეს. ქუჩა, სადაც სახლი იწვის, ცუდადაა განათებული. ერთი მეხანძრე მეორეს ეუბნება:

— ვერაფრით შემიერთებია შლანგი, მაგარი სიბნელეა!

— ცოტა ხანს მოუცადე, ცეცხლი გაძლიერდება და უფრო კარგად დაინახავ!

***

დილით ქმარმა წვერი გაიპარსა და სააბაზანოდან კმაყოფილი გამოვიდა.

— უჰ, რა კარგია, თითქმის 10 წლით გავახალგაზრდავდი!

— დალოცვილო, თუკი ეგ გშველის, ძილის წინ გაიპარსე ხოლმე! — ეუბნება ცოლი.



***

სვანები ტელევიზორში მძლეოსნობის ჩემპიონატს უყურებენ. პატარა ბიჭი მამას ეკითხება:

— მამა, ეს კაცები რატომ გარბიან?

— პირველი ჯილდოს მიიღებს!

— აბა, დანარჩენები რატომ გარბიან?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:

— აბა, ბავშვებო, როცა გაიზრდებით, ვინ უნდა გამოხვიდეთ?

მიტო: — მე აგრონომი.

კოლა: — მე იურისტი.

შორენა: — მე დედა გავხდები.

მიხო: — მე კი შორენას შვილების მამა ვიქნები.

***

მიხოს ძალიან უყვარს კრივი. ერთ დღეს სახლში მთვრალი დაბრუნდა და მაროს ეუბნება:

— დედაკაცო, ამაღამ კასიუს კლეი ჩხუბობს ფრეზერთანა და თუ დამეძინოს, გამაღვიძე, გაიგე?!.

ჩართო ტელევიზორი და უყურებს, მაგრამ სიმთვრალემ სძლია და ჩაეძინა. დილას იღვიძებს, ტელევიზორი გამორთულია, მარო სამზარეულოში საქმიანობს.

— ქალო, ი კლეიმ რა ქნა წუხელა? — ეძახის ცოლს.

— იი, მეხი კი დაგაყარე! შენ დაგეძინა და ის რაღას იზამდა?!

***

პლანაქეში, სადისტი და მეხანძრე კამერაში სხედან. ქეში ნატრობს:

— აუ, ახლა ერთი მომაწევინა, რა!

მეხანძრე:

— მე კი ჩამაქრობინა!

სადისტი:

— შენს მოტვლეპილ თავზე!

***

— მარო, პერანგზე ღილი დამიკერე, კანტორაში ვარ ასასვლელი.

— მიხო, აქ ორი ღილია აწყვეტილი და რომელი დავაკერო?

***

ქუჩის განაპირას მდგარ მეძავებთან კახელი მანქანას აჩერებს.

— რომელია თქვენში ყველაზე ჯანიანი?

— მე! — იყვირა ერთ-ერთმა.

— 200 დოლარს მოგცემ. რისი გაკეთება შეგიძლია ამ ფასად?

— ყველაფრის!

— ჩაჯექი!.. სარდაფში ბეტონია დასაგები!..

***

მატარებელში:

— ჩქარა, ქალს გული წაუვიდა. ვინმეს არაყი ხომ არ გაქვთ?! — ყვირის მამაკაცი.

— მე მაქვს, — უპასუხა ვიღაც ღვთისნიერმა და სავსე ბოთლი მიაწოდა.

მამაკაცმა მოიყუდა და ნახევრამდე გამოცალა:

— უჰ, სულ ასე ვნერვიულობ, როცა ვინმეს გული მისდის.

***

— ეს როგორ მოგივიდა, მოშე, კაცს ათი ათასი ასესხე, ის კი შენს ცოლთან ერთად გაიპარა.

— მე სულელი კი არ ვარ, ვინმეს ტყუილუბრალოდ რომ ვასესხო ფული...

***

გამოცდაზე:

— რა გვარი ხარ?

— ლომიძე, — პასუხობს სტუდენტი და იღიმის.

— რა გაცინებთ?

— მიხარია, რომ პირველ შეკითხვაზე სწორად გიპასუხეთ.



# გონების სავარჯიშო

## „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ბენჯამინ ფრანკლინი.
2. ლეონარდო და ვინჩიმ.
3. შოთა რუსთაველს.
4. სახმელეთო ჯარი, საჰაერო ძალა, სარაკეტო ძალა, საზღვაო ძალა, ინფორმაციული ომი და კიბერშეტევა კომპიუტერულ სისტემაზე.
5. პოლ სეზანი. მხატვრის მამა, ბუნებრივია, არ მოსწრებია იმ დროს, როცა ასფრანკიან კუპიურაზე მისი შვილის პორტრეტი გაჩნდა.
6. იარაღის შესახებ.
7. ქალებზე.
8. „...სახელად ჰისკონი რომ ერქვას" (ჰანიბალის ნათქვამმა კართაგენელები გაამხნევა. მათ გმირულად იბრძოლეს და რომაელები დაამარცხეს კიდეც. ბრძოლაში განსაკუთრებით, ჰისკონმა გამოიჩინა თავი, თუმცა ამ ბრძოლაშივე დაიღუპა).
9. ვერკა სმერდიუჩკას.
10. აბელი მწყემსი იყო, კაენი — მიწათმოქმედი.
11. კანი.

# ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 8-14 დეკემბერი

### ვერძი



ამ კვირაში საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას მაქსიმალურად შეძლებთ. წარმატებით დაასრულებთ დაწყებულ პროექტებს. ნათესავებზე წყენა გულში არ ჩაიდოთ.

### კურო



გულს ნუ გაიტეხთ, თუ ყველაფერი ისე არ გამოვა, როგორც ჩაიფიქრეთ. მთავარია, შეცდომები არ დაუშვათ. ახლობლებს თქვენი დახმარების იმედი აქვთ. უქმეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

### ტყუპი



იურიდიული დოკუმენტების შედგენისას მაქსიმალური ყურადღება გმართებთ. უფროსებთან კამათს თავი აარიდეთ. კვირის ბოლოს ქალაქგარეთ მგზავრობა და მხიარულება გელით.

### კირჩხიბი



ფინანსური საკითხების გამო კოლეგებთან უსიამოვნება მოსალოდნელი. ხუთშაბათს ახალი საქმე არ წამოიწყოთ. კვირის ბოლოს ნუ მოექცევით სხვების გავლენის ქვეშ. მოერიდეთ ტკბილეულს.

### ლომი



მეტი დრო და ენერგია დაუთმეთ სწავლას. საკუთარ შეცდომებს სხვებს ნუ გადააბრალებთ. გარშემო მყოფები თქვენი ქცევით უკმაყოფილოები იქნებიან და გირჩევთ, შენიშვნები ღირსეულად მიიღოთ.

### ქალწული



ვიდრე ახალ საქმეს წამოიწყებთ, ძველები დაასრულეთ. მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობას — ივარჯიშეთ და დაიცავით დიეტა. უქმეები ნათესავებთან ერთად გაატარეთ.

### სასწორი



კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. განახორციელეთ ახალი იდეები. მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანს. კვირის მეორე ნახევარში საინტერესო და მხიარული მგზავრობა გელით.

### მორიელი



დეპრესიისა და მოწყენილობის გასაქარვებლად, მთელი დრო და ენერგია საქმეს დაუთმეთ. კარგი პერიოდია ხელშეკრულებების გასაფორმებლად. სასამართლო პროცესები თქვენს სასარგებლოდ დასრულდება.

### მშვილდოსანი



კონფლიქტი არ გამწვავდება, თუ ოპონენტს ბოლომდე მოუსმენთ და შენიშვნებს გაითვალისწინებთ. კვირის ბოლოს ქალაქგარეთ მგზავრობა გელით. საჭეს ნასვამი ნუ მიუჯდებით.

### თხის რქა



საკუთარი პოზიციის დამტკიცებას მუშტებით ნუ ეცდებით; ადრე თუ გვიან, სიმართლე მაინც გაირკვევა. გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. კვირის მეორე ნახევარი გართობას დაუთმეთ.

### მერწყული



კარგი პერიოდია მგზავრობისა და მივლინებისთვის. საოჯახო საკითხების მოგვარებისას მოთმინება გმართებთ. შესაძლოა, სახლში რემონტი წამოიწყოთ ან ინტერიერი შეცვალოთ.

### თევზები



კოლეგების კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, მათ დახმარებაზე უარი არ უთხრათ. თავისუფალი დრო საოჯახო პრობლემების მოგვარებას დაუთმეთ. კვირის ბოლოს სასიამოვნო ამბებს შეიტყობთ.

# 2012 წლის საქორწილო ჰოროსკოპი

**ვერძისთვის** იღბლიანი თვეა იანვარი, თებერვალი, ივნისი, სექტემბერი და ოქტომბერი. უიღბლო დღეებია: 12 მარტი და 19 აპრილი.

**კურომ** ივნისში, აპრილსა (13 და 16 რიცხვის გარდა) და დეკემბერში (25 და 27 რიცხვის გარდა) უნდა იქორწინოს.

**ტყუპმა** ქორწილი 1-ელი თებერვლიდან 31 მაისამდე ან ივლის-აგვისტოში უნდა დანიშნოს.

**კირჩხიბებს** ოჯახურ ბედნიერებას მოუტანს ქორწინება იანვარში, მაისში (ოღონდ, არა 11 და 15 რიცხვში), აგვისტოსა და ნოემბერში.

**ლომისთვის** საუკეთესო თვეებია: იანვარი, თებერვალი, აპრილი (13-ის გარდა), ივნისი და ოქტომბერი.

**ქალწულებს** ვურჩევთ, ქორწილი მარტში (ოღონდ — არა 1, 4, 10 და 23 რიცხვში), ივნისში (14 და 17 რიცხვის გარდა), ივლისსა და ოქტომბერში დანიშნონ.

**სასწორებს** ბედნიერებას მოუტანს ქორწინება მარტის თვეში (14, 17, 23-ის გარდა), აპრილის დასაწყისში, მაისში, ივლისსა და სექტემბერში (1, 4 და 10 რიცხვის გარდა).

**მორიელს** ოჯახურ ცხოვრებაში გაუმართლებს, თუ იანვარში, 3-15 თებერვლის პერიოდში, მაისში (ოღონდ, არა 9 და 10 რიცხვებში), აგვისტოსა და ნოემბერში (3, 7, 12 და 19-ის გარდა) დაქორწინდება.

**მშვილდოსნისთვის** ბედნიერების მომტანი იქნება ქორწინება აპრილში (11-ისა და 14-ის გარდა), ივნისში, აგვისტოს მეორე ნახევარსა და დეკემბერში (22-ისა და 24-ის გარდა).

**თხის რქებმა** ქორწილი იანვარში, თებერვალში, აპრილში, (17-ის გარდა), ივნისში, სექტემბერსა და ოქტომბერში (13, 15 და 17-ის გარდა) უნდა დანიშნონ.

კარგი იქნება, თუ **მერწყულები** 1 მარტიდან 31 მაისამდე ან ივლის-აგვისტოში იქორწინებენ.

დაბოლოს, **თევზებისთვის** იღბლიანია ქორწინება 3 თებერვლიდან 14 მარტამდე, ივლისში, აგვისტოსა და დეკემბერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა





1. ქვის კუბო, პატარა აკლდამა
2. სულელი, რეგვენი
3. მორცხვი, მოკრძალებული
4. აღორძინების ხანის იტალიელი ფერმწერი
5. ნივრის აცმა
6. სილამაზის ქალღმერთი ბერძ. მით.
7. იაზონის სატრფო
8. გაფუჭებული კვერცხი
9. ჩაზურგბული ფქვილი
10. კულტურის ძეგლთა გამანადგურებელი
11. შლამის თევზი
12. ფულის ერთეული პოლონეთში
13. ხორვატიის დედაქალაქი
14. ბრძოლაში თავდადებული
15. რამე დაწესებულების პირადი შემადგენლობა
16. ხელში სათამაშებელი მძივი
17. ერთგვარი რბილი ტყავი
18. შეძახილი კორიდაზე
19. რუსული ავტომობილი
20. სამედიცინო ქსოვილი
21. ტბა სომხეთში
22. შოტლანდიის ფეხბურთის გუნდი
23. დედმამიშვილი
24. კიმონოს დეკორატიული ქამარი
25. დაბა სამხრეთ საქართველოში
26. ქვეყანა ბალტიისპირეთში
27. ესპანელი ფერმწერი
28. ნამუსი
29. მძორისმჭამელი ფრინველი
30. სანიავებელი
31. რუსული თვითმფრინავი
32. ქვიშა
33. უნგრული კომპოზიტორი
34. ყოფ. ქართული ტელეკომპანია
35. ვეტერანი ქართ. ფეხბურთელი
36. იგივეა, რაც ჩვარი
37. სუსტი ქარი
38. ვაშლის ძმარი
39. ფრანგი კინორეჟისორი
40. საეკლესიო კრება
41. ქვევრი
42. ავღანეთის პრეზიდენტი
43. ამერიკის შტატი
44. ქვეყანა აფრიკაში



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. საპონი; 2. საბურთალო; 3. ბურახი; 4. უნაგირი; 5. თოლია; 6. ყადი; 7. ლისაბონი; 8. პარაკლისი; 9. ნაძვი; 10. ონაგრი; 11. რიალი; 12. როდეო; 13. ოინი; 14. პრიზი; 15. კაირო; 16. ზლოტი; 17. ხაბაზი; 18. ძნა; 19. ხოტბური; 20. ნარტა; 21. ნეი; 22. როზი; 23. რადა; 24. საარი; 25. ორბი; 26. ზრო; 27. ლომი; 28. ილიადა; 29. ტიარა; 30. სკანდალი; 31. მეტრო; 32. დონორი; 33. დო; 34. აგარა; 35. აზია; 36. გოია; 37. ახო; 38. გორი; 39. დიუმა; 40. კონიაკი; 41. ურო; 42. დეუ; 43. აპრიორი; 44. იალტა; 45. კა.
**სურათებზე:** ევა ლონგორია; ტონი პარკერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტები

დასაწყისი იხ. გვ. 76

და კემბრიჯის უნივერსიტეტებში აკრძალულია. უნივერსიტეტის ფორმა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გახდა აქტუალური, მოდაშია ფეხსაცმელი — „ოქსფორდები“ და შარვალი — „ოქსფორდული ტომრები“. ოქსფორდი დაამთავრა ინგლისის 25-მა პრემიერ-მინისტრმა, მათ შორის, მარგარეტ ტეტჩერმა.

• ლონდონის საიმპერატორო კოლეჯში 158 ქვეყნის 13 ათასი სტუდენტი 155 ფაკულტეტზე სწავლობს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერებასა და მენეჯმენტს. 2007 წლამდე (კოლეჯი 1907 წელს გაიხსნა) სასწავლებელი ლონდონის უნივერსიტეტს ექვემდებარებოდა. გადასახადი 30-32 ათასი დოლარია. აქ სწავლობდა იან ფლემინგი (პენიცილინის გამომგონებელი) და კიდევ 13 ნობელიანტი.

• ლონდონის საუნივერსიტეტო



კოლეჯი 1826 წელს დაარსდა. აქ ყველა რასისა და სარწმუნოების მოსწავლეს შეეძლო სწავლა. 1878 წლიდან ქალების მიღებაც დაიწყეს. 1893 წელს პირველი სტუდენტური კავშირი აქ ჩამოყალიბდა. მუსლიმანი სტუდენტებისთვის გამოყოფილია სალოცავი ოთახი. ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი, კემბრიჯსა და ოქსფორდთან ერთად, „ოქროს სამკუთხედში“ შედის.

• ჩიკაგოს უნივერსიტეტი ჯონ როკფელერის მფარველობით ჩა-



მოყალიბდა. 243 შენობაში 15 ათასი სტუდენტი სწავლობს. ყოველწლიურად, სამეცნიერო და სამედიცინო დარგების განსავითარებლად 450 მლნ დოლარი იხარჯება. ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უნიკალური წიგნები ინახება. იგი 81 მლნ დოლარადაა შეფასებული. სწავლის საფასური 42-44 ათასი დოლარია.

• ამერიკის პირველი უნივერ-



სიტეტი პენსილვანიის შტატში ბენჯამინ ფრანკლინის ხელშეწყობით, 1740 წელს დაარსდა. XIX საუკუნის ბოლოს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაიხსნა არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმი. სწავლის საფასური 40-42 ათასი დოლარია.

• კოლუმბიის უნივერსიტეტი 1754 წელს დაარსდა. იგი ამერიკის ოთხ პრეზიდენტს, მათ შორის ბარაკ ობამასაც, აქვს დამთავრებული. აგრეთვე, 97 ნობელიანტსა და 26 „ოსკაროსანს“. კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მიერაა დაარსებული პულიტცერის პრემია. 101 ლაურეატი ამ უნივერსიტეტში სწავლობდა. სწავლის საფასური 42-44 ათასი დოლარია.

*მოამზადა რუსუდან გელაშვილმა*

## იაპონური სენსაცია
## სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული
**სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 6 | 7 | 9 | 5 | 2 | 1 | 3 |
| 1 | 5 | 7 | 2 | 4 | 3 | 9 | 6 | 8 |
| 3 | 9 | 2 | 1 | 6 | 8 | 4 | 5 | 7 |
| 2 | 6 | 5 | 8 | 3 | 7 | 1 | 9 | 4 |
| 8 | 3 | 1 | 9 | 5 | 4 | 7 | 2 | 6 |
| 9 | 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 3 | 8 | 5 |
| 7 | 1 | 9 | 3 | 8 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 6 | 4 | 3 | 5 | 1 | 2 | 8 | 7 | 9 |
| 5 | 2 | 8 | 4 | 7 | 9 | 6 | 3 | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 1 | 4 | 9 | 2 | 8 | 7 | 3 |
| 7 | 9 | 3 | 1 | 8 | 5 | 4 | 6 | 2 |
| 4 | 8 | 2 | 7 | 6 | 3 | 9 | 5 | 1 |
| 9 | 2 | 6 | 5 | 7 | 1 | 3 | 8 | 4 |
| 3 | 7 | 4 | 9 | 2 | 8 | 5 | 1 | 6 |
| 8 | 1 | 5 | 6 | 3 | 4 | 2 | 9 | 7 |
| 6 | 3 | 7 | 8 | 4 | 9 | 1 | 2 | 5 |
| 1 | 4 | 9 | 2 | 5 | 7 | 6 | 3 | 8 |
| 2 | 5 | 8 | 3 | 1 | 6 | 7 | 4 | 9 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 8 | 9 | 1 | 6 | 2 | 7 | 5 |
| 7 | 1 | 2 | 5 | 3 | 4 | 9 | 8 | 6 |
| 6 | 9 | 5 | 7 | 8 | 2 | 4 | 3 | 1 |
| 2 | 8 | 1 | 4 | 9 | 5 | 7 | 6 | 3 |
| 9 | 4 | 7 | 1 | 6 | 3 | 5 | 2 | 8 |
| 3 | 5 | 6 | 2 | 7 | 8 | 1 | 9 | 4 |
| 5 | 7 | 3 | 8 | 4 | 9 | 6 | 1 | 2 |
| 1 | 6 | 4 | 3 | 2 | 7 | 8 | 5 | 9 |
| 8 | 2 | 9 | 6 | 5 | 1 | 3 | 4 | 7 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | 8 | | | | 1 |
| | | | | | 5 | | 2 | |
| | | 8 | | 3 | | | | 9 |
| 1 | | | 4 | | | | 6 | |
| | 2 | | | 5 | | | 1 | |
| | 4 | | | 2 | 6 | | | 7 |
| 8 | | | | 9 | | 3 | | |
| | 5 | | 7 | | | | | |
| 6 | | | | 1 | | | 9 | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | | 3 | | 6 | | |
| | | | | | 6 | | 3 | |
| | | 5 | | 8 | | 2 | | |
| | 5 | | | 4 | 7 | | | 3 |
| 8 | | | 1 | | | | | 4 |
| 7 | | | | | 5 | | 1 | |
| | | 1 | | 2 | | 3 | | |
| | 3 | | 4 | | | | | |
| | | 9 | | 7 | | 4 | | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | 3 | | 8 | | |
| | 1 | | | | 7 | | 2 | |
| | | | | 6 | | 3 | | |
| | | 8 | | 4 | 5 | | | 3 |
| | 7 | | | 1 | | | 9 | |
| 6 | | | | 7 | | 2 | | |
| | | 2 | | 8 | | | | |
| | 8 | | 3 | | | | 7 | |
| | | 3 | | 2 | | 5 | | |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფოტოკურიოზები














დიდი საახალწლო ფასდაკლება
ბიბლუსი Books -ის
ყველა მაღაზიაში
20% -
50%-მდე
ყველაზე პოპულარულ
წიგნების სერიებზე -20%!
12 დეკემბრიდან!


პირველ წინასაახალწლო კვირას
აქცია
ელექტრონიკის მაღაზიათა ქსელში
ელექტრონიკა
ჩვენ გიუმჯობესებთ ცხოვრებას
2011 წლის 5 დეკემბრიდან 11 დეკემბრის ჩათვლით
619.00 -27% 449.00
T 14
ნახ.მშრალი
B კლასი
249 ლიტრი
გარანტია 3 წელი
INDESIT
699.00 -29% 499.00
SB 150
ნახ.მშრალი
B კლასი
263 ლიტრი
გარანტია 3 წელი
INDESIT
759.00 -13% 659.00
TA 16
ნახ.მშრალი
A კლასი
298 ლიტრი
გარანტია 3 წელი
INDESIT
1599.00 -12% 1399.00
NMTM1912FWB
მშრალი FNF
A კლასი
421 ლიტრი
Hotpoint ARISTON
949.00 -21% 699.00
RL34SGSW
მშრალი
A კლასი
286 ლიტრი
მომსახურება 3 წელი
SAMSUNG
529.00 499.00
WIN81
5 კგ.
800 ბრ.
INDESIT
629.00 599.00
IWC5105
5 კგ.
EcoTime
1000 ბრ.
INDESIT
599.00 539.00
AR 63
5 კგ.
600 ბრ.
Hotpoint ARISTON
849.00 -25% 649.00
AQXL 85
6 კგ.
AQUALTIS
800 ბრ.
Hotpoint ARISTON
529.00 499.00
WF0508NZW
5 კგ.
მომსახურება 3 წელი
800 ბრ.
SAMSUNG
LE32C350D1
749.00 -13% 699.00
81 სმ
SAMSUNG
KLV-32BX300R
849.00 -12% 749.00
81 სმ
SONY
32PFL3605H/12
899.00 799.00
81 სმ
PHILIPS
LE40B551A6
1599.00 1349.00
1080p HD ready
102 სმ
SAMSUNG
VCC4130S31
129.00 -23% 99.00
VCC452AS3R
149.00 -20% 119.00
SAMSUNG
VC5915VT31
149.00 -19% 129.00
VC5915VT3B
149.00 -19% 129.00
SAMSUNG
VCC4142V3O
164.00 -15% 139.00
SAMSUNG
T2245TS
81.00 -15% 59.00
T2267TS
91.00 -14% 79.00
ROLSEN
• დიღომი, ბელიაშვილის 8, ტელ: 2-518-815
• ვარკეთილი, კალაუბნისა და ჯავახეთის ქ.კვეთა ტელ: 2-236-007
• ისანი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, ტელ: 2-478-676
• საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39, ტელ: 2-236-008
• გლდანი, სავაჭრო ცენტრი "ევრაზია", ტელ: 2-478-673
• რუსთავი, შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
• სავაჭრო ცენტრი "მეგალაინი", პავ. 87-89. ტელ: 2-478-672
• სავაჭრო ცენტრი "კიდობანი", პავ. 27. ტელ: 2-478-690
• გორი, ჭავჭავაძის 24, ტელ: 8-370-224-257
გვეწვიეთ!
საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი დასახელების საქონელი
SAMSUNG INDESIT SONY Panasonic TOSHIBA PHILIPS Hotpoint ARISTON TEFAL Rowenta Moulinex THOMSON
ელექტრონიკა
ჩვენ გიუმჯობესებთ ცხოვრებას
ტელ: 2 518 815

# ჩვენ გჩუქნით წიგნებს!

## რომლებიც მაღაზიებში 33 ლარი ღირს

ь104/44

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“ და „პალიტრა მედიის“ კიდევ 1 გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის




**წიგნი-ბესტსელერები:**

„დიდი საოჯახო ენციკლოპედია“
ან
„ბერძნული მითები“
ან
„მაჩვენე როგორ“

**31 დეკემბრამდე!**



| მედია „პალიტრის“ გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| და.. ქალი | 2.00 | 12 | 24.00 |
| ისტორიანი | 2.00 | 12 | 24.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო

ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge